


მზია შელია

მონასტეობის ეკონომიკა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსახლეობის ეკონომიკა

(სალექციო კურსი, პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები)

შემდგენელი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მზია შელია



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„მოსახლეობის ეკონომიკის“ კურსი იკითხება სორბონის, ლომონოსოვის, მაკსატერის, ბერკლისა და სხვა ელიტარულ უნივერსიტეტებში. სალექციო კურსის სილაბუსი აღნიშნულ უნივერსიტეტებში წაკითხული სალექციო მასალების საფუძველზეა შედგენილი და ფართოდ იყენებს იქ მითითებულ ლიტერატურას. გადმოცემული მასალა გამდიდრებულია საქართველოს ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების უახლესი ინფორმაციით. კურსი ორგანულად ავსებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედ კურსკულუმებს. იგი „შრომის ეკონომიკის“ მოდულის ძირითადი საგანია, თუმცა, როგორც არჩევით დისციპლინას, ფაკულტეტის სტუდენტთა დიდი ნაწილი სწავლობს. სალექციო მასალის ათვისებაში სტუდენტებს დიდ დახმარებას გაუწევს წიგნში მოცემული ასეულობით ტესტი და სავარჯიშო.

რედაქტორი – პროფესორი **მირიან ტუხაშვილი**

რეცენზენტები: პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე**
ასოცირებული პროფესორი **მურმან ცარციძე**
ასოცირებული პროფესორი **ლელა მენაბდიშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13-897-3 (pdf)

თემა 1. მოსახლეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები

1.1 ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ისტორიული თავისებურებები

კაცობრიობის მთელი ისტორია დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მოსახლეობის რიცხოვნობაზე. ამ გავლენის შეფასება რთულია, რამდენადაც მოსახლეობის აღრიცხვა, ძირითადად, XIX საუკუნიდან იწყება. თუმცა ბიბლიიდან ცნობილია, რომ, ისრაელიანთა აღწერით, 600 ათასი კაცი (ძველი აღთქმა) აღირიცხა, რაც მოსახლეობის მეტად მცირე ზრდის მაჩვენებელი იყო. მსოფლიო მოსახლეობამ პირველ მილიონს მიაღწია 300 ათასი წლის წინ, ნეოლითის ხანის დასაწყისში კი (9000 წლის წინ) 10 მილიონი იყო. ფიქრობენ, რომ სწორედ ნეოლითის ხანაში მოხდა **პირველი დემოგრაფიული აფეთქება**. შემდგომ პერიოდში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების მატერიალური პირობები შექმნა. ჩვენს წელთაღრიცხვდე V საუკუნეში არსებული 30 მილიონიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე მოსახლეობა 250 მილიონამდე გაიზარდა. მაგალითად, ჩინეთის მოსახლეობა გახდა 73 მილიონი, ინდოეთი – 70 მილიონი, ევროპა – 37 მილიონი.

შემდგომ პერიოდში, მიუხედავად ეპიდემიებისა (მაგალითად, XIV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიამ ევროპაში 25 მილიონი ადამიანი შეიწირა) და ომებისა, მოსახლეობა ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა. უკვე 1500 წლის დასაწყისში მსოფლიოს მოსახლეობამ 450 მილიონს მიაღწია. მეორე ათასწლეულში ზრდა 0,3% იყო. 1750 წელს, სხვადასხვა შეფასებით, მსოფლიო ყოველწლიური მოსახლეობა 730-795 მილიონი გახდა, მხოლოდ 500 წელი დასჭირდა მის გაორმაგებას, როცა წინა პერიოდში ეს 2000 წლის მანძილზე მოხდა.

პირველი სამი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პერიოდში მოსახლეობის ზრდა ნელი იყო, განსაკუთრებით, მონათმფლობელობის ხანაში, როცა ძირითად მწარმოებელ ძალას მონა წარმოადგენდა. მას ჩამოშორებული ჰქონდა აღწარმოების ფუნქცია – შვილთაშობის ფუნქცია. შე-

დარებით მეტად მომრავლდა მოსახლეობა ფეოდალიზმის ხანაში, როცა მთავარი მწარმოებელი ძალა გლეხია. მხოლოდ მრავალრიცხოვან მოსახლეობას შეეძლო ეფექტურად აეთვისებინა კუთვნილი მიწები. ამიტომ ფეოდალი დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მეტი ყმა ჰყოლოდა.

მოსახლეობის ზრდის ტემპი განსაკუთრებით შესამჩნევია XVII საუკუნეში, XIX საუკუნის დასაწყისში კი მოსახლეობამ მიაღწია პირველ მილიარდს, რის შემდეგაც მოსახლეობის ზრდა სწრაფი ტემპით წარიმართა – მოხდა ე.წ. „ევროპული დემოგრაფიული აფეთქება“. ერთი საუკუნის მანძილზე (1800-1900 წწ.) მოსახლეობა 80%-ით გაიზარდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა 6 პრომილე იყო. ევროპის მოსახლეობის წილმა კი XX საუკუნის დასაწყისში 18%-ს მიაღწია. ეს ციფრო შეიძლება უფრო მეტიც ყოფილიყო, რომ არა მასობრივი ემიგრაცია ჩრდილო ამერიკისა და ავსტრალიისკენ. მაგალითად, ავსტრალიაში 1800 წელს 5000 ევროპელი იმიგრანტი ცხოვრობდა, 1900 წელს კი – 3,8 მლნ.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული კონფლიქტებისა (მაგალითად, ექსპერტთა შეფასებით, 1947 წლიდან 1994 წლამდე მსოფლიოში 37 მსხვილი სამხედრო შეტაკება მოხდა. განვითარებად ქვეყნებში ამის გამო 4 მილიონი კაცი დაიღუპა), XX საუკუნის მეორე ნახევარი მოსახლეობის ზრდის არნახული ტემპით გამოირჩევა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მსოფლიო მოსახლეობის ზრდა

მილიარდი კაცი	ერთი მილიარდით მომატების წელთა რაოდენობა	წლები
1-ლი	...	1804
2	123	1804-1927
3	33	1927-1960
4	4	1960-1974
5	13	1974-1987
6	12	1987-1999
7	14	1999-2013
8	15	2013-2028
9	26	2028-2054
10	129	2054-2183

წყარო: *the world at Six Billion//Population Newsletter. UN.1999.#68.p.2*

XXI საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოში შეიქმნა უნიკალური ეკონომიკურ-დემოგრაფიული ვითარება. ერთი მხრივ, განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუარესება, მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების პირობებში მოსახლეობა მცირდება. ამავე დროს, გაჩნდა ქვეყნები, რომლებიც განიცდიან როგორც დემოგრაფიულ, ისე ეკონომიკურ კრიზისს (რუსეთი, უკრაინა, საქართველო და ა. შ). **2017 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ 7 მლრდ 536 მლნ მიაღწია.** ბუნებრივია, დაისვა კითხვა, რა განაპირობებს ამას? რა თქმა უნდა, ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთგანპირობებულობა და ურთიერთდამოკიდებულება.

1.2. რა არის მოსახლეობა?

მოსახლეობა არის მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა, რომელსაც აქვს თვითაღწარმოების (თვითგამრავლების) უნარი.

ცნება მოსახლეობა სამეცნიერო ლექსიკაში შემოიტანა ინგლისელმა მეცნიერმა **ფრენსის ბეკონმა** (1561-1622წ).

ადამიანთა ერთობლიობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ხალხთმოსახლეობაც“. იგი პირველად 1806 წელს იხმარეს ერთ-ერთ რუსულ სტატისტიკურ ჟურნალში, როგორც მოსახლეობის სინონიმი. ამის მიზანი იყო, ადამიანთა მოსახლეობა სხვადასხვა პოპულაციისაგან განესხვავებინათ. მართალია, მან ვერ პოვა ფართო გავრცელება, მაგრამ სამეცნიერო ლექსიკაში დამკვიდრდა.

XX საუკუნის 60 – 70-იან წლებში მეცნიერები ისევ შეეცადნენ ეს ტერმინი შეენარჩუნებინათ, როგორც ჰომო საპიენსის განსხვავება ბიოლოგიური ერთობლიობისგან. დღეს ორივე ტერმინი – „მოსახლეობა“ და „ხალხთმოსახლეობა“ – გამოიყენება, როგორც სინონიმები, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართულ ენაში „მოსახლე“, ადრიდანვე გვხვდება, მაგრამ, სიტყვა „ხალხს“ ვხვდებით ქართულ პრესაში XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. „ხალხი“, „მოსახლეობისგან“ განსხვავებით, უფრო ვრცელი შინაარსისაა. ის „მოსახლეთ“ კონკრეტული ტერიტორიით არ შემოსაზღვრავს.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ცნებები „მოსახლეობა“ და „საზოგადოება“. „საზოგადოება“, ფართო გაგებით, ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმაა, ის სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმაა.

მოსახლეობა არის საზოგადოების სისტემის ქვესისტემა (თუმცა დღემდე სადისკუსიო თემაა, რომელია სისტემა და რომელი – ქვესისტემა).

მოსახლეობა მოიცავს იმ ფენებსა და ჯგუფებს, რომლისგანაც შედგება საზოგადოება, მაგრამ მოსახლეობის, როგორც სისტემის, ფუნქციონირებაში არ შედის ყველა საზოგადოებრივი პროცესი.

მოსახლეობა, როგორც სისტემა, ხასიათდება დემოგრაფიული სტრუქტურებით, დემოგრაფიული პროცესებით, დემოგრაფიული მოვლენებით.

დემოგრაფიული სტრუქტურები ის სტრუქტურებია, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია მოსახლეობის აღწარმობასთან. კერძოდ, ის მოიცავს სქესობრივ სტრუქტურას, ასაკობრივ სტრუქტურას, ქორწინებით-ოჯახურ სტრუქტურას და ა.შ.

დემოგრაფიულ პროცესებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება. ამათგან შობადობა და ქორწინება – მოსახლეობის შემავსებელი, ხოლო მოკვდაობა მოსახლეობის შემამცირებელი პროცესია.

ცვლილებები მოსახლეობაში დემოგრაფიული მოვლენების საშუალებით ხდება.

დემოგრაფიული მოვლენა ისეთი ცვლილებაა თაობათა განახლების პროცესში, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმობაზე. **დემოგრაფიული შემთხვევისაგან** განსხვავებით, რომელიც ერთჯერადი აქტია, დემოგრაფიული მოვლენა უფრო ფართოა, ის ადამიანთა უფრო დიდ ჯგუფს მოიცავს. მაგალითად, ბავშვის დაბადება დემოგრაფიული შემთხვევაა, მაგრამ დემოგრაფიული აფეთქება უკვე მოვლენაა. დემოგრაფიული მოვლენაა დემოგრაფიული დაბერებაც.

1.3. დემოგრაფია და მოსახლეობის ეკონომიკა

დემოგრაფია ძველ ბერძნულ ენაში „მოსახლეობის აღწერას“ (დემოს – მოსახლეობა, გრაფოს – აღწერა) ნიშნავს. ამ მეცნიერებას დემოგ-


რაფია ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა (1799-1876) უწოდა. მას დემოგრაფიის ნათლიადაც მოიხსენიებენ.¹ დიდი შვეიცარიელი მათემატიკოსი ქ. ბერნული (1782-1863) მას პოპულაციონისტიკას უწოდებდა. იყო მოსაზრება, რომ ამ მეცნიერებას დემოლოგია (მოძღვრება მოსახლეობის შესახებ) რქმეოდა (გერმანელი მეცნიერი ე. ენგელი (1821-1896)).

რას სწავლობს დემოგრაფია?

დემოგრაფიის შესწავლის საგანი **მოსახლეობის აღწარმოებაა. მოსახლეობის აღწარმოება კი თაობათა უწყვეტი განახლების პროცესია.** მაშასადამე, დემოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის აღწარმოების კანონებსა და კანონზომიერებებს.

პირველი განმარტება, თუ რას სწავლობს დემოგრაფია, მოგვცა ფრანგმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა ჟაკ ბერტიონმა ნაშრომში: „საფრანგეთის მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკა“, რომელიც 1899 წელს გამოქვეყნდა.

ფრანგი სტატისტიკოსი და დემოგრაფი ჟაკ ბერტიონი დედის ხაზით იყო აშილ გიიარის შვილიშვილი, განათლებით – ექიმი. მისი დამსახურება დიდი დემოგრაფიის განვითარებაში. მას ეკუთვნის შრომები: „საფრანგეთის მოსახლეობის დემოპულაციის პრობლემები“ (1897), „საფრანგეთის მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკა“ (1899), „ქორწინების გავლენა სუიციდზე“ (1880). „ენა-ბლუთა სტატისტიკა საფრანგეთში“, „გოლიათები და ლილიპუტები“ (1880), „შესავალი ანთროპოლოგიაში“ (1877), „ალკოჰოლიზმი და მასთან ბრძოლის საშუალებების არსებული გამოცდილების შეფასება“ (1904). მთელ მსოფლიოში ის მიჩნეულია ნობოლოგიური სტატისტიკის მამად. იგი იყო ნატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის აქტიური მქადაგებელი. „დაქორწინებით, თუ ვინდათ დიდხანს იცოცხლოთ, დაქორწინებული ხარ.“



ჟაკ ბერტიონი
1851-1922

¹ აშილ გიიარს ეკუთვნის გამოთქმა: „ადამიანს მიწა კი არ კვებავს, არამედ შრომა“.

სა, ვიდრე დაუქორწინებლებს... 20-25 წლის ქვრივ ქალებში ორჯერ მაღალია მოკვდაობა, ვიდრე იმავე ასაკის დაქორწინებულ ქალებში.. დაქორწინებულები უფრო ნორმალურ ცხოვრებას ეწევიან, მათი ფიზიკური და სულიერი ცხოვრება უფრო ჯანმრთელი, მშვიდი და ბუნებრივია“, – წერდა ის.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დემოგრაფია აღწერილობიდან ახსნა-განმარტებით ხასიათში გადაიზარდა. უკვე შეისწავლება არა მარტო ის, სად რამდენი კაცი ცხოვრობს, არამედ ისიც, რატომ ცხოვრობს მოცემული რაოდენობის ადამიანი ამა თუ იმ ადგილზე. დემოგრაფიას მოსახლეობის აღწარმოების პროცესი აინტერესებს, როგორც სოციალური პროცესი, რითაც განსხვავდება ის სხვა მეცნიერებათაგან, მაგალითად, მოსახლეობის სტატისტიკისაგან. დემოგრაფიის შესწავლის ობიექტი მოსახლეობაა.

მოსახლეობა მოიცავს იმ ფენებსა და ჯგუფებს, რომლისგანაც შედგება საზოგადოება, მაგრამ მოსახლეობის, როგორც სისტემის, ფუნქციონირებაში არ შედის ყველა საზოგადოებრივი პროცესი.

დემოგრაფია მჭიდრო კავშირშია ეკონომიკასთან. ამ ორი მეცნიერების დაახლოებამ გამოიწვია **მოსახლეობის ეკონომიკისა და ეკონომიკური დემოგრაფიის წარმოშობა.**

ეკონომიკური დემოგრაფია დემოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებაა და შეისწავლის დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირს, უფრო ზუსტად, მოსახლეობის გავლენას ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენაზე. მაგალითად, მოსახლეობის ზრდის, მოსახლეობის ხარისხის, დემოგრაფიული სტრუქტურების გავლენას ეკონომიკაზე. ეკონომიკური დემოგრაფია, უფრო მეტად, გამოყენებითი ხასიათის მეცნიერებაა.


რაც შეეხება **მოსახლეობის ეკონომიკას**, ის ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებაა. მისი შესწავლის საგანია მოსახლეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები, ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის გავლენა მოსახლეობის აღწარმოებაზე, დემოგრაფიულ ქცევაზე, მის სტრუქტურაზე, მოსახლეობის განსახლებაზე.

ეკონომიკა და მოსახლეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ეკონომიკის განვითარება ბევრად განსაზღვრავს მოსახლეობისა და

მისი სტრუქტურის განვითარების ხასიათსა და, თავის მხრივ, ეს უკანასკნელი არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და პროპორციებზე.

მოსახლეობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ისეთი ეკონომდემოგრაფიული სქემის შექმნა, სადაც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით.

სქემა 1. მოსახლეობის ეკონომიკის კავშირი სხვა დარგებთან



მოსახლეობის ეკონომიკა შეისწავლის:

- ეკონომიკურ (მოსახლეობის მოთხოვნილებათა სისტემის ცვლილების) და სოციალურ მექანიზმთა ურთიერთკავშირს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოპროცესების ინტენსივობას;
- ეფექტური ხალხთმოსახლეობის პოლიტიკის შექმნას და ა.შ.

მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის მეთოდებია:

1. ზოგადმეცნიერული: ანალიზისა და სინთეზის; ინდუქციისა და დედუქციის; ისტორიზმის; ჰიპოტეზის; მეცნიერული აბსტრაქციის და ა.შ.

2. სპეციალური: სტატისტიკური, მათემატიკური, მათემატიკური მოდელირების, სოციოლოგიური, გრაფიკული, კარტოგრაფიული, დემოგრაფიული (დემოგრაფიული ცხრილები).

მოსახლეობის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ცალკე დარგი, ფორმირდება XX საუკუნის 60-იან წლებში. მას წინ უძღოდა დემოგრაფიული ცოდნის დაგროვება და დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ცალკე დარგად ფორმირება.

1.4. დემოგრაფიული ცოდნის წარმოშობა და განვითარება

დემოგრაფიამ, სანამ ის მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა, განვითარების ხანგრძლივი პერიოდი განვლო.

დასავლეთში მეცნიერები დემოგრაფიის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფენ:

- 1) XIX საუკუნის ბოლომდე;
- 2) XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე;
- 3) XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე.

არსებობს მოსაზრება (ცნობილი რუსი მეცნიერი დ.კ. შელესტოვი), რომ დემოგრაფიაზე, როგორც მეცნიერებაზე, უნდა ვიმსჯელოთ XVI საუკუნიდან.

დემოგრაფიული ცოდნის ფორმირება-სისტემატიზაცია XVI-XVIII სს. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალ პერიოდში ხდებოდა. ეს იყო უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების პერიოდი. უამრავი ადამიანი ჩაება სოციალურ მოძრაობაში. გარდა ამისა, ეს იყო ევროპელთა მეტად მზარდი ემიგრაციის ეპოქა, რომელსაც კონტინენტთაშორისი ხასიათი ჰქონდა. მძლავრი მიგრაციული ნაკადები მიემართებოდნენ ამერიკაში. აშშ-ის ცენზების ბიუროს გაანგარიშებით, ამ ქვეყნის მოსახლეობა 1610-1800 წწ. 210 ათასიდან 5,3 მლნ-მდე გაიზარდა.

პირველი, ვინც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში აზრი გამოთქვა მოსახლეობის პრობლემებზე, იყო ცნობილი იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე და ისტორიკოსი **ნიკოლო მაკიაველი** (1469-1527). ის მიიჩნევდა, რომ მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა სასურველი მოვლენაა. სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს ამისკენ, მაგრამ ამას თან სდევს ჭარბდასახლების პროცესიც, რასაც არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. იგი კოლონი-

ზაციის მომხრე იყო. ამაში ხედავდა ჭარბდასახლების არასასურველი შედეგებისგან თავის დაღწევის გზას.

XVI საუკუნის ავტორთაგან ჟ. ბოდენი (1530-1596), ინგლისში ემიგრირებული ფრანგი პოლიტიკური მწერალი, საჭიროდ მიიჩნევდა, სახელმწიფოს აღერიცხა თავისი ქვეშევრდომები და მათი შემოსავლები.

XVI საუკუნიდან XVII საუკუნის შუახანებამდე პერიოდში მოსახლეობის პრობლემები სულ უფრო მეტად იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას.

XVII-ის შუახანებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციიდან საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე პერიოდში, იზრდება მოსახლეობის როლი საზოგადოების განვითარებაში. ამ პროცესმა გამოხატულება პოვა ორ სამეცნიერო დისციპლინაში: „პოლიტიკური არითმეტიკა“ და „აღწერილი სტატისტიკა (სახელმწიფო)“. პირველის სამშობლო იყო ინგლისი, მეორისა – გერმანია.

დემოგრაფიის განვითარებაში ძალიან დიდია **ჯ. გრაუნტის დამსახურება.**

იგი ინგლისელი მეცნიერი იყო, რომელმაც 1662 წელს გამოაქვეყნა შრომა „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენტა საფუძველზე“, რითაც სათავე დაუდო დემოგრაფიას, როგორც მეცნიერებას. ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ის აირჩიეს სამეფო საზოგადოების წევრად.

1662 წელს მან გამოაქვეყნა შრომა „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენტა საფუძველზე“. ფიქრობენ, რომ მან „გააღო კარი“ დემოგრაფიის შეუცნობელ სამყაროში, რის შემდეგ ეს კარი აღარც დახურულა, თუმცა მასში შესვლას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ჯ. გრაუნტის შრომის მნიშვნელობა მოსახლეობის პრობლემებისადმი სრულიად ახალ მიდგომაშია. ის, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში, მათ შორის რამდენი ქალია, რამდენი ვატი, რამდენია დაქორწინებული ან დაუქორწინებული, რამდენია გარდაცვლილთა რაოდენობა, და სხვ., დაწვრილებით გრაუნტამდე არავის გამოუკვლევია.



ჯ. გრაუნტი
(1620-1674)

ამ შრომებით დადასტურდა, რომ მეცნიერებმა მიიღეს „სოციალური შეკვეთა“ მოსახლეობის პრობლემების მეცნიერულ შესწავლაზე.

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელდა სიცოცხლის დაზღვევა. იხსნებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიები, საზოგადოებები. დაზღვევაში მონაწილეობდა სახელმწიფოც (ტონტინი საფრანგეთში). ამ პერიოდს დაემთხვა ფრანგი მეცნიერის ე. ჰალეის (E. Halley) მიერ მოკვდაობის ცხრილის აგებაც. სადაზღვევო საქმიანობამ თავისი როლი ითამაშა მოსახლეობის მოკვდაობის აღრიცხვასა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გამოთვლაში. მაგრამ მოსახლეობის აღწარმოების საკითხი ჯერ კიდევ არ იდგა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში.

XVIII საუკუნეში მოსახლეობის შესახებ საინტერესო შეხედულებებს გამოთქვამდნენ: მონტესკიე, ვოლტერი, რუსო, კანტიონი, კენე, იუმი, სმიტი, სტიუარტი და სხვ. ამ პერიოდში მოსახლეობა საზოგადოების მიერ გააზრებული იქნა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის უმნიშვნელოვანესი კატეგორია. ამრიგად, XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდი იყო გარდამავალი პერიოდი მოსახლეობის შესახებ ჩანასახოვანი ცოდნიდან მოსახლეობის განვითარების ცალკეული მხარის მეცნიერულ გააზრებამდე.

XIX საუკუნეში ევროპაში მნიშვნელოვნად შეიცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა. მოსახლეობა იზრდებოდა შობადობის მაღალი დონის შენარჩუნების გამო. მიგრაციული ნაკადები მიემართებოდა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში. აღნიშნულ პერიოდში მონობა უკვე გადავარდნილი იყო, რასაც მნიშვნელოვანი დემოგრაფიული შედეგი ჰქონდა არა მარტო ამერიკისათვის, არამედ აფრიკისთვისაც. აფრიკამ მონობით 60 მლნ კაცზე მეტი დაკარგა.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნეში მოსახლეობის პრობლემების შესასწავლად უფრო გამოკვეთილი დემოგრაფიული ფონი იყო, ვიდრე XVIII საუკუნეში. ამან განაპირობა მოსახლეობის აღწერების შემოღება, რამაც, თავის მხრივ, შექმნა უმნიშვნელოვანესი წინა პირობა დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების ფორმირებისთვის.

მეცნიერებმა დაიწყეს დოკუმენტების (ინფორმაციის) შეკრება მოსახლეობის რიცხოვნობაზე, მოკვდაობაზე, შობადობაზე, ქორწინებაზე და ა.შ. მაგრამ ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ ჯერ კიდევ მცირე იყო, თუმცა რამდენადმე მაინც იძლეოდა მეცნიერულ დაკვირვებათა შესაძლებლობას. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ამ პერიოდში განვითარებულმა „მოსახლეობის სტატისტიკამ“.

მოსახლეობის შესახებ მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბებაში თავისი როლი შეასრულა 1853–1876 წწ. ჩატარებულმა საერთაშორისო სტატისტიკურმა კონგრესებმა, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერების – კეტლეს, ფარის, ბერტიონის, ბიოკის, გერმანის, იანსონისა და სხვათა შრომებმა. მაგალითად, ბიოკმა პირველმა ჩამოაყალიბა მოსახლეობის აღწარმოების წმინდა კოეფიციენტი; 1885 წელს გამოვიდა ფარის ფუნდამენტური შრომა „მოსახლეობის სტატისტიკა“, ნორვეგიელმა მეცნიერმა კიერმა პირველმა შემოიღო შერჩევითი გამოკვლევა; **განსაკუთრებით აღსანიშნავია მალთუსის შრომა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ და ა.შ.**

XIX საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დადგა დემოგრაფიის ცენტრალური პრობლემის – მოსახლეობის აღწარმოების შესწავლა. **კვლევის ობიექტი გახდა შობადობის შემცირება. მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო მოსახლეობის მიგრაციის შესწავლაც.** ამ პერიოდში გამოჩნდა შრომები მიგრაციის შესახებ. დაიწყო მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა, ურბანიზაციის პროცესის შესწავლა.


XX საუკუნის 20-იანი წლებში დემოგრაფია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერება. ამ საუკუნეში მეცნიერები გამოყოფენ ორ დიდ პერიოდს – 50-იან წლებამდე და 50-იანი წლების შემდგომი პერიოდი.

XX საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო შობადობის საკითხი. **ფრანგი მეცნიერის, ჟაკ ბერტიონის** სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ გამოკვლევას მოჰყვა შვეიცარიელი დემოგრაფის – ლ. ჰერშის შრომები. დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მეცნიერებმა: პირლმა (აშშ), კუჩინსკიმ (გერმანია) (აღწარმოების კოეფიციენტის შემოღებით), ლოტკამ (აშშ), რომელმაც, მეცნიერთა სიტყვით, ისეთივე წვლილი შეიტანა დემოგრაფიის განვითარებაში, როგორც ნიუტონმა – ფიზიკაში. მან შექმნა სტაბილური მოსახლეობის მათემატიკური თეორია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადი ყურადღება მიექცა საზოგადოების განვითარებისას დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომი-

კური ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შესწავლას, მოსახლეობის ეკონომიკის საკითხების გამოკვლევას. მოსახლეობის შესახებ ცოდნათა სისტემა ამჟამად მოიცავს შემდეგ მიმართულებებს (სქემა 2).

სქემა 2. ცოდნათა სისტემა მოსახლეობის შესახებ



აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში დემოგრაფიულ მეცნიერებას გამოეყო ახალი მიმართულება – **დემოგრაფიქსი** (დემოგრაფიკა).

დემოგრაფიქსი – შეისწავლის მენარმეთა მიერ დემოგრაფიული ცოდნის გამოყენების გზებსა და შესაძლებლობებს. ეს მიმართულება წარმოიშვა აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ბიზნესის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ფორმირება ხდება მოსახლეობის განსაზღვრული მოთხოვნილებებით საქონელსა და მომსახურებაზე.

დადგენილია, რომ საკმაოდ მაღალი შემოსავლის მიღწევის შემდეგ მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნები განისაზღვრება მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლებით: საცხოვრებელი ადგილის, ოჯახის ზომისა და სტრუქტურის, სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის, კვალიფიკაციისა და განათლების დონის მიხედვით, ჯანმრთელობით, რასობრივი კუთვნილებით, ეროვნებით, რელიგიური კუთვნილების მიხედვით და ა.შ.

მოსახლეობის, როგორც პოტენციური მომხმარებლის, შესწავლის მიზნით, წარმოიშვა დემოგრაფიის გამოყენებითი მხარე – **დემოგრაფიკა** (რუსულენოვან ლიტერატურაში) ანუ **დემოგრაფიქსი** (ინგლისურენოვან ლიტერატურაში).

დემოგრაფიქსის საფუძველია მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის შეკრება და დამუშავება. ამისთვის გამოიყენება:

- მოსახლეობის გამოკითხვა, ანკეტირება;
- შინამეურნეობის ან მის წევრთა შერჩევითი გამოკვლევები.
- მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის, მოსახლეობის შემოსავლების ანალიზი;
- მოსახლეობის ყოველდღიური გადაადგილების ტრასების შესახებ ინფორმაციების დამუშავება.

ამ ინფორმაციის დამუშავებით და განზოგადებით დემოგრაფიქსი აძლევს დამკვეთებს ცოდნას თანამედროვე და პროგნოზირებად მომხმარებელთა ჯგუფებზე: ბავშვების, ახალგაზრდების, მოხუცების, მონიფულთა სამომავლო მოთხოვნილებებზე. ტრასების შესწავლით კი იგი იძლევა წინადადებებს სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შესაძლო განლაგებაზე, მის ზომაზე, სპეციალიზაციაზე. ამასთან, ის იძლევა რეკომენდაციებს ეფექტურ რეკლამაზე ტელევიზიაში, გზებზე, ტელეფონით და სხვ. მაგალითად, იქ, სადაც ბავშვები ბევრნი არიან, ძალიან კარგად მუშაობს რეკლამების მულტიპლიკაციური ფორმა, ახალგაზრდებში – პოპულარული მუსიკის ან სათავგადასავლო ფილმების გამოყენება. იქ, სადაც ხანდაზმულნი ქარბობენ, უფრო ეფექტურია რეკლამა სახლში მიტანილი ბუკლეტების სახით ან ტელეფონით და ა.შ.

მოსახლეობაზე მრავალმხრივი და მრავალწლიანი დაკვირვება მოსახლეობის სამომხმარებლო ჯგუფებად, ე.წ. „კლასტერებად“ დაყოფის საფუძველი გახდა. პირველად ასეთი ჯგუფები გამოყო 1975 წელს ამერიკულმა ფირმამ „კლერაისტმა“, რომელმაც შეკრიბა ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ და 535 ნიშნის საფუძველზე 40 კლასტერი გამოყო. მათ შორის იყო: „ესპანურენოვანი“, „ფულის ტომრები და ინტელექტუალები“, „მუშათა კვარტალები“, „საზოგადოებრივ დახმარებაზე მსხდომნი“ და ა.შ. ეს კლასტერები ტერიტორიული ნიშნით 12 ჯგუფად დაიყო: პრესტიჟული დასახლებები, ქალაქის გარეუბნები, დიდი ქალაქები, მცირე დასახლებები, სოფლები და ა.შ. დღეს სხვა კლასტერული სისტემებიცაა დამუშავებული. მათი რაოდენობა 40-დან 150-მდე გაიზარდა და აგებულია პრინციპზე:

მეთევზე თევზს შორიდანვე ცნობს. მთავარია, განისაზღვროს თევზი, რომელიც მეთევზისთვისაა აუცილებელი.

დემოგრაფიას ამჟამად უამრავი მიმართულება აქვს. კერძოდ, **თეორიული დემოგრაფია** არკვევს, როგორ ზემოქმედებს დემოგრაფიულ პროცესებზე ესა თუ ის სოციალ-ეკონომიკური ფაქტორი. მისი საშუალებით ყალიბდება დემოგრაფიული კვლევის მიზნებისა და ამოცანების, კვლევის პროგრამის თეორიული ნაწილის ჩამოყალიბება.

დემოგრაფიის ისტორია შეისწავლის დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების პროცესს.

ისტორიული დემოგრაფია შეისწავლის მსოფლიოს, ცალკეული კონტინენტის და ქვეყნის დემოგრაფიული პროცესების ისტორიას.

აღწერილობითი დემოგრაფია აწარმოებს დემოგრაფიული მონაცემების მოპოვებას და დამუშავებას, ის ამუშავებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა სისტემას, რომლის დახმარებითაც ვაღწევთ დემოგრაფიული პროცესების დონის, დინამიკისა და სტრუქტურის დადგენას.

რეგიონული დემოგრაფია სწავლობს დემოგრაფიულ კანონზომიერებებს ცალკეულ რეგიონში.

ეთნიკური დემოგრაფია სწავლობს დემოგრაფიული პროცესების ეთნიკურ თავისებურებებს.

სამედიცინო დემოგრაფია შეისწავლის მედიცინისა და დემოგრაფიის სასაზღვრო საკითხებს, როგორცაა ქალთა ჯანმრთელობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე, მოკვდაობის ცალკეულ მიზეზთა გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე და ა.შ.

პოტენციური დემოგრაფია შეისწავლის ადამიანის სასიცოცხლო პოტენციალს როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე, ისე ცხოვრების ცალკეულ პერიოდებში (მაგ., სასიცოცხლო პოტენციალი დასაქმების პერიოდში).

1.5. დემოგრაფია საქართველოში

საქართველოში მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას ყოველთვის ფლობდნენ, მაგრამ მისი ინტენსიური გავრცელება XIX საუკუნიდან იწყება, რაც განაპირობა ამ პერიოდში მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის რეგულარულმა აღწერამ. 1847 წლიდან 1917 წლის ჩათვლით რეგულარულად გამოდიოდა სტატისტიკური კრებული „კავკასიის კალენდარი“, 1897 წლიდან კი მოსახლეობის საყოველთაო აღწერებიც ტარდება.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუახანებიდან ჩნდება დემოგრაფიული მოვლენების სიღრმისეული კვლევის მცდელობა, კერძოდ, კვლევა შობადობისა და ბავშვთა მოკვდაობის შესახებ, მოსახლეობის სტატისტიკის შესახებ.

1960-1970-იანი წლებიდან აკად. პ. გუგუშვილის თაოსნობით ინტენსიურად ვითარდება დემოგრაფიული მეცნიერება, იქმნება მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომები, მზადდება პროფესიონალი დემოგრაფები. 1991 წელს შეიქმნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, რომელიც 2006 წლიდან გადაკეთდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტად. 2000-2006 წწ. თსუ-ში ფუნქციონირებდა დემოგრაფიის კათედრა. გამოდიოდა სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედებულია სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია“ და გრძელდება ინტენსიური კვლევითი მუშაობა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში.

1.6 გლობალიზაციის თანამედროვე პროცესი და ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატებების მიუხედავად, პლანეტის მოსახლეობის ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვევითაა.

1960-იანი წლებიდან დღემდე ადამიანის განვითარებაში ძირითადი წარმატება იყო:

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა 46-დან 71 წლამდე;
- ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის განახევრება;
- სკოლაში მოსიარულე ბავშვთა 80%-ით ზრდა;
- უსაფრთხო წყალზე და საბაზო სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაორმაგება.

მიუხედავად არსებული წარმატებებისა, უმუშევართა რიცხვმა მსოფლიოში 200 მლნ კაცს მიაღწია (2017წ). მოსახლეობის 1/4 მაინც არასრული დღითაა დასაქმებული. მსოფლიოს მასშტაბით, 1 მლრდ ადამიანი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს, მსოფლიო შემოსავლის 60%-ს

იღებს, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები 3,5 მლრდ ადამიანი გამოიშვება 20%-ს.

ბოლო კვლევებით დადგინდა, რომ მშპ 1%-ით ზრდა ღარიბთა 20 %-ის შემოსავალს ზრდის (ყოველი მეხუთე ღარიბის შემოსავალს ზრდის). თანამედროვე მსოფლიო განვითარება ამტკიცებს შემდეგ ქეშმარიტებას:

- ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, თუმცა საკმარისი არაა სიღარიბის მასშტაბის შესამცირებლად, შემოსავლის არათანაბარი გადანაწილების აღმოსაფხვრელად. ამისათვის საჭიროა გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაცია, რომელსაც თან უნდა სდევდეს ეფექტური სოციალური პოლიტიკაც, მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის დონის ამაღლება. კავშირგაბმულობასა და ინფორმატიკაში უზარმაზარი ძვრები მოხდა. იმას, რომ 50 მლნ ადამიანს ჰქონოდა რადიო, 38 წელი დასჭირდა, ტელევიზია – 13 წელი, მაშინ, როცა იმდენივე ადამიანი 4 წელიწადში აღიჭურვა ინტერნეტით. 2017 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის 47% ინტერნეტის მომხმარებელია. ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა 76%-ს შეუძლია მისი მოხმარება, მეორე ადგილზეა – პოსტსაბჭოთა ქვეყნები – 67,7%, მესამე ადგილზე ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა - 65, 9%. ყველზე ცოტა მომხმარებელია (21,1%) – აფრიკაში (საქართველოში მობილურის გარეშე ინტერნეტის მომხმარებელია მოსახლეობის 18%* (2017 წლისათვის)). ამჟამად აშშ-ში იმაზე მეტი კომპიუტერია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში; ტოკიოში იმდენი მობილური, რაც მთელ აფრიკაში. მაგრამ ამ ე.წ. „ციფრული უფსკრულით“ უხილავი ხიდები იდება. ამის მაგალითია გაეროს მიერ ჯანდაცვის ინტერნეტული ქსელის შექმნა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ შეუძლიათ უახლესი ინფორმაციის მიღება განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის შესახებ. უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ვალების დესტრუქტურიზაცია და მისგან ღარიბი ქვეყნების გათავისუფლება. მიუხედავად მსოფლიო საზოგადოების მცდელობისა 2015 წლისათვის ორჯერ შემცირებულიყო მსოფლიოში სიღარიბის დონე, პრობლემა აუხდენელ ოცნებად დარჩა. მსოფლიოს მდგრადი განვითარება შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პროცესების თანამედროვე მექანიზმების ახსნის გარეშე.

თემა. 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ

დემოეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის აუცილებელია მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია. მის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის პროგნოზირება და, შესაბამისად, მთელი რიგი სოციალ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელება.

მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია ორი სახისაა: პირველადი, ანუ ამოსავალი და მეორადი, ანუ გადამუშავებული. ეს უკანასკნელი არსებობს სტატისტიკური პუბლიკაციების, სამეცნიერო მონოგრაფიების, ვებგვერდების და ა.შ. სახით.

ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ის უნდა იყოს სანდო, სრული, დეტალური, მრავალმხრივი და სისტემატური. მეორადი ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება ე.წ. „დემოგრაფიული სტატისტიკური ნელინდეულები“, რომელიც 1990-იანი წლებიდან გამოდის ჩვენშიც.

მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

1. მოსახლეობის აღწერა;
2. მიმდინარე აღრიცხვა;
3. სპეციალური შერჩევითი გამოკვლევა;
4. მოსახლეობის სიები (კარტოთეკები) და რეგისტრები.

2.1. მოსახლეობის აღწერა

მოსახლეობის აღწერა მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა.

მოსახლეობის აღწერა არის განსაზღვრულ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა შესახებ დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მონაცემთა შეკრების, შეფასების, ანალიზისა და გავრცელების ერთიანი პროცესი.

მოსახლეობის თანამედროვე აღწერები ხასიათდება საყოველთაობით, ე.ი. აღწერა მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას და მის ყველა მცხოვრებს. გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერის პრინციპებია:

ერთდროულობა;
 სახელდებულობა;
 თვითგამორკვევა;
 კონფიდენციალურობა;
 ერთიანი პროგრამა და მკაცრი ცენტრალიზებული მართვა.

ერთდროულობა ნიშნავს იმას, რომ ყველა ინფორმაცია იკრიბება ერთი, წინასწარ განსაზღვრული მომენტისათვის, რომელსაც აღწერის **კრიტიკული მომენტი** ჰქვია.

მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის კრიტიკულ მომენტად შერჩეული იქნა 4-5 ნოემბრის შუალამის 12 საათი (ე. ი. მონაცემები არ შეგროვდა მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ). კრიტიკული მომენტის დაწესების აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა მუდმივად იცვლება, კრიტიკული მომენტი კი საშუალებას იძლევა, ავიცილოთ ორმაგი აღრიცხვა. კრიტიკული მომენტი არ ემთხვევა აღწერის პერიოდს. აღწერა მიმდინარეობს კრიტიკული მომენტიდან, ჩვეულებრივ, 7-10 დღის განმავლობაში. ინფორმაცია კი იკრიბება კრიტიკული მომენტის მდგომარეობით. მოსახლეობის აღწერის დროის შერჩევას ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებებს:

– მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა მოცემული პერიოდისათვის მინიმალური უნდა იყოს, ე.ი. უნდა შეირჩეს წლის ის თვე, როცა მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე იმყოფება. საქართველოსათვის ასეთ დროდ იანვარია მიჩნეული.

– სასურველია, აღწერის დრო წლის დასაწყისი იყოს, რადგან შესაძარისი გახდეს აღწერისა და აღწერათაშორისი წლების მიმდინარე აღრიცხვის მასალები.

სახელდებულობა გულისხმობს იმას, რომ ინფორმაცია იკრიბება პერსონალურად, თითოეულ ადამიანზე. მიღებული ინფორმაცია არის **კონფიდენციალური**, ის მხოლოდ განზოგადებული სახით ვრცელდება. ამასთან, ინფორმაციის მიღებისას მოსახლეობას არ მოეთხოვება ინფორმაციის სიზუსტის დამადასტურებელი საბუთი (გარდა 100 წლისა და უფროსი ასაკის მოხუცებისა), ე.ი. დაცულია ე.წ. **თვითგამორკვევის** პრინციპი.

მოსახლეობის აღწერისას მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თითოეულ პირზე ერთნაირი ინფორმაცია იკრიბება საალრიცხვო ფურცლების საშუალებით. ამიტომ დგება აღწერის **ერთიანი პროგრამა**, რომელიც მოიცავს აღწერის ჩატარების ერთიან წესს და ინფორმაციის დამუშავების ერთიან გეგმას. აღწერის ერთიანი პროგრამა მუშავდება აღწერამდე რამდენიმე თვით ან წლით ადრე.

მოსახლეობის აღწერა მეტად ძვირადღირებული, რთული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს მკაცრ კოორდინაციას. ამიტომ მისი წარმატებით ჩატარება **ცენტრალიზებული მართვის** გარეშე შეუძლებელია.

მოსახლეობის აღწერის დამახასიათებელი თვისებაა **პერიოდულობა**. კერძოდ, გაეროს რეკომენდაციით, აღწერა უნდა ჩატარდეს 5 ან 10 წელიწადში ერთხელ 5-ით ან 0-ით დამთავრებულ ან მასთან ახლოს მდგომ წლებში. ამის აუცილებლობა მომდინარეობს იქიდან, რომ შესაძარისი გახდეს ცალკეული ქვეყნის მონაცემები და გაანგარიშებული იქნეს მსოფლიოს მოსახლეობის რიცხვი. საქართველოში მოსახლეობის აღწერა 10 წელიწადში ერთხელ ტარდება.

მოსახლეობა აღინერება შემდეგ კატეგორიებად:

1. მუდმივი მოსახლეობა;
2. სახეზე მყოფი მოსახლეობა;
3. იურდიული მოსახლეობა.

მუდმივი მოსახლეობა ადამიანთა ის ერთობლიობაა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, ისინი რეალურად იმყოფებიან თუ არა აღწერის დროს თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე.

საქართველოში მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება ყველა, ვინც 12 თვით და მეტი ვადით ცხოვრობს მოცემულ დასახლებულ პუნქტში. მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნება, აგრეთვე, სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები და ყველა ის პირი, რომელმაც ვერ უჩვენეს სხვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მუდმივი მოსახლეობა, რომელმაც აღწერის კრიტიკული მომენტი გაატარა სხვა დასახლებულ პუნქტში, აღინერება დროებით არმყოფ მოსახლეობად. დროებით არმყოფად არ ჩაითვლება პირი, თუ მუშაობდა ღამის ცვლაში, მორიგეობდა ან აღწერის მომენტში რაიმე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

სახეზე მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება მოსახლეობა, რომელმაც კრიტიკული მომენტი გაატარა მოცემულ ტერიტორიაზე.

სახეზე მყოფ ადამიანთა იმ ნაწილს, რომელიც არ შედის მუდმივ მოსახლეობაში, დროებით მცხოვრებთ უწოდებენ.

მუდმივ და სახეზე მყოფ მოსახლეობას გაიანგარიშებენ ასე:

მუდმივი მოსახლეობა = სახეზე მყოფ მოსახლეობას – დროებით მცხოვრებნი + დროებით არმყოფნი

სახეზე მყოფი მოსახლეობა = მუდმივ მოსახლეობას + დროებით მცხოვრებნი – დროებით არმყოფნი

ქვეყნებში ან რეგიონებში (ქალაქებში), სადაც მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა მაღალია, მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად განსხვავდება (მაგალითად, საკურორტო დაბებში).

იურდიული (მიწერილი) მოსახლეობა ის მოსახლეობაა, რომელიც რეგისტრირებულია ამა თუ იმ ტერიტორიაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მოსახლეობის პოლიციური კატეგორია, რომელიც გავრცელებული იყო ადრეულ საუკუნეებში და გამოიყენებოდა სამხედრო ან ფისკალური მიზნით.

საქართველოში ერთადერთი აღწერა, როცა მოსახლეობა აღწერა ზემოთ აღნიშნული სამივე კატეგორიის მიხედვით, 1897 წლის აღწერა იყო, თუმცა იურიდიული მოსახლეობის შესახებ ცნობები არ დამუშავებულა.

თანამედროვე მოსახლეობის აღწერები ტარდება ე.წ. **გამოკითხვის ან თვითრეგისტრაციის** მეთოდით.

გამოკითხვის მეთოდით აღწერის ჩატარებისას სააღწერო ფურცელი ივსება აღმწერის (რეგისტრატორის) მიერ აღსაწერ პირთან პირადი საუბრის საფუძველზე.

თვითრეგისტრაციისას მოსახლეობა ღებულობს სააღწერო ფურცლებს და აღმწერის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შემდეგ თვითონ ავსებს მას. აღწერის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, რამდენადაა მომზადებული მოსახლეობა აღწერისათვის და როგორია მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე. გამოკითხვის მეთოდი

უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა, მაგრამ უფრო ძვირია, ვიდრე თვითრეგისტრაციის მეთოდი, თუმცა ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ უფრო იაფია, მნიშვნელოვნად ამცირებს აღწერის ვადებს.

აღწერის ყველაზე ნაკლებად გავრცელებული მეთოდია ე.წ. **გამოცხადება**. მოსახლეობა ცხადდება სააღწერო განყოფილებებში და ავსებს სააღწერო ფურცლებს.

ამჟამად, აღწერის ყველაზე გავრცელებული მეთოდია **გამოკითხვა**. თუმცა იქ, სადაც მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე განსაკუთრებით მაღალია (აშშ, ავსტრალია, შვედეთი), მოსახლეობის აღწერა თვითრეგისტრაციის მეთოდით წარმოებს.

საქართველოში მოსახლეობა აღიწერება გამოკითხვის მეთოდით.

მოსახლეობის აღწერებს დიდი ხნის ისტორია აქვს. XVIII საუკუნემდე (ჩვენში XIX საუკუნამდე) მოსახლეობის აღწერები სამხედრო და ფისკალური მიზნით ტარდებოდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში (2800-2250წწ ჩვ. წ-მდე), ძველ ჩინეთში (2238წ. ჩვ. წ-მდე), ძველ საბერძნეთში (IV ს.ჩვ. წ-მდე), ძველ რომში (435 წ. ჩვ. წ-მდე) აღიწერებოდა გარკვეული ასაკის მამაკაცები და ის ადამიანები, რომელთაც რაიმე უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონდათ. არ აღიწერებოდა მოსახლეობის პრივილეგირებული ფენა, ქალები, ბავშვები და ა.შ. შუა საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ცალკეული ქალაქების მოსახლეობის აღრიცხვას (ნიურნბერგი – 1449წ; სტრასბურგი – 1473წ; ციურიხი – 1567წ). XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისიდან კაპიტალისტური ურთიერთობების წარმოქმნამ, ევროპის ქვეყნებში ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობამ მოსახლეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მოითხოვა. ამან სახელმწიფო სტატისტიკის შექმნა განაპირობა, რამაც ხელი შეუწყო რეგულარული, საყოველთაო აღწერების ჩატარებას. ასეთი აღწერა პირველად ჩატარდა ავსტრია-უნგრეთში – 1784წელს; აშშ-ში – 1790 წელს, XIX საუკუნიდან კი – ევროპის სხვა ქვეყნებშიც (ფინეთში – 1800 წ; დიდ ბრიტანეთში, დანიასა, ნორვეგიასა და საფრანგეთში – 1801წ). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1846 წელს ბელგიაში ჩატარებული აღწერა, ე.წ. „ბელგიელი ლეონარდოს“ სახელით ცნობილი მეცნიერის, ა. კეტლეს ხელმძღვანელობით. ა. კეტლემ პირველმა დაამუშავა აღწერის ჩატარების ძირითადი პრინციპები და შექმნა მოსახლეობის აღწერის ჩატარების მეცნიერული პროგრამა.

საქართველოში მოსახლეობის აღწერები, სავარაუდოდ, უძველესი დროიდან ტარდებოდა, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ XIII საუკუნის ინფორმაციას ვფლობთ. კერძოდ, ისტორიულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ცნობილია, რომ 1254 წელს მონღოლთა ვეზირმა არღუნმა აღწერა საქართველოს მცხოვრებნი. ისტორიული წერილობითი ძეგლები მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა აღეწერათ. დღემდე ფრაგმენტული სახითაა მოღწეული ქართლ-კახეთის აღწერის მასალები.

XIX საუკუნიდან საქართველოში რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება, ძირითადად, ფისკალური მიზნით აწარმოებდა კამერალურ აღწერებს. პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1897 წელს, როგორც რუსეთის შემადგენელ ნაწილში, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სახით. საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის აღწერები ჩატარდა 1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989, 2002 და 2014 წელს. მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 1937 წელსაც, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ თითქოს მისი ინფორმაცია მეტად დამახინჯებული იყო, მიღებული მასალები ანულირებულ იქნა.

1926 წელს აღიწერა სახეზე მყოფი მოსახლეობა (მხოლოდ ქალაქებში იყო შესაძლებელი მუდმივი მოსახლეობის აღრიცხვა). ამ აღწერის მასალა დეტალურად იქნა დამუშავებული და გამოცემული (56 ტომად). ამ მხრივ მას ანალოგი არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩატარებულ აღწერებს შორის. ამასთან, ამ აღწერით ო ჯ ა ხ ი დაწვრილებით პირველად შეისწავლეს.

1939 წლის აღწერა მეტად მკაცრი კონტროლით ჩატარდა. პირველად იქნა შევსებული ფურცლები დროებით მცხოვრებ და დროებით არმყოფ მოსახლეობაზე. მოსახლეობა აღიწერა მუდმივ და სახეზე მყოფ მოსახლეობად. მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, მისი მასალა ბოლომდე ვერ დამუშავდა და ვერ გამოქვეყნდა.

1959 წლის აღწერა საინტერესო იყო იმით, რომ მან მოგვცა მოსახლეობის სტრუქტურის შედარებით დეტალური ანალიზი, რითაც შესაძლებელი გახდა მოკვდაობის ცხრილების აგება და მთელ რიგ დარგებში სამეცნიერო კვლევების გაძლიერება.

1970 წლის აღწერისას პირველად გამოიყენეს შერჩევითი მეთოდი. მოსახლეობა პირველად აღიწერა ოთხ კატეგორიად ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. ასაკთან ერთად, კითხვა დაისვა დაბადების თარიღზე, პირველად იქნა შესწავლილი ქანქარისებური მიგრაცია.

1979-ისა და 1989 წლების აღწერები გამოირჩეოდა მაღალი ორგანიზებულიობით, კითხვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (50-მდე).

2002 წლის აღწერაში პირველად აღირიცხა მოსახლეობა რელიგიური ნიშნით. პირველად დაისვა კითხვა ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ.

ბოლო აღწერა ჩატარდა 2014 წელს. აღწერა მხოლოდ მუდმივი მოსახლეობა. პირველად საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ისტორიაში აღირიცხა მოსახლეობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით.

2.2. მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა

მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლილებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ორი აღწერის შედეგების მიხედვით. მაგრამ მეორე აღწერამდე შესაძლებელია მოსახლეობაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდეს. პრაქტიკული ან სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს დემოგრაფიულ პროცესებზე მუდმივ დაკვირვებას. ამიტომ ქვეყნები აწარმოებენ მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვას. აღრიცხება დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინების შემთხვევები.

მიმდინარე აღრიცხვას აწარმოებს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სახით. აქ არსებული სარეგისტრაციო აქტები ორ ეგზემპლარად დგება. ერთი იგზავნება არქივში, მეორე – სტატისტიკის დეპარტამენტში, სადაც მუშავდება მიღებული ინფორმაცია და ვრცელდება ის შესაბამისი ფორმით.

მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვაზე მოთხოვნილება პირველად დასავლეთ ევროპაში გაჩნდა. ეკლესიაში თითოეული დემოგრაფიული შემთხვევა (ქორწინება, განქორწინება, დაბადება, გარდაცვალება) აღირიცხებოდა შემოსავლის მიღების მიზნით. ევროპაში XVIII საუკუნეში დაიწყო სამოქალაქო აღრიცხვაზე გადასვლა (საფრანგეთში – 1792 წ., ბელგიაში – 1796 წ., ჰოლანდიაში – 1822 წ., ინგლისში – 1837 წ., იტალიაში – 1865 წ., ესპანეთში – 1871 წ., გერმანიაში – 1875 წ.). საქართველოში სამოქალაქო აღრიცხვა, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში დაიწყო.

მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა და მოსახლეობის აღწერა ურთიერთშემავსებელ ინფორმაციას გვაძლევს. მიმდინარე აღრიცხვის ნაკლია

ის, რომ ნებისმიერი დემოგრაფიული შემთხვევა აღრიცხვაში მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა იგი იურდიულად ფორმდება, მოსახლეობის აღწერისას კი მაშინვე ფიქსირდება.

2.3. მოსახლეობის აღრიცხვა რეგისტრებით (კარტოთეკებით, სიებით)

კარტოთეკები იქმნება სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანიზაციების მიერ კონკრეტული მიზნით. მაგალითად, ამომრჩეველთა, გადამხდელთა, სამხედროვალდებულთა და ა. შ. სიები. ისინი არ მოიცავს მთელ მოსახლეობას, რის გამოც მათი გამოყენება შეზღუდულია.

სიების ნაირსახეობაა **მოსახლეობის რეგისტრები**. მისი თავისებურებაა ის, რომ იგი სპეციალური მიზნით არ იქმნება და მთელ მოსახლეობაზე იძლევა დემოსტატისტიკურ ინფორმაციას. თანამედროვე რეგისტრები მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახით არსებობს. მასში ინფორმაცია ნებისმიერი პირის შესახებ, რომელიც მუდმივად ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ჩანერილია ინდივიდუალურ ფაილზე. ბაზა ახლდება რაიმე დემოგრაფიული მონაცემის ცვლილებისას.

რეგისტრები პირველად შეიქმნა შვედეთსა და ფინეთში 1749 წელს, ბელგიაში – 1847 წელს. XX საუკუნის დასაწყისში ის მხოლოდ მსოფლიოს 15 ქვეყანაში არსებობდა. ამჟამად, გაეროს მონაცემებით – 67 ქვეყანაშია. რეგისტრების შემოღება რეგლამენტირებულია კანონით, რომელიც ავალდებულებს თითოეულ მოქალაქეს, წარმოადგინოს ინფორმაცია მის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. მოქალაქე დაინტერესებულია, გასცეს ეს ინფორმაცია, რადგან ის უკაშირდება ჯანდაცვას, განათლებას, შრომით მონაწილასა და საბინაო უზრუნველყოფას. რეგისტრის პროგრამის შედგენისას ითვალისწინებენ ეროვნულ თავისებურებებს. ის გამორიცხავს მოსახლეობის ორმაგ აღრიცხვას და უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ელექტრონული, ავტომატიზებული რეგისტრები. მაგრამ საკომუნიკაციო რესურსების სიმწირის გამო, ის ჯერჯერობით ზოგიერთ ქვეყანაშია გამოყენებული (შვეიცია, ნორვეგია, ისრაელი და სხვ). ამ ქვეყნებში მოსახლეობის აღწერები ტრადიციული წესით აღარ წარმოებს. მაგა-

ლითად, ფინეთში 1990 წელს აღწერა პირველად განხორციელდა მოსახლეობასთან კონტაქტის გარეშე, რეგისტრების ბაზაზე. 2000 წელს მათ მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერა, რომელიც რეგისტრების ბაზაზე განხორციელდა, ბევრად იაფი დაჯდა, ვიდრე 1980 წელს. მან აღწერის ხარჯები 40-ჯერ, ხოლო პერსონალი 2000-დან 15-20 კაცამდე შეამცირა. სამეცნიერო მიზნით მისი გამოყენება შეზღუდულია, რამდენადაც მონაცემთა პერსონალური ბაზა კონფიდენციალურია. მის ბაზაზე ტარდება აგრეთვე შერჩევითი კვლევებიც.

2.4. მოსახლეობის სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები.

ამ გზით მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მიღება ჩვენში 1970-იანი წლებიდან იწყება. იგი შეიძლება ჩატარდეს მოსახლეობის აღწერისას და აღწერათაშორის პერიოდშიც. შერჩევითი გამოკვლევების მიზანია: დამატებითი, უფრო მეტი ინფორმაციის მიღება მოსახლეობაზე, ვიდრე ეს საყოველთაო აღწერისას მიიღება. იმდენად, რამდენადაც მოსახლეობის აღწერა მეტად ძვირი ოპერაციაა ფინანსურად, ამიტომაც მისი პროგრამა მცირეა. შერჩევითი გამოკვლევა კი უფრო ფართო პროგრამით ტარდება და მისი მასალებიც უფრო სწრაფად მუშავდება, ვიდრე მოსახლეობის აღწერის შედეგები, ამ უკანასკნელის მასალების დამუშავება მოკლე დროში ვერ ხდება, მას 2-დან 4 წლამდე სჭირდება.

შერჩევითი გამოკვლევების ერთ-ერთი სახეა მიკროაღწერა. მიკროაღწერისას ქვეყნის ტერიტორიაზე არჩევენ გარკვეულ უბნებს, საცხოვრებელ სახლებს ან კვარტალებს, სადაც უკლებლივ ყველა მცხოვრების გამოკითხვა ხდება. ამით აღწერაში ხვდება მოსახლეობის ყველა ჯგუფი. შერჩევაში მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის მიხედვით და მერყეობს 1-დან 10%-მდე. მოსახლეობის აღწერისაგან განსხვავებით, მიკროაღწერა შედარებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და ორგანიზაციულადაც უფრო ადვილია. ამასთან, ის ეხება ერთ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, შობადობა ცხოვრების დონესთან კავშირში.

მიკროაღწერა ევროპის ქვეყნებში გავრცელდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ჩვენს ქვეყანაში ის ჩატარდა მხოლოდ 1985 წელს და ეხებოდა შობადობის საკითხს.

1990-იანი წლებიდან სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს შინამეურნეობის გამოკვლევებს.

შერჩევით გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოკვლევის **ანამნესტიკურ** მეთოდს, რომლის დამუშავებაში დიდი როლი ითამაშეს ცნობილმა დემოგრაფებმა გ. ბატკისმა და ვ. პაევსკიმ. ამ მეთოდის თავისებურება ისაა, რომ გამოკითხვა ტარდება ფაქტების ირგვლივ, რომელიც წარსულში ხდებოდა დიდი ან მცირე ხნის მანძილზე. ამით აიხსნება თვით მეთოდის სახელწოდებაც („ანამნეზ“ – ბერძნული სიტყვაა და მოგონებას ნიშნავს). ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა, აღირიცხოს არა მარტო დემოგრაფიული შემთხვევა, არამედ ის პირობებიც, რომელშიც მოხდა ეს შემთხვევა. ეს, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ მოსახლეობის აღწარმოებაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ანამნესტიკური მეთოდის ნაკლია ის, რომ ინფორმაციას იძლევა პირი, ვინც ცოცხალი დარჩა და არა ყველა ის, ვინც არსებული ფაქტის მომსწრეა. გარდა ამისა, ამ მეთოდის სისუსტეა ისიც, რომ დემოგრაფიული შემთხვევები აღირიცხება ადამიანთა მეხსიერების საფუძველზე, რომელიც ყოველთვის სრულ და ზუსტ ინფორმაციას ვერ იძლევა.

თავი 3. მოსახლეობის სტრუქტურა და გენდერული განსხვავება ეკონომიკურ ცხოვრებაში

3.1. მოსახლეობის რიცხოვნობა

მოსახლეობის ანალიზი იწყება მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის განსაზღვრით. მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა მუდმივად იცვლება. ის მომენტური მაჩვენებელია, ე.ი. დროის მოცემული მომენტისათვის (მაგალითად, 1 იანვრისათვის) გაიანგარიშება. მისი სიდიდე დამოკიდებულია შობადობის, მოკვდაობის დონესა და მიგრაციის სალდოზე. კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება, თუ დაბადებულთა რაოდენობა მატულობს, და მცირდება, თუ გარდაცვლილთა რიცხოვნობა იზრდება. ასევე, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება დამოკიდებულია ემიგრანტთა და იმიგრანტთა შორის თანაფარდობაზე, მათ სხვაობაზე.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის სხვაობა გვიჩვენებს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას (კლებას), ემიგრანტთა და იმიგრანტთა შორის სხვაობას – მიგრაციის სალდოს. საბოლოოდ, ამ მაჩვენებელთა დახმარებით ვადგენთ ე.წ. დემოგრაფიულ ბალანსს:

$$P_t = P_0 + N - M + C_i - C_e, \quad (1)$$

სადაც P_t – მოსახლეობის რიცხვია t დროში; P_0 – მოსახლეობის რიცხვი დროის დასაწყისისათვის;

N – დაბადებულთა რიცხვია $(T - 0)$ დროში; M – გარდაცვლილთა რიცხვია იმავე პერიოდში; C_e – ემიგრანტთა რიცხვია, ხოლო C_i – იმიგრანტთა რაოდენობა.

მოსახლეობის აბსოლუტური მატება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta_{i-0} = P_t - P_0,$$

სადაც Δ_{i-0} მოსახლეობის აბსოლუტური მატებაა; დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც (1) ფორმულაში.

**ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური მატება (კლება)
მოსახლეობის აღწერების მიხედვით 1926-2014 წწ.**

წელი	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2014
მოსახლეობის რიცხვი ათ. კაცი	2677	3540,0	4044,0	4686,4	5014,8	5443,3	4355,7	3729,5
აბსოლუტური მატება(კლება) ათ.კაცი	x	+863,0	+504,0	+642,4	+328,4	+428,5	-1087,6	-626,2

წყარო: საქართველოს მოსახლეობის შესაბამისი წლის აღწერის მასალები.

გარდა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლებისა, მოსახლეობის დინამიკის შესწავლისათვის გაიანგარიშება:

- * საშუალო მოსახლეობა;
- * საშუალოწლიური მოსახლეობა;
- * მოსახლეობის ზრდისა და მატების ტემპი;
- * მოსახლეობის ზრდისა და მატების საშუალოწლიური ტემპი და ა.შ.¹

3.2. მოსახლეობის სტრუქტურა

მოსახლეობა შეისწავლება სხვადასხვა ნიშნით. კერძოდ,

➤ **ასკრიბტული**, ე.ი. იმ ნიშნებით, რომელიც დაბადებისას ფიქსირდება (სქესი, დაბადების თარიღი, ეროვნება და სხვ.) სოციალური, ანუ ქორწინებითი მდგომარეობის, განათლების, მშობლიური ენის, მოქალაქეობის, რელიგიური კუთვნილების და ა.შ.

➤ **ეკონომიკური** – შემოსავლის წყაროების, დასაქმების სტატუსის, დარგის, პროფესიის და ა.შ.

➤ **მიგრაციული** – დაბადების ადგილის, დასახლებულ პუნქტში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით და ა.შ.

➤ **დემოგრაფიული მოვლენების** – დაქორწინების ასაკის, ქორწინების რიგითობის, ბავშვთა რაოდენობის, მშობიარობის ასაკის და ა. შ.

➤ **ოჯახური** – ოჯახის სიდიდის, ტიპის და სხვა ნიშნებით.

¹ ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება დაწვრილებით განიხილება კურსში „მოსახლეობის სტატისტიკა“.

სქესთა თანაფარდობა. სქესი გენეტიკურ, მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, რეპროდუქციულ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ნიშანთა ერთობლიობაა, რომელიც ადამიანის, ქალის და მამაკაცის, ბიოლოგიურ და სოციალურ სტატუსს განსაზღვრავს.

მეცნიერები განასხვავებენ გენეტიკურ, მორფოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ასკრიპტულ, სოციალურ და სხვა სახის სქესს.

ბოლო ხანებში ხშირად გამოყოფენ სოციალურ სქესს, რომელიც **გენდერის** სახელითაა ცნობილი. გენდერი გულისხმობს იმ სოციალურ როლს, რომელსაც ქალი ან მამაკაცი ასრულებს საზოგადოებაში. ამის სანინაალმდეგოდ, ბიოლოგიური სქესი მოიხსენიება „სქესის“ სახელწოდებით.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი მაჩვენებლებით:

ა) ქალთა ან მამაკაცთა აბსოლუტური რიცხვით;

ბ) ქალთა ან მამაკაცთა წილით მთელ მოსახლეობაში ან მის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში. მაგალითად, 2002 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 2061753 კაცი და 2309782 ქალი; მამაკაცთა წილი მთელ მოსახლეობაში იყო 47,2%, ქალებისა – 52,8%. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი, მოსახლეობის 48,1 პროცენტი (1 790,9 ათასი) მამაკაცია, ხოლო 51,9 პროცენტი (1932,6 ათასი) – ქალი.

გ) ქალთა თანაფარდობით ყოველ 1000 კაცზე ან, პირიქით, მამაკაცთა თანაფარდობით ყოველ 1000 ქალზე. მაგალითად, 2014 წელს ყოველ 1000 კაცზე 1097 ქალი მოდიოდა.

ცხრილი 2. ქალების რიცხვი საქართველოში ყოველ ათას მამაკაცზე შესაბამისი წლის აღწერათა მონაცემებით (კაცი)

წლები	სულ მოსახლეობაში	ქალაქის მოსახლეობაში	სოფლის მოსახლეობაში
1959	1166	1197	1147
1970	1129	1139	1117
1979	1135	1156	1114
1989	1108	1135	1075
2002	1120	1178	1060
2014	1097	1163	1009

წყარო: საქართველოს მოსახლეობის შესაბამისი წლის აღწერის მასალები.

მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. სქესთა თანაფარდობა ახალშობილებში;
2. მოკვდაობის განსხვავებული ინტენსივობა ქალებსა და მამაკაცებში სხვადასხვა ასაკებში;
3. ქალებისა და მამაკაცების მიგრაციის სხვადასხვა ინტენსივობა.

ქვეყნების მიხედვით სქესთაშორისი თანაფარდობა განსხვავებულია. ამას ძირითადად განაპირობებს მეორე და მესამე ფაქტორის მოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოცალურ-ეკონომიკურ პირობებზე. პირველი ფაქტორი კი ყველა ქვეყანაში ერთნაირად მოქმედებს.

განასხვავებენ სქესთა პირველად, მეორეულ და მესამეულ თანაფარდობას.

პირველად თანაფარდობაში გულისხმობენ სქესთა თანაფარდობას მუცლადყოფნის პერიოდში. ითვლება, რომ ამ პერიოდში სქესთაშორისი თანაფარდობა 125-130 ვაჟია 100 გოგონაზე. ზოგიერთი მეცნიერის (ი. ვალდრონი) აზრით, ეს თანაფარდობა, მაქსიმუმ, 170 ვაჟი 100 გოგონაზე შეიძლება იყოს. თუმცა, ბოლოდროინდელ ღრმა გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ სქესთაშორისი პირველადი თანაფარდობა 115 ვაჟია 100 გოგონაზე. ამას იმით ხსნიან, რომ ვაჟების ჩასახვის სიხშირე უფრო მეტია, ვიდრე ქალებისა. თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ გოგონათა მონყვეტობა მეტია ფეხმძიმობის ადრეულ ეტაპზე, ბიჭებისა – ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში. ამის გამოა, რომ სქესთა მეორეული თანაფარდობა – ესაა 105-106 ვაჟი – 100 გოგონაზე. ანუ ყოველ 1000 დაბადებულში 512 ვაჟია, 488 – გოგონა. ეს ციფრი თითქმის ბიოლოგიურ კონსტანტადაა მიჩნეული.

პირველად ამ ფაქტს ეკლესიამ მიაქცია ყურადღება. ცნობილია, რომ მე-14 საუკუნეში ფლორენციაში ასეთი ჩვეულება იყო: ტაძარში ბავშვის ნათლობისას სპეციალურ ყუთში მუხუდოს მარცვლებს ყრიდნენ. გოგონას ნათლობისას ყუთში მუხუდოს თეთრ მარცვლებს აგდებდნენ, ვაჟების ნათლობისას – შავს. ამავე პერიოდის ცნობილ ფლორენციელ მემამტიანეს, ჯოვანი ვილანის, აზრად მოუვიდა, დაეთვალა თეთრი და შავი მარცვლების თანაფარდობა სხვადასხვა წლებისათვის. აღმოჩნდა, რომ ეს თანაფარდობა იყო 105-106 ვაჟი 100 გოგონაზე.

მეცნიერულად ამ ფაქტს პირველად ჯ. გრაუნტმა მიაქცია ყურადღება. მაგრამ როგორც გრაუნტი, ისე სხვა მეცნიერები (ლაპლასი, ბერნული,

ზიუსმილი) მიიჩნევენ, რომ ეს ღმერთის ნებით ხდება. მართალია, სქესთა მეორეული თანაფარდობა თითქმის მუდმივია, მაგრამ გარკვეულ ფაქტორთა გავლენით ზოგჯერ ადგილი აქვს გადახრასაც. მაგალითად, ქორწინებითი შობადობისას ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე ქალი; დედის ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ვაჟთა წილი დაბადებულთა შორის. მაგალითად, 20 წლამდე ასაკის დედებში ყოველ 100 გოგონაზე 130 ვაჟი მოდის. ვაჟთა წილი მცირდება დაბადების რიგითობის ზრდასთან ერთადაც. აგრეთვე, ცნობილია ისიც, რომ ომის წლებში თანაფარდობა ვაჟებსა და გოგონებს შორის მცირდება, მაგრამ ომის შემდგომ წლებში იზრდება. ომის წლებში თანაფარდობის შემცირებას განაპირობებს ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური თუ ეკონომიკური პირობების გამო ვაჟების ხშირი მონყველობა. ომის შემდგომ პერიოდში კი, ორსულობის შედარებით უკეთესი პირობების გამო, თანაფარდობა კვლავ ვაჟების სასარგებლოდ იზრდება. ამიტომაც, რომ განვითარებულ ქვეყნებში მეტი ვაჟი იბადება, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

მეორეულ თანაფარდობაზე გავლენას ახდენს პირდაპირი ჩარევა სქესთა დაგეგმვისას (ექოსკოპია). მაგალითად, ჩინეთში, სინგაპურში ამის გამო თანაფარდობა მეტად დარღვეულია.

მესამეული თანაფარდობა – ეს არის მამაკაცთა და ქალთა თანაფარდობა რეპროდუქციულ ან სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. იგი ყველაზე მეტადაა დამოკიდებული მიგრაციასა და სხვადასხვა ასაკებში მოკვდაობის განსხვავებულ ინტენსივობაზე. სქესთა მესამეული თანაფარდობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შობადობის, მოკვდაობისა და ქორწინების მაჩვენებლებს. საქართველოში 2017-2018 წწ-ში სქესთა შორის მეორეული თანაფარდობაა: 108 ვაჟი 100 გოგონაზე.

3.3. ასაკი და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

ასაკი არის პერიოდი დაბადებიდან სიცოცხლის მოცემულ პერიოდამდე. სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს: „ჟამთა საზომი კაცთა“. ასაკი იზომება წლებით, თვეებით (სიცოცხლის პირველ წელს), კვირებით (სიცოცხლის პირველ თვეებში), დღეებითა და საათებით. ის დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამჟამად დემოგრაფია ადამიანთა სასიცოცხლო ციკლს ასაკის მიხედვით ასე წარმოადგენს:

ასაკის კლასიფიკაცია

კალენდარული ასაკი	ადამიანის სიცოცხლის პერიოდი
1-7 დღე	ახალშობილი
7 დღიდან 1 წლამდე	ჩვილი
1-3 წელი	ადრეული ბავშვობა
4-7 წელი	ბავშვობის პირველი პერიოდი
8-12 წელი (ვაჟები)	ბავშვობის მეორე პერიოდი
8-11 წელი (გოგონები)	
13-16 წელი (ვაჟები)	მოზარდები
13-15 წელი (გოგონები)	
17-21 წელი	ყმაწვილები
16-20 წელი	გოგონები
22-35 წელი (მამაკაცები)	ზრდასრულობის პირველი პერიოდი
21-35 წელი (ქალები)	
36-60 წელი (მამაკაცები)	ზრდასრულობის მეორე პერიოდი
36-55 წელი (ქალები)	
61-74 წელი (მამაკაცები)	ხანდაზმულნი
56-74 წელი(ქალები)	
75-90 წელი	მოხუცები
90 და ზევით	დღეგრძელნი

ადმიანთა ასაკის შესახებ ინფორმაციას მოსახლეობის აღწერები, სპეციალური გამოკვლევები, დაბადებათა, გარდაცვალებათა და ქორწინებათა მიმდინარე რეგისტრაციის მასალები იძლევა.

ასაკის დემოგრაფიული ანალიზი ხორციელდება ორი მიმართულებით: ა) ასაკობრივი სტრუქტურისა და ბ) ცალკეული თაობის მიხედვით.

ასაკობრივი სტრუქტურა ეწოდება მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ჯგუფებისა და ასაკობრივი კონტინგენტების მიხედვით. ასაკობრივი სტრუქტურა შეისწავლება ერთნლიანი ან ხუთნლიანი ინტერვალით. ერთნლიანი ასაკობრივი სტრუქტურა არის მოსახლეობის განაწილება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებად: 0, 1, 2,, 30, 31,, 89,, და ა.შ. ხუთნლიან ასაკობრივ ჯგუფებად კი მოსახლეობა ნაწილდება ასე: 0, 1-4, 5-9,, 30-34,, 94-99, 100 და მეტი წელი. შეიძლება ასაკობრივი სტრუქტურა ათნლიან ასაკობრივ ჯგუფებადაც იყოს დაყოფილი: 0, 1-9, 10-19 და ა.შ. სტატისტიკურ კრებულებში ინფორმაცია მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შესახებ, უმეტესად, ხუთნლიანი ინტერვალით ქვეყნდება.

ასაკობრივი კონტინგენტი იმ პირთა ერთობლიობაა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთი ასაკით და რაიმე სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით. მაგალითად, სასკოლო კონტინგენტი (6-18წლის), რეპროდუქციული კონტინგენტი (15-49 წლის ასაკის ქალები), ელექტორატი (18 წელს გადაცილებული ქალები და მამაკაცები).

ძველად ადამიანებმა უფრო თავიანთი ასაკი იცოდნენ, ვიდრე დაბადების თარიღი. ისინი ხშირად ასაკს 0-ით ან 5-ით დამთავრებულ ციფრზე ამრგვალებდნენ. ამის გამო, მაგალითად, აღწერის მასალებში, 60 წლის ადამიანები მეტნი ჩანდნენ, ვიდრე 59 ან 61 წლისანი. ხდებოდა ასაკობრივი სტრუქტურის დამახინჯება. ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ე.წ. **ასაკობრივ აკუმულაციას**.

ასეთი რამ ძირითადად გვხვდება ერთნლიან ასაკობრივ სტრუქტურაში, ისიც, ძირითადად, ადრინდელი აღწერების მასალებში (1897, 1926 წწ), ზედა ასაკობრივ ჯგუფებში (60 წ. და მეტი). მაგალითად, 1926 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერით, 60 წლის ასაკის ქალთა რიცხვი 32-ჯერ მეტია 59 წლის ქალთა რიცხვზე და 30-ჯერ მეტი – 61 წლის ქალებზე, რაც, ცხადია, „სტატისტიკური“ დამახინჯებაა.

ასაკობრივი აკუმულაცია ზოგჯერ 40 წელს გადაცილებულ ქალთა ასაკობრივ სტრუქტურაშიც შეიმჩნეოდა, რაც მათი გადაჭარბებული სიკვლეუცით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული.

ასაკობრივი აკუმულაცია იზომება სხვადასხვა ინდექსებით (მერსის, ბაჩის, რამაჩანდრანას, უიპლის და ა. შ.). ყველაზე ფართოდ გამოიყენება **უიპლის ინდექსი**, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I_u = \frac{\sum_{k=5}^{12} P_{5k}}{\frac{1}{5} \sum_{23}^{62} P_x} \times 100,$$

სადაც $P_{5k} = P_{25} \dots P_{60}$ მოსახლეობის რიცხოვნობაა 25, 30, ...60 წლის ასაკში;

P_x მოსახლეობის რიცხოვნობაა 23-62 წლის ასაკში. ასაკობრივი აკუმულაცია მით უფრო მცირეა, რაც უფრო ახლოა ეს ინდექსი 1-თან.

ადამიანის ასაკის განსაზღვრას უაღრესად დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკური და სოციოლოგიური

თვალსაზრისით, ადამიანის მთელი სიცოცხლე სამ ეტაპად იყოფა: 1) ბავშვობა; 2) მოწიფულობა; 3) სიბერე. ან 1) შრომის ასაკამდელი (ჩვენი კანონმდებლობით, 16 წლამდე); 2) შრომის ასაკის (16-64 წ.); 3) შრომისასაკ-გადაცილებული (65 წელს გადაცილებული).

ბავშვობის პერიოდში ადამიანი საზოგადოებისაგან იღებს ვალს აღზრდისათვის, განათლებისათვის და ა.შ. ამ ეტაპზე ის მხოლოდ მომხმარებელია.

მოწიფულობისას, შრომის ასაკში, ის ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, აბრუნებს საზოგადოებისაგან აღებულ ვალს და მოიხმარს. მაგრამ მოიხმარს უფრო ნაკლებს, ვიდრე აწარმოებს. მესამე ეტაპზე კი ის, ძირითადად, ისევ მომხმარებელი ხდება, მაგრამ მოიხმარს იმის ნაწილს, რაც მან ახალგაზრდობისას შექმნა და დააგროვა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა ასაკში პიროვნებას განსხვავებული ფასეულობები აქვს. როცა ის შრომას წყვეტს, მისი ეკონომიკური ფასეულობა იკარგება, მაგრამ რჩება სოციალური. იგი მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაკავებულია უმცროსი თაობის აღზრდით და ა.შ.

ადამიანთა ასაკის კლასიფიკაცია სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, **ძველი ჩინელები** ასეთ ასაკობრივ დაყოფას იძლეოდნენ:

- ახალგაზრდობა – 20 წლამდე;
- დაქორწინების ასაკი – 20-30 წელი;
- საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავების ასაკი – 30-40 წელი;
- საკუთარი შეცდომების გაცნობიერების ასაკი – 40-50 წელი;
- შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო პერიოდი – 50-60 წელი;
- ასაკი, რომელსაც სასურველია მიაღწიო – 60-70 წელი;
- სიბერე – 70 წლის შემდგომ.

ძველი ბერძენი მათემატიკოსი და მოაზროვნე **პითაგორა** მიიჩნევდა, რომ ადამიანის სიცოცხლე უნდა განიხილო, როგორც წლის ოთხი დრო:

- გაზაფხული – ბავშვობა 20 წლამდე;
- ზაფხული – ახალგაზრდობა – 20-40 წელი;
- შემოდგომა – მოწიფულობა – 40-60 წელი;
- ზამთარი – სიბერე – 60-80 წელი.

იმავე კლასიფიკაციას იმეორებს ცნობილი ინგლისელი დემოგრაფი **ფარი.**

მეტად საინტერესოა ქართველ ექიმთა მიერ წარმოდგენილი პერიოდიზაცია. XI საუკუნის ცნობილი ქართველი ექიმი **ქანანელი** თავის ტრაქტატში „უსწორო კარაბადინი“ იძლევა შემდეგ პერიოდიზაციას:

ბავშვობა – 17 წლამდე; მოწიფულობა – 35-51;

ახალგაზრდობა – 17-34; სიბერე – 52 წელი და უხნესი.

იმავე პერიოდიზაციის იმეორებს XV საუკუნის ცნობილი ექიმი **ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი.** XIX საუკუნის ფრანგი ფიზიოლოგი **პიერ ფლურანსი** ასეთ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

ბავშვობის პირველი პერიოდი 9 წლამდე;

ბავშვობის მეორე პერიოდი 10-19

ახალგაზრდობის პირველი პერიოდი 20-29

ახალგაზრდობის მეორე პერიოდი 30-39

მოწიფულობისპირველი პერიოდი 40-54

მოწიფულობის მეორე პერიოდი 55-69

სიბერის პირველი პერიოდი 70-84

სიბერის მეორე პერიოდი 85-100

ფლურანსი მიიჩნევდა, რომ ადამიანის სიცოცხლის ნორმალური ხანგრძლივობა 100 წელია – იქიდან გამომდინარე, რომ სიცოცხლის სიგრძე 5-ჯერ მეტია ადამიანის სხეულის ზრდის პერიოდზე.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანელი ფიზიოლოგი **მაქს რუბნერისათვის** ბავშვობა 14 წლის ასაკში სრულდება; ახალგაზრდობა – 15-20 წელია; მოწიფულობა – 20-50 წელი; სიბერე – 50 წლიდან იწყება.

გერმანელი პათოლოგოანატომი **კარლ აშოფი** მიიჩნევს, რომ ბავშვობა 7 წლის ასაკში მთავრდება; 7-14 წელი ყრმობაა; 14-25 წელი – ზრდის პერიოდი; 25-45 წელი მოწიფულობაა, ხოლო 45 წლიდან სიბერეც იწყება.

არსებობს ამერიკელი დემოგრაფის, რ. ბოუგის, რუსი სტატისტიკოსისა და დემოგრაფის ა. როსლავსკისა და სხვათა ასაკობრივი კლასიფიკაციაც, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა **ბორის ურლანისის** კლასიფიკაცია.

ურლანისი ასაკს ძირითადად ეკონომიკური ნიშნით ყოფს. კერძოდ,

შრომისასაკამდელი პერიოდი:

ბაგის ასაკი 3 წლამდე

ბალის ასაკი 3-5 წელი

სასკოლო ასაკი 6-15

შრომითი პერიოდი:

ახალგაზრდობა 16-24

მოწიფულობა 25-45

გვიანი მოწიფულობა 45-59

სამუშაოს შემდგომი პერიოდი:

ხანდაზმულობის ასაკი 60-69 წელი

ადრეული სიბერე 70-79

ღრმა სიბერე 80 და ზევით

ასეთ ასაკობრივ დაყოფას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას.

ახალგაზრდობის დემოგრაფიული ანალიზისათვის ამჟამად გამოყოფენ 16-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სტატისტიკურ კრებულებში ამ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ანალიზი 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის სახითაც წარმოებს. გარდა ამისა, ამ ასაკობრივი ჯგუფის გარდა, შრომით რესურსებში გამოყოფენ შუა ასაკს (25 ან 30-49 წელი) და წინასაპენსიო ასაკს (50- 60-64 წელი). სოციოლოგებმა 50 წელს გადაცილებულებს „მესამე ასაკის“ ადამიანები უწოდეს, 80 წელს გადაცილებულთ კი – „მეოთხე ასაკი“.

3.4. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე სრული წარმოდგენის მიღების მიზნით იყენებენ მის გრაფიკულ გამოსახულებას სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის სახით.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა ორმხრივი ზოლოვანი დიაგრამაა, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის განაწილებას სქესისა და ასაკის მიხედვით. გრაფიკის ერთ მხარეზე (მარჯვნივ) მოცემულია ქალთა რიცხოვნობა, მეორეზე (მარცხნივ) – მამაკაცთა. ორდინატთა ლერძზე გამოისახება ასაკობრივი სკალა, რომელიც ერთწლიანი ან ხუთწლიანი ინტერვალით იგება, აბსცისთა ლერძზე განსაზღვრული ასაკის მოსახლეობის

რიცხოვნობა. ეს უკანასკნელი შეიძლება ავიღოთ აბსოლუტური სახით, მაგრამ იმისათვის, რომ ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნებისათვის შესა-
დარისი იყოს, იღებენ პროცენტულ წილს მთელ მოსახლეობაში ან მოსახ-
ლეობის ყოველ 1000, 10000 კაცზე.

ასეთი სახით აგებულ გრაფიკს იმ პერიოდში, როცა მოხუცები ცოტა-
ნი იყვნენ, პირამიდის ფორმა ჰქონდა, მაგრამ დღეს მას უფრო ხშირად გა-
დაბრუნებული ურნის ფორმა აქვს.


სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა გვიჩვენებს მოსახლეობის მდგომა-
რეობას დროის გარკვეული მომენტისათვის (მაგალითად, 1 იანვრისათ-
ვის). მისი მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ მოკვდაობისა და შობადობის
გავლენაზე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე და მო-
სახლეობის განვითარების სამომავლო ტენდენციებზე. პირამიდის ფუძის
სიგრძე მიუთითებს შობადობის დონეზე.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, აგრეთვე, უჩვენებს სხვადასხვა
ისტორიული მოვლენების, ომების, ეპიდემიების, რევოლუციების გავლე-
ნას მოსახლეობის აღწარმოებაზე.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურისა და მოსახლეო-
ბის აღწარმოების კავშირი პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს
შენიშნა შვედმა მეცნიერმა ა. სუნდბერგმა. მან შემოიტანა **პროგრესული,**
სტაციონარული და რეგრესული ასაკობრივი სტრუქტურის ცნება.
პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურის მოსახლეობა იზრდება სწრა-
ფად, სტაციონარული ასაკობრივი სტრუქტურის მოსახლეობა არ იზრდე-
ბა და რეგრესულის – მცირდება. ასაკობრივი სტრუქტურის ეს ტიპები
ერთმანეთისაგან განსხვავდება 0-15 (ბავშვების) და 50 წელს გადაცილე-
ბულთა, ე.წ. „მოხუცების“ წილით მთელ მოსახლეობაში. სუნდბერგის მი-
ხედვით, პროგრესულ ასაკობრივ სტრუქტურაში ბავშვთა წილი 40%-ია,
მოხუცებისა – 10%. სტაციონარულში, შესაბამისად, 27% და 23%, რეგრე-
სულში – 20% და 30%.

ასაკობრივი სტრუქტურის ამ ტიპების შესაბამისად, XX საუკუნის 30-
იან წლებში გერმანელმა სტატისტიკოსმა ფ. ბურგდერფერმა შემოგვთა-
ვაზა სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების შემდეგი ფორმები: ახალგაზ-
რდა, დაბერებადი, დაბერებული (იხ. ნახ. 1).


სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ტიპები ფ. ბურგდერფერის მიხედვით



ნახ. 1.

- ა) ახალგაზრდა (მზარდი მოსახლეობა); ბ) დაბერებადი (სტაციონარული);
- გ) დაბერებული (კლებადი მოსახლეობა)

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას ქვეყნის მატთან-საც უწოდებენ, სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას კი – მის გრაფიკულ გამოსახულებას. მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე (1989-2016 წწ.) არსებული ღრმულები (40-59 წლის ასაკებთან) მიუთითებს მეორე მსოფლიო ომის გავლენაზე. 2016 წლის პირამიდის მეტად შემცირებული ფუძე კი შობადობის მკვეთრ შემცირებაზე 1990-იან წლებში (ნახ.2).



ნახ. 2.

3.5. ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და სქესის ფაქტორი

იმისათვის, რომ შევაფასოთ სქესის გავლენა ადამიანურ კაპიტალზე, საჭიროა განვსაზღვროთ, რა მაჩვენებლები უნდა ჩაიდოს ადამიანური კაპიტალის სანარმოებლად საჭირო ხარჯების გასაანგარიშებელ ფორმულაში.

ადამიანის აღწარმოებაზე განეული სრული ხარჯები განისაზღვრება ფორმულით:

$$C = (\rho + \varepsilon) \times s + \Delta N + M + m$$

სადაც C სრული დანახარჯებია;

P – ფიზიოლოგიური დანახარჯები (კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრისზე, ჯანმრთელობაზე).

ამ ხარჯების წილი მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა.

ε – სოციალური ხარჯები (განათლებაზე, ბავშვთა აღზრდაზე და სხვ) – ის მზარდია მოსახლეობის სოციალურ ჯგუფთა უმრავლესობისათვის.

s – სოციალური ჯგუფის კოეფიციენტი;

ΔN – მშობელთა მიერ სამუშაო დროის ჩანაცვლებით დაკარგული ეროვნული შემოსავალი.

ქალთა განათლების დონის ზრდა ინვესს ამ ხარჯების ზრდას და ბავშვის „ფასის“ მომატებას.

M – მოკვდაობის „ფასი“ (ჩვილ ბავშვთა, ბავშვთა, ზრდასრულთა);

ამ მაჩვენებლის გავლენა ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია. კერძოდ, ჩვილბავშვთა მოკვდაობის შემცირება ინვესს ადამიანური კაპიტალის უფრო ეკონომიურ აღწარმოებას. ხოლო ზრდასრულ მამაკაცთა ზემოკვდაობა ზრდის ადამიანური კაპიტალის აღწარმოების „ფასს“ (შრომისუნარიანი მამაკაცების მოკვდაობისას მათი ადამიანური კაპიტალის რეალიზაცია ვერ ხდება. ამასთან, ეს ამცირებს პენსიონერ მამაკაცთა რიცხოვნობას, ამით მცირდება მათი საპენსიო ხარჯებიც. მაგრამ ერთიანობაში ადამიანური კაპიტალის ეფექტიანობის ზრდის პოტენციალი მცირდება. დანაკარგის ფასი უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიის ეფექტი.

m – გადაადგილების ხარჯები (მასში შედის მიგრანტთა ადაპტაციის ხარჯებიც).

ეს ხარჯები იზრდება მაშინ, როცა იზრდება მიგრაციული ნაკადები და ადამიანები ხშირად ცვლიან გადაადგილების მიმართულებებს.

დღეს ჩვენში ადამიანურ კაპიტალში ამ ფაქტორის წილი მაღალია, ვიდრე ეს ადრე იყო. ეს, ერთი მხრივ, გამომწვეულია იმით, რომ ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილდნენ და აღარ ცხოვრობენ ე. წ. ჩაკეტილ სივცეში, მეორეს მხრივ, ეს განაპირობა ჩვენს ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ეთნოკონფლიქტებმა, ეკოლოგიურმა პრობლემებმა და ა. შ.

ადამიანური კაპიტალის აღწარმოებაზე განეული ხარჯები შეიძლება გაანგარიშდეს, როგორც შინამეურნეობის, ისე ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფო (საზოგადოება) იღებს დანაკარგს მაშინ, თუ მშობლები (ძირითადად, ქალები) არჩევენ პროფესიული შრომა საოჯახო შრომით ჩანაცვლონ. ეს დანაკარგები მით უფრო მეტია, რაც უფრო მაღალია გადაწყვეტილების მიმღებთა კვალიფიკაციის დონე. ეს ხდება მაშინ, თუ საოჯახო შრომა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისას გათვალისწინებული არაა.

დასაწყისში წარმოდგენილ ფორმულაში არსებულ ყველა შესაკრებზე ზემოქმედებს გენდერული ფაქტორი. ამას განაპირობებს შრომის ბაზარზე სქესთა განსხვავებული პოზიცია და საოჯახო შრომის გაუთვალისწინებლობა ეროვნულ ანგარიშებში.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ავლენს გენდერული დისკრიმინაციის მთელ რიგ შემთხვევებს. კერძოდ, მშობლები მანამდე არჩევენ ბავშვებს, ვიდრე ვაჟი არ ეყოლებათ, მაღალია აბორტების სიხშირე გოგონების ჩასახვისას; უარს ამბობენ დაბადებული გოგონების რეგისტრაციაზე, რაც მათ ხელმისაწვდომობას ჯანდაცვის პროგრამებზე უგულებელყოფს, განათებაზე ხარჯებს ვაჟებზე უფრო სწევენ, ვიდრე გოგონებზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ, საქართველოში ჩატარებული კვლევებით, სელექციური აბორტების წილი მცირეა. მიუხედავად იმისა რომ ვაჟის, როგორც მემკვიდრის ფენომენი არსებობს, პირველი და მეორე შვილის გაჩენისას გენდერული დისკრიმინაცია ბავშვთა შობისას არ შეემჩნევა. ის უფრო შესამჩნევია მესამე და შემდეგი შვილის გაჩენისას, თუმცა ამასაც არ აქვს მასშტაბური ხასიათი.

მცირეშვილიანობის ხელსაყრელად აღიარება ცვლის ქალთა და მამაკაცთა ფასეულობათა იერარქიას. ეს კი გამოიწვია ტექნოლოგიურმა პროცესმა, შრომის ფორმების ცვლილებამ, ქალთა მასობრივმა ჩართვამ პროფესიულ და საგანმანათლებლო სტრუქტურებში.

თავი 4. მოსახლეობის დაბერება და თაობათაშორისი ტრანსფერტები

4.1. მოსახლეობის დაბერების არსი და ანალიზი

მოსახლეობის დაბერება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის შედეგია და გამოიხატება დაბერებულთა წილის სისტემატური ზრდით მთელ მოსახლეობაში.

დემოგრაფიული დაბერება სოციალური პროცესია. იგი, ადამიანის დაბერებისაგან განსხვავებით, არ მთავრდება ბიოლოგიური სიკვდილით. როგორც ფ. ბურგდერფერი წერს, „ინდივიდი შეიძლება მოკვდეს, მაგრამ ხალხი მუდმივად იცოცხლებს, თუ იგი ამას მოისურვებს“.

განასხვავებენ დაბერების რამდენიმე სახეს: **ქრონოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური.**

ქრონოლოგიური დაბერება განისაზღვრება ნაცხოვრებ წელთა რაოდენობით, ასაკით; ფიზიოლოგიური – ჯანმრთელობის დონის მიხედვით; ფსიქოლოგიური – ადამიანთა საკუთარი შეგრძნებებით, ხოლო სოციალური სიბერე – ქვეყანაში არსებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით.

ქრონოლოგიური სიბერის საწყისი ასაკი ისტორიულად სხვადასხვა იყო (ცხრილი 1). მაგალითად, ავიცენა ამ ასაკად 50-60 წელს მიიჩნევდა, ძველი ჩინელი მეცნიერები – 70 წელს, XI საუკუნის ცნობილი ქართველი ექიმი ქანანელი თავის ტრაქტატში „უსწორო კარაბადინი“, 52 წელს მიუთითებს. თითქმის იმავეს იმეორებს XV საუკუნის ცნობილი ექიმი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. (54 წელი): „და შემდგომად ორმოცდათოთხმეტისა წლისა თელგმისა ბუნებასა შევარდების, ვირე სიკუდილამდის. მონამედ მისა არის მცირედ ჭამა და ცნობისა სისუსტე და უსუსურობა და შვილიერებისა მოწყუედა, ყურთა მძიმედ სმენა და თუალითა ბჟუტად ხედვა“. ვ. ჰიუგო „სიბერის ახალგაზრდობას“ უწოდებდა 40-45 წლებს, ხოლო ბალზაკისათვის 30 წლის ქალიც კი დაბერებულია.

ცხრილი 1. ადამიანის სიბერის საწყისი ასაკი

ძველი ჩინელი მეცნიერები	პითაგორა	ფარი	ჰიპოკრატე	ფლურანსი	რუბნერი	აშოფი	ბოუგი	როსლავსკი	ურლანსი	ქანანელი	ფანასკერტელ-ციციშვილი	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
70	60	60	56-63	70	50	45	65	60	60	52	54	75

1962 წელს ჩატარებულმა გერონტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა სიბერის ქრონოლოგიურ ასაკის დასაწყისად 60 წელი მიიჩნია, რადგან იმდროინდელი გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ სიბერის ყველა ნიშანი ამ ასაკში უკვე იჩენს თავს.

ამის შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში დემოგრაფიული სიბერის შესაფასებლად სწორედ ეს ასაკია გამოყენებული. შემდგომში კი ჩნდება დემოგრაფიული სიბერის შეფასების ჟ. ბოჟე-გარნიეს (ფრანგი მკვლევარია) სკალა, რომელიც განავითარა პოლონელმა მეცნიერმა ე. როსეტმა. ის დღეს ბოჟე-გარნიე-როსეტის სკალის სახელწოდებითაა ცნობილი (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ბოჟე-გარნიე-როსეტის დემოგრაფიული სიბერის სკალა

ეტაპი	60 წლისა და უხნესი ასაკის პირთა წილი მთელ მოსახლეობაში, პროცენტებში	მოსახლეობის დაბერების ეტაპები და სიბერის დონეები
I	8-ზე ნაკლები	დემოგრაფიული ახალგაზრდობა
II	8-10	სიბერის პირველი კარიბჭე
III	10-12	სიბერის უშუალო კარიბჭე
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე
	12-14	საწყისი დონე
	14-16	საშუალო დონე
	16-18	განვითარებული დონე
	18-ზე მეტი	ძლიერ განვითარებული დონე

მაშასადამე, ამ სკალის მიხედვით, მოსახლეობა ითვლება დემოგრაფიულად დაბერებულად, თუ 60 წლისა და უფროსი ადამიანების წილი მთელ მოსახლეობაში 12 % და მეტია. ფართოდ გამოიყენება, აგრეთვე, გაეროს მიერ შემოთავაზებული სკალაც (ცხრილი 3).

ცხრილი 3. გაეროს დემოგრაფიული სიბერის სკალა

ეტაპი	65 წლის და მეტი ასაკის პირთა წილი მთელ მოსახლეობაში, პროცენტი	მოსახლეობის დაბერების ეტაპები
I	4-ზე ნაკლები	ახალგაზრდა მოსახლეობა
II	4-7	სიბერის ზღვარზე მისული მოსახლეობა
III	7-ზე მეტი	დაბერებული მოსახლეობა

გაეროს დემოგრაფთა მიერ სიბერის საწყისად მიჩნეულია 65 წლის ასაკი და დემოგრაფიული სიბერის ზღურბლად 7%. მიიჩნევენ, რომ ასეთი მიდგომა უფრო რაციონალურია, თუკი ვიხილავთ მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

ამჟამად ორივე სკალა თანაბრად გამოიყენება პრაქტიკაში.

იმისათვის, რომ დავახასიათოთ მოსახლეობის დაბერების პროცესი, მხოლოდ ეს სკალები საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არც რაიმე უნივერსალური მაჩვენებელი არსებობს, რომელიც სრულად დაახასიათებდა დაბერებას. ამიტომ ვიყენებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

1) სიბერის კოეფიციენტი. ის გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{სიბ}} = \frac{P_{60+}}{P} \times 100 \quad \text{ან} \quad K_{\text{სიბ}} = \frac{P_{65+}}{P} \times 100 \quad (2)$$

აღნიშნული კოეფიციენტები გვიჩვენებს 60 ან 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილს მთელ მოსახლეობაში. მაგალითად, 2014 წლისათვის საქართველოში სიბერის კოეფიციენტი 20%-ია (1-ლი ფორმულით), ე.ი. ამჟამად საქართველოში ყოველი მეხუთე ადამიანი 60 წელსაა გადაცილებული.

ამ მაჩვენებლით ვსაზღვრავთ **დემოგრაფიული სიბერის დონეს**. მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ **დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობა, ხარისხი** მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში), გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

– 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის (ბავშვთა) წილი მთელ მოსახლეობაში;

– **მედიანური ასაკი.** ის მოსახლეობას ყოფს ორ თანაბარ ნაწილად: მედიანურ ასაკზე უფროს და მედიანურ ასაკზე უმცროს მოსახლეობად. მაგალითად, ცნობილია, რომ 2014 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 38 წელია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარი 38 წელსაა გადაცილებული (იხ. ცხრილი 4)

– **დღეგრძელობის კოეფიციენტი.** ის გვიჩვენებს 80 ან 90 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილს 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში და გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{დღ}} = \frac{P_{80+}}{P_{60+}} \times 100 \quad \text{ან} \quad K_{\text{დღ}} = \frac{P_{90+}}{P_{60+}} \times 100 \quad (3)$$

– **დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები.** ის გვიჩვენებს ბავშვებითა და მოხუცებით(მომხმარებელი მოსახლეობით) მწარმოებელი მოსახლეობის დატვირთვას და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{დატვირთვა ბავშვებით} \quad K_{\text{დაბ}} = \frac{P_{0-14}}{P_{15-59}} \times 100 \quad (4)$$

$$\text{დატვირთვა მოხუცებით} \quad K_{\text{დაბ}} = \frac{P_{60+}}{P_{15-59}} \times 100 \quad (5)$$

$$\text{საერთო დატვირთვა} \quad K_{\text{დაბ}} = \frac{P_{0-14} + P_{60+}}{P_{15-59}} \times 100 \quad (6)$$

ბოლო დროს საერთაშორისო სტატისტიკურ კრებულებში ფართოდ გამოიყენება ე.წ. **დაბერების ინდექსი**, რომელიც გვიჩვენებს, ყოველ 100 ბავშვზე (0-14წ) რამდენი 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანი მოდის.

ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ალფრედ სოვი დაბერების ინდექსის გაანგარიშებისათვის იღებდა 0-19 და 60+ ასაკობრივ ჯგუფებს. მისი ინდექსი **სოვის ინდექსის** სახელწოდებითაა ცნობილი.

ცხრილი 4. საქართველოს მოსახლეობის სიბერის მაჩვენებლები

მაჩვენებელი წელი	K_{60+}	K_{65+}	K_{0-14}	K_{80+}	$K_{\text{დაბ}}$	მედიანური ასაკი, წელი
2014	20,0	14,6	18,6	15,5	49,0	37,7

დინამიკაში სიბერის კოეფიციენტით მოსახლეობის დაბერების ანალიზის სისწორე ზოგიერთ მეცნიერს საკამათოდ მიაჩნდა ჯერ კიდევ 1970-იან წლებში (მ. ბედნი). მათი აზრით, არ შეიძლება, დღევანდელი 60 თუ 65 წლის ადამიანი შევადაროთ XIX საუკუნის იმავე ასაკის ადამიანს მისი განსხვავებული ფსიქო-ფიზიოლოგიური თუ კულტურული განვითარების გამო. ეს საკითხი დღესაც აქტიური განსჯის საგანია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო სიბერის ასაკმა გადაიწია და ის შეიძლება განსხვავებული იყოს ამა თუ იმ ქვეყნისათვის მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე. მაგალითად, ცნობილი ფრანგი მკვლევარი პატრის ბურდელე ფიქრობს, რომ საფრანგეთისათვის ეს ასაკი 72 წელია. რატომ მაინცდამაინც 72 წელი? ამის განსაზღვრისათვის მან გამოიყენა ე.წ. **ეკვივალენტური ასაკი**, სინთეზური მაჩვენებელი, რომელიც მიიღება დარჩენილი სიცოცხლის 10 და 5 წლის მიხედვით. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში ის შეიძლება იყოს 65, 68 და ა.შ.

4.2. დემოგრაფიულ დაბერებაზე მოქმედი ფაქტორები

მოსახლეობის დაბერებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- შობადობის დონის ცვლილება;
- მოკვდაობის დონის ცვლილება;
- მოსახლეობის მიგრაცია;
- ომები და ეკონომიკური კრიზისები.

აღნიშნულთაგან განმსაზღვრელს **შობადობის დონის ცვლილება** წარმოადგენს. სწორედ შობადობის სისტემატურმა შემცირებამ გამოიწვია დემოგრაფიული დაბერების დაწყება საფრანგეთში ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნის ბოლოს. შემდგომ კი ეს პროცესი სხვა ქვეყნებშიც დაიწყო.

შობადობის ზრდა კი ანელებს დემოგრაფიული დაბერების პროცესს და განაპირობებს მოსახლეობის დემოგრაფიულ გაახალგაზრდავებას.

ნიშანდობლივია, რომ შობადობის დონის შემცირებით იწყება მოსახლეობის დაბერების პირველი ეტაპი, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრა ურბანიზაციამ, განათლების დონის ამაღლებამ, ქალთა დასაქმებამ და მათი შრომის სპეციფიკურმა ხასიათმა.

რაც შეეხება **მოკვდაობის დონის ცვლილებას**, მისი შემცირებით დაიწყო დემოგრაფიული დაბერების განვითარებაში მეორე ეტაპი. კერძოდ, მოკვდაობის შემცირებამ ხნიერ ასაკებში (59 წელზე უხნესი მოსახლეობა) გაზარდა ამ ასაკის მოსახლეობისათვის დარჩენილი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და, შესაბამისად, მთელ მოსახლეობაში მათი წილი.

მოკვდაობის შემცირება ბავშვობის ასაკში, ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავების პროცესს. დაბალი შობადობის პირობებში მოკვდაობის გავლენა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე არსებითია. თუკი მოკვდაობა მცირდება თანაბრად როგორც ახალგაზრდა, ისე დაბერებულ კონტინგენტში, მაშინ მისი გავლენა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე ნულის ტოლია. ამასთან, შრომის ასაკის უფროს ჯგუფებში მოკვდაობის შემცირება ხელს უწყობს დაბერების პროცესს, ხოლო დაბერებულ მოსახლეობაში მოკვდაობის შემცირება უშუალოდ განსაზღვრავს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას.

დემოგრაფიული დაბერების პროცესი დამოკიდებულია **მიგრაციის ინტენსივობაზე**, მასშტაბებსა და მიმართულებებზე. ემიგრაცია, როგორც წესი, ამცირებს ახალგაზრდების რაოდენობას და ხელს უწყობს დაბერების პროცესს, იმიგრაცია კი, პირიქით, ანელებს მას. მაგალითად, ირლანდიასა და მალტაში, უმთავრესად, მასობრივმა ემიგრაციამ გამოიწვია მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. ფრანგი დემოგრაფები კი ხშირად მიუთითებენ, რომ, იმიგრაცია რომ არ ყოფილიყო, საფრანგეთში დაბერების პროცესი უფრო ინტენსიური იქნებოდა.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას მკვეთრ კვალს ატოვებს **ომები და ეკონომიკური კრიზისები**. ამ დროს მცირდება შობადობა, იზრდება მოკვდაობა და ძლიერდება ემიგრაცია. შესაბამისად, მცირდება სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ფუძეც. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დაწყების პირველ ფაზაში რიგ ქვეყნებში შეინიშნებოდა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, რაც განპირობებული იყო მშობელთა მეტი ყურადღებით, რათა რთული პირობებისგან დაეცვათ ბავშვები, მაგრამ შემდგომ ფაზაში ცხოვრების პირობების გაუარესებამ გამოიწვია ის, რომ მშობლებს თავს ზევით ძალა აღარ ჰქონდათ და დაიწყო ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის ზრდა, რასაც თან დაერთო შობადობის შემცირებაც და, შესაბამისად, დაბერების ინტენსიური პროცესის დაწყებაც.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ომის ან ეკონომიკური კრიზისების წინა პერიოდში, შობადობის მაღალი დონის გამო, გადაიფაროს ომით გამოწვეული უარყოფითი დემოგრაფიული შედეგი. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის წინ ევროპაში შობადობის გარკვეული ზრდა იგრძნობოდა. ამიტომ მოქმედი დემოგრაფიული კანონები ომის დროს წინააღმდეგობაში მოვიდა ამ საერთო ტენდენციასთან, რის გამოც ყველგან შობადობის შემცირებას ადგილი არ ჰქონია (მაგალითად, საფრანგეთში, დანიასა და ჰოლანდიაში). საფრანგეთში ამ მდგომარეობას ფრანგი მეცნიერი დ. შევალიე განქორწინების შემცირებით ხსნიდა.

განასხვავებენ დემოგრაფიული დაბერების ორ ტიპს: დაბერება „ქვემოდან“ და დაბერება „ზემოდან“. „ქვემოდან“ დაბერება შობადობის შემცირების შედეგია. „ზემოდან“ დაბერება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შედეგია; „ზემოდან“ დაბერების ტიპი ამჟამად, დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის, მაშინ როცა განვითარებად ქვეყნებში „ქვემოდან“ დაბერებაა დაწყებული.

4.3. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

თანამედროვე საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ისტორიულ წარსულში 60 წლამდე ცოტა ადამიანი აღწევდა. შესაბამისად, მათი წილი მთელ მოსახლეობაში მცირე იყო. მაგალითად, ინგლისის მოსახლეობაში XVI-XVIII საუკუნეში 60 წლისა და მეტი ხნის მოსახლეობის წილი 8-9% იყო, საფრანგეთში XVIII საუკუნეში – 7%, იაპონიაში XVII-XVIII საუკუნეებში – 7-9%, იმავე პერიოდის დანიაში – 7-8%. ერთი სიტყვით, იმ დროს ევროპაში 60 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების წილი მთელ მოსახლეობაში 5-9%-ის საზღვრებში იყო, ისევე, როგორც მსოფლიო მოსახლეობისა 1950 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის დაბერება საფრანგეთში დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. მან დემოგრაფიული ახალგაზრდობის დამთავრების ზღვარს (8%) 1788 წელს გადააბიჯა. ამის შემდეგ გავრცელდა ეს პროცესი სხვა ქვეყნებშიც. კერძოდ, 1901 წლისათვის უკვე დაბერებულია შვედეთი, 1931 წლისათვის – დიდი ბრიტანეთი, 1937 წლისათვის – გერმანია.

XX საუკუნეში მოსახლეობის დაბერების ტემპი მეტად დაჩქარდა. მაგალითად, თუ საფრანგეთში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის 8%-დან 16%-მდე გაზრდას 159 წელი დასჭირდა (1788-1947), იაპონიაში ეს გზა 34 წელიწადში გაიარა (1954-1987). ვარაუდობენ, რომ სამხრეთ კორეაში ამას 18 წელი დასჭირდება.

მეცნიერთა პროგნოზები მიუთითებს, რომ დემოგრაფიული დაბერება შეუქცევადი პროცესია და გლობალურ ხასიათს ატარებს. კერძოდ, XXI საუკუნის დასაწყისში მისი ტემპები გაიზრდება და მოხუცთა რიცხოვნობის ზრდა ბევრად გადააჭარბებს ბავშვთა და შრომის ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპს. სხვადასხვა სპეციალისტთა შეფასებით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაბადებათა საშუალო რიცხვი ერთ ქალზე, ადრე თუ გვიან, იქნება 1-2 ბავშვი, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზრდება. კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებში, იაპონიის ჩათვლით, სხვადასხვა შეფასებით, 2000-2050 წლებში ის, უფროს ასაკში მოკვდაობის შემცირების ხარჯზე, 4-11 წლით მოიმატებს. ამჟამად, პლანეტაზე 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა 962 მლნ კაცია, რომელიც 2050 წლისთვის 2 მლრდ კაცამდე გაიზრდება და მათი წილი მთელ მოსახლეობაში 12%-დან 21%-მდე მოიმატებს. ბავშვთა წილი კი შემცირდება 28%-დან 20%-მდე.

უახლოეს ათწლეულებში სიბერის დონე ყველაზე მაღალი იქნება განვითარებულ ქვეყნებში. 2050 წელს ამ ქვეყნებში ყოველი მესამე 60 წლის ასაკში იქნება, მაშინ როცა 2005 წელს ყოველი მეხუთე იყო ამ ასაკში. 2050 წლისათვის სიბერის ყველაზე მაღალი დონე (35-40%) მოსალოდნელია სამხრეთ (ესპანეთი, საბერძნეთი) და აღმოსავლეთ ევროპაში (პოლონეთი, უკრაინა). ძლიერი იმიგრაციული პროცესების გამო, შედარებით შენელებული იქნება ეს პროცესი აშშ-სა და ავსტრალიაში.

მოსახლეობის დაბერება უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას ქმნის ნებისმიერ ქვეყანაში. „დემოგრაფიულ დაბერებას აქვს უცნაური თავისებურება, – შეუცნობლად, უმტკივნეულოდ წარმოშობის მავნე უნარი. ჩვენი ეკონომიკური და სოციალური ავადმყოფობანი სიბერის ავადმყოფობებია“. – აღნიშნავდა ცნობილი ფრანგი დემოგრაფი და ეკონომისტი ალფრედ სოვი.

მოსახლეობის დაბერების უმთავრესი დემოგრაფიული შედეგია:

- სქესთა შორის დისბალანსის შექმნა;

- რეპროდუქციულ ქალთა კონტინგენტის (15-49წ.) შემცირება;
- დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა;
- მოკვდაობის ზრდა.

განვითარებულ ქვეყნებში უფროს ასაკში ქალთა სიჭარბეა. ეს განპირობებულია რეპროდუქციულ ასაკში მამაკაცთა მაღალი მოკვდაობით. მაგალითად, ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში ყოველ 100 ქალზე 72 მამაკაცი მოდის; განვითარებადში – 88. განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცები 40 წლამდე ასაკში ჭარბობენ ქალებს, განვითარებადში – 55 წლამდე ასაკში. ამიტომაცაა, რომ ხანდაზმულთა სოციალური პრობლემები, ძირითადად, ხანდაზმულ ქალთა პრობლემებად გვევლინება.

ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის გამო, რეპროდუქციულ ასაკში უფროსი ასაკის (30-49წ) ქალთა წილი იზრდება. ბუნებრივია, ეს მომავალში შობადობის შემცირებას შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, თანაფარდობა თაობათა შორის კიდევ უფრო დაიარღვევა.

ამერიკელი სოციოლოგი პოლ ლენდისი მიუთითებდა დემოგრაფიული დაბერების უარყოფით დემოეკონომიკურ შედეგებზე და აღნიშნავდა: „მშობლებთან შედარებით ბაბუების რიცხოვნობის ზრდამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შობადობის კოეფიციენტზე, რამდენადაც ბევრ ოჯახში იზრდება მოხუცთა წილი. ისინი საჭიროებენ მზრუნველობას, ოჯახი კი თავის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით ზღუდავს თაობის გამრავლებას. ამ გავლენის შემცირება კი შეიძლება სოცუზრუნველყოფის განვითარებით“.

XX საუკუნის შუახანებში იტალიაში ერთ 60 წელს გადაცილებულ კაცზე 5,2 შრომისუნარიანი კაცი მოდიოდა, იაპონიაში – 7,0, ჩინეთში – 7,9. ასი წლის შემდეგ, როგორც ამ ქვეყნებში, ისე სხვა ქვეყნებში ერთ მოხუცზე 2 ან უფრო ნაკლები 15-59 წლის ადამიანი მოვა.

უფროსი ასაკის მოსახლეობის ზრდას მივყავართ **მოკვდაობის ზრდისაკენ**, რადგან მოხუცებში მოკვდაობის დონე უფრო მეტია, ვიდრე ახალგაზრდებში.

მოსახლეობის დაბერებით გამოწვეული **სოციალური** შედეგებიდან გამოიყოფა შემდეგი:

- ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;

- მარტოხელა მოხუცების მომრავლება და, შესაბამისად, სოციალური მომსახურების სფეროს გაფართოების აუცილებლობა;

- თაობათაშორისი ურთიერთობის ცვლილება როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

მოხუცებულთა რიცხოვნობისა და წილის ზრდა მოსახლეობაში მოითხოვს მზარდ და მუდმივ სამედიცინო მომსახურებას. როგორც გერონტოლოგები გვიხასიათებენ, უფროსი ასაკის მოსახლეობის დაავადებათა თავისებურება გამოიხატება ავადმყოფობათა ხანგრძლივობის ზრდით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია იმუნური სისტემის დასუსტებით. დაბერებულებში ხშირია ქრონიკული დაავადებები. ამასთან, ისინი ხშირად არა ერთი, არამედ რამდენიმე დაავადებითაც არიან დასნეულებულნი. ამიტომ სტაციონარებსა თუ კლინიკებში პაციენტთა შორის მათი ხვედრითი წონა მაღალია. გერონტოლოგთა აზრით, სიბერე განსაკუთრებული ავადმყოფობის განსაკუთრებული სახეა. ამიტომ ხშირად ისმის საკითხი გერიატრიული სამსახურების ქსელის გაფართოების აუცილებლობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, ჯანდაცვის სახსრების ზრდასაც მოითხოვს.

მოსახლეობის დაბერებულ კონტინგენტში **მარტოხელობა** გამონვეულია შემდეგი მიზეზებით: უშვილობა, მცირეშვილიანობა, როცა ერთადერთი შვილიც უკვდებათ, ქვრივობა, შვილების წასვლა ემიგრაციაში და მშობლებისაგან მათი მოწყვეტა და ა.შ. მარტოხელათა ზრდა იწვევს სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ პენსიონერთა რიცხოვნობის ზრდას, მოითხოვს მოხუცთა სახლების ქსელის, სატრანსპორტო ქსელისა თუ სხვა სახის მომსახურების გაფართოებას. დაბერებული მოსახლეობა, განსაკუთრებით, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, სოციალური და ფიზიკური გარემოს მკვეთრი შეცვლის გამო ხვდება სტრესულ ვითარებაში. სტრესი ხშირად დაკავშირებულია ფასეულობათა გადაფასებასთან, საზოგადოებაში მისი ადგილის ცვლილებასთან. თუ ეს ცვლილებები ჭიანჭურდება ან ადამიანთა უფლებები არ შეესაბამება მათ აუცილებელ საჭიროებებს, ჩნდება პროფესიული დისკრიმინაცია, ადამიანები ავადდებიან და განიცდიან ფსიქოლოგიურ დეკომპენსაციას. მწვავედ ურთიერთობა თაობათა შორის: ერთი მხრივ, ახალგაზრდები ისწრაფვიან საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის, მეორე მხრივ, პენსიონერები იბრძვიან ამ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის შენარჩუნებისათვის. მათი მოთხოვნები ხშირად რადიკალურად განსხვავებულია ახალგაზრდა თაობის სურვილებისაგან. უფ-

როსი თაობისათვის მთავარია კეთილდღეობა ყოველგვარი რისკის გარეშე ან უმცირესი რისკით. მათი სურვილია გარანტირებული მდგომარეობა. ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელია ახლის ძიება და ახლის შექმნა, თუნდაც, დიდი რისკის ფასად. დაბერებული მოსახლეობის ელექტორატში ძირითადად უფრისი ასაკის მოსახლეობა ქარბობს. ამას კი მეტად დიდი ყურადღება ექცევა დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებში საარჩევნო კამპანიისას.

შეიცვალა თაობათა შორის თანაფარდობა ოჯახში. ტრადიციულ საზოგადოებაში გავრცელებული იყო სამთაობიანი ოჯახები, სადაც, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სიმცირის გამო, მოხუცს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრება დიდხანს არ უწევდა. ამჟამად კი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო, ოთხმოხუციანი ოჯახები გვაქვს. მაგალითად, იტალიასა და იაპონიაში ერთ ბავშვზე (0-15 წ), მშობლებთან ერთად, ხშირად ოთხი მოხუცი (ბებია-ბაბუა) მოდის.

მოსახლეობის დაბერებას უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური შედეგებიც აქვს, კერძოდ:

- შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება;
- ეკონომიკური დატვირთვის ზრდა;
- საპენსიო სახსრების ზრდა.

შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება გულისხმობს 15-59 ან 15-64 წლის მოსახლეობაში 40 წელს გადაცილებული კონტინგენტის ზრდას. შრომისუნარიანი მოსახლეობის სიბერის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{სიბ. სიბ}} = \frac{P_{40-64}}{P_{15-64}} \times 100 \quad (7)$$

როცა 40-59 წლის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირედ განსხვავდება 20-39 წლის კონტინგენტისაგან, მწარმოებლური მოსახლეობის სიბერის კოეფიციენტი მაღალია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 2014 წელს 48%-ია.

ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, როცა ე. როსეთი აანალიზებდა მოსახლეობის დაბერების პროცესს, წერდა: „ჩვენი მამები მუშაობდნენ იმისათვის, რომ ერჩინათ ბავშვები. ჩვენი ბავშვები და, მით უმეტეს, შვილიშვილები, იმუშავებენ იმისათვის, რომ არჩინონ მოხუცი მშობლები, ხშირ შემთხვევაში, ბაბუებთან ერთად“.

ეკონომიკური დატვირთვის ზრდა გულისხმობს იმ ხარჯების ზრდას, რომელიც მიდის მოსახლეობის არამწარმოებლური ნაწილის (ბავშვების და მოხუცების) შესანახად. ეკონომიკური დატვირთვის მაჩვენებელი მიუთითებს ყოველ ას დასაქმებულზე რამდენი არაშრომისუნარიანი მოდის და რაოდენობრივად გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{მკ. დაბ}} = \frac{P_{0-14} + P_{65+}}{P_{15-64 \text{ დასაქმებული მოსახლეობა}}} \times 100 \quad (8)$$

2014 წლის აღწერით, საქართველოში ეკონომიკური დატვირთვის მაჩვენებელი 80,5%-ია.

4.4. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის დაბერება, საპენსიო ასაკის ადამიანების მომრავლება, ეკონომიკური დატვირთვის ზრდა დღის წესრიგში აყენებს მრავალრიცხოვან დაბერებულთა **სოციალური დაცვის სისტემის** მოდერნიზაციის აუცილებლობას.

ცივილიზაციის ისტორიის მთელ მანძილზე სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება საზოგადოების მიერ სხვადასხვა ფორმითა და წესით ხორციელდებოდა.

შორეულ წარსულში დახმარების ძირითადი ფორმა ინდივიდუალური იყო და ხორციელდებოდა მატერიალურად უზრუნველყოფილი ფენის ცალკეულ პირთა ქველმოქმედების სახით. მდიდრები საკუთარი შეხედულების მიხედვით გასცემდნენ სახსრებს ფულადი თუ ნატურალური სახით. შემდგომ, რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარების შესაბამისად, კერძო პირებთან ერთად საქველმოქმედო საქმიანობა ეკლესიამაც იტვირთა. იგი განიკითხავდა ღარიბებს, უძღურებსა და სწეულებს.

დროთა განმავლობაში ჩაისახა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ესა თუ ის ფორმაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში, ათენში, ყოველდღიურად ეხმარებოდნენ უძღურებსა და მოხუცებს პუროით; ძველ რომში არსებობდა მოხუცთა სახლების თავისებური ფორმა.

სახელმწიფოს მხრიდან უსასოო, უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დაცვის ღონისძიებებს ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეებშიც, რაც ხშირად საკანონმდებლო აქტებითაც გამოიხატებოდა. მაგალითად, ინგლისში 1601 წელს მიღებულ იქნა კანონი „ღარიბთა შესახებ“; 1712

წელს პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება ყველა გუბერნიაში დავრდომილთა თავშესაფრების მოწყობის თაობაზე. საფრანგეთში კოლბერის დროს არსებობდა იდეა მეფის მეზღვაურებისათვის პენსიის მიცემის შესახებ. მაგრამ სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება ძირითადად XIX საუკუნეში დაიწყო გერმანიაში, საიდანაც გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებსა და აშშ-ში.

საქართველოში ქველმოქმედება „სულიერ საქმედ“ იყო მიჩნეული. ამიტომ ჩვენმა ისტორიამ ქველმოქმედების უამრავი მაგალითი შემოგვინახა. ცნობილია დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, მისი დის, რუსუდანის, თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, ერეკლე მეორისა და სხვათა საქველმოქმედო საქმიანობა. მეტად საგულისხმოა ამ თვალსაზრისით თამარ მეფის დახასიათება იოანე შავთელის მიერ: „მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსად მონიჭებული, მოხუცებულთა, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი“.

სახელმწიფო დონეზე კოლექტიური პასუხისმგებლობის სისტემის არსებობა შეიმჩნევა ბაგრატ კურაპალატის დროს IX საუკუნეში. კერძოდ, მან დააწესა ე.წ. „გლახაკთა ნაწილი“, სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა, რომლითაც ღარიბთა და შრომისუუნაროთა, მათ შორის, **მოხუცთა დახმარება** ხდებოდა. სოციალური დახმარების ეს ორგანიზაცია, როგორც თამარის მემკვიდრეებზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, XIII საუკუნემდე არსებობდა. ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებით, სახელმწიფო დახმარების ეს ორგანიზაცია ძალზე მკაცრად კონტროლდებოდა: „ყოვლისა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაც იყო შინათ და გარეთ ყოვლისა **ნათალი** გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“. ამ საქმეს პროფესიონალი მოხელენი „ზედამდგომენი“ ასრულებდნენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის დახმარებაზე მიდიოდა სახელმწიფო შემოსავლებისა და დაპყრობილი ქვეყნების ხარაჯის 10%. ეს მაშინ, როცა ასეთივე სახის 10%-იანი გადასახადით დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის სოციალურ დაცვას მცირე ხნით ეკლესია ახორციელებდა. მაშასადამე, იმ დროისათვის საქართველოში ქველმოქმედების ჰუმანური იდეა სახელმწიფოებრივ დონემდეა აყვანილი, და მიუთითებს საზოგადოების მაღალ შეგნებასა და პროგრესულ დამოკიდებულებაზე ამავე საზოგადოების სოციალურად დაუცველი პირებისადმი.

საქართველოში ძველად მოხუცები მუდამ პატივისცემით სარგებლობდნენ. ამაზე მიუთითებს უამრავი ეთნოგრაფიული მასალა. მათი შენახვა, ძირითადად, ოჯახის ფუნქცია იყო. თუმცა ქართული სამართლის ისტორიული ძეგლები ასეთ ინფორმაციასაც იძლევიან: მაგალითად, მე-14 საუკუნის საკანონმდებლო ძეგლი, ალბუღა ათაბაგ ამირსპასალარის სამართლის 72-ე მუხლით, ბატონთან ხანგრძლივი და მძიმე სამსახურის შემდეგ თუ გლეხი დასახიჩრდებოდა ან **მოხუცდებოდა**, ბატონი მას თავიდან იცილებდა. ასეთ გლეხს კანონი უფლებას აძლევდა, მიეღო ის პირადი ქონება, რაც ბატონთან მისვლისას მიიტანა და, ასევე, ბატონთან შრომით შექმნილი ქონების მესამედი ნაწილი: „თუ კაცი კაცისა ყმობასა და ერთგულად და გავლენით სამსახურსა შინა ჭირ-ნახულობით, და ანუ დაკოდით, უხმარ გასრული დაბერებულიყოს, საქმემან რამემან გაიყვანოს, რითაცა შესრულიყოს, იგივე გაყვეს და მისის ჭირნახულისა და მოგების მესამედი, ამად რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან დაცლილია“. სიბერის გამო გადასახადისაგან თავისუფლდებოდა ქალაქში მცხოვრები მოხუცი და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოხუცთა შენახვა სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობის გამო იაფი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოხუცს ბატონყმობის დროსაც კი, საზოგადოება სიბერის გამო სოციალურად იცავდა. რა თქმა უნდა, მას არ ჰქონდა პენსია დღევანდელი ფორმით, მაგრამ ეს იყო პენსიის, შეიძლება ითქვას, ჩანასახოვანი ფორმა.

სიტყვა „პენსია“, რომელიც ლათინური წარმოშობისაა, ჩვენში რუსულიდან შემოვიდა „პენციის“ სახით. ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი მას ასე განმარტავს:

„პენცია (ფრანგ.) – ულუფა ნამსახურების“. ქართულ წყაროებში ის პირველად 1807 წლით დათარიღებულ ხელნაწერში გვხვდება. მასში ჩამოთვლილია იმ ჩინივნიკთა სია, რომელთაც ჰქონდათ მეფის მიერ დანიშნული „პენცია“.

როგორც ცნობილია, პენსიის პირველი მიმღებნი სამხედრო მოსამსახურენი და სახელმწიფო ფუნქციონერები იყვნენ. პენსია თავდაპირველად წარმოდგენილი იყო, როგორც ჯილდო სამსახურისათვის, მაგრამ შემდეგ ის პირთა წოდებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას უფრო ემსახურებოდა. ასე გაიცემოდა პენსია XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საპენსიო სისტემას საფუძველი ეყრება XIX საუკუნის ბოლოს გერმანიაში, ბისმარკის მმართველობის დროს, 1911 წელს კი იქმნება სოცუზრუნველყოფის ინგლისური სისტემა. 1927 წლიდან, როგორც მთელ სსრკ-ში, საქართველოშიც ფუნქციონირებას იწყებს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა.

სახელმწიფო საპენსიო სისტემის შექმნის აუცილებლობა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში განაპირობა იმ სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს, კერძოდ, ოჯახების გაყოფამ, ახალგაზრდობის მიგრაციამ ქალაქად: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თანდათანობითმა ზრდამ მოითხოვა „ოჯახური“ თაობათაშორისი კონტრაქტის გადახედვა. ქალაქში მცხოვრები მოხუცი დარჩა შენახვის ისეთი წყაროების გარეშე, როგორც იყო ნათესავთა ფართო ქსელი და მიწა. გარდა ამისა, გამოცდილებაც აღარ ჰყოფნიდა, ახალგაზრდობა შრომითი ცხოვრებისათვის მოემზადებინა. ამ ვითარებაში, თაობათაშორის ურთიერთობაში უკვე ერევა სახელმწიფო, რომელმაც ნაწილობრივ იკისრა ბავშვთა აღზრდის, განათლებისა და მოხუცთა შენახვის ფუნქცია. ამ სისტემის ბირთვი გახდა სახელმწიფო საპენსიო სისტემა, რომელმაც **პირველად ფეხი მოიკიდა დემოგრაფიულად ახალგაზრდა საზოგადოებაში.**

აღნიშნული სისტემა აგებული იყო ე.წ. განაწილების პრინციპზე (მას ლიტერატურაში „თაობათა სოლიდარობის“ ან „მიმდინარე შემოსავლებიდან დაფინანსების“ პრინციპსაც უწოდებენ). საპენსიო სისტემის ამ პრინციპით ფუნქციონირება გულისხმობს შემდეგს: დასაქმებულთა მიერ გარკვეულ პერიოდში საპენსიო ანარიცხების სახით გადახდილი თანხა გამოიყენება იმავე პერიოდში პენსიების გასაცემად. ბევრი მეცნიერის აზრით, ამ პრინციპზე აგებულ სისტემას ორი ნაკლი ჰქონდა როგორც ეკონომიკისათვის, ისე დემოგრაფიისათვის. პირველი ის, რომ მან შეამცირა მოსახლეობის მისწრაფება დანაზოგის შექმნისაკენ („შავი დღისათვის“) და მეორე – მან შეამცირა შვილთაშობის მოტივაცია, რადგან შვილმა დაკარგა მოხუცი მშობლის უზრუნველი სიბერის შექმნის ფუნქცია. ამ სისტემის უმთავრესი ნაკლია ის, რომ მეტისმეტადაა დამოკიდებული დემოგრაფიულ ფაქტორზე.

ცნობილია, რომ თავდპირველად სახელმწიფო ხარჯების დიდი ნაწილი მიდიოდა ბავშვთა განათლებასა და ჯანმრთელობაზე, მაგრამ დემოგ-

რაფიული დაბერების პროცესის გაძლიერებამ არსებული რესურსები ხანდაზმულთა მიმართულებით წარმართა. ამან მოხუცთა ეკონომიკური მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა. მაგალითად, 1966 წელს აშშ-ში სიღარიბის ზღვარზე იყო 65 წელს გადაცილებულთა 28% და 18 წლამდე ბავშვთა 17,5%, 1989 წელს კი დაბერებულებში ღარიბი იყო 12,7%, ბავშვებში – 21,2%.

თუ 14 წლამდე ბავშვებზე განეულ სახსრებს ერთეულად მივიღებთ, მაშინ 1990-იანი წლების დასაწყისში 65 წელს გადაცილებულ პირებზე განეული ხარჯები გერმანიაში 3,2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ბავშვებზე დახარჯული, იტალიაში – 3,8-ჯერ მეტი, შვედეთში – 2,3-ჯერ მეტი, დიდ ბრიტანეთში – 2,13-ჯერ მეტი და ა.შ.

2000 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ხანდაზმულებზე დაიხარჯა სოციალურუნველყოფის სახსრების 46%, რამაც ერთობლივი შიგა პროდუქტის 27% შეადგინა. ამ დროს ბავშვიანი ოჯახის დახმარება სოციალური ხარჯების მხოლოდ 8,2% იყო.

ბუნებრივია, იმავე პრინციპით სახელმწიფო საპენსიო სისტემის ფუნქციონირების შემდგომი გაგრძელების საკითხი აქტიური განსჯის საგანი გახდა, რადგან ამ სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელი გახდა საპენსიო ანარიცხების ზრდა. ამან, თავის მხრივ, დასაქმებულ მოსახლეობაში შეამცირა შრომის სტიმული, გარდა ამისა, დანაზოგის შექმნის მისწრაფებაც შესუსტდა; საბოლოოდ, როგორც ხანდახან აღნიშნავენ, თვით ეკონომიკის განვითარება დააყენა საფრთხის წინაშე. ზოგიერთი დემოგრაფისა და ეკონომისტის აზრით, ამ პრინციპზე აგებული სისტემის გამართული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი (წლიურად 3%-ზე მეტი) იქნება მიღწეული. თუმცა ემპირიული კვლევებით დადგენილია ისიც, რომ ერთი წლით საპენსიო ასაკის გადაწევა სხვა თანაბარ პირობებში იწვევს 1%-ით უმუშევრობის ზრდას. ამიტომ შემუშავდა სახელმწიფო საპენსიო სისტემის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების **ოთხი** შესაძლო მიმართულება:

– საპენსიო სისტემის **სტრუქტურული** პარამეტრების ცვლილება. მაგალითად, საპენსიო ასაკის, დაზღვევის ტარიფის, საპენსიო გადასახადის ინდექსაციის ფორმულის ცვლილება.

– **ფისკალურ ღონისძიებათა რეალიზაცია.** მაგალითად, როგორცაა გადასახადების ზრდა ან იმ ხარჯების შემცირება, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული საპენსიო უზრუნველყოფასთან.

– **მაკროეკონომიკური პროფილის ცვლილება,** რომელიც გულისხმობს ზემოქმედებას ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზე. კონკრეტულად, ეკონომიკური აქტივობის ნახალისებას ან იმიგრაციას.

– **სისტემური საპენსიო რეფორმის ჩატარება,** რაც გულისხმობს ე.წ. **დაგროვებით პრინციპზე** (ლიტერატურაში ფონდური პრინციპის სახელითაა ცნობილი) აგებული საპენსიო სისტემის დანერგვას.

დაგროვებითი პრინციპი გულისხმობს პენსიის გადასახდელად აუცილებელი სახსრების რეზერვაციას. განაწილებითი პრინციპი თუ მუშაობს დადგენილი გადასახადებით, დაგროვებითი პრინციპი მუშაობს – დადგენილი შენატანებით. ამ სისტემის ნაკლია ის, რომ ზრდის **პენსიონერთა შორის ეკონომიკურ უთანასწორობას**. გარდა ამისა, ეს სისტემა დაკავშირებულია შემდეგ რისკებთან:

1. პენსიის მიღების რისკი, რაც შეიძლება ხელფასის რყევამ გამოიწვიოს;
2. შრომისუნარიანობის დაკარგვის რისკი;
3. რისკი, რომელიც სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან არის დაკავშირებული.
4. საპროცენტო განაკვეთის რყევის რისკი;
5. ინფლაციური რისკი;
6. ინვესტიციური რისკი.

ამასთან ერთად, ამ პრინციპზე აგებულმა სისტემამ შეიძლება შობადობის შემდგომ შემცირებას შეუწყოს ხელი, რადგან ბავშვის დაბადება ამცირებს დანაზოგებს და საპენსიო ფონდებში ანარიცხთა მოცულობას. როცა მოხუცის შენახვა მთელი ოჯახის კისერზეა, მეტია შვილის ყოლის მოტივაცია. მაგრამ როცა ადამიანები თვითონ უზრუნველყოფენ თავიანთ თავს, მაშინ, როგორც XIX საუკუნის ფრანგი ეკონომისტი ჟან-ბატისტ სეი ამბობდა, „სჯობს დანაზოგები ვზარდოთ, ვიდრე ბავშვები ვაჩინოთ“. ამ ჰიპოთეზის დამკვიდრება კი კიდევ უფრო გააძლიერებს დემოგრაფიული დაბერების პროცესს.

ერთი სიტყვით, როგორც განაწილებით, ისე დაგროვებით პრინციპზე აგებულ საპენსიო სისტემას აქვს ნაკლიც და აქვს უპირატესობებიც. ამი-

ტომ, ამჟამად მიმდინარეობს დისკუსია შერეული სისტემების შექმნის თაობაზე. თუმცა ახალ თაობათაშორის კონტრაქტში რა ადგილი ექნება მიჩენილი ოჯახს, რა ადგილი ექნება სახელმწიფოს და რა ადგილი ბაზარს, ჯერჯერობით, ამომწურავი და ზუსტი პასუხი არავის აქვს. ერთი რამ კი ცხადია: დემოგრაფიული ახალგაზრდობის პირობებში შექმნილი საპენსიო სისტემა წინააღმდეგობაშია ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან და რეფორმას საჭიროებს.

4.5 თაობათაშორისი ტრანსფერტები

ბოლო ორი საუკუნეა რესურსების განაწილება – გადანაწილების საკითხი სამეცნიერო წრეების მუდმივი ყურადღების საგანია. თუმცა მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაში მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ, მოსახლეობის ინტენსიური დაბერების პროცესმა, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ცნობილია, რომ ხანადაზმული და მოხუცი ადამიანების წილის მუდმივი ზრდა ცვლის მოხმარების სიდიდეს და შრომით შემოსავლებს. მიჩნეულია, რომ პენსიონერი მოსახლეობა უფრო მომხმარებელია, ვიდრე მწარმოებელი. ამიტომ, თუ ადრე დემოგრაფიულად ახალგაზრდა საზოგადოებაში თაობათაშორისი ტრანსფერტების საკითხის განხილვისას ინტერესის ძირითადი საგანი იყო სახელმწიფო სოციალური ტრანსფერტი სოციალური დახმარების, საპენსიო უზრუნველყოფის სახით, ამჟამად ამის პარალელურად სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა თაობებს შორის ოჯახში ბიუჯეტისა და რესურსების განაწილება-გადანაწილების საკითხს.

თაობათაშორისი ტრანსფერტების შესწავლა მაკროდონეზე საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, რამდენადაა დაბალანსებული საზოგადოების მოხმარება არსებული რესურსებით? როგორია პენსიონერთა უზრუნველყოფის პერსპექტივა? როგორ ხდება სიმდიდრის გადანაწილება თაობათაშორის მთელი სიცოცხლის მანძილზე? მიკროდონეზე კი იგი განსაზღვრავს ოჯახის როლს სოციალური დაცვის სისტემაში. რადგან ოჯახი, ჯერჯერობით, რჩება იმ ორგანიზაციად, რომელიც საზოგადოებისათვის ე.წ. „სოციალური კაპიტალის“ მიმწოდებელია, თაობათაშორისი ტრანსფერტის შესწავლა მიკროდონეზე გვიჩვენებს, როგორ გადაანაწილეს ოჯახი შემოსავალს თაობათა შორის მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

თობათაშორისი ტრანსფერტები ფინანსური, მატერიალური, დროითი (მომსახურების) რესურსების უანგარო გაცვლაა თაობებს შორის. ის სხვადასხვა სახისაა. კერძოდ, განასხვავებენ ფინანსურ, მატერიალურ და ინსტრუმენტალურ ტრანსფერტებს.

ფინანსური ტრანსფერტი ფულისა და სხვა ფინანსური აქტივების სახით (დაზღვევა, ობლიგაციები, აქციები და სხვ.) გადაცემული თანხაა, მატერიალური კი ყოველდღიური ან ხანგრძლივი მოხმარების საგნების გაცვლას გულისხმობს, ხოლო ინსტრუმენტალური – თაობათა შორის დროის გადანაწილებას, სხვადასხვა მომსახურების განწევას (მაგალითად, ავადმყოფის მოვლა). ყველა სახის ტრანსფერტი შეიძლება იყოს კერძო ან სოციალური, სახელმწიფო არხებით მიღებული.

კერძო ტრანსფერტები ხორციელდება არაფორმალური სახით, ძირითადად, ნათესაური არხებით. მისი მიმღებნი და გამცემნი არიან დედები, მამები, შვილები, შვილიშვილები, ბებია-ბაბუები, დები, ძმები და სხვა ნათესაულები. ის გვიჩვენებს ნათესაუებს შორის სიახლოვის ზომას. სოციალური ტრანსფერტები გაიცემა ერთი თაობიდან მეორეზე სახელმწიფო არხებით.

როცა საუბარია კერძო და სოციალურ ტრანსფერტებზე, გამოიყენება თაობის ორი განმარტება. კერძოდ, გენეალოგიური თაობა და კოჰორტა.

გენეალოგიური თაობა ნათესაობის იერარქიული სისტემის შემადგენელი ნაწილია. ერთ თაობაში შედიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც ნათესაურ კავშირში არიან ერთმანეთთან. მიკროანალიზი თაობათაშორისი ტრანსფერტისა საშუალებას იძლევა, დავადგინოთ:

- გენეალოგიურ თაობებს შორის ტრანსფერტთა მოტივი და ფაქტორები;
- ნაკადების მოცულობა და გადანაწილების ძირითადი არხები;
- ტრანსფერტების გამცვლელთა თავისებურებები.

კოჰორტა ესაა ერთ წელს ან დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში დაბადებული თაობა. ან კიდევ, ერთი და იმავე ისტორიული და დემოგრაფიული მოვლენისა თუ პროცესის გადამტანი თაობა. მაგალითად, „ბები ბუმელთა“ თაობა, 2000 წელს დაქორწინებულნი და ა, შ.

მსოფლიო დემოგრაფიული პროცესების მკვეთრი ცვლილებების, კერძოდ, მოსახლეობის ინტენსიური დაბერების, ფონზე მაკროდონზე თაობათა შორის ურთიერთობისა და თაობათაშორისი ტრანსფერტების შესახებ მეცნიერული კვლევები, ძირითადად, 1960-იანი წლებიდან იწყება,

მიკროდონეზე კი - 1990-იანი წლებიდან. კერძოდ, განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- უთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო და კერძო ტრანსფერტებს შორის;
- უთიერთდამოკიდებულება სოციალურ ტრანსფერტებს, დანაზოგებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის;
- მოსახლეობის დაბერების ფინანსური შედეგები;
- ტრანსფერტების გავლენა შემოსავლების გადანაწილებაზე და უთანასწორობაზე.

დემოგრაფიულ ფაქტორს მნიშვნელოვანი გავლენას აქვს ახდენს სოციალური ტრანსფერტების მიმართულებაზე, მის სიდიდეზე. ამას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოლიდარული ურთიერთობები ოჯახსა და საზოგადოებაში. მიჩნეულია, რომ სოლიდარული ურთიერთობები ოჯახსა და საზოგადოებაში სოციალური ევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფუნქციონალური სოლიდარობა კი გამოიხატება უფასო სიკეთისა და მომსახურების განწესის, ოჯახის წევრთა ურთიერთდახმარების ინტენსიურობით. ამის ხელშემშლელი მიზეზი კი შეიძლება იყოს ისეთი დემოგრაფიული პროცესები, როგორიცაა განქორწინების რიცხვის ზრდა, ხელმეორე ქორწინებათა მატება, დაურეგისტრირებელ ქორწინებათა გავრცელება. ასეთ შემთხვევაში იზრდება თაობათაშორისი ტრანსფერტი. ის იზრდება მარტოხელათა მომრავლებისასაც. მიგრაციული პროცესების ინტენსიურობის ზრდის გამო კი, თაობათაშორისი ტრანსფერტები სულ უფრო ხშირად ხორციელდება მეგობრულ და მეზობლურ ურთიერთობათა ხარჯზე.

თაობათაშორისი ტრანსფერტები ორ ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს:

- 1) ადამიანური კაპიტალის აღწარმოების;
- 2) შინამეურნეობის რესურსების აღწარმოების(მემკვიდრეობის გადაცემით).

რაც შეეხება მის სოციალურ ფუნქციას, ის უფრო მჭიდროს ხდის ნათესაურ კავშირებს და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალურ უსაფრთხოებას.

საბოლოოდ კი აღვნიშნავთ, რომ თაობათაშორისი ტრანსფერტების შესწავლა ეფექტური სოციალური პოლიტიკის დანერგვის საშუალებას იძლევა.

თემა 5. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. შობადობა და მისი ეკონომიკური ფაქტორები

მოსახლეობის დემოგრაფიული ანალიზი წარმოებს **ზოგადი, სპეციალური და კერძო** დემოგრაფიული კოეფიციენტების მეშვეობით.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტების გამოსათვლელად ვიყენებთ დაბადებათა (N), გარდაცვალებათა (M), ქორწინებათა (B) და განქორწინებათა (D) აბსოლუტურ რიცხვს, მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობისა (\bar{P}) და საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობის (T) მაჩვენებელს. პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, გამოთვლები წარმოებს ერთ წელიწადზე გაანგარიშებით ($T=1$).

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$n = \frac{N}{\bar{P}} \times 1000 \quad (1)$$

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი:

$$m = \frac{M}{\bar{P}} \times 1000 \quad (2)$$

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი:

$$b = \frac{B}{\bar{P}} \times 1000 \quad (3)$$

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი:

$$d = \frac{D}{\bar{P}} \times 1000 \quad (4)$$

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი:

$$k = n - m \quad (5)$$

დემოგრაფიული მაჩვენებლები იზომება პრომილეში (%), პროდეციმილეში (%00), პროცენტიმილეში (%000). ზოგადი კოეფიციენტები იზომება **პრომილეში**.

მაგალითად, ცნობილია, რომ 2018 წელს საქართველოში დაიბადა 51118 ბავშვი, გარდაიცვალა 46524 კაცი. ამავე წელს ადგილი ჰქონდა 23202 ქორწინებას და 10288 განქორწინებას. 2018 წელს საქართველოს მო-

სახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა – 3729,6 ათასი კაცი იყო. მაშინ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იქნებოდა:

$$\frac{51118}{3729600} \cdot 1000 = 13,7\% ;$$

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი –

$$\frac{46524}{3729600} \cdot 1000 = 12,57\% ;$$

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი –

$$\frac{23202}{3729600} \cdot 1000 = 6,2\% ;$$

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი –

$$\frac{10288}{3729600} \cdot 1000 = 2,8\% ;$$

2018 წელს საქართველოში ბუნებრივი მატება 1,2‰ იყო ($n-m=13,7-12,5=1,2$).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგად მაჩვენებლებს აქვს ღირსებაც და ნაკლიც. კერძოდ, ღირსებაა, ის, რომ მათ გასაანგარიშებლად საჭირო ამოსავალი ინფორმაცია თითქმის ყოველთვის არსებობს; ამასთან, მეტად მარტივია მათი გაანგარიშება და ადვილად გასაგები, რაც საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები.

ნაკლი კი ის არის, რომ არ ითვალისწინებს დემოგრაფიული სტრუქტურის თავისებურებებს. მაგალითად, შობადობის ზოგად კოეფიციენტს ვანგარიშობთ ყოველ ათას კაცზე, რომელშიც შედის მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელთა ბავშვთაშობა თითქმის ნულია (მაგალითად, 0-15 წლის ბავშვები, 50 წელს გადაცილებული ქალები და ა.შ.). ასევეა ქორწინების ზოგადი მაჩვენებლის გაანგარიშებისას: საშუალოწლიურ მოსახლეობაში შედის მოსახლეობის ის კონტინგენტი, რომელსაც არ შეუძლია დაქორწინება (მაგალითად, ბავშვები). ამიტომაც არის, რომ დემოგრაფიულ ანალიზში ფართოდ გამოიყენება კერძო და სპეციალური კოეფიციენტები.

5.1. შობადობა

დემოგრაფიული პროცესების ანალიზი, ჩვეულებრივ, შობადობის ანალიზით იწყება.

შობადობა განსაზღვრულ სოციალურ გარემოში დაბადებათა სიხშირეა. მისი ანალიზისათვის შობადობის ზოგად მაჩვენებლებთან ერთად გამოიყენება შობადობის სპეციალური და კერძო კოეფიციენტები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შობადობის შედარებით ზუსტი ანალიზი.

შობადობის სპეციალური კოეფიციენტი გვიჩვენებს, ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე რამდენი ბავშვი (ცოცხლად დაბადებული) მოდის და გაიანგარიშება ფორმულით:

$$F_{15-49} = \frac{N}{\overline{W}_{15-49}} \times 1000, \quad (6)$$

სადაც N დაბადებათა რიცხვია; \overline{W}_{15-49} – 15-49 ასაკის ქალთა საშუალო რიცხვი.

ფერტილურ ქალთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შობადობის ინტენსივობა განსხვავებულია, ამიტომ დეტალური ანალიზის მიზნით გამოიყენება **შობადობის კერძო მაჩვენებლები**. მათ მიეკუთვნება ქორნიები და ქორნიების გარეშე შობადობის კოეფიციენტები, რომლებიც გამოიანგარიშება ზემოთ მოყვანილი ფორმულის (6) მსგავსად. შობადობის კერძო მაჩვენებელია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებიც. ისინი გვიჩვენებს შობადობის ინტენსივობას ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში და გამოითვლება ფორმულით:

$$F_x = \frac{N_x}{\overline{W}_x} \times 1000, \quad (7)$$

სადაც N_x დაბადებათა რიცხვია x ასაკის ქალებში;

\overline{W}_x – ქალთა საშუალოწლიური რიცხოვნობა x ასაკში.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები შეიძლება გამოითვალოს როგორც ერთწლიანი, ისე ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის.

შობადობის დონის ანალიზის ყველაზე უფრო გავრცელებულ მაჩვენებელს წარმოადგენს **შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი**, რომელიც გვიჩვენებს ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე. იმ შემთხვევაში, როცა ასაკობრივი კოეფიციენტები ხუთწლიანი ინტერვალებითაა მოცემული, მათი ჯამი 5-ზე უნდა გავამრავლოთ და შემდეგ გავ-

ყოთ 1000-ზე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის გამოსათვლელ ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$k_{ა.ჯ} = \frac{n \sum_{15}^{49} F_x}{1000} \quad (8)$$

სადაც F_x შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია, n – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე.

როცა $k_{ა.ჯ} > 4$, ითვლება, რომ შობადობის დონე მაღალია, ხოლო როცა $k_{ა.ჯ} < 2,15$ -ზე შობადობის არსებული დონე მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. 2018 წელს საქართველოში $k_{ა.ჯ} = 2,1$ (ოფიციალური სტატისტიკით). იმისათვის, რომ იმდენი ვიყოთ მომავალში, რამდენიც ახლა ვართ, ე.ი. ადგილი ჰქონდეს მარტივ აღწარმოებას, ერთ საქორწინო წყვილზე საშუალოდ 2,6 ბავშვი უნდა მოდიოდეს, ანუ დაქორწინებულთა ნახევარზე მეტს (65%) უნდა ჰყავდეს სამი შვილი, 10-15%-ს – 4-5.

დემოგრაფიული ანალიზისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ცნებები: შობადობა და ნაყოფიერება. **ნაყოფიერება** ადამიანის ბიოლოგიური უნარია, დაბადოს ცოცხალი ბავშვები. დემოგრაფიულ ანალიზში გვხვდება ასეთი ცნებაც: **ბუნებრივი შობადობა**. ეს არის შობადობა, რომელიც არ იზღუდება ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებებითა და ხელოვნური აბორტებით. ნაყოფიერება ბოლომდე არ რეალიზდება ბუნებრივ შობადობაში.

მოსახლეობაში შობადობის დონე განისაზღვრება **დემოგრაფიული სტრუქტურით** (სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახის სტრუქტურით) და **რეპროდუქციული ქცევით**.

დემოგრაფიული სტრუქტურის გავლენით შობადობის ზრდა შესაძლებელია, თუ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა დეფორმირებული არ არის. მაგალითად, თუ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ახალგაზრდულია, ამ შემთხვევაში მოსალოდნელია ქორწინების მაღალი სიხშირე და, შესაბამისად, ბავშვთაშობის ზრდაც. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ისიც, როგორია სქესთაშორის თანაფარდობა რეპროდუქციულ ასაკში. მასზე კი მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მოკვდაობას. მაგალითად, თუ რომელიმე სქესში მოკვდაობის დონე მაღალია, ბუნებრივია, ჩნდება „საცოლეთა“ და „საქმროთა“ დეფიციტი, შესაბამისად, ადგილი აქვს ქორ-

წინების დაბალ დონეს და ბავშვთაშობის ზრდის შესაძლებლობებიც მცირეა. ამასთან, როცა მოკვდაობა მაღალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა მცირეა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

რაც შეეხება რეპროდუქციულ ქცევას, ის არის აქტივობა, რომელიც მიმართულია ბავშვების ყოლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

როგორ გავზომოთ რეპროდუქციული ქცევის გავლენა შობადობის დონეზე?

არსებობს ორგვარი მიდგომა: ნორმატიული და ემპირიული. ნორმატიული მიდგომის მიმდევრები (ლ. ანრი, ე. კოული, ჯ. ტრასელი და ვ. ბორისოვი) გვთავაზობენ, ავიღოთ შობადობის შესაძლო მაქსიმალური ან მინიმალური დონე და შობადობის ფაქტობრივ დონეს შევადაროთ.

შობადობის შესაძლო მაქსიმუმის იდეა ჯერ კიდევ ჯ. გრაუნტიდან მოდის. ის მიიჩნევდა, რომ შობადობის მაქსიმალური ზოგადი კოეფიციენტი 150‰-ია.

ფრანგმა მეცნიერმა ლ. ანრიმ შემოგვთავაზა იდეა, რომ შობადობის მაქსიმალურ მაჩვენებლად 1960-იან წლებში არსებული შობადობის მაქსიმალური მაჩვენებელი აგვეღო, ხოლო ე. კოულმა მიიჩნია, რომ უფრო მისაღები იქნებოდა, თუ სტანდარტად ავიღებდით რელიგიური სექტის, **ჰუტერიტების**, შობადობის მაჩვენებლებს, რადგან მათ ახასიათებდათ შეუზღუდავი შობადობა, დაბალი მოკვდაობა, კარგი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ცხოვრების მაღალი დონე.

კოულის აზრით, მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ ქალზე ბუნებრივი შობადობა 12 ბავშვია. მან შემოგვთავაზა ინდექსი, რომელიც **კოულის ინდექსითაა** ცნობილი და გვიჩვენებს შობადობის შესაძლო მაქსიმალური დონიდან გადახრას.

ვ. ბორისოვი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია, შობადობაზე რეპროდუქციული ქცევის გავლენის გასაზომად შობადობის ფაქტობრივი დონე შევადაროთ არა მაქსიმალურ, არამედ მინიმალურ დონეს. მის მიერ შემოთავაზებული მაჩვენებელი **ბორისოვის ინდექსის** სახელითაა ცნობილი და გვიჩვენებს, რა ზომით ხორციელდება მოსახლეობაში პოტენციურად შესაძლებელი შობადობის რეალიზაცია. როცა ეს მაჩვენებელი 100% და მეტია, მაშინ ბავშვთაშობის შეზღუდვას ოჯახში ადგილი არ აქვს. მაგა-

ლითად, XIX საუკუნის ბოლოს ეს მაჩვენებელი საქართველოში 68,2% იყო, 1979 წელს – 41,2%, ხოლო 2002 წელს – 20,9%.

რაც შეეხება შობადობაზე რეპროდუქციული ქცევის გავლენის გაზომვის **ემპირიულ** მიდგომას, ის ამერიკელმა მეცნიერებმა – კ. დევისმა, ჯ. ბლეიკმა და ჯ. ბონჰარტსმა შემოგვთავაზეს. ეს მიდგომა გულისხმობს შობადობის ფაქტორულ ანალიზს ან, როგორც ბონჰარტსი ამბობდა, ანალიზს შობადობის – „უშუალო დეტერმინანტებით“. კერძოდ, **დევისმა** და **ბლეიკმა** გამოყვეს შობადობაზე მოქმედ ფაქტორთა სამი ჯგუფი:

1) **სქესობრივ ცხოვრებაზე მოქმედი ფაქტორები** (სქესობრივი ცხოვრების დაწყების ასაკი, დაუქორწინებლობა, რეპროდუქციული პერიოდის ხანგრძლივობა ქორწინებაში ყოფნისას, სქესობრივი ცხოვრებისგან თავშეკავება სხვადასხვა ავადმყოფობის გამო და ა.შ.);

2) **ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჩასახვაზე** (უნაყოფობა ბუნებრივი მიზეზებით, ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების გამოყენება, უნაყოფობა არაბუნებრივი მიზეზებით, ეს იქნება მკურნალობის გამო თუ სხვ.);

3) **ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს ნორმალურ ორსულობასა და ჯანმრთელი ბავშვის დაბადებას** (მკვდრადშობადობის შემცირება ბუნებრივი ან არაბუნებრივი მიზეზებით).

ჯ. ბონჰარტსმა კი გამოყო შობადობის 5 უშუალო დეტერმინანტი:

1) იმ ქალთა წილი, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ საქორწინო კავშირში;

2) კონტრაცეპტივების გამოყენება;

3) ხელოვნური აბორტები;

4) ძუძუთი კვების ხანგრძლივობა;

5) სტერილობა, ანუ ქალთა ის წილი, რომელსაც 50 წლამდე ასაკში არც ერთი ბავშვი არ გაუჩენია.

შობადობაზე ამ ფაქტორების ზემოქმედების დასახასიათებლად **ჯ. ბონჰარტსმა** მოგვცა შემდეგი ინდექსები:

► *Cm* – ქორწინების ინდექსი (ტოლია 1-ის, თუ რეპროდუქციული ასაკის ყველა ქალი მუდმივ ქორწინებით კავშირშია, და ტოლია 0-ის, თუ რეპროდუქციული ასაკის არც ერთი ქალი არ არის ქორწინებაში)

► C_c – კონტრაქციის ინდექსი (ტოლია 1-ის, თუ რეპროდუქციული ასაკის არც ერთი ქალი არ იღებს კონტრაცეფტივს და 0-ის ტოლია, თუ ყველა მოიხმარს მას).

► C_a – ხელოვნური აბორტების ინდექსი (1-ის ტოლია, თუ ხელოვნური აბორტი უარყოფილია, და 0-ის ტოლია, თუ რეპროდუქციული ასაკის ყოველი ქალი ყოველ ორსულობას ხელოვნური აბორტით წყვეტს).

► C_i – ძუძუთა კვების ხანგრძლივობა (მშობიარობის შემდგომი ამენორეა). (ტოლია 1-ის, თუ ძუძუთა კვება საერთოდ არ არის პრაქტიკაში და 0-ის ტოლია როცა ლაქტაციის დრო განუსაზღვრელია).

► C_s – სტერილობის ინდექსი (1-ის ტოლია თუ იმ ქალთა წილი, რომელთაც არასოდეს გაუჩენიათ ბავშვი 0%-ია, და 0-ია, თუ იმ ქალთა წილი, რომელთაც ბავშვი არასოდეს გაუჩენიათ, 100%-ია). ამ ინდექსების საშუალებით ჯ. ბონჰარტსმა ასეთი თანაფარდობები მოგვცა:

$C_m = k_{მ.ჯ.} : k_{ქორწ.შობ.ჯ.ამ.}$	$k_{ბუნ.შობ.} = k_{ნაყოფ.} \cdot C_i \cdot C_s$
$C_c \cdot C_a = k_{ქორწ.შობ.ჯ.ამ.} :$	$k_{ქორწ.შობ.ჯ.ამ.} = k_{ბუნ.შობ.} \cdot C_c \cdot C_a =$
$: k_{ბუნ.შობ.}$	$= k_{ნაყოფ.} \cdot C_i \cdot C_s \cdot C_c \cdot C_a$
$C_i \cdot C_s = k_{ბუნ.შობ.} : k_{ნაყოფიერების}$	$k_{მ.ჯ.} = k_{ნაყოფ.} \cdot C_m \cdot C_i \cdot C_s \cdot C_c \cdot C_a$

ყველა მონაცემი, გარდა ბუნებრივი შობადობისა და ნაყოფიერებისა, არის დემოგრაფიული სტატისტიკის ცნობარებსა და შერჩევით სოციოლოგიურ გამოკვლევებში. ბონჰარტსის მოდელით დადგინდა, რომ საშუალო მაქსიმალური ნაყოფიერება 15,3 დაბადებაა ერთ ქალზე რეპროდუქციულ ასაკში, თუმცა, ამ მოდელის 1997 წლის ახალი ვერსიით, ეს ციფრი 18,6-მდე გაიზარდა, რასაც უკავშირებენ ცხოვრების ხარისხის ზრდას, ქალთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და მკვდრადშობადობის შემცირებას.

ჯ. ბონჰარტსის მოდელით შესაძლებელია შობადობის ანალიზი არა მარტო თანამედროვე მოსახლეობაში, არამედ ისტორიულ ასპექტშიც.

5.2. შობადობის თანამედროვე ტენდენციები

შობადობის დონის მიხედვით, მსოფლიო არსებითად, ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ის დაბალია და მარტივ აღწერად ვერ უზრუნველყოფს, ხოლო ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ის მათზე 2-ჯერ მეტია (ცხრილი 1).

შობადობის შემცირების ტენდენცია შენარჩუნებულია XXI საუკუნის დასაწყისისათვის. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მთელი მსოფლიოსათვის 2017 წლისათვის 2,5-ია, ყველაზე დაბალია ის ევროპაში (1,6) და ყველაზე მაღალი – აფრიკაში (4,6) (ცხრილი 2).

ცხრილი 1. შობადობის დონე მსოფლიოში 1950-2017 წწ.

	შობადობის კოეფიციენტები					
	ზოგადი			ჯამობრივი		
	1950-1955	1995-2000	2017	1950-1955	1995-2000	2017\წლისათვის
მთელ მსოფლიოში	37,3	22,1	20,0	5,0	2,7	2,5
განვითარებულ ქვეყნებში	22,0	11,2	11,0	2,8	1,6	1,6
განვითარებად ქვეყნებში	44,4	24,9	21,0	6,2	3,0	2,6
საქართველოში	25,5	11,5	14,0	2,59	1,5	2,1

წყარო: <http://demoscope.ru/weekly/app/world2017-2.php>

ცხრილი 2. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში 2017 წლისათვის

	მთელი მსოფლიო	აფრიკა	აზია	ჩრდილოეთ ამერიკა	ლათ. ამერიკა და კარიბ. აუზი	ევროპა	ავსტრალია და ოკეანეთი
კმ.ჯ.	2,5	4,6	2,2	1,8	2,1	1,6	2,3

წყარო: http://demoscope.ru/weekly/app/world2017_2.php

აფრიკაში ყველაზე მაღალი შობადობა ნიგერიაში (7,3), სომალსა და ჩადშია (6,4). ამჟამად შობადობის განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელია ევროპის შემდეგ ქვეყნებში: ანდორა, ბოსნია-ჰერცეგოვინა და რუმინეთი (1,2). ევროპის მსგავსად, დაბალია შობადობის დონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მარტივი და გაფართოებული აღწარმოების დონეს მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკები (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი) ინარჩუნებენ. ხოლო მეტად დაბალია ის მოლდავეთში(1,3).

როგორც პირველ ცხრილშია ნაჩვენები (ცხრილი 1), შობადობის მაჩვენებლები მეტად დაბალია საქართველოშიც. თუ 1981-1991 წწ. ქვეყანაში ყოველწლიურად საშუალოდ იბადებოდა 93 ათასი ბავშვი, 1992-2002 წლებში – მხოლოდ 54 ათასი. შეიძლება ითქვას, რომ დაბადებათა რიცხვი განახევრდა, რაც განაპირობა 1990-იან წლებში განვითარებულმა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა.

ზოგადად, შობადობის შემცირების ტენდენციას მეცნიერები, ერთი მხრივ, უკავშირებენ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებას (ა. ლანდრი) და, მეორე მხრივ, წარმოებაში მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების კვალობაზე ქალთა განათლებისა და დასაქმების დონის ზრდას (ა.კოული, ს.ჰუვერი).

მიჩნეულია, რომ ადრეულ საუკუნეებში შობადობის მაღალ დონეს განაპირობებდა ბავშვთა მაღალი მოკვდაობა. თუ ოჯახს სურდა ორი შვილი მაინც გაეზარდა, 6 შვილი მაინც უნდა გაეჩინა.

XVIII საუკუნის ბოლოს, ჯ. გრაუნტის ნაშრომის გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ, ა. სმიტი ცნობილ წიგნში „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების გამოკვლევის შესახებ“ მიუთითებს, რომ მაღალი სოციალური მდგომარეობის მქონე ქალებს უფრო ნაკლები შვილი ჰყავთ, ვიდრე ღარიბ ქალებს. მაგრამ ამას ის ხსნის იმით, რომ ღარიბი ქალები უფრო ნაყოფიერი არიან, ვიდრე მდიდრებიო. მაშასადამე, ა. სმიტი უკუკავშირს ბავშვთაშობასა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის ხსნის განსხვავებული ნაყოფიერებით და არა ბავშვთაშობის სხვადასხვა სურვილით. იმ პერიოდისათვის ეს ახსნა შეიძლება ბუნებრივიც იყო, რადგან შვილი ღვთის საჩუქრად ითვლებოდა და ბავშვთაშობაში ჩარევა ღვთის გამოხად მიიჩნეოდა. ამასთან, იმ პერიოდში აკრძალული იყო აბორტები და ის პრიმიტიული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, რასაც მაშინ იყენებდნენ. ამისათვის ქალი შეიძლება სიკვდილითაც კი დაესა-

ჯათ. მაგალითად, საქართველოში ვახტანგ VI-ის სამართლით, „თუ ქალი მუცელს მოიშლის და თუ ღარიბია, მეფემ შეიპყრას, სცეს, გაკრიჭოს, ლაფი დაასხას, ვირზე შესვას და ბაზარში შეარცხვინოს, თუ მდიდარია, დიდად დაარბიოს და გააგდოს“.

დავით ბატონიშვილის სამართლით (XVIIIს), „თუ დედაკაცი მუცელს წაიხდენს, პირველი ქმნისათვის განიკითხოს ეკლესიურითა კანონითა, ხოლო მეორისა ქმნისათვის ეკრას მათრახი. ხოლო წამლის მიმცემთ მიეცეს ტანჯუა ესევეთარი, რადგან ნებით მოკლა ორი გუამი და თუ რაიმე ხიფათი შეემთხვა მას, ვისაც წამალი მისცა, მაშინ ეკლესიამ განიკითხოს“. ცნობილია ისიც, რომ 1810 წლის „ნაპოლეონის კოდექსით“, აბორტი მკვლევობად ფასდებოდა და მისი გამკეთებელი ქალი სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო.

საგულისხმოა, რომ ა. სმიტის მიერ შენიშნული უკუკავშირი შობადობის დონესა და მოსახლეობის კეთილდღეობას შორის მტკიცდება ჟ. ბერტიონის გამოკვლევითაც, რომელიც გამოიცა 1895 წელს სახელწოდებით „საფრანგეთის დემოპულაცია“. ამის შემდეგ გააქტიურდა დებატები საკითხზე: რატომ არის, რომ რაც უფრო დიდია ოჯახის შემოსავალი, მით ნაკლებია შვილიანობა ოჯახში.

ფრანგი მეცნიერი ა.შესნე ფიქრობს, რომ ამ დამოკიდებულების გასაღები ქალთა განათლების ზრდაში უნდა ვეძებოთ. რადგან ამან შეცვალა ქალის როლი საზოგადოებაში. სწავლის ხანგრძლივობის ზრდამ გადასწია დაქორწინების ასაკიც. ბავშვის შენახვის ხარჯები გაიზარდა. მრავალრიცხოვანი ოჯახი ნაკლებად მობილური გახდა და, შესაბამისად, ნაკლებხელსაყრელიც. მცირეშვილიანობა ნაკლები ტვირთია ოჯახისათვის. ამ მოსაზრებას ავრცელებს ჯონ ქალდველი და ამით ხსნის შობადობის შემცირებას განვითარებად ქვეყნებში.

ბოლო დროს სულ უფრო მეტად ისმის საკითხი: როგორია არა ქალის, არამედ მამაკაცის როლი ბავშვთაშობაში. მაგალითად, იტალიელ მეცნიერთა გამოკვლევით, ბავშვის გაჩენის სურვილი უფრო მეტია იმ ოჯახში, სადაც მეუღლის (მამაკაცის) დახმარება ბავშვის აღზრდაში მნიშვნელოვანია. ეს ფაქტორი უფრო მეტად მოქმედებს მეორე და შემდგომი შვილის გაჩენაზე. 2000 წელს ჩატარებული მიკროაღწერის საფუძველზე გერმანელ მეცნიერთა გამოკვლევამ უჩვენა, რომ შობადობა მაღალია იმ ქალებში, რომელთა სამუშაო პირობები საშუალებას იძლევა, სამუშაო და

ოჯახი შეხამდეს. ეს ეხება არა მარტო იმ სამუშაო ადგილებს, რომლებიც სასწავლო და საზოგადოებრივ სექტორშია, არამედ, ტრადიციულ სამუშაო ადგილებსაც, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო ადგილები სოფლის მეურნეობაში. ემპირიული კვლევებით დადგინდა ისიც, რომ მამაკაცთა განათლების მაღალი დონე დადებითად აისახება ბავშვთაშობაზე, ქალებისა კი – უარყოფითად.

საინტერესოა ნორვეგიელ მეცნიერთა ბოლოდროინდელი გამოკვლევა. მათ დაადგინეს, რომ რაც უფრო მაღალია მამაკაცთა განათლების დონე, მით უფრო ხშირია მათი კონტაქტი შვილებთან, და რაც უფრო დიდია შემოსავლები, მით ნაკლებია ეს კონტაქტი.

შვილთა შობა განსხვავებულია სხვადასხვა პროფესიის ქალებში. მაგალითად, შვედების გამოკვლევამ აჩვენა, რომ შვილიანობა მეტია მასწავლებლებსა და ექიმებში, ვიდრე ესთეტიკისა და ჰუმანიტარული განათლების მქონე ქალებში. მათ დაადგინეს ისიც, რომ ქალები, რომლებიც მეცნიერებაში მუშაობენ, მაღალი ხარისხის რეპროდუქციული ქცევით გამოირჩევიან და არ მართლდება შობადობის თეორიის ის თეზისი, რომ ასეთი ქალები თავიანთ კარიერას დედობის მოღვევის შემდეგ ინყებენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, საშუალოდ, მაღალი შობადობა შეიმჩნევა რელიგიური განათლების მქონე ქალებში.

5.3. რელიგიის გავლენა შობადობაზე

საყოველთაოდაა ცნობილი რელიგიის გავლენა მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის ნორმებზე, ოჯახის შექმნაზე, შვილთაშობაზე, ქორწინების ხანგრძლივობაზე და ა.შ. მაგრამ თვით რელიგიურ მიმდინარეობებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი თავისებურებანი ამ საკითხებისადმი დამოკიდებულებაში, რაც განაპირობებს კიდევ ქვეყნებს შორის განსხვავებულ დემოგრაფიულ სიტუაციებს. მაგალითად, **იუდაიზმი** ყველაზე ძველი მონოთეისტური რელიგიაა პალესტინელ ებრაელებში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში, ძირითად წიგნში „თალმუდი“, მოწოდებაა: „შობეთ და გამრავლდით“. ამ მოძღვრებით, ადამიანთა არსებობის საფუძველია ოჯახი. ადამიანთა ქცევის ძირითად ნორმად მიჩნეულია მეუღლეთა ერთგულება და მტკიცე ოჯახის ქონა.

„თალმუდი“ უშვებს ხელმეორე ქორწინებას ქვრივებსა და განქორწინებულებში, როგორც წესს უნაყოფობის სანიხააღმდეგოდ და სრული ოჯახის შესანარჩუნებლად. ამავე დროს, იუდეველები არ გამოირჩევიან ოჯახში ბავშვთაშობის ზრდის ხმამალალი მონოდებით. მათთვის მთავარია იდეა: ოჯახის შენარჩუნება და დაცვა – ადამიანის ყოფის ძირითადი ნორმა.

ქრისტიანობამ, რომელიც ჩვ. წ. აღ-ით I საუკუნეში წარმოიშვა, განავითარა იდეა: შვილთაშობა ღმერთის ნების აღსრულებაა, შვილი ღმერთის საჩუქარი და ოჯახის შენარჩუნების ფასია. ამიტომ ის მიესალმება მრავალშვილიანობას. განსჯის უოჯახო ადამიანებს (დაუქორწინებლებს), ხოლო უშვილობას ცოდვებისათვის ღმერთის სასჯელად მიიჩნევს. ამავე დროს, მეტად მკაცრია მისი დამოკიდებულება ქორწინების გარეშე ურთიერთობებისადმი, განსაკუთრებით, ქორწინების გარეშე შვილის გაჩენისადმი. ქრისტიანული მორალი ყოველთვის ოჯახური ურთიერთობის მხარეზე იყო. ბოლო ხანს ქრისტიანულმა რელიგიამ შედარებით შეარბილა თავისი დამოკიდებულება და დემოგრაფიულ ქცევაში შედარებით მეტ თავისუფლებას აძლევს ადამიანებს. მაგალითად, ყველა ქრისტიანული კონფესია, გარდა კათოლიკობისა, ცნობს ოჯახის უფლებას, არეგულიროს შვილების გაჩენა (კონტრაცეპტივების გამოყენების უფლება, არასასურველი ორსულობის შეწყვეტა და ა.შ.). მას ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ხელმეორე ქორწინებისადმი.

ბუდიზმი კი, რომელიც ძვ. წ. V-VI საუკუნეებში წარმოიშვა, მიმართულია ადამიანთა თვითსრულყოფისაკენ. პირდაპირი დოგმები, რომელიც ნახალისებდა ბავშვთაშობასა და ოჯახის შექმნას, ბუდიზმში არ არის. ყველა მიმართულება ბუდიზმისა (გარდა სპეციფიკური კულტურისა – ტანტრიზმი) ასტიმულირებს დაუქორწინებლობას, როგორც ყველაზე ჭეშმარიტ გზას სრულყოფისაკენ. ათასობით ბუდისტი ბერი დაუქორწინებელია. განსაკუთრებით ბევრი არიან ისინი იქ, სადაც ლამაზშია გავრცელებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულების მიმდევრებში კანონიერ ქორწინების საფუძველზე მტკიცე ოჯახის შექმნა კეთილგანწყობით სარგებლობს, უშვებს ხელმეორე ქორწინებას, შობადობის რეგულირების შესაძლებლობას.

ინდუიზმი, ძვ. წ. II საუკუნეში ჩრდილოეთ ინდოეთში შექმნილი რელიგია უფრო აქტიურია ქორწინებისა და შობადობის საკითხში. იგი ასტიმულირებს შობადობას, განსაკუთრებით ვაჟებისას. წინაპართა წინაშე სა-

მი წმინდა მოვალეობიდან ერთ-ერთი – ვაჟის დაბადებაა. მაღალი მოკვდაობის გამო ისინი სამ ვაჟს მაინც აჩენდნენ. თუ გავითვალისწინებთ გოგონათა შესაბამის თანაფარდობას, ოჯახში 4-6 ბავშვი მაინც ჰყავდათ. ყველაზე მაღალ კასტაში, ბრაჰმანებში, მშობლები რძალს ტრადიციულად, ასეთი ფრაზით ლოცავენ: „იყავი რვა ვაჟის დედა...“ მანუს კანონებით, მეტად იყო ნახალისებული მრავალშვილიანი ოჯახი. არსებობდა ტრადიციაც, რომლის თანახმად, ქვრივი, რომელიც უშვილოდ რჩებოდა, უნდა დაქორწინებულიყო ქმრის ძმაზე ან მის ახლო ნათესავზე. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი გვიანდელი წარმოშობის მაღალ კასტებში.

ინდუიზმში შობადობის კონტროლისადმი დამოკიდებულება არასასურველია. ზოგიერთ სექტაში მკაცრი კონტროლია დაწესებული ყოველგვარი ცოცხალი არსების სიკვდილზე. ამით ხსნიან ინდოეთში კონტრაცეპტივთა დაბალ ეფექტს. აქ მათი გამოუყენებლობა მარტო დაბალ კულტურულ დონესთან არ არის დაკავშირებული, მათი ტრადიციები მიმართულია შობადობის შეუზღუდველობაზე და მრავალშვილიანი ოჯახების შექმნაზე.

ისლამი, VII საუკუნეში წარმოშობილი რელიგია, ინდუიზმზე მეტად ასტიმულირებს ბავშვთაშობას. ამ რელიგიის მიმდევართ ცოლად შეუძლიათ მოიყვანონ ნებისმიერი სარწმუნოების ქალი. სხვა რელიგიისაგან განსხვავებით, მან არ იცის თავშეკავება და სქესობრივი ასკეტიზმი. აქ ქორწინება ალაჰის მსახურებშიც დაშვებულია, მრავალშვილიანი ქალები საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ. ამიტომაც, რომ მუსულმანურ ქვეყნებში ქალთა უმრავლესობა დაქორწინებულია. ყურანი უშვებს დაჩქარებული წესით ქვრივთა და განქორწინებულთა ხელმეორე ქორწინებას. კერძოდ, ოთხი თვის შემდეგ მათ შეუძლიათ, ხელმეორედ დაქორწინდნენ. სქესობრივი კავშირის რიტუალური შეზღუდვები მუსულმანებს გაცილებით მცირე აქვთ, ვიდრე ინდუისტებს.

ისლამისტებში გავრცელებულია პოლიგამია (მრავალცოლიანობა). დადგენილია, რომ პოლიგამია მთლიანობაში უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. ჯერ ერთი, ამცირებს სქესობრივ კავშირის სიხშირეს ქალებისათვის. მართალია, მამაკაცთა სქესობრივი აქტიურობა მაღალია, მაგრამ არ იზრდება ცოლების რაოდენობის პროპორციულად. ამასთან, სქესობრივი კავშირის სიხშირის ზრდა ამცირებს აქტიურ სპერმატოზოი-

დებს. მითუმეტეს, რომ მამაკაცი პოლიგამიურ ქორწინებაში შუა ან ხანდაზმულობის ასაკში შედის.

კონფუციანობა. ძვ. წ. V საუკუნეში ჩინეთში წარმოშობილ ამ რელიგიაში ცენტრალური ადგილი წინაპართა კულტს უკავია. ოჯახში ბატონობს მამაკაცი და ოჯახის მთავარი მიზანიც ვაჟთა თაობის გამრავლებაა. ცოლის უნაყოფობის ან დალუპვის შემთხვევაში მამაკაცს აქვს განქორწინების და ხელმეორე ქორწინების უფლება, ქალს კი ეს აკრძალული აქვს.

მაშასადამე, დემოგრაფიული ვითარების ანალიზისას რელიგიის როლი ერთმნიშვნელოვნად არ ფასდება. ამიტომ სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას მისი გათვალისწინება აუცილებელია.

2006 წელს, ქ. ლივერპულში მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ინგლისელმა მეცნიერმა ა. კაუფმანმა ასეთი თეზისი შემოგვთავაზა: XXI საუკუნეში მსოფლიო მოსახლეობა იქნება რელიგიურად და პოლიტიკურად განსაკუთრებით კონსერვატიული. ეს განსაზღვრავს ბავშვთაშობაში განასხვავებას სხვადასხვა ქვეყნებში.

„რელიგია-ბავშვთაშობა-პოლიტიკა“, – ეს სამმხრივი კავშირი იქნება საფუძველი თაობათა აღწარმოებისა. ეს საკითხი მეცნიერთა აქტიური განსჯის საგანია და ამ კუთხით კვლევის გააქტიურება საქართველოშიც აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

5.4. მოსახლეობის აღწარმოება და მისი მოდელირება

მოსახლეობის აღწარმოების არსი. მოსახლეობის აღწარმოება მოსახლეობის მუდმივი განახლების პროცესია.

ყოველ ისტორიულ ეპოქას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული კანონზომიერებანი და, შესაბამისად, მოსახლეობის აღწარმოების ტიპი.

ის დემოგრაფიული კატეგორიაა და უჩვენებს იმ ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელ აღწარმოების უზოგადეს თვისებრივ მხარეებს.

ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების **ტრადიციული და თანამედროვე ტიპი**, რომელთა შორის გარდამავალი პერიოდი ე.წ. დემოგრაფიული გადასვლის პერიოდადაა ცნობილი.

ტრადიციული ტიპისათვის დამახასიათებელია შობადობის და მოკვდაობის მაღალი დონე. ბუნებრივი მატება მეტად მცირეა და ზოგიერთ ისტორიულ პერიოდში, შეიძლება ითქვას, უარყოფითი მაჩვენებლითაც ხასიათდება. მოსახლეობის აღწარმოების ასეთი ტიპი არსებობდა კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (ევროპაში – XVIII საუკუნის ბოლომდე); ხოლო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში კი XX საუკუნეშიც შემორჩა. მაღალი მოკვდაობა განაპირობებდა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სიმცირეს, რის გამოც თაობათა განახლება შედარებით სწრაფად ხდებოდა.

თანამედროვე ტიპისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ზრდა შობადობისა და მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში, დემოგრაფიული დაბერება და თაობათა ცვლის პროცესის შენელება.

მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლას გარკვეული დრო სჭირდება. ეს პერიოდი ყველა ქვეყნისათვის განსხვავებულია. დემოგრაფიულ ლიტერატურაში ის „დემოგრაფიული გადასვლის“ სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული პროცესები აიხსნება ე.წ. „დემოგრაფიული გადასვლის“ თეორიის საფუძველზე.

ზოგიერთი მეცნიერი „დემოგრაფიული გადასვლის“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „დემოგრაფიული რევოლუცია“. ეს თეორია ეკუთვნის წარმოშობით პოლონელ მეცნიერს, ლეონ რაბინოვიჩს (პროფესიით კრიმინოლოგს), ამის შესახებ საუბარია 1929 წელს გამოცემულ წიგნში – „საფრანგეთის მოსახლეობის პრობლემა: მოსახლეობის სოციოლოგიის ნარკვევი“. ამ თეორიის თანახმად, მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლის პერიოდი ოთხ ფაზას მოიცავს:

პირველ ფაზაში შობადობის დონე მაქსიმალურია; დაბალი სანიტარული კულტურისა და მედიცინის სუსტად განვითარების გამო მოკვდაობის დონე მაღალია.

მეორე ფაზაში მოკვდაობის დონე მკვეთრად მცირდება, შობადობის დონე იწერციით ისევ მაღალი რჩება, რის გამოც ადგილი აქვს ე.წ. **დემოგრაფიულ აფეთქებას**. ბუნებრივი მატების დონე მეტად მაღალია.

მესამე ფაზაში მცირდება შობადობის დონე, მცირდება მოკვდაობაც, შესაბამისად, იკლებს ბუნებრივი მატება, იწყება მოსახლეობის დაბერების პროცესი.

მეოთხე ფაზა ხასიათდება მოკვდაობისა და შობადობის დაბალ დონეზე სტაბილიზაციით, რაც გამოიხატება მოსახლეობის თითქმის ნულოვანი ზრდით.

ზოგჯერ გამოყოფენ **მეხუთე ფაზასაც**, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესი.

ცნობილია, რომ მოსახლეობის ზრდა და მოსახლეობის აღწარმოება მჭიდრიდაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარების ეტაპებთან. საზოგადოების დემოგრაფიულ ისტორიაში გამოყოფენ რამდენიმე ასეთ ეტაპს.

პირველყოფილი საზოგადოება (I ეტაპი). ნეოლითის დასაწყისიდან 10-15 ათასი წლის წინათ, მეცნიერთა შეფასებით, დედამიწაზე ცხოვრობდა 10 მლნ კაცი. ბუნებრივი გარემო მოსახლეობის რიცხოვნობას საზღვრავდა იმ რესურსებით, რომელიც შეიძლება მოეპოვებინა ადამიანს ნადირობით, მეთევზეობით, საკვების მოგროვებით. ადამიანები ადრე კვდებოდნენ შიმშილით, სიცივით, ველურ მხეცებთან ბრძოლით, სხვადასხვა ავადმყოფობებით. ამიტომ მოკვდაობის დონე იყო მაქსიმალური – 50%-მდე. ყველაზე მეტად იხოცებოდნენ ბავშვები და ქალები. მიუხედავად იმისა, რომ შობადობა თითქმის ბუნებრივ დონეზე იყო, ქალთა ნაადრევი სიკვდილის გამო ბავშვთა საერთო რიცხვი ერთ ქალზე მცირე იყო. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 20 წელს. ეს განაპირობებდა მოსახლეობის ზრდის განსაკუთრებით დაბალ დონეს.

მონათმფლობელური საზოგადოება დაკავშირებულია მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენასთან, საზოგადოების ქონებრივ დაყოფასთან, ქალაქისა და სოფლის ფორმის დასახლებასთან. ისტორიის ამ პერიოდმა დაამკვიდრა ოჯახური ცხოვრების წესი, კვების მუდმივი წყარო და, შესაბამისად, ქალები და ბავშვები უფრო დაცულნი იყვნენ გარესამყაროსგან. ამიტომ შობადობა მცირედით მაინც გაიზარდა და შემცირდა ბავშვებისა და ქალების მოკვდაობის განსაკუთრებით მაღალი დონე. ჩვ. წ. აღ-მდე 5000 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა 25-30 მლნ. კაცი იყო, ხოლო ჩვ. წ. აღ.-ის დასაწყისში იგი 150 მლნ გახდა. ამასთან, მოსახლეობის რიცხოვნობა ნელა იზრდებოდა, ბავშვთა მოკვდაობა მაღალი რჩებოდა. მუდმივი ომების გამო მაღალი იყო ახალგაზრდა მამაკაცთა მოკვდაობა. განსაკუთრებით დიდი იყო მოკვდაობა მონებში. ასეთ პირობებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 25 წელს არ აჭარბებდა.

გლეხური, ფეოდალური საზოგადოება. ეს საზოგადოება ეფუძნებოდა მინაზე კერძო საკუთრებას, გლეხურ და ხელოსნურ ხელით შრომას, რომელიც ოჯახს ძირითად სამეურნეო რგოლად აქცევდა. სამუშაო ძალის რაოდენობაზე, მათზე მემკვიდრეობით შრომითი ჩვევების გადაცემაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გლეხური თუ ხელოსნური წარმოების წარმატება, შესაბამისად, ცალკეული ფეოდალის თუ ოჯახის სიმდიდრე საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. ამიტომ ჩამოყალიბდა და ჭარბობდა მრავალშვილიანი ოჯახები, რაც მოსახლეობის ზრდასაც განაპირობებდა. როგორც ფეოდალი, ისე ნებისმიერი ოჯახი დაინტერესებული იყო მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალით, რის გამოც შობადობა მაღალი იყო. ეს მოსახლეობის ზრდას განაპირობებდა, თუმცა მოკვდაობა ამ პერიოდში ჯერ კიდევ მაღალი იყო. – 15 წლამდე დაბადებულ ბავშვთა მხოლოდ ნახევარი აღწევდა. პერიოდული მოუსავლიანობის გამო ხშირი იყო შიმშილით სიკვდილი, ეპიდემიები (ქოლერა, შავი ჭირი და სხვ.). ცნობილია, რომ XIV საუკუნეში შავმა ჭირმა ევროპის მოსახლეობის ნახევარი შეიწირა. ეპიდემიები აჩანავებდა ევროპას XIX საუკუნემდე, გარდა ამისა, განუწყვეტელი ომები XIII-XV სს-ში ხელს უშლიდა მოსახლეობის ზრდას. პლანეტის მოსახლეობა 1000-დან 1500 წლამდე 1,5-ჯერ გაიზარდა, 1800 წლამდე – 2-ჯერ.

საზოგადოების განვითარების სამივე აღნიშნულ ეტაპზე მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო აღწარმოების პატრიარქული, ანუ ტრადიციული ტიპი. ის ხასიათდებოდა მაღალი არარეგულირებადი შობადობით, მაღალი მოკვდაობით (განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში), სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებლით (25-30 წ.), მრავალშვილიანი ოჯახებით. მოსახლეობაში დიდი იყო ბავშვთა წილი, მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდებოდა ნელა, მაგრამ შეიმჩნეოდა ზრდის ტემპის თანდათანობითი მატებაც.

ინდუსტრიული კაპიტალისტური საზოგადოება. დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან, შრომის დანაწილების ზრდასთან, სამუშაო ძალის მინისგან თანდათანობით მონყვეტასთან, მცირედ მექანიზებულ შრომასთან, განვითარების ცენტრების ქალაქებში გადანაცვლებასთან. მისკენ მიისწრაფოდნენ უმინო გლეხები. ქალაქებში ვითარდებოდა კულტურა და მედიცინა, უმჯობესდებოდა საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მედიცინასა

და ჰიგიენაში არსებული წარმატებებით შესაძლებელი გახდა არა მარტო ეპიდემიოლოგიური, არამედ ისეთი ინფექციური დაავადებებისგან თავის დაღწევა, როგორცაა: ყვიანახველა, ყვავილი, დიზენტერია და ა.შ. უკან დაიხია ტუბერკულოზმაც. ამის შედეგად 3-4-ჯერ შემცირდა ბავშვთა მოკვდაობა და XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს-ის 20-იანი წლებისათვის (ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50-წლამდე გაიზარდა. მოკვდაობის შემცირებისა და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდის შედეგად მოსახლეობის ზრდის ტემპმა წელიწადში 2-3%-ს მიაღწია, რაც ყოველ 30-40 წელიწადში მოსახლეობის გაორმაგებას გულისხმობდა. ეს ფენომენი შეფასდა როგორც „დემოგრაფიული აფეთქება“.

ქალაქების განვითარების მნიშვნელოვანი შედეგი იყო ქალთა მასობრივი ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში და მცირეშვილიან, ნუკლეარულ ოჯახებზე გადასვლა. ამან მიგვიყვანა შობადობის შემცირებამდე, რაც განსაკუთრებულად შესამჩნევი გახდა მაშინ, როცა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 70-80% გადასახლდა ქალაქში. მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობს, თუმცა შეიმჩნევა ზრდის ტემპის შემცირებაც.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება. საზოგადოების განვითარების ეს პერიოდი იწყება XX ს-ის 70-იანი წლებიდან. ამ ეტაპზე პირველად განვითარებული ქვეყნები (ჩრდ. ამერიკა, ევროპა, ავსტრალია, იაპონია) გადავიდნენ. ამ ეტაპის დემოგრაფიული მახასიათებლებია: სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა 75-80 წლამდე; მოკვდაობის შემცირება თითქმის ფიზიოლოგიურ დონემდე და 1-2 ბავშვიანი ოჯახების მასობრივი გავრცელება. მოსახლეობის ზრდის ტემპი ამ ქვეყნებში უკიდურესდ დაბალია და თუ ზრდა მაინც არის, ეს ხდება მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდითა და იმიგრაციით. მოსახლეობის შემადგენლობაში დიდია მოხუცთა წილი, მკვეთრადაა შემცირებული ბავშვთა წილი, მოსახლეობა დაბერებულია. კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაიწყო ამ ქვეყნებში მშვიდობიან და არაკრიზისულ პირობებში მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება.

ამგვარად, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი შეიცვალა თანამედროვე ტიპით. მისი ძირითადი მახასიათებლები, დაბალი შობადობა და მოკვდაობა, თითქმის უახლოვდება ერთმანეთს და განაპირობებს მოსახლეობის ზრდის მცირე

ტემპს. ზოგჯერ მოკვდაობა ქარბობს შობადობას, რასაც მოსდევს დეპოპულაცია. დაბადებული ბავშვებისათვის დამახასიათებელია მაღალი მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

5.5. მოსახლეობის აღწარმოების ანალიზი

მოსახლეობის აღწარმოების განმსაზღვრელი პარამეტრებია მოკვდაობა და შობადობა. ამ პარამეტრთა ერთობლიობა კი ქმნის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს.

ყველა ის მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება მოკვდაობა და შობადობა (ზოგადი, სპეციალური, კერძო კოეფიციენტები) მიშენელოვნადაა დამოკიდებული ასაკობრივ სტრუქტურაზე. ამის გამო, ისინი ხანგრძლივი პერიოდისათვის მოსახლეობის განვითარების ტენდენციებს არაადეკვატურად ასახავენ. ამიტომ შემოღებული იქნა მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტოკოეფიციენტები.

მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი რეპროდუქციულ ასაკში (გათვალისწინებულია დაშვება, რომ რეპროდუქციულ ასაკში ქალი არ კვდება). ეს კოეფიციენტი ერთნაირი ინტერვალის შემთხვევაში გამოითვლება ფორმულით:

$$R_{\text{ბრ.}} = \sum_{15}^{49} F_x \cdot \delta \quad \text{ან} \quad R_{\text{ბრ.}} = \sum_{15}^{49} K_{\text{შობ.ჯ.ამ}} \cdot \delta$$

სადაც F_x შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია;

δ გოგონათა წილია ახალდაბადებულებში. ის დაახლოებით 48%-ია.

თუ გაანგარიშება ხუთნაირი ინტერვალით ხდება, მაშინ (1) ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$R_{\text{ბრ.}} = 5 \sum_{15}^{49} F_x \cdot \delta$$

ბრუტო კოეფიციენტს ნაკლიც აქვს. კერძოდ, ის ვერ ითვალისწინებს ბავშვთა მოკვდაობას, ყველა გოგონამ შეიძლება ვერ მიაღწიოს იმ ასაკს, რა ასაკისაც იყო დედა გოგონას გაჩენისას. ამ ნაკლს ავსებს **ნეტოკოეფიციენტი**. ის გვიჩვენებს, (საშუალოდ) იმ გოგონათა რაოდენობას, რომლებიც იზადებიან და აღწევენ თავიანთი დედების იმ საშუალო ასაკს, როცა ისინი ამ ბავშვებს აჩენდნენ. ეს მიუთითებს იმაზე, რამდენად ენაცვლება გოგონათა თაობა დედათა თაობას, და გამოითვლება ფორმულით:

$$R_{\text{ნეტო}} = R_{\text{ბრ.}} \cdot \frac{L_x}{L_0},$$

სადაც $R_{\text{ბრ.}}$ – ბრუტო კოეფიციენტი; L_x და L_0 – ქალთა მოკვდაობის ცხრილიდან აღებული მონაცემებია (x ასაკს მიღწეული ქალთა რიცხოვნობა).

2018წ. საქართველოში ნეტოკოეფიციენტი 1,0-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გოგონათა თაობა დედების თაობას 100%-ით შეცვლის (ოფიციალური სტატისტიკით).

მოსახლეობის აღწარმოების დასახასიათებლად ბრუტო და ნეტოკოეფიციენტების გარდა იყენებენ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტ კოეფიციენტს (ე.წ. ლოტკას კოეფიციენტს), რომელიც ხშირად გამოიყენება მათემატიკურ დემოგრაფიაში, უფრო ხშირად – სტაბილური მოსახლეობის თეორიაში. გარდა ამისა, მოსახლეობის აღწარმოების დასახასიათებლად იყენებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა **თაობის სიგრძე** (დროის ინტერვალი), რომელიც თითქმის აღარ განსხვავდება დედათა მიერ პირველშობის საშუალო ასაკისაგან.

იმ შემთხვევაში, როცა $R_{\text{ნეტო}} < 1$, ადგილი აქვს შეკვეცილ აღწარმოებას.

$R_{\text{ნეტო}} < 1$ -ზე არ ნიშნავს იმას, რომ იმ წელს, როცა ეს მაჩვენებელი გაიანგარიშეს, მოსახლეობის შემცირებას აუცილებლად ექნება ადგილი. მოსახლეობა ამ პირობებშიც შეიძლება იზრდებოდეს შედარებით ახალგაზრდა სტრუქტურის გამო. როცა ეს პოტენციალიც ამოიწურება, იწყება დეპოპულაცია.

როცა $R_{\text{ნეტო}} = 1$, ადგილი აქვს მარტივ აღწარმოებას, ე.ი. ბავშვთა თაობა დარჩება იმდენივე, რამდენიც იყო მშობელთა თაობა რიცხოვნობივად.

როცა $R_{\text{ნეტო}} > 1$ გვაქვს გაფართოებული აღწარმოება.

თანაფარდობა $R_{\text{ნეტო}} / R_{\text{ბრუტო}}$ უჩვენებს მოსახლეობის აღწარმოების პოტენციურ დონეს. ის ახასიათებს დედათა თაობის ცვლას. ხოლო შებრუნებული მაჩვენებელი – $R_{\text{ბრუტო}} / R_{\text{ნეტო}}$ გვიჩვენებს, პირობითი თაობის ერთმა ქალმა რამდენი გოგონა უნდა დაბადოს, რომ მარტივ აღწარმოებას ჰქონდეს ადგილი. თუ ამ თანაფარდობას ρ -თი აღვნიშნავთ, განვსაზღვრავთ იმ შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტსაც, რომელიც

საჭიროა მარტივი აღწარმოებისათვის. ამ მიზნით ρ უნდა გავყოთ δ -ზე (გოგონათა წილი ახალშობილებში), ე.ი. $K_{აჯკ} = \rho : \delta$.

ρ -ს ზოგჯერ **მარტივი აღწარმოების ფასსაც** უწოდებენ. იგი უჩვენებს მოსახლეობის აღწარმოების „ეკონომიურობას“, რაც უფრო მცირეა ρ და რაც უფროა ახლოა ის 1-თან, მით უფრო „ეკონომიურია“ აღწარმოება.

ნეტოკოეფიციენტის უპირატესობა სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ისაა, რომ მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი ფასდება არა მარტო მოცემულ მომენტში, არამედ მომავალშიც, თუ აღწარმოება უცვლელი იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნეტოკოეფიციენტი, ერთი მხრივ, თანამედროვე სიტუაციის შეფასების ინსტრუმენტია, მეორე მხრივ, სამომავლო ტენდენციების პროგნოზის საშუალებაა.

5.6. შობადობის დინამიკის ეკონომიკური ფაქტორები

ეკონომიკური ასპექტით შობადობის დინამიკის ანალიზი ეყრდნობა ინდივიდის რაციონალურ ქცევას, რაც, თავის მხრივ, მომდინარეობს შინამეურნეობათა სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციიდან. შინამეურნეობა აფასებს ეკონომიკური კეთილდღეობის ცვლილებას როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული პერიოდისთვის იმის გათვალისწინებით, რასაც ბავშვის დაბადება გამოიწვევს.

ეკონომიკურ მიდგომაში ორი ალტერნატიული მიმართულება გამოიყოფა: ჩიკაგოს სკოლის მოდელი, რომელიც ყველაზე სრულყოფილად გ. ბეკერის შრომებშია განხილული და პენსილვანიის სკოლის მოდელი, რომელიც რ. ისტერლინის შრომებითაა წარმოდგენილი.

გარი ბეკერის შობადობის მოდელი ეყრდნობა შემდეგ ჰიპოთეზას: როცა ადამიანური კაპიტალი მცირეა, შობადობა დიდია; როცა ადამიანური კაპიტალი დიდია, მცირეა შობადობა, რადგან ბავშვთაშობა და აღზრდა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. დიდ ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული მაღალი ხელფასი ჩანაცვლების ეფექტს იწვევს და ამცირებს შობადობას.

ადამიანური კაპიტალის წარმოება დიდ ხარჯებს მოითხოვს. რაც, უფრო მეტი ინვესტიცია იდება ადამიანურ კაპიტალში, მით მეტია მისით მიღებული შემოსავლები. ბავშვთა შობის მოთხოვნილება კი მცირდება,

რადგან მათი აღზრდა სულ უფრო და უფრო ძვირია. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის შემოსავლიანობა დიდია, მაგრამ ბევრად მცირეა შობადობა, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. სიტუაცია განვითარებად ქვეყნებში უცვლელი დარჩება მანამ, ვიდრე ამ ქვეყნებში დიდი ტექნოლოგიური ძვრები არ მოხდება ან ეკონომიკური პირობები ძირეულად სასიკეთოდ არ შეიცვლება. ან კიდევ, განვითარებულ ქვეყნებში ომების, ეკონომიკური კრიზისების თუ სხვა უბედურების გამო ადამიანური კაპიტალის მარაგი შემცირდება.

ბეკერის დასკვნით, შობადობა დარჩება მაღალი მაშინ, თუ ბავშვის აღზრდა იაფი იქნება, ხოლო მწარმოებლურობა – მაღალი. ბავშვებისგან მიღებული მაღალი უკუგება მშობელს ასტიმულირებს, გაზარდოს მათი რიცხვი და მინიმუმამდე დაიყვანოს მათი ადამიანურ კაპიტალში დაბანდება (ე.წ. „შემოსავლის ეფექტი“).

შემოსავლის ეფექტი დომინირებს მაშინ, როცა შინამურნეობის განეულ ხარჯებში ბავშვთა აღზრდის ხარჯები ქარბობს. მაშინ, როცა ბავშვთა განათლების ხარჯები და მათ აღზრდაზე დახარჯული დროც მცირეა, დომინირებს ე.წ. ჩანაცვლების ეფექტი, ანუ ბავშვთა რაოდენობის ზრდას ამჯობინებენ ბავშვთა ხარისხის ზრდას.

ეკონომიკური განვითარების კვალობაზე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდას მივყავართ ბავშვთა აღზრდაზე დახარჯული დროის ფასის ზრდამდე. ის უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ბავშვის საცხოვრისზე, ჭამასა და ჩაცმაზე განეული ხარჯები. ბეკერის შობადობის მოდელი უჩვენებს, რომ შობადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საშუალოსულადობრივი შემოსავლის დონესთან. მისი ანალიზით, განვითარებულ ქვეყნებში ჩანაცვლების ეფექტის გავლენით შობადობა ბევრად მცირეა, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში. ამიტომ, რომ მდიდარ ქვეყნებში, სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთი და ფიზიკურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციებიდან შემოსავლიანობა უფრო მცირეა, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში.

ბეკერის შობადობის მოდელს ემხრობა შულცის მოდელი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებზეა აგებული. მისი ჰიპოთეზაა: თუ ბავშვების აღზრდა უფრო დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე შინამურნეობის სხვა სამომხმარებლო აქტივობა, ადამიანისათვის დროის ფასი იზრდება, იზრდება „ბავშვთა ფასიც“, რის გამოც ხდება მისი ჩანაცვლება სხვა უფრო იაფი საქონლით. ამასთან, მამები უფრო ნაკლებ დროს უთმობენ ბავშვთა აღზრდას, ვიდრე დედები, ამიტომ ქალთა მიერ დახარჯული დროის ფასი

უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებისა, რასაც მივყავართ „ბავშვების ფასის“ ზრდამდე და მათი რიცხვის შემცირებამდე. შულცის მიერ აგებული შობადობის ეკონომეტრიკული მოდელით დამტკიცდა, რომ ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ქალთა ხელფასის ზრდა ამცირებს შობადობას, მაშინ, როცა იგივე კანონზომიერება არ ვრცელდება მამაკაცებზე. კერძოდ, ხელფასის ზრდა 18-34 ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებში ზრდის შობადობის დონეს, ხოლო 35-64 წლის ასაკში – ნეგატიურად აისახება შობადობის მაჩვენებელზე.

რიჩარდ ისტერლინის კონცეფციით, რომელიც „ფარდობითი შემოსავლის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მშობელთა ოჯახში, სადაც ბევრი ბავშვია, ცხოვრების დონე დაბალია. ამიტომ შეილთა თაობა ამჯობინებს, ბავშვთაშობა შეზღუდოს. მოდის უფრო ნაკლები თაობა, ვიდრე მშობელთა თაობა იყო. მისი დასკვნით, შობადობის ცვლილებას აქვს ციკლური ხასიათი.

1998 წელს ამერიკელმა დემოგრაფმა დიანა მაკუნოვიჩმა ისტერლინის „ფარდობითი შემოსავლის“ კონცეფციისა და დროის ფასის გამოყენებით ააგო კომბინირებული მოდელი, რომელიც ასაკობრივი შობადობის მოდელის სახელითაა ცნობილი. ის ამტკიცებს, რომ ბავშვი არაა დაბალღირებული ფასეულობა. მის აღზრდაზე დახარჯულ დროს არსებითი გავლენა აქვს შობადობის პროცესზე. ქალთა უმუშევრობა ნეგატიურად აისახება შობადობაზე. ნეგატიურად აისახება ქალთა ხელფასის ზრდაც. რაც შეეხება მამაკაცის ხელფასის ზრდას, მისი გავლენა შობადობაზე პოზიტიურია, მაგრამ მთელი შინამეურნეობის შემოსავლის ზრდა - ნეგატიური, რაც უარყოფითად აისახება შობადობის პროცესზე.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შობადობის ცვლილებაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება ხდება ემპირიული მოდელებით. ამ მეთოდის გამოყენება დაიწყო 1970-80-იანი წლებიდან, როგორც მცდელობა, გარკვეულიყო პირობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი შემცირებულიყო.

ემპირიული მეთოდის გამოყენებისას, ცვლადები, რომელიც გამოიყენება შობადობის ეკონომეტრიკული მოდელების ასაგებად, პირობითად ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. მოდერნიზაციის პროცესის მაჩვენებლები: საშუალოსულადობრივი შემოსავალი, ერთ სულზე წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, ურბანიზაციის დონე, გარემოს დაბინძურების მაჩვენებელი და სხვ.

2. ცხოვრების წესის სოციალური მახასიათებლები: განათლების დონე, სამედიცინო მომსახურების დონე, კონტრაცეპტივების გავრცელების დონე და სხვ.

3. დემოგრაფიული გადასვლის მაჩვენებლები: ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ქალთა დასაქმება და ა. შ.

4. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა და ბავშვის აღზრდის ღირებულება: კვების დონე, კვების პროდუქტთა ფასი, პირადი შემოსავალი და ა. შ.

ყველზე ცნობილი მოდელები აგებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, 1978 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აგებული მოდელით, რომელიც “Bachue PhulppInes” სახელითაა ცნობილი, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ზრდასრული მოსახლეობის გაუნათლებლობის დონისა, (განსაკუთრებით, ქალთა გაუნათლებლობისა), აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რიცხვისა და უკუპროპორციულია ქალთა დასაქმებისა და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდისა. 47 ქვეყნის მაგალითზე დამტკიცდა, რომ შობადობის შემცირებაზე არსებით გავლენას ახდენს მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლების დონის ზრდა.

საყურადღებო შედეგია მიღებული შობადობის მოდელით, რომელიც ტაილანდის მაგალითზე იქნა აგებული გაეროს დემოგრაფთა მიერ. ძირითად ცვლადებად გამოიყენეს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, მოსახლეობაში საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა წილი, მშპ ერთ სულზე. აღმოჩნდა, რომ შემოსავლის ზრდა გარკვეული პერიოდის მანძილზე ზრდის შობადობას, შემდეგ ამცირებს, მაშინ, როცა განათლების დონის ზრდა ყოველთვის ამცირებს შობადობას, ანუ განათლების დონის მაჩვენებელი უფრო დომინირებს შემოსავლის ზომასთან შედარებით.

ბოლო დროს აგებული მოდელებიდან ყურადღებას იმსახურებს ამერიკელი დემოგრაფის – პოსტონის მოდელი ჩინეთისა და ფილიპინებისათვის. მან შეაფასა ოთხი ეკონომიკური ფაქტორის გავლენა შობადობაზე (შობადობის კერძო კოეფიციენტზე). ეს ფაქტორებია:

- პროგრესი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმებულთა წილის ზრდა არააგრარულ სექტორში;

- ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესება და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირება;

- საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და განათლების მიღების შესაძლებლობები;

- ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეს ოთხი ფაქტორი გამოიხატა შემდეგი მაჩვენებლებით:

- ერთ სულზე წარმოებული სამრეწველო და აგრარული პროდუქცია;
- ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი
- 12 ან 15 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში გაუნათლებელთა წილი;
- მრეწველობაში დასაქმებულთა წილი.

აღმოჩნდა, რომ წარმოების დონე არ ახდენს გავლენას შობადობის დონეზე, მაშინ, როცა სხვა დანარჩენი ფაქტორების გავლენა არსებითია, კერძოდ, გაუნათლებელთა წილისა და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირება მრეწველობაში დასაქმებულთა წილის ზრდასთან ერთად, ამცირებს შობადობას.

იმავე პერიოდში აიგო ბლიუმ-კანინგი-მელონის მოდელი, რომელიც მცდელობაა შემოსავლების დონის შობადობაზე გავლენის გაზომვისა. ამ მიზნით გამოიყენეს ინსტრუმენტალური ცვლადების მეთოდი, რომლის არსია – ერთ დასაქმებულზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტი კორექტირდეს მაჩვენებლებით:

- ოფიციალურ და შავ ბაზარზე არსებული დოლარის კურსს შორის სხვაობით;
- იმ ტერიტორიის წილით, რომელიც სასაზღვრო ზოლიდან 100 კმ-ზე ნაკლებია;
- ზღვაზე ორმაგი გასასვლელის ცვლადით;
- მანძილით დედაქალაქსა და მნიშვნელოვან მსოფლიო ბაზრებს შორის.

მოდელი აიგო აზიისა და ლათინური ქვეყნების მაგალითზე. მიღებული შედეგით, შემოსავლების ზრდას მივყავართ შობადობის შემცირებამდე. კერძოდ, 10 %-ით შემოსავლის ზრდის პირობებში შობადობა მცირდება 3,7-4,9%-ით. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ შობადობის ზრდაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კონტრაცეპტივების მიღების შესაძლებლობათა ზრდა, გაუნათლებლის დონის ამაღლება და ქალთა დასაქმების მატება.

ზოგადად, მოდელები დიდი ანალიტიკური პოტენციალის მატარებლებია. ისინი შობადობის პროგნოზული გაანგარიშების საშუალებას გვაძლევენ.

თემა 6. მოსახლეობის ჯანმრთელობა და მოკვდაობა

6.1. მოკვდაობა

დემოგრაფთა განმარტებით, მოკვდაობა სოციალურ გარემოში გარდაცვალებათა სიხშირეა. სოციოლოგთა განმარტებით კი, მოკვდაობა ინდივიდუალურ სიცოცხლეთა შეწყვეტის მასობრივი პროცესია.

მოკვდაობის ანალიზი, შობადობის ანალიზის მსგავსად, წარმოებს ზოგადი, სპეციალური და კერძო კოეფიციენტებით. ზოგად კოეფიციენტებზე ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი.

მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს იგივე ნაკლი აქვს, რაც საერთოდ ახასიათებს ზოგად დემოგრაფიულ მაჩვენებლებს. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად განიცდის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას, ის მეტადაა დამოკიდებული შობადობაზე: სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია შობადობის დონე, მით უფრო მაღალია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, რადგან რაც უფრო მაღალია შობადობა, მეტია 1 წლამდე ბავშვთა წილი, სადაც მოკვდაობა სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ქარბობს. ამიტომაც, რომ მოკვდაობის ანალიზისას ვიყენებთ მოკვდაობის კერძო კოეფიციენტებს, რომლებიც ცალ-ცალკე გამოითვლება ქალებისა და მამაკაცებისათვის, ქალაქისა და სოფლისათვის, სხვადასხვა ქორწინებით მდგომარეობაში მყოფი ჯგუფებისათვის.

მოკვდაობის კერძო კოეფიციენტებს მიეკუთვნება ასაკობრივი კოეფიციენტები. მოკვდაობის ანალიზი სწორედ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებით იწყება, რომელიც გაიანგარიშება როგორც მთელი მოსახლეობისათვის, ისე ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის. ის გვიჩვენებს გარდაცვლილთა რიცხოვნობის შეფარდებას მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვთან და გამოითვლება ფორმულით:

$$m_x = \frac{M_x}{P_x} \times 1000 \quad (1)$$

მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი შეიძლება გავიანგარიშოთ როგორც ერთწლიანი, ისე ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფებისთვისაც. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1 წლამდე, ანუ ჩვილ ბავშვთა მოკვდა-

ობის მაჩვენებელი. ამ ასაკობრივ ჯგუფში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (გარდა ხნიერი ასაკობრივი ჯგუფებისა), მოკვდაობა ყველაზე მაღალია. ის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. ამ ჯგუფში მოკვდაობის მაჩვენებლის გაანგარიშებაც სხვაგვარად ხდება. კერძოდ, 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი შეეფარდება დაბადებულთა რიცხვს და არა მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობას, ე.ი.

$$m_{-1} = \frac{M_{-1}}{N} \times 1000,$$

სადაც m_{-1} ჩვილ ბავშვთა მოკვდაობაა;

M_{-1} – ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა;

N – დაბადებულთა რიცხოვნობა.

მაგრამ მიჩნეულია, რომ ასეთი გაანგარიშება მეტად უხეშია და ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვლილთა და დაბადებულთა რიცხვი წლების განმავლობაში არ იცვლება, დიდ რყევას არ განიცდის. მაგრამ როცა ყოველ მომდევნო წელს ეს რიცხვები მნიშვნელოვნად იცვლება, ასეთ შემთხვევაში იყენებენ **რატსის** ფორმულას:

$$m_{-1} = \frac{M_{-1}}{\frac{2}{3}N_1 + \frac{1}{3}N_{-1}} \times 1000,$$

სადაც M_{-1} ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობაა.

N_1 მოცემულ წელს დაბადებული ბავშვებია, N_{-1} – წინა წელს დაბადებული.

დაბადებულთა გადანაწილება $\frac{2}{3}$ და $\frac{1}{3}$ ხდება იმის გამო, რომ ბავშვის გარდაცვალების ალბათობა უფრო მეტია სიცოცხლის პირველ თვეებში, ვიდრე შემდგომ თვეებში. რაც უფრო მაღალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობაც სულ უფრო მცირეა და ზემოთ აღნიშნული თანაფარდობაც ასე იცვლება: $\frac{3}{4} - \frac{1}{4}$ ან $\frac{4}{5} - \frac{1}{5}$.

თანამედროვე სტატისტიკა იმდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობს დაბადებულთა და 1 წლამდე გარდაცვლილთა შესახებ, რომ დღეს სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ფორმულა:

$$m_{-1} = \left[\frac{M_{-1}}{N_{-1}} + \frac{M_1}{N_1} \right] \times 1000$$

ბავშვთა მოკვდაობის მაღალი დონე განპირობებულია ჯანმრთელობის დაცვისა და ჰიგიენის დაბალი დონით, არასაკმარისი კვებითა და ბავშვთა ცუდი მომსახურებით. ეს, ძირითადად, ლარიბი ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. 50 წლის წინ მსოფლიოში ნელინადში ყოველი 1000 დაბადებულიდან 150 ბავშვი იღუპებოდა, XX საუკუნის ბოლოს – 60 ბავშვი (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მოკვდაობის დონის ცვლილება მსოფლიოში (1950-2019 წწ.)

	მოკვდაობის კოეფიციენტები ‰					
	ზოგადი კოეფიციენტი		ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი		ზოგადი კოეფიციენტი	ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი
	1950-1955	1995-2000	1950-1955	1995-2000	2019	2019
სულ მსოფლიო	19,7	9,0	155,0	60	7,7	29,7
განვითარებული ქვეყნები	10,2	10,1	58,0	10,0	10,0	4,5
განვითარებადი ქვეყნები	24,2	8,6	178,0	65,0	7,0	44,0
საქართველო	7,6	10,5	55,3	26,0	12,5	8,1

წყარო: <https://www.Ined.fr/en/eVerythIng-about-population/data/all-countries/>

როგორც ცხრილიდან ჩანს, XX საუკუნეში მსოფლიოში მოკვდაობის ზოგადი მაჩვენებელი 3-ჯერ შემცირდა, მათ შორის, განვითარებად ქვეყნებშიც. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა კი მინიმუმამდე, თითქმის ბუნებრივ დონემდეა დაყვანილი. ამჟამად ის ყველაზე დაბალია ფინეთში, ისლანდიასა და იაპონიაში (2‰).

ცხრილი 2. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა 2019 წელს (%)

მსოფლიო საშუალოდ	აფრიკა	აზია	ევროპა	ლათ. ამერიკა და კარიბ. აუზი	ჩრდ. ამერიკა	ავსტრალია და ოკეანეთი
29,7	47,6	25,4	4,2	15,4	4,9	18,4

წყარო: <https://www.Ined.fr/en/eVerythIng-about-population/data/all-countries/>

შრომისუნარიან ასაკში მოსახლეობის მოკვდაობის არსებული დონე განპირობებულია სიღარიბით, ფარმაკოლოგიური და სამედიცინო მომსახურების დაბალი დონით, სხვადასხვა ინფექციების აფეთქებით, ცხოვრების არაჯანმრთელი წესით, შრომის დაცვის უქონლობით, უბედური შემთხვევების მასშტაბებით, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებითა და საომარი კონფლიქტებით. ამ პირობებში ილუპება ახალგაზრდა მამაკაცთა დიდი რაოდენობა. ეს, ძირითადად, იმ ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, რომლებიც საზოგადოებრივ განვითარებაში განიცდიან მკვეთრ ზიგზაგებს. მაგალითად, ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც 30-45 წლის ასაკში მომატებულია მამაკაცთა მოკვდაობა.

მოკვდაობა ხანდაზმულობის ასაკში, უმეტესად, ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება, და მისი ზრდა ძირითადად დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დიდია.

6.2. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა

სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხი მუდამ ინვევდა ცხოველ ინტერესს. ეს უძველესი პრობლემაა. კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობდა მის გახანგრძლივებას, ეძებდა წამლებს, რითაც შეძლებდა დიდხანს სიცოცხლეს, სიკვდილის გადავადებას. მარადიული სიცოცხლისაკენ ლტოლვა შეინიშნება ქართულ ეპოსშიც. მაგალითად, „ამირანიანში“ არის იდეა ბალახით მკვდრის გაცოცხლებისა. ნაზონის მიხედვით, მედეას იაზონი გაუახალგაზრდავებია, წვერი და თმა გაუშავებია, მოუსპია სიგამხდრე, სიფერმკრთალე, მოხუცებულობით სიძაბუნე და 40 წლით ახალგაზრდა გაუხდია. ცნობილია მითრიდატეს სამედიცინო წიგნები, რომელთა მოპოვებაც, პლინიუსის თქმით, რომაელებისათვის

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ გამარჯვებაზე. შუა საუკუნეების ქართულ კარაბადინებში სიცოცხლის გასახანგრძლივებად მიუთითებენ შემდეგ მცენარეებს: ანისული, ასისთავა, დაფნა, კოთხოჯი, კამა და ა.შ. სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნეოდა სისხლის გადასხმა.

შუა საუკუნეებში ცივილიზებულ სამყაროში თანდათან გავრცელდა ის აზრი, რომ დადგა დრო, როცა სიკვდილი უნდა განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევის შედეგი ან სასიცოცხლო ძალების ნელინგრევის შედეგი (ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ჟან ანტუან კონდორსე), ხოლო ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი (1561-1626) მიუთითებს, რომ საჭიროა შეიქმნას მედიცინის ისეთი დარგი, რომელიც სიცოცხლის გახანგრძლივებაზე იმუშავებდა.

შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო გაახალგაზრდავების მისტიკური ხერხი – **ოპოთერაპია**, რომელიც გულისხმობდა რომელიმე ცხოველის ორგანოს გამოყენებას საჭმელად, რათა იმავე ორგანომ ადამიანის სხეულში უკეთესად იმუშაოს.

მედიცინის ისტორია იცნობს გაახალგაზრდავებისათვის ისეთ მიდგომას, როგორიცაა **სუნამიტიზმი**, უბინო ქალწულთა სუნთქვით გაყინული სისხლის ამოძრავება. ამ მეთოდს ძველი რომაელები და ბერძნებიც იყენებდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ამ თემაზე დისერტაციებიც კი იწერებოდა და ხშირად მოჰყავდათ მოხუცი ამსტერდამელი ბურგომისტრის მაგალითი, რომელსაც მუდმივად ეძინა ორ ქალიშვილს შორის, რათა უფრო გაახალგაზრდავებულიყო.

XIX საუკუნის ბოლოს გავრცელდა გაახალგაზრდავების ყველაზე საშინელი მეთოდი – ვამპირიზმი, ახალგაზრდა სხეულიდან სისხლის ამონოვა. თუმცა ეს მეთოდი მალე უარყოფილ იქნა თანამედროვეთა მიერ.

ფ. ბეკონი მიუთითებდა: რომ გავიგოთ, როგორ გავახანგრძლივოთ სიცოცხლე, საჭიროა ვიცოდეთ, რა ინვესტაცია დაბერებას, რომ იმ მიზეზის მოქმედება შევანელოთ.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა XX საუკუნეში, პირველყოვლისა, განსაზღვრა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ, ბოლო პერიოდში კი მას ბევრად განაპირობებდა ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის კლება.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – ეს არის იმ წელთა საშუალო რიცხვი, რამდენსაც იცოცხლებს ახალდაბადებული თაობა მომავალში იმ პირობით, თუ მოკვდაობის დონე იგივე დარჩება, როგორც ის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრის მომენტშია.

ის გაიანგარიშება მოკვდაობის ცხრილების საფუძველზე, რომელიც აიგება ერთწლიანი ან ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალით. შესაბამისად, ასეთი ცხრილები ცნობილია მოკვდაობის **სრული და მოკლე** ცხრილების სახელწოდებით. მოკვდაობის ცხრილები გვიჩვენებს მოსახლეობის სასიცოცხლო პოტენციალს მოცემულ პერიოდში და ასეთი სახე აქვს:

ასაკი	l_x -ს ასაკს მიღწეულთა რიცხვი	d_x x-ს ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი	q_x x-ს ასაკში გარდაცვალების ალბათობა	p_x x-ს ასაკში ცოცხლად დარჩენის ალბათობა	a_x x-ს ასაკში გარდაც. ნაცოცხდრო საშუალოდ მოცემულ ასაკში	L_x x-ასაკში ცოცხალთა რიცხვი	T_x x-ს ასაკში ნაცხოვრები კაც/წლები	e_x x-ს ასაკში სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა
0-1	10 000	195	0,0195	0,9805	0,10	9825	609646,4	60,96
1-4	9805	43	0,0044	0,9956	0,39	39115	599821,9	61,18
5-9	9762	29	0,0030	0,9970	0,46	48731	560706,9	57,44
და ა. შ.								

ცნობილია, რომ მოკვდაობის ცხრილის შედგენის პირველი მცდელობა ჰქონდა რომაელ სახელმწიფო მოღვაწეს, დომიციუს ულპიანეს (170-228წ.). მას აინტერესებდა განესაზღვრა იმ წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც გარკვეული ასაკის პირებს მუდმივ რენტას აძ-

ლევდნენ. მოკვდაობის მარტივი ცხრილი ააგო ჯონ გრაუნტმაც (1662), გალილეიმ (1693), პ. ლაპლასმა (1816), ა. კეტლემ (1835) და ა. შ.

მოკვდაობის ცხრილები რომ ავაგოთ, უნდა შევასრულოთ მოსამზადებელი სამუშაო. თავდაპირველად, უნდა მოვიპოვოთ **ამოსავალი ინფორმაცია: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები**. ამის შემდეგ უნდა გავანალიზოთ ასაკობრივი სტრუქტურა, რათა ადგილი არ ჰქონდეს ასაკობრივ აკუმულაციას. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს უფროს ასაკობრივ ჯგუფებს. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ ვინცებთ ცხრილის მაჩვენებელთა გამოთვლას. კერძოდ, პირობითად, მთელი თაობის რიცხოვნობა 1-ის ტოლად აიღება. მაგრამ იმისათვის, რომ მეათასედ, მეათათასედ წილადებში არ დავიბნეთ, ცხრილის ფუძეს l_0 -ს ვიღებთ 100000 (ან 10000). $l_{x+1} = l_x - d_x$ ე.ი. $100000 - d_0 = l_1$; $l_1 - d_1 = l_2$ და ა.შ. აქედან გამომდინარე $l_x = l_{x+1} + d_x$;

ზემო გაანგარიშებიდან გამომდინარე, $d_x = l_x - l_{x+1}$;

$q_x = d_x : l_x$, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხრილის აგების სირთულე წარმოიშობა მაშინ, როცა m_x -დან (რეალური მოსახლეობის მოკვდაობის ინტენსივობიდან) გადავდივართ q_x -ზე (ცხრილურისაკენ). თანამედროვე მოკვდაობის სრული ცხრილების აგებისას გამოიყენება შემდეგი თანაფარდობა:

$$q_x = \frac{m_x}{(1 - a_x)m_x}$$

სადაც m_x მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებია;

- $p_x = l - q_x$
- a_x გვიჩვენებს გარდაცვლილთა სიცოცხლის საშუალოდ ხანგრძლივობას მოცემულ ასაკში თუ ასაკობრივ ინტერვალში (მაგალითად, 52 წლის ასაკში გარდაცვლილთაგან ყველა ამ ასაკის შესრულებისთანავე არ კვდება. მათ იცოცხლეს 52 წელი და ერთი თვე; 52 წელი და ორი თვე და ა.შ.).

a_x იცვლება ქვეყნების მიხედვით. იმ ქვეყნებში, სადაც მოკვდაობა მაღალია, $a_0 = 0,3$; ხოლო დანარჩენი ასაკებისათვის – $0,5$.

იქ, სადაც მოკვდაობა დაბალია, $a_{0-4} = 0,1$; დანარჩენი ასაკებისათვის – $0,5$.

$$\bullet \quad L_x = \frac{l_x + l_{x+1}}{2} \quad \text{ან} \quad L_x = (l_x - d_x) + a_x \cdot d_x$$

$L_0 = l_0 - 2/3d_x$, ხოლო ბოლო ასაკობრივი ჯგუფებისათვის

$$L_{85} = \frac{l_{85}}{m_{85}}$$

$$\bullet \quad T_x = T_{x+1} + L_x \quad T_0 = \sum L_x \quad T_1 = T_0 - L_0$$

$$\bullet \quad e_x = T_x : l_x$$

მოკვდაობის ცხრილის აგება რთული არ არის, მაგრამ შრომატევადი სამუშაო კია. ის აიგება ცალ-ცალკე ქალებისათვის, მამაკაცებისათვის და მთელი მოსახლეობისათვის. მას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი საფუძვლად ედება საპენსიო ასაკის განსაზღვრას. ამასთან, მოკვდაობის ცხრილები ფართოდ გამოიყენება ე.წ. აქტუარული გაანგარიშებების დროს იმ სადაზღვევო კომპანიებში, რომლებიც სიცოცხლის დაზღვევაზე მუშაობენ. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (e_x) მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთ კომპლექსურ მაჩვენებელად ითვლება და გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე. ამიტომაც, რომ ის ადამიანური განვითარების ინდექსის ერთ-ერთი მაჩვენებელია. მოკვდაობის ცხრილები აიგება არა მარტო სქესისა და ასაკის მიხედვით, არამედ ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, მოკვდაობის მიზეზების მიხედვით და პროფესიული ნიშნითაც.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე, ძირითადად, ოთხი ფაქტორი მოქმედებს:

1. მოსახლეობის ცხოვრების დონე;
2. ჯანდაცვის სამსახურის ეფექტურობა;
3. სანიტარული კულტურა;

4. ეკოლოგიური გარემო.

ცნობილია, რომ ჩვენი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45-55%-ით დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების წესზე (კვება, შრომის პირობები, მატერიალურ-საცხოვრებელი პირობები), 17-20%-ით – გარე სამყაროსა და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე. ინგლისში განსხვავება საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას შორის 9 წელია. „ადამიანები, რომლებიც არანორმალურ პირობებში ცხოვრობენ, უფრო ხშირად ავადმყოფობენ, ძლიერი სტრესის ქვეშ იმყოფებიან, ხშირად ინვალიდდებიან და უფრო ადრე კვდებიან“ – აღნიშნავს მკვლევარი ემონ ოშეა. როგორც ოჰაიოს უნივერსიტეტის მეცნიერები მიუთითებენ, ხანგრძლივი სტრესი ოთხი წლით ამცირებს სიცოცხლეს. შესაბამისად, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (ცხრილი 3).

ცხრილი 3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (1950-2017წწ.)

	1950-1955			1995-2000			2017		
	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი
მოელი მსოფლიო	46,5	45,2	47,9	65,4	63,2	67,6	70	68	74
განვითარებული ქვეყნები	66,6	64,0	69,0	74,9	71,1	78,7	78	75	82
განვითარებადი ქვეყნები	40,9	40,1	40,9	62,8	63,3	65,5	69	67	71

წყარო: <https://www.Ined.fr/f/Chler/s-rubrIque/211/547-en-bt.en.pdf>

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განსხვავებულია ქალებსა და მამაკაცებში. როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ამაჟამად ეს სხვაობა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) მამაკაცების საქმიანობა უფრო რისკიანია, ბ) გულსისხლძარღვთა დაავადებები კლიმაქსის პერიოდამდე უფრო მეტია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში (народонаселение мира, 2000, UNDP). ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე განმსაზღვრე-

ლი გავლენა იქონია მშობიარობის შემდეგ ქალთა მოკვდაობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისგან განასხვავებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა „სიცოცხლის ნორმალური ხანგრძლივობა“ და „სიცოცხლის მედიანური საშუალო ხანგრძლივობა“.

„სიცოცხლის ნორმალური ხანგრძლივობა“ განისაზღვრება ხანდაზმულობის პერიოდში იმ ასაკით, რომელშიც გარდაცვალების სიხშირე ყველაზე მაღალია. ამ მაჩვენებელს ცნობილმა საბჭოთა დემოგრაფმა ბ. ურლანისმა **სიცოცხლის მოდალური ხანგრძლივობაც** უწოდა. მაგალითად, 1999 წელს საქართველოში სიცოცხლის მოდალური ხანგრძლივობა 72 წელი იყო. რაც შეეხება სიცოცხლის მედიანურ ხანგრძლივობას, ის უჩვენებს იმ ასაკს, რომელსაც მიაღწევს ახალდაბადებულთა ნახევარი.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ უნდა ავურიოთ გარდაცვლილთა საშუალო ასაკში, მით უმეტეს, არ უნდა გაიგივდეს ცოცხალთა საშუალო ასაკთან. ცოცხალთა საშუალო ასაკის სიდიდეზე მნიშვნელოვნად მოქმედებს შობადობის დონე. მაშინ, როცა ბავშვთა წილი დიდია მოსახლეობაში, ცოცხალთა საშუალო ასაკი ბევრად ნაკლები შეიძლება იყოს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე.

6.3. მოკვდაობის ანალიზი გარდაცვალების მიზეზების მიხედვით

მოკვდაობის სიღრმისეული ანალიზის მიზნით შეისწავლება მოკვდაობა გარდაცვალებათა ცალკეული მიზეზების მიხედვით.

მოკვდაობის მიზეზების არსებული კლასიფიკაცია დადგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, მათ შორის, საქართველოშიც. სულ გამოყოფილია გარდაცვალების მიზეზთა 19 კლასი. კერძოდ,

I – ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები;

II – ახალწარმონაქმნები;

III – სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეული დარღვევები;

IV – ენდოკრინული სისტემის, კვების მოშლილობის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დაავადებები;

- V – ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები;
- VI – ნერვული სისტემის დაავადებები;
- VII – თვალისა და მისი დანამატების დაავადებები;
- VIII – ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები;
- IX – სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები;
- X – სუნთქვის ორგანოების დაავადებები;
- XI – საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები;
- XII – კანისა და კანქვეშა უჯრედისის დაავადებები;
- XIII – ძვალკუნთოვანი სისტემისა და შემაერთებული ქსოვილის დაავადებები;
- XIV – შარდსასქესო სისტემის დაავადებები;
- XV – ორსულობის, მშობიარობისა და სხვ. დაავადებები;
- XVI – პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები;
- XVII – თანდაყოლილი ანომალიები და დეფორმაციები;
- XVIII – სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრები, გამოვლენილი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებისას, რომლებიც არაა კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში;
- XIX – ტრავმები, მონამვლები და გარეშე ფაქტორების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი.
- მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ანალიზი წარმოებს როგორც ზოგადი, ისე ასაკობრივი კოეფიციენტებით.
- მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი ამა თუ იმ მიზეზით გარდაცვლილი მოდის ყოველ 100000 კაცზე და გაიანგარიშება ე.წ. პროცენტშილებში (‰) ფორმულით:

$$m_i = \frac{M_i}{P} \times 100000,$$

m_i – i -ური მიზეზით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი;

M_i – i -ური მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვი;

\bar{P} – საშუალოწლიური მოსახლეობა.

მიზეზების მიხედვით ასაკობრივი კოეფიციენტების გაანგარიშების მექანიზმი იგივეა, რაც მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებისა,

მხოლოდ 1 წლამდე ბავშვთა მოკვდაობა მიზეზების მიხედვით იზომება პროდეციმილებში, ე.ი. იანგარიშება ყოველ 10000 კაცზე (‰).

მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების მეშვეობით აიგება მოკვდაობის ცხრილები მოკვდაობის მიზეზების მიხედვით. ეს ცხრილები საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, როგორია მოკვდაობის ცალკეული მიზეზის გავლენა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. ამით გვეცოდინება, საით წარვმართოდ ჯანდაცვის ხარჯები უპირატესად, რათა უზრუნველვყოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის გაუმჯობესება.

ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში შეიმჩნევა მოკვდაობის ზრდის ტენდენცია. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია მოსახლეობის დაბერებასთან, მთელ მოსახლეობაში უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის მნიშვნელოვან ზრდასთან, მეორე მხრივ, არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო მოკვდაობის ზრდასთან 1 წლამდე ასაკში (ეს უკანასკნელი 1990-იან წლებში 5,6‰-ით გაიზარდა). განსაკუთრებით მოიმატა პერინატალურმა მოკვდაობამ (9,7‰-ით). მნიშვნელოვნადაა მომატებული მოკვდაობა 55 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში (7‰-ით).

1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზთაგან წამყვანია: ა) გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; ბ) კიბო; გ) ტრავმები და მოწამვლები; დ) სასუნთქი გზების დაავადებები.

6.4. მოკვდაობის დინამიკის ეკონომიკური ფაქტორები

პირველი დასკვნები მოკვდაობაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესახებ ეკუთვნის ფრანგ მათემატიკოსს - ანტუან დე-პარსიეს. მან ჯერ კიდევ 1746 წელს შენიშნა, რომ ბავშვთა მოკვდაობა უფრო მცირე იყო მაღალშემოსავლიან ოჯახებში, ვიდრე დაბალშემოსავლიანში. უფრო გვიან, 1766 წელს, ფრანგი საგადასახადო ინსპექტორი მ. მესანსი შენიშნავს მოკვდაობის ზრდას პურის ფასების ზრდისას. თუმცა ბოლო 250 წლის განმავლობაში უამრავი ნაშრომი შეიქმნა მოცემულ საკითხზე, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია **ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფცია**, რომელიც აღწერს მიზეზების მიხედვით მოკვდაობის სტრუქტურული ცვლილების ტენდენციას. ის შემოთავაზებულია დასავლეთის დემოგრაფთა და ეპიდემიოლოგთა მიერ. თვით

ტერმინი „ეპიდემიოლოგიური გადასვლა“ ეკუთვნის ამერიკელ დემოგრაფსა და სოციალ-ჰიგიენისტს **ა. ომრანს**. 1971 წელს ის აქვეყნებს შრომას: „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეპიდემიოლოგიური ასპექტი“. სწორედ ამ შრომაშია გამოყენებული ტერმინი „ეპიდემიოლოგიური გადასვლა“.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფციის ძირითადი თეზისებია: ა) მოკვდაობა მოსახლეობის დინამიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია; ბ) ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში ავადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლებმა დიდი ცვლილება განიცადა. კერძოდ, ინფექციური პანდემიები ჩაანაცვლა დეგენერაციულმა და პროფდაავადებებმა; გ) ეპიდემიოლოგიური გადასვლისას ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობის მაჩვენებლებში; დ) ცვლილებები ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობის მაჩვენებლებში პირდაპირაა დაკავშირებული დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან. მაგალითად, ფრანგმა დემოგრაფმა ჟაკ ვალენმა 1968 წელს განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე უჩვენა მჭიდრო კავშირი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალსა და მოკვდაობის დონეს შორის და აღნიშნა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისათვის საკმარისი არაა მხოლოდ სამედიცინო მომსახურების გააუმჯობესება, ამან, შესაძლოა, მაქსიმუმ 60 წლამდე გაზარდოს ეს მაჩვენებელი. საჭიროა მნიშვნელოვანი ძვრები ეკონომიკური განვითარებისათვის.

1. ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფცია მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ორ სახეს გამოყოფს:

1) ენდოგენურს; 2) ეგზოგენურს.

ენდოგენური მოკვდაობა გამონვეულია ადამიანის შიგა ფაქტორების ზემოქმედებით. ის დაკავშირებულია ადამიანის ბიოლოგიურ განვითარებასთან, დაბერების პროცესთან და მთელ რიგ გენეტიკურ მახასიათებლებთან (მემკვიდრეობითი დაავადებანი, მუტაცია და ა.შ.);

ეგზოგენური მოკვდაობა კი - გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით. კერძოდ, ის დაკავშირებულია ეკოლოგიურ გარემოსთან, სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან, წარმოების განვითარებასთან, სამედიცინო მომსახურების დონესთან და ა.შ.

ბოლო ხანს გამოყოფენ მიზეზების მიხედვით მოსახლეობის მოკვდაობის უკვე სამ სახეს:

1) ეგზოგენური; 2) კვაზიენდოგენური; 3) ენდოგენური.

კვაზიენდოგენურ მოკვდაობაში იგულისხმება დაგროვილი ეგზოგენური ფაქტორებით წარმოშობილი მოკვდაობა. ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული მოკვდაობა, უმეტესწილად, ორივე, ეგზოგენური და ენდოგენური, ფაქტორებითაა გამოწვეული. ამიტომ მისი გამოყოფა ყოველთვის გამართლებული არაა. მაგალითად, ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ჟ. ბურჟუა-პიმა ეგზოგენურ მიზეზად მხოლოდ სასუნთქი გზების დაავადებებს, ინფექციებს და ტრავმებს მიიჩნევდა; დანარჩენ ყველა მიზეზს კი – ენდოგენურად, მათ შორის, სისხლის მიმოქცევის დაავადებებსა და კიბოს.

განსხვავებულ კლასიფიკაციას იძლევიან ამერიკელი დემოგრაფები - ს.ს. პრესტონი, ნ. კეიფეცი და პ. შოენი. ისინი გარდაცვალების ენდოგენურ მიზეზებად მიიჩნევენ კიბოს, დიაბეტს, ციროზს, სისხლის მიმოქცევის დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის წყლულს და ა.შ., ხოლო ინფექციურ დაავადებებს, გრიპს, ბრონქიტს, დედათა მოკვდაობას, ტრავმებს გარდაცვალების ეგზოგენურ მიზეზებს მიაწერენ.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფციით, ადრეულ პერიოდში ენდოგენური და კვაზიენდოგენური მიზეზებით არსებული მოკვდაობა ეგზოგენური მიზეზებით გამოწვეული მოკვდაობით შეიცვალა.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გაჩნდა, ძირითადად კი ეს პროცესი XIX საუკუნის შუახანებში განვითარდა და უკავშირდება ამ პერიოდში მედიცინაში არსებულ პროგრესს, რომელმაც განაპირობა ინფექციურ დაავადებათა, ეპიდემიათა შემცირება, დიაგნოსტიკაში მიღწეული წარმატებები, პირადი ჰიგიენის გაუმჯობესება და ა.შ.

ჩვეულებრივ, ეპიდემიოლოგიური გადასვლის ოთხ სტადიას გამოყოფენ:

- 1) დაავადებანი და შიმშილი;
- 2) ინფექციური დაავადებების შემცირებადი პანდემია;
- 3) დეგენერაციული და პროფდაავადებები;
- 4) გადადებული დეგენერაციული დაავადებანი.

– პირველ სტადიაზე განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების შეზღუდვა ან ლიკვიდაცია ხდება. ამ დაავადებებს ზოგჯერ ეპიდემიის, ზოგჯერ კი – პანდემიის სახეც ჰქონია (შავი ჭირი, ქოლერა, ტიფი და სხვა.), რაც ხშირად მოსახლეობის შიმშილსაც იწვევდა.

– მეორე სტადიაზე უკან დაიხია ისეთმა დაავადებებმა, როგორცაა ტუბერკულოზი, კუჭ-ნაწლავის ინფექციები, ბავშვთა ინფექციები და ა.შ. ამავე დროს, ამ პერიოდში იზრდება კვაზიენდოგენური მიზეზებით გარდაცვალება, კერძოდ, გარდაცვალება სისხლის მიმოქცევის დაავადებებით, კიბოთი და ა.შ., რომლებიც ახალგაზრდა ასაკშიც ჩნდება. ეს დაავადებები ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებით გაჩნდა, რაც არაკონტროლირებად ინდუსტრიას უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, იწვევდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას, ნერვულ სტრესს. ამავე დროს, ამ სტადიაზე დაიწყო წარმოებაში უბედური შემთხვევებით გამოწვეული მოკვდაობის ზრდა.

– მესამე სტადიაზე იწყება ბრძოლა გარემოს დაცვისთვის, ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის; იცვლება ადამიანთა თვითშენახვითი ქცევა. იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრობენ, მისდევენ სპორტს, სწორად იკვებებიან და იცავენ პირად ჰიგიენას. მედიცინაში მიღწეულმა წარმატებებმა, პროფილაქტიკური მედიცინის განვითარებამ ბევრი დაავადება მოსპო და შეამცირა მოკვდაობაც. შედეგად, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

– მეოთხე სტადია არც ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო. მისთვის დამახასიათებელია მოკვდაობის დაბალი დონე და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემდგომი ზრდა.

ამ სტადიაზე კვაზიენდოგენური და ენდოგენური ბუნების დაავადებების პროფილაქტიკამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოკვდაობა. ამასთან, შეიმჩნევა პროგრესი თანდაყოლილ დაავადებათა მკურნალობაში. მცირდება ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა მოკვდაობა. კლებულობს მოკვდაობა სიბერის ასაკშიც.

პირველ სამ სტადიაზე, ძირითადად, უმჯობესდება ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობა, მეოთხეზე – ხანდაზმულთა და მოხუცთა ჯანმრთელობა, განსაკუთრებით მამაკაცებში. ამავე დროს, მეოთხე სტადიაზე მატულობს ქრონიკული დაავადებანი, იზრდება ჯანმრთელობის პროფილაქტიკაზე დამოკიდებულება. ეპიდემიოლოგიური გადასვლის **ორი მოდელი** არსებობს:

1) **დასავლური კლასიკური** მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია გადასვლის სწრაფი ტემპი.

2) **თანამედროვე** მოდელი დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებსაც ახასიათებს ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა მოკვდაობის მაღალი დონე, აგრეთვე, ეპიდემიოლოგიური გადასვლის ნელი ტემპი.

ეპიდემიოლოგიური გადასვლის ტემპი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. მაგალითად, ა. ომრანი ფაქტორთა სამ ჯგუფს გამოყოფს:

1) ეკობიოლოგიური (გარემოს მდგომარეობა, იმუნური სისტემის თავისებურებანი);

2) სოციოკულტურული (ეკონომიკა, პოლიტიკა, კვება, ჰიგიენა და ა.შ.);

3) სამედიცინო (სანიტარული, სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებები).

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ფაქტორთა მოქმედება განსხვავებულია - დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის **თვითმოვლით ქცევაზე** (ქცევაზე, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვის და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისკენ).

1980-90-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემდგომ ზრდას შეიძლება მივაღწიოთ გართულებული ქრონიკული დაავადებებისა და კიბოთი გარდაცვალების სიხშირის შემცირებით, სიბერის პროცესის შენელებით. ამასთან, ეპიდემიოლოგიური გადასვლის პროცესში ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ე.წ. „უკუგადასვლასაც“. ამის მაგალითია შიდსის ეპიდემია აფრიკის ქვეყნებში, მოსახლეობის მოკვდაობის ზრდა რუსეთში 1990-იან წლებში, ზრდასრულ ასაკში მამაკაცთა მოკვდაობის ზრდა 1952-1985 წწ-ში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამერიკელი მეცნიერი, მილტონ ტერისი, მიმოიხილავს რა 1950-70 წლებში განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა სტაგნაციის პროცესს, აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონოდა „უკუგადასვლის“ პროცესს, რომ არა ამ ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიება. კერძოდ, მათ ჯანდაცვის ხარჯები მშპ-ს 3-5%-დან 6-12 %-მდე გაზარდეს.

1990-იან წლებში რუსმა მეცნიერმა ვ. კრიჩაგინმა გამოყო სამი ეპიდემიოლოგიური რევილუცია. პირველი დამთავრდა 1960-იან წლებში და ეწოდა „სანიტარული“. ის იყო სამრეწველო რევილუციის შედეგი და მიმართული იმ დაავადების წინააღმდეგ, რომელსაც ინვევდა ესა თუ ის

მიკრობი, რამაც საშუალება მოგვცა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წლამდე გაზრდილიყო; მეორე – ე.წ. „პროფილაქტიკური“, 1970-1990-იან წლებში. ამ პერიოდში მედიცინის განვითარებამ, კერძოდ, დიაგნოსტიკის მეთოდების გაუმჯობესებამ, საშუალება მოგვცა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 85 წლამდე გაზრდილიყო. მესამე ეპიდემიოლოგიური რევოლუცია, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო 1990-იანი წლებიდან, მიმართულია არა მარტო ავადობისაგან დაცვის ღონისძიებისაკენ, არამედ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, მისი სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

მოკვდაობაზე ეკონომიკის გავლენის რაოდენობრივი შეფასებისათვის მოდელის აგებისას ყველაზე დიდი სირთულე გვხვდება: 1) ავადობისა და მოკვდაობის ურთიერთკავშირის დახასიათებისას, განსაკუთრებით მესამე სტადიაზე, როცა მოკვდაობის ძირითადი მიზეზი ქრონიკული დაავადებაა; 2) **ზღვრული სიცოცხლის ხანგრძლივობის** შეფასებისას (მაჩვენებელი, რომელიც მოსალოდნელი სიცოცხლის გაზრდის პერსპექტივას უჩვენებს); 3) ჯანმრთელობის, როგორც ინდივიდუალური არჩევანის დახასიათებისას.

6.5. ავადობისა და მოკვდაობის ცვლილების ურთიერთკავშირი

ავადობის ანალიზი შესაძლებელია სამი სახით: 1. თვითშეფასებით, რომელიც სპეციალური გამოკვლევით დგინდება; 2. დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზით, ზოგჯერ, ავადმყოფობათა ფურცლებით (ე.წ. ბიულეტენებით) ნაჩვენები იმ დღეების რიცხვით, რაც ავადმყოფობით გაცდა; 3. სხვადასხვა დაავადებების გავრცელების მაჩვენებლით. კერძოდ, ამა თუ იმ სენით დაავადებულთა რიცხვით მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე.

ავადობისა და მოკვდაობის ურთიერთკავშირის ახსნაში სხვადასხვა მიდგომა არსებობს:

1. **ბუნებრივი შერჩევის ეფექტი.** ამ მიდგომით მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ გენეტიკურად სუსტი ადამიანების სიცოცხლის ზრდისკენ, ამას ხანგრძლივ პერსპექტივაში მოსდევს ავადობის ზრდა. მაგალითად მოჰყავთ მე-19 საუკუნეებში ინგლისსა და უელსში ინ-

ფექციური დაავადებების შემცირების შემდეგ ქრონიკული დაავადებების ზრდა, ავადობის ხანგრძლივობის ზრდა და ავადობის გავრცელება.

2. კოჰორტის ეფექტი. ამ მიდგომით, ყველა ინდივიდი იზადება ჯან-მრთელობის გარკვეული რეზერვით. ეს რეზერვი იზრდება დროთა განმავლობაში ინფექციური დაავადებებით, არასრულფასოვანი კვებითა თუ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. ამის გამო იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა. ერთი სიტყვით კოჰორტის ეფექტი ბუნებრივი შერჩევის ეფექტის საპირისპირო მიდგომაა.

3. უკუკოჰორტული ეფექტის ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისაკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალების შემთხვევათა შემცირება. თუმცა იმუნური აქტივობის ამალღებამ შეიძლება მიგვიყვანოს აუტოიმუნური ქრონიკული დაავადების ზრდამდე, როცა იმუნური სისტემა ორგანოს სანინაალმდეგოდ იწყებს მუშაობას.¹

4. გადაღებული სიკვდილის ეფექტი. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შემცირება უფრო მეტად ზრდის იმ მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელიც ქრონიკული დაავადებებით, ათეროსკლეროზით, დიაბეტით და სხვ. სენითაა დაავადებული.

5. ავადობის შემცირების ეფექტი. ამ მიდგომის მომხრეები მიუთითებენ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ქრონიკული დაავადებების დაჩქარებულ კონცენტრაციას მივყავართ მოკვდაობის მაჩვენებელთან შედარებით ავადობის მაჩვენებლის მეტად შემცირებამდე. მაგრამ მოხუცი მოსახლეობის წილის ზრდისას ამ ეფექტით ქრონიკული დაავადების ზრდას ვაღწევთ.

¹ იმუნური სისტემა იცავს ადამიანის ორგანიზმს სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორისაგან (ბაქტერია, ვირუსი, სიმსივნური უჯრედი, ტოქსინი და სხვ.) მათი ამოცნობისა და განადგურების გზით, თუმცა ზოგჯერ ირღვევა იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება და ის საკუთარ ქსოვილებს აღიქვამს როგორც უცხო და, შესაბამისად, იწყებს მათთან ბრძოლას. ეს არის აუტოიმუნური დაავადები სგანვითარების საფუძველი. ამ პროცესების ზუსტი მიზეზი ბოლომდე უცნობია, თუმცა არსებობს გენეტიკური წინასწარ განწყობა აუტოიმუნური დაავადებების მიმართ. იმუნური სისტემის ფუნქციის დარღვევის სტიმულატორი შეიძლება იყოს ტრავმა, სტრესი, სხვადასხვა ინფექციური დაავადება და ა.შ. აუტოიმუნურმა პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილის დესტრუქცია, ორგანოს პათოლოგიური ზრდა, ორგანოს ფუნქციის შეცვლა.

6. სამედიცინო მომსახურების ეფექტი. ის განაპირობებს არა მარტო მოკვდაობის შემცირებას, არამედ საკუთარი ჯანმრთელობისადმი ყურადღების გაძლიერებას. ამ დროს დიაგნოსტიკის გაუმჯობესებას მივყავართ ქრონიკული დაავადებების გავრცობის ზრდისკენ, ჯანმრთელობის სტანდარტის ამაღლებისკენ, სამედიცინო დაზღვევის გაუმჯობესებისკენ და ავადმყოფობისას სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისაკენ.

სირთულე, რომელიც ვლინდება ავადობისა და მოკვდაობის ურთიერთკავშირის დადგენისას, ართულებს შესაბამისი ეკონომიკური მოდელების დამუშავებას. ასეთ მოდელებში ისეთი მახასიათებლები უნდა იყოს გამოყენებული, როგორცაა დაავადების გავრცელების მაჩვენებელი, ავადობის სიხშირის, ამა თუ იმ მიზეზით მოკვდაობის მაჩვენებელი, სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი, მოსახლეობის საშუალო ასაკი, ჯანდაცვის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელი, დაავადების წარმოშობის რისკფაქტორები.

ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ეკონომიკური მოდელი ეყრდნობა ადამიანური კაპიტალის თეორიას. ის აღწერს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ცვლილებას, როგორც ადამიანური არჩევანის შედეგს. ეს მოდელი შობადობის ეკონომიკურ მოდელთან შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული.

ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე თანმიმდევრული აღწერა მოგვცა მ. გროსმანიმა ჯანმრთელობაზე მოთხოვნის მოდელში. გროსმანი გამოდის იქიდან, რომ ჯანმრთელობის კაპიტალი სხვა ადამიანური კაპიტალის ფორმებისგან განსხვავდება. მაგალითად, განათლების კაპიტალი ზემოქმედებს ინდივიდის საბაზრო და არასაბაზრო მწარმოებლურობაზე, მაგრამ ჯანმრთელობის კაპიტალი არის იმ დროის მარაგი, რომელსაც ინდივიდი ფლობს ფულადი თუ სასაქონლო რესურსების სანარმოებლად. ის იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს: 1) ამა თუ იმ ასაკში ჯანმრთელობის მარაგი; 2) ჯანმრთელობის მარაგის ერთეულზე განეული მომსახურება; 3) სხვა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა. ეს მოდელი უჩვენებს, რომ შემოსავლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციით ინდივიდი ირჩევს საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობას, ე.ი. ჯანმრთელობაში ინვესტიციების ჩადებით ინდივიდი არჩევანს აკეთებს

სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ცხოვრების დონეს შორის. აშშ-ს მაგალითზე აგებულმა გროსმანის მოდელმა უჩვენა:

1. განათლების დონეს და ხელფასის განაკვეთს პოზიტიური გავლენა აქვს ჯანმრთელობის მოთხოვნაზე;

2. ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ჯანმრთელობის მარაგის შემცირება და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;

3. ჯანდაცვის ხარჯების ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ჯანმრთელობის კაპიტალის გაუფასურების ზრდის ტემპთან.

ჯანმრთელობის ეკონომიკური მოდელების აგებისას გასათვალისწინებელია ქვეყნების დიფერენციაცია ეკონომიკური განვითარების მიხედვით; ასაკობრივი ჯგუფების დიფერენციაცია და მოდელირების პერიოდი (წლების რაოდენობა). მრავალფაქტორულ ანალიზისას ეგზოგენური ცვლადები უნდა ასახავდეს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს (განათლების დონეს, შემოსავლებს, ფასების დონეს, ჯანდაცვის სისტემის განვითარებას და ა. შ.); როცა ვიყენებთ ცვლადად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასზე ასახულია წარსულში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ამჟამინდელი კი გავლენას იქონიებს პერსპექტივაში სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ამჟამად პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ეკონომიკური მოდელების დამუშავება მიკრომაჩვენებლებით. მაგალითად, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის გამოყენება, სხეულის წონა, და ა. შ.

მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ემპირიული მოდელები იყოფიან ორ ჯგუფად: 1) მოდელები განზოგადებული მაჩვენებლებით (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი); 2) მოდელები სპეციალური მაჩვენებლებით (მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, მოკვდაობა მიზეზების მიხედვით და ა. შ.). პირველი ჯგუფის მოდელები, ძირითადად, დამუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, ე.წ. *Bachue-International*-ის მოდელით (25 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აიგო), მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (*e_x*) პირდაპირპროპორციულია საშუალოსულადობრივი შემოსავლისა, ზრდასრული მოსახლეობის განათლების დონისა, მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფისა და შემოსავლების თანაბარი განაწილებისა. გაეროს მოდელით, ერთ სულზე მშპ-ს 1%-ით ზრდა 1%-ით ზრდის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას. მოდელით, რომლის

ავტორები არიან ბლუმი დ., კანინგი დ., და მელანი პ., ნაჩვენებია, რომ სულადობრივი შემოსავლის ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე ზემოქმედებს გრძელვადიან პერიოდში, რადგან მასზე, შემოსავლების გარდა, უამრავ სოციალურ თუ სხვა სახის ფაქტორს აქვს გავლენა. მათი დასკვნით, 10 %-ით შემოსავლების ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას 1,5-1,9%-ით ზრდის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამუშავებულია მოდელი, რომელიც აგებულია მოკვდაობის მიზეზების მიხედვით. ისინი სამ ჯგუფადაა დაყოფილი.

6.6. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია

პირველი ცნობები გარდაცვლილთა ასაკის შესახებ მიეკუთვნება პალეოლითის პერიოდს. დადგენილია, რომ გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 16 წელი იყო. მეზოლითის ხანაში კი – 21 წელი. კვლევებით დადგინდა, რომ ნეოლითის ხანაში გარდაცვლილთა მოდალური ასაკი 32 წელი იყო. იმავე ციფრს მიუთითებს ძველი რომის პერიოდის მონაცემებიც. რაც შეეხება ევროპას, X-XIV სს. გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 29 წელია. დასტურდება, რომ არისტოკრატთა შორისაც კი, სიბერის ასაკს მცირენი აღწევდნენ. ძალიან მაღალი იყო ჩვილ ბავშვთა გარდაცვალება (31,2%). მოკვდაობის დონე 1000 სულზე 40 პრომილეს ფარგლებში იყო. ეპიდემიები მუსრს ავლებდა მოსახლეობას. მაგალითად, 1347-1352 წლებში შავი ჭირის ეპიდემიის გამო ევროპის ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის ნახევარი განადგურდა. 1868 წელს ფინეთში შიმშილობის გამო მოკვდაობა 1000 სულზე 80-მდე გაიზარდა. მედიცინის პროგრესმა მეტად შეუწყო ხელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას. მაგალითად, შრი ლანკაში მალარიის აღმოფხვრის შედეგად ეს მაჩვენებელი ორ წელიწადში 12 წლით გაიზარდა. არსებობს მოსაზრება, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მომავალში 115 წლამდე შეიძლება გაიზარდოს, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სიცოცხლის ბიოლოგიური ზღვარი 95 წელია.

მოკვდაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა **შიდსის პანდემია**. ეს დაავადება მეტად ხშირია აფრიკაში. ცნობილია, რომ შიდსით დაავადების გამო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ზიმბაბვეში შემცირებული იყო 37 წლით, ხოლო კენიაში – 25 წლით. შიდსის გამო სამხრეთ აფრიკის მოსახ-

ლეობა 2050 წლისათვის შეიძლება 50%-ით ნაკლები იყოს. შიდსს დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე. მაგალითად, შიდსის გარეშე ბოცვანას მოსახლეობა პროგრესული ტიპის იქნებოდა. ამასთან, 2008 წელს ამ ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 38,2 წელი იყო. შიდსის ინფექციის გარეშე კი ეს მაჩვენებელი 71 წელი შეიძლებოდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, შიდსი ერთადერთი დაავადება არაა, რომელიც მუსრს ავლებს მოსახლეობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 30-ზე მეტი ახალი ინფექციური დაავადება გამოაცხადა: ებოლა (1977), ლეგიონერების დაავადება (1977), ჰემორაგიული ცხელება (1977), C ჰეპატიტი (1989), ფრინველის გრიპი (1997), ატიპური პნევმონია (2003) და ა. შ. ახალ დაავადებებთან ერთად, თავი იჩინეს ძველებმაც, კერძოდ, ყვითელი ცხელება და მენინგიტი (აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში).

მეორე პანდემია, რომელიც შიდსზე ნაკლებადაა გამოხატული, მაგრამ კონკურენციას უწევს მას მზარდი მოკვდაობით, არის **თამბაქოს მოხმარება**, რისგანაც ყოველწლიურად მსოფლიოში იღუპება 5 მილიონი ადამიანი. ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი 2020 წლისათვის გაორმაგდება. აქტიური პიარკამპანიის საშუალებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეამცირეს მწვევლთა რიცხვი, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში, და აღმოსავლეთ ევროპაშიც, ის საკმაოდ დიდია. ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის თამბაქოს მოხმარების გამო დაღუპულთა რაოდენობა შიდსით გარდაცვლილების რაოდენობასაც კი გადააჭარბებს.

როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში არასწორი კვების პრობლემაა. მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ის უკავშირდება არასწორი კვებით (სწრაფი კვება და ა.შ.) გამოწვეულ სიმსუქნეს (მაგალითად, აშშ-ში, რომ არა სიმსუქნე, 5 წლით მეტი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იქნებოდა), განვითარებადში კი - არაჯანსაღ, არასაკმარის კვებას. მაგალითად, XXI საუკუნის დასაწყისში 170 მილიონი ბავშვის წონა ნორმაზე ნაკლები იყო და ყოველწლიურად 3 მილიონი ბავშვი კვდებოდა.

განვითარებად ქვეყნებში სიკვდილის მნიშვნელოვანი მიზეზი (რეპროდუქციული ასაკის ქალებში) ორსულობისა და მშობიარობის დროს დედათა მოკვდაობაა. ამ ქვეყნებზე მოდის დედათა გარდაცვალების 99%. აშშ-ში კი მოზარდთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზი (73%) ავტომანქანით გამოწვეული ავარიებია. მაშასადამე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის რეზერვები არსებობს და საზოგადოებას მეტი ძალის-

ხმევა სჭირდება ამ პრობლემების მოსაგვარებლად. სამწუხაროდ, 2015 წლის მონაცემებით, საქართველო ლიდერი იყო ავტოავარიაში დაღუპულთა რაოდენობით (მილიონ კაცზე, ამ მიზეზით, 116 დაღუპული მოდის.). 2018 წელს საქართველოში ავტოშემთხვევებით დაიღუპა 459-მდე კაცი.

მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ინტეგრალური მაჩვენებელია. ეკონომიკური ფაქტორების მოკვდაობაზე გავლენის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვრული მოსალოდნელი სიცოცხლის შეფასებას. ზღვრული მოსალოდნელი ხანგრძლივობა არის მაქსიმალური ასაკი, რომლის მიღწევა შეუძლია ადამიანს ცხოვრების ოპტიმალურ პირობებში. როგორ უნდა განვსაზღვროთ ცხოვრების ოპტიმალური პირობები? ჯერჯერობით, ცხოვრების ოპტიმალური პირობები პრაქტიკულად არც განსაზღვრულია და არც უზრუნველყოფილი. ამიტომ სიცოცხლის ზღვრული ხანგრძლივობის შეფასება თეორიულად ხდება. კერძოდ, მისი განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მაგალითად, ისტორიული მიდგომით, მე-18 საუკუნეში ჟ. ბუფონმა საზოგადოებას შესთავაზა ასეთი თეზისი: სიცოცხლის ზღვრული ხანგრძლივობა 6-7-ჯერ მეტია დაბადებიდან ზრდასულობამდე მიღწევის პერიოდზე. მაგალითად, თუ ავიღებთ ამ პერიოდად 14 წელს, გამოდის, რომ ეს ასაკი 85-100 წელია. არსებობს დემოგრაფიული, ბიოდემოგრაფიული, ბიოგერონტოლოგიური მიდგომებიც.

თემა 7. ოჯახის დემოეკონომიკა

7.1. ქორწინება

ოჯახის ფორმირება ქორწინების საფუძველზე ხდება.

ქორწინება საზოგადოების რეგულირებადი, სანქცირებული ურთიერთობის ფორმაა მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც მათ უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს როგორც ერთმანეთის, ისე შვილების მიმართ.

ისტორიულად ქორწინებამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და საუკუნეების მანძილზე მისი ფორმები იცვლებოდა.

ქორწინების ორი სახე არსებობს:

1) **მონოგამიური** (ერთწყვილიანი) – ერთ ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინება;

2) **პოლიგამიური** (მრავალწყვილიანი) – ერთი მამაკაცის ქორწინება რამდენიმე ქალთან – **პოლიგინია** (მრავალცოლიანობა), ან ერთი ქალის ქორწინება რამდენიმე მამაკაცთან – **პოლიანდრია** (მრავალქმრიანობა).

ისტორიულად პოლიგინია უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე პოლიანდრია. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ჯონ მერდოკის მონაცემებით, ისტორიაში პოლიგამია 4-ჯერ მეტი სიხშირით გვხვდება, ვიდრე მონოგამია.

მრავალცოლიანობა ძირითადად იყო და დღესაც არის გავრცელებული ისლამურ ქვეყნებში.

მრავალქმრიანობა ქორწინების ნაკლებად გავრცელებული ფორმაა, რომელიც ამჟამად ინდოეთისა და ტიბეტის მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილშია შემორჩა **ფრატერნალური** პოლიანდრიის სახით (ე.ი. ერთი ქალის ქორწინება რამდენიმე ძმასთან).

ამჟამად არსებული ტენდენციით, პოლიგამიური ქორწინება თანდათან მცირდება და უფრო მეტად ვრცელდება მონოგამიური ქორწინება, მათ შორის, ისლამურ ქვეყნებშიც. ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში ის კანონითაც აიკრძალა. მაგალითად, თურქეთში, პოსტკომუნისტურ ისლამურ ქვეყნებში.

ბოლო ხანს საკმაოდ გავრცელდა ე.წ. სერიული მონოგამია ანუ ხელმეორე ქორწინება (განქორწინების შემდეგ ქორწინება). ამ პროცესმა

ისეთი მასშტაბები შეიძინა, რომ ზოგიერთი ექსპერტის შეხედულებით, ქორწინებამ უფრო დროებითი ალიანსის ფორმა მიიღო, ვიდრე ქალსა და მამაკაცს შორის სასიცოცხლო კავშირისა.

ქორწინება **საქორწინო შერჩევის** შედეგია. ეს საქორწინო წრეში ამა თუ იმ ხერხით პოტენციურ საქორწინო პარტნიორთა შერჩევაა.

საქორწინო წრე კი პოტენციურ საქორწინო პარტნიორთა ერთობლიობაა. საქორწინო შერჩევა ხდება ეკონომიკური, სოციალური, სოციო-კულტურული და სხვა პირობების გათვალისწინებით. ასეთი შერჩევის თავისებურება დაკავშირებულია ისტორიული განვითარების სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვა კულტურების არსებობასთან, საქორწინო პარტნიორთა შერჩევის სივრცესთან, ინდივიდუალური შერჩევის თავისუფლების ხარისხთან (მაგალითად, ფეოდალურ საქართველოში თავადს უფლება არ ჰქონდა, გლახე დაქორწინებულიყო და პირიქით). ამასთან, ტრადიციულ საზოგადოებაში მკაცრი მონოგამიის პირობებში შეზღუდული იყო ხელახალი ქორწინებაც. ზოგიერთ კულტურაში ქორწინება მშობელთა მკაცრ კონტროლქვეშ ხდებოდა.

დემოგრაფიას ქორწინება აინტერესებს, როგორც საქორწინო კავშირის ფორმირების მასობრვი პროცესი, შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიას აინტერესებს ქორწინებადობა.

ქორწინებადობა გულისხმობს საქორწინო წყვილთა შექმნის პროცესს. ის როგორც სხვა დემოგრაფიული პროცესი, ხასიათდება როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისე ზოგადი და კერძო დემოგრაფიული კოეფიციენტებით. პრაქტიკაში ძირითადად გავრცელებულია ამ კოეფიციენტების გაანგარიშება ერთი კალენდარული წლისათვის. ამ შემთხვევაში ქორწინებადობის ზოგადი მაჩვენებელი გამოიანგარიშება ასე:

$$b = \frac{B}{P} \times 1000,$$

სადაც B – ქორწინებათა რაოდენობაა; \bar{P} – მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა.

ქორწინების ზოგად მაჩვენებელს იგივე ნაკლი აქვს, რაც საერთოდ ახასიათებს ზოგად კოეფიციენტებს. ამის გამო პროცესის სრულყოფილი ანალიზისათვის გამოიყენება შეფარდებითი, ანუ კერძო დემოგრაფიული კოეფიციენტები. ასეთია **ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი**, რომელიც გაიანგარიშება ასე:

$$b_{\text{სპეც}} = \frac{B}{\bar{P}_{16+}} \times 1000,$$

სადაც \bar{P}_{16+} 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობაა. სასურველია, ეს მაჩვენებელი გაანგარიშდეს ცალკე ქალებისათვის, ცალკე მამაკაცებისათვის.

საერთოდ, ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით მოსახლეობა შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: 1) ქორწინებაში მყოფი, ანუ დაქორწინებული; 2) ქორწინებაში ჯერაც არასდროსმყოფი, ანუ დაუქორწინებელი; 3) ქვრივი; 4) განქორწინებული. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ხელმეორედ დაქორწინებულებს. ქორწინების სპეციალური კოეფიციენტი შეიძლება თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკე გამოითვალოს.

ქორწინების სპეციალური კოეფიციენტის გარდა, ქორწინებადობის კიდევ უფრო ღრმა ანალიზისათვის გამოიყენება **ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები** (სპეციალური ასაკობრივი კოეფიციენტები), რაც ხელს უწყობს ქორწინების ინტენსივობის განსაზღვრას ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში და მის გაანგარიშებას ცალ-ცალკე სქესის და ცალკეული საქორწინო კატეგორიის მიხედვით, ასევე, პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის.

ქორწინებადობის დასახასიათებლად იყენებენ **ქორწინების ჯამობრივ კოეფიციენტსაც**, რომელიც, სპეციალური ასაკობრივი კოეფიციენტების მსგავსად, შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს როგორც საერთო, ისე ცალ-ცალკე პირველი და ხელმეორე ქორწინებისათვის.

ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი ახასიათებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ერთხელ მაინც იყო დაქორწინებული. ის გვიჩვენებს მოცემულ თაობაში ქორწინებათა სიხშირეს და მიუთითებს, საშუალოდ რამდენი ქორწინება მოდის ერთ ქალზე ან მამაკაცზე, ან ორივეზე ერთად. ეს კოეფიციენტი **მამაკაცებისათვის** გაიანგარიშება ასე:

$$b_{\text{ქ.ჯ.კ.}} = \frac{\sum_{x=16}^{69} b_x}{1000},$$

სადაც b_x ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტია;

69 წლის ასაკი ითვლება მამაკაცებში საბოლოოდ დაუქორწინებლობის წლად.

ქალებისათვის ამ ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$b_{ქ.წ.ტ.} = \frac{\sum_{x=1}^{50} b_x}{1000},$$

რადგან 50 წელზე ხნოერი თავისუფალი მამაკაცები ცოტაა, მამაკაცთა 90% დაქორწინებულია.

ამას გარდა, ქორწინებადობა ხასიათდება ისეთი მაჩვენებლებითაც, როგორიცაა **დაქორწინების საშუალო ასაკი, პოტენციური ქორწინების მაჩვენებლები, ქორწინებადობის ალბათური ცხრილები.**

საქართველოში 1990 წელს მამაკაცების პირველი დაქორწინების საშუალო ასაკი 27 წელი იყო, ქალებისა – 24 წელი, 2018 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მამაკაცების გახდა 30 წელი, ხოლო ქალებისა – 27 წელი. მამაკაცთა ხელმეორე ქორწინების ასაკი 1990 წელს 42 წელი იყო, ქალებისა – 40 წელი, 2018 წელს კი, შესაბამისად, 41 და 38 წელი.

დაქორწინების საშუალო ასაკზე მნიშვნელოვან გავლენა აქვს ომს. ომის შედეგად ეს ასაკი იზრდება. ბევრი ადამიანი კი საერთოდ დაუქორწინებელი რჩება. მატულობს ქვრივების წილი და მამაკაცთა სიმცირის გამო განქორწინებათა რიცხვიც იზრდება (ეს არის ომის პირდაპირი შედეგი). ომის შედეგები ვრცელდება ომისშემდგომ თაობაზეც - კერძოდ, ომის პერიოდში შობადობა მცირდება, მაგრამ ომის შემდგომ იგი მკვეთრად იზრდება. ირღვევა თანაფარდობა ომამდელ, ომის პერიოდისა და ომისშემდგომ თაობათა რაოდენობას შორის. რადგან ქალი, უმთავრესად, მასზე უფროს მამაკაცს მიჰყვება ცოლად, ჩნდება ისეთი საქორწინო ასაკები, სადაც „საქმროთა“ ან „საცოლეთა“ დეფიციტია.

რაც შეეხება ქორწინების ალბათურ ცხრილებს, ის ნათლად უჩვენებს მოცემული თაობის განაწილებას დაქორწინების ასაკის მიხედვით, დაუქორწინებელთა რიცხვს და ა.შ.

ბოლო ხანს, ფართო გავრცელების გამო, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დაურეგისტრირებელი ქორწინების თუ თანაცხოვრების ანალიზს. ეს განპირობებულია იმით, რომ ბავშვები არარეგისტრირებული ქორწინებისასაც იბადებიან, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე.

სამწუხაროდ, ქორწინების გარეშე ფაქტობრივი თანაცხოვრების აღრიცხვა ვერ ხერხდება - ეს სპეციალური შერჩევითი გამოკვლევებით

დგინდება. მოსახლეობის აღწერის პროგრამაც არ ითვალისწინებს კითხვას, რეგისტრირებულია თუ არა ქორწინება.

თანამცხოვრებთა წილი უფრო მაღალია ახალგაზრდა ასაკში, რაც მიუთითებს საქორწინო ქცევის ნორმების ცვლილებაზე. ზოგჯერ არარეგისტრირებული სამოქალაქო ქორწინება უკავშირდება წყვილის რწმენას, რომ ეკლესიური ქორწინება სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მათ ერთად იცხოვრონ.

7.2. განქორწინება

განქორწინება ორივე მეუღლის სიცოცხლის შემთხვევაში სასამართლოს გადანყვეტილებით საქორწინო კავშირის განყვეტაა.

განქორწინებას დემოგრაფია სწავლობს, როგორც მასობრივ პროცესს, ანუ ის განიხილავს განქორწინებადობას და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე, კერძოდ, შობადობაზე, მოკვდაობაზე, ხელმეორე ქორწინებაზე და ა.შ.

განქორწინებადობის ანალიზისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- განქორწინების აბსოლუტური რიცხვი;
- განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი;
- განქორწინების კერძო და სპეციალური კოეფიციენტები.

კერძო კოეფიციენტებს მიეკუთვნება განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები, რომლებიც იანგარიშება როგორც ორივე სქესისათვის ერთად, ისე ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს განქორწინების სიხშირეს ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში.

განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამი ($\sum a_x$) არის განქორწინების ჯამური კოეფიციენტი. ის გვიჩვენებს განქორწინების საშუალო რიცხვს კოჰორტის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ყველა ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშება ქორწინებადობის მაჩვენებლების გაანგარიშების მსგავსად ხდება.

განქორწინების დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება ე.წ. **განქორწინების ინდექსი**, რომელიც გაიანგარიშება განქორწინებათა რიცხვის შეფარდებით ქორწინებათა რაოდენობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად გამოიყენება, განქორწინების სიღრმისეული ანალიზის საშუა-

ლებას მაინც არ იძლევა, რადგან განქორწინების რიცხვს ვადარებთ მოცემული წლის ქორწინებათა რიცხვს და არა იმ წლის ქორწინებათა რიცხვს, რომელ წელსაც განქორწინებულები დაქორწინდნენ. ასეთი უხეში გაანგარიშება მისაღებია მაშინ, თუ ქორწინებათა რიცხვი წლების განმავლობაში უცვლელია ან მცირედ იცვლება.

განქორწინებადობის შედარებით სრული დახასიათება შესაძლებელია სპეციალური კოეფიციენტების მეშვეობით. ისინი, კერძო კოეფიციენტების მსგავსად, გაიანგარიშება როგორც საქორწინო წყვილზე, ისე ცალკეული სქესისათვის. განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი გაიანგარიშება განქორწინებათა (D) შეფარდებით იმავე პერიოდში საქორწინო წყვილთა საშუალო რაოდენობასთან (B), ე.ი.

$$d_{\text{სპეც.}} = \frac{D}{B} \times 1000,$$

ეს მაჩვენებელი ყველაზე ზუსტ მაჩვენებლადაა მიჩნეული, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია, რადგან განქორწინებათა რიცხვი, ძირითადად, მოსახლეობის აღწერების დროს ზუსტდება (მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის შესახებ ყველაზე ზუსტ ინფორმაციას მოსახლეობის აღწერა იძლევა). ამიტომ ის აღწერის წელს ან მასთან ახლოს მდგომი წლებისათვის იანგარიშება.

გამოკვლევებით დგინდება, რომ განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია 25-29 წლის მამაკაცებისათვის და 20-24 წლის ქალებისათვის.

განქორწინების სპეციალური კოეფიციენტების ნაირსახეობაა **განქორწინების მაჩვენებელი ქორწინების ხანგრძლივობის** მიხედვით. ის, თავის მხრივ, ორნაირად გამოითვლება:

1) კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება განქორწინების იმ ქორწინებათა საერთო რიცხვთან შეფარდებით, რომელიც შედგა შესაბამისი წლების წინ;

2) კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება განქორწინების იმ ქორწინებათა რაოდენობასთან შეფარდებით, რომლებიც შენარჩუნებული იქნა მოცემულ პერიოდამდე. ეს უკანასკნელი უფრო ზუსტი მაჩვენებელია, რადგან განქორწინებათა რიცხვთან ერთად, დაქვრივებასაც ითვალისწინებს.

განქორწინების დეტალური ანალიზისათვის გამოიყენება **განქორწინებადობის ცხრილები**, რომლებიც განქორწინებადობას ახასიათებს როგორც ცალკეული ასაკის, ისე ქორწინების რიგითობის მიხედვით.

7.3. განქორწინების ფაქტორები

როგორც ცნობილია, განქორწინება საოჯახო სამართლით რეგულირდება. ადრე, ტრადიციულ საზოგადოებაში (მაგალითად, ფეოდალურ საქართველოში), განქორწინებას საფუძვლად ედებოდა სიძვა (მხოლოდ ქალის). ბექა-ალბუღას სამართლით (XIVს), განქორწინების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ცოლის დასნეულება, მაგრამ ქმარს უნდა დაეფიცა, რომ ცოლს სიძულვილის გამო არ ეყრებოდა.

თამარის მეფობამდე ქვრივ ქალებს ხელახალი დაქორწინება ეკრძალებოდათ. თამარის ბრძანებით, მათ ამის უფლება მიეცათ. ქორწინება შეიძლება შეწყვეტილიყო მონაზვნად ან ბერად აღკვეცის, მეუღლის სიცოცხლის ხელყოფის, სახელმწიფო ღალატისა და სოდომური ცოდვის გამო.

ვახტანგ VI-ის კანონებში განქორწინების მიზეზი არა მარტო ცოლის, არამედ ქმრის ავადმყოფობაც შეიძლებოდა გამხდარიყო, ოღონდ, სწეულისთვის 7 წელი უნდა ემკურნალათ და თუ ვეღარ გამოჯანმრთელდებოდა, ერთმანეთს დასცილებოდნენ.

ძველი ჩვეულებითი სამართალი განქორწინების მიზეზად მიიჩნევდა პედიკულოზს (ავადმყოფურ ტილიანობას, როცა მკბენარის მოცილება დიდ სამკურნალო ღონისძიებებს მოითხოვდა და მაშინდელი მედიცინის განვითარების დაბალი დონის გამო ძალზე ძნელი იყო).

ეკლესია მკაცრად ებრძოდა არალეგალურ და თვითნებურ განქორწინებას.

თანამედროვე საზოგადოებრივი აზრი განქორწინებისადმი უფრო ლოიალურია. რიგი მიზეზების გამო, ეს არა მარტო დასაშვებია, არამედ – აუცილებელიც, თუ მეუღლეთა შორის სიყვარული არ არის.

საქართველოში ქალების განქორწინების საშუალო ასაკი 1990 წელს 35 წელი იყო, მამაკაცების – 38; 2018 წ. ქალებისა – 37, მამაკაცებისა – 40. განქორწინებისას თანაცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა 1990 წელს იყო 9,8 წელი, 2018 წელს – 10,3.

როგორც გამოკვლევები ადასტურებს, განქორწინების ალბათობა მაღალია ძალიან ახალგაზრდა წყვილებში, შემდეგ მცირდება და მატულობს ხანდაზმულებში.

ნაადრევად დაქორწინებულ წყვილებში განქორწინებას იწვევს მათი სოციალური მოუმნიფებლობა, უფროს თაობაზე ეკონომიკური დამოკიდებულება.

ხანდაზმულებში კი განქორწინება ხშირად განპირობებულია ხასიათთა შეუფუებლობით, რამდენადაც ამ ასაკის ადამიანის ხასიათი ბოლომდე ფორმირებულია და მისი შეცვლა, მორგება მეუღლის განსხვავებულ ხასიათთან თითქმის შეუძლებელია.

განქორწინების მაღალ სიხშირეს ზოგჯერ განაპირობებს მეუღლეთა შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალი უფროსი.

განქორწინება ხშირია ქორწინებიდან მე-3, მე-5 და მე-15 წელს; მაქსიმუმს აღწევს 20-30 წლის, ხოლო მინიმუმს – 30-50 წლის ასაკში. განქორწინება მეტია ხელმეორედ დაქორწინებულთა შორის. ამას ხშირად განაპირობებს ბავშვთა რაოდენობა ოჯახში. ცნობილია, რომ განქორწინება უფრო ხშირია ოჯახში, სადაც ერთი ბავშვია ან, თუ ოჯახი უშვილოა.

განქორწინება უფრო მეტია არარეგისტრირებული ქორწინებებისას. მაგ., პირველი ათი წლის განმავლობაში განქორწინებები ბევრად მეტია არარეგისტრირებულთა შორის, ვიდრე რეგისტრირებულ წყვილებში.

7.4. ოჯახი

ოჯახი არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც აერთიანებს სისხლით ნათესაობა, ერთი საცხოვრებელი და საერთო ბიუჯეტი.

ოჯახს სწავლობენ ზომის (სიდიდის), ქორწინებითი მდგომარეობის, სტრუქტურისა და ტიპების მიხედვით.

ოჯახის საშუალო სიდიდე განისაზღვრება ოჯახებში მცხოვრებთა რიცხოვნობის ოჯახთა რაოდენობასთან თანაფარდობით. საქართველოში ძირითადად ოთხსულიანი ოჯახებია გავრცელებული.

ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით გამოიყოფა **სრული და არასრული** ოჯახები. სრული ოჯახი აუცილებლად შედგება ერთი საქორწინო წყვილისაგან მაინც, ხოლო არასრულ ოჯახში ერთი საქორწინო წყვი-

ლიც არ არის. ასეთი ოჯახებია, მაგალითად, დედა ბავშვებით, მამა ბავშვებით, დები, ძმები სხვა ნათესავებთან ერთად და ა.შ.

სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ მარტივ და რთულ ოჯახებს. მარტივი ანუ ნუკლეარული ოჯახი შედგება ერთი საქორწინო წყვილისაგან ბავშვებით ან უბავშვებოდ.

რთული ოჯახი შედგება რამდენიმე ქორწინებითი წყვილისაგან. მის შემადგენლობაში, ბავშვებთან ერთად, ოჯახის სხვა ნათესავეებიც შეიძლება შედიოდნენ.

ბავშვთა რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ოჯახის შემდეგ ტიპებს:

- მცირეშვილიანი – 1 ან 2 ბავშვით;
- საშუალოშვილიანი – 3 ბავშვით;
- მრავალშვილიანი – 4 და მეტი ბავშვით (საქართველოს კანონმდებლობით).

ასეთი დაყოფა პირობითია. შეიძლება კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებაში სამშვილიანი ოჯახებიც კი სახელმწიფოს მიერ მრავალშვილიანად იქნეს აღიარებული.

ოჯახის საშუალო ზომასა და სტრუქტურაზე ზემოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

– შობადობისა და ქორწინების დონის ცვლილება;

რაც უფრო მეტია ქორწინება, მით მეტი ოჯახი იქმნება და ოჯახში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაც იზრდება. რაც უფრო მეტი ბავშვი იბადება, ოჯახის ზომაც უფრო იზრდება და, შესაბამისად, უფრო მეტი ოჯახი შეიქმნება მომავალშიც.

– მოკვდაობის დონის ცვლილება;

რაც უფრო ნაკლებია მოკვდაობა უფროს ასაკებში, მით მეტია ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა და, ცოლ-ქმრის სურვილის შემთხვევაში, მეტია ბავშვთა რაოდენობა და, შესაბამისად, ოჯახის ზომა.

– ოჯახური ცხოვრების ტრადიციების ცვლილება;

პიროვნების თავისუფლების ზრდისაკენ მისწრაფების გამო ახალგაზრდები ცდილობენ, დაქორწინებისთანავე გამოეყონ მშობლებს და ცალკე იცხოვრონ. ასეთი ტენდენცია ცვლის ოჯახის სტრუქტურას, კერძოდ, სულ უფრო მცირდება რთული ოჯახების წილი.

– ბინით უზრუნველყოფა.

ეს ის ფაქტორია, რომელიც მეტად წინააღმდეგობრივად მოქმედებს ოჯახზე. მცირე საცხოვრებელი ფართი ზღუდავს ბავშვთაშობას; ამავე


დროს, აფერხებს განქორწინებასაც, რადგან განქორწინების შემთხვევაში აუცილებელია ცალ-ცალკე საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, რისი საშუალებაც ყოველთვის არ არის.

ოჯახი საზოგადოების, მოსახლეობის პირველადი უჯრედია. მას აქვს **დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური** და სხვა ფუნქციები.

ოჯახის **დემოგრაფიული ფუნქცია**ა თაობათა უწყვეტი ცვლა. ეს გულისხმობს არა მარტო თაობის ფიზიკურ გამრავლებას, არამედ ოჯახური ცხოვრების გამოცდილების გადაცემასაც. მშობელთა ოჯახი, არსებითად, ოჯახის ერთადერთი მოდელია ახალი თაობისათვის. სწორედ მისი მეშვეობით ყალიბდება ახალგაზრდების დემოგრაფიული განწყობა და შემდგომ, მისივე გავლენით, კონტროლდება მათი დემოგრაფიული ქცევა. გარდა ამისა, ოჯახის მეშვეობით სექსუალური ცხოვრებაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ოჯახის ნორმალური ფუნქციონირება, ქორწინების სიმყარე. ოჯახის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მის წევრთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ოჯახის **ეკონომიკური ფუნქცია**ა პროფესიული დასაქმებით ან საოჯახო მეურნეობის წარმართვით შექმნილი ოჯახის ბიუჯეტისა და საკუთრების განახლება და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (იხ. სქემა 1)

სქემა 1



ოჯახი მომხმარებელია, მაგრამ სანამ მოიხმარს, დგას ასეთი არჩევანის წინაშე:

1. გავიდეს შრომის ბაზარზე და ეძიოს ანაზღაურებადი სამუშაო;
2. ხელი მიჰყოს საოჯახო წარმოებას ან საოჯახო მეურნეობას;
3. არ იმუშაოს, დაისვენოს.

ამრიგად, ოჯახის წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდებაზე (შრომის მიწოდებაზე). მაგრამ, ამავე დროს, ოჯახის წარმოების პროცესში ჩაბმა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენია ოჯახის შემოსავალი და მოთხოვნილება.

ოჯახში მამაკაცთა გადაწყვეტილებას განსაზღვრავს ე.წ. „შემოსავლის ეფექტი“, ქალთა გადაწყვეტილებას – „ჩანაცვლების ეფექტი“.¹

ქალებსა და მამაკაცებზე „ჩანაცვლების ეფექტის“ განსხვავებული ზემოქმედება განპირობებულია მათი სხვადასხვა როლით ოჯახში, რის გამოც კომბინაციაში „შრომა შრომის ბაზარზე თუ შრომა საოჯახო მეურნეობაში“ მამაკაცისა და ქალის ჩანაცვლების შესაძლებლობა ერთნაირი არაა. ამიტომაცაა, რომ ხელფასის ზრდაზე უფრო მეტად რეაგირებენ ქალები, რაც გამოიხატება კიდევ მათი დასაქმების მატებით.

იმ შემთხვევაში, როცა დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია, ოჯახი ერთობლივად იღებს გადაწყვეტილებას, პირველი ვინ უნდა ჩაებას წარმოებაში - ქალი, მამაკაცი თუ ორივე. ამ შემთხვევაში თითოეული გამოსავლის ოჯახის შეზღუდული ბიუჯეტიდან და მიისწრაფვის იმისაკენ, რაც შეიძლება მეტად ასარგებლოს ოჯახი. მაგრამ ამისათვის მათ ჯერ პასუხი უნდა გასცენ კითხვას: ვისი შრომაა შედარებით მწარმოებლური ოჯახში და ვისი – შრომის ბაზარზე? იმ შემთხვევაში, როცა მამაკაცის ხელფასი უფრო მაღალია, გადაწყვეტილება მამაკაცის სასარგებლოდ მიიღება.

იზოკვანტური („იზო“ – ერთნაირი, „კვანტა“ – თვისება, სარგებლიანობა) სარგებლიანობა U_1 და U_2 გვიჩვენებს სხვადასხვა სიტუაციაში ოჯახის გადაწყვეტილების სისწორეს. იქამდე, სანამ ცოლისა და ქმრის ყოველი დამატებითი სამუშაო საათი უზრუნველყოფს უფრო მეტი რაოდენო-

¹ „შემოსავლის ეფექტი“ შრომის მიწოდებაში – შემოსავლის გაზრდის მიზნით ხელფასის (საათობრივი) მუდმივი განაკვეთის პირობებში სამუშაო საათების რაოდენობის მატებაა.


„ჩანაცვლების ეფექტი“ შრომის მიწოდებაში – ხელფასის განაკვეთის ცვლილების შედეგად მუდმივი შემოსავლის შესანარჩუნებლად სამუშაო დროის რაოდენობის ცვლილება.

ბით საქონლის შეძენის შესაძლებლობებს, ვიდრე ისინი ამას საოჯახო მეურნეობაში დასაქმებით შეძლებდნენ, მეუღლეებს შეუძლიათ, გაზარდონ საოჯახო რესურსი ამ დროში მუშაობით. მაგრამ თუ საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული H_0 საათს მომუშავე მეუღლე გადაწყვეტს (სქემა 2), ერთი საათი ანაზღაურებად სამუშაოზე იმუშაოს, მაშინ მას საოჯახო მეურნეობაში მუშაობა მოუწევს H_1 დრო და შეიძენს BD ღირებულების საქონელს. იმისათვის, რომ სარგებლიანობის სიდიდე მუდმივად იყოს შენარჩუნებული, შეძენილი უნდა იქნეს BC საქონელი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში როგორც ცოლის, ისე ქმრის მუშაობა შესაძლებელია, რადგან ოჯახის რესურსი იზრდება. A წერტილში ქალის თუ მამაკაცის მწარმოებლურობა მაღალია შრომის ბაზარზე, ვიდრე საოჯახო მეურნეობაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „შემოსავლის ეფექტი“ არსებით გავლენას ახდენს იმ გათხოვილი ქალების შრომის მიწოდებაზე, რომლებშიც განქორწინების ალბათობა მეტია. ხშირად, ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში, შემოსავლის შემცირების პერსპექტივა მათ აიძულებს, მეტად ჩაერთონ საზოგადოებრივ წარმოებაში.

ზოგიერთი მკვლევარი იმასაც მიუთითებს, რომ ქალთა განსაკუთრებით მაღალი შემოსავალი ე.წ. „დამოუკიდებლობის ეფექტს“ იძლევა და ზრდის განქორწინების ალბათობას. ვთქვათ, მამაკაცი დასაქმებულია და აქვს ანაზღაურებადი სამუშაო, ქალი კი საოჯახო მეურნეობითაა დაკავებული. რა მოხდება, თუ ეკონომიკური დაცემის გამო მამაკაცი უმუშევარი დარჩება? დავუშვათ, რომ ის ვინრო სპეციალობის მქონეა და ვერ პოულობს შესაფერის სამუშაოს. ბუნებრივია, ოჯახის გადაწყვეტილება იქნება ის, რომ იგი მაქსიმალურად დასაქმდეს საოჯახო მეურნეობაში. იმისათვის, რომ ოჯახის ცხოვრების დონე არ შეიცვალოს, ოჯახის დანაზოგების გათვალისწინებით, ქალი იწყებს სამუშაოს ძებნას. შრომის ბაზარზე ის სამუშაო ძალის „დამატებითი“ წევრი ხდება. ამ პირობებში ასეთი წევრების მიწოდება ბაზარზე იზრდება. ბუნებრივია, ამ დროს თანახმა არიან, მეტი სამუშაო საათები იმუშაონ, თუმცა ხელფასის განაკვეთის სიდიდეც მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ უმუშევრობის ზრდის პირობებში სამუშაოს მაძიებელთა მოსალოდნელი ხელფასიც მცირდება. ამ შემთხვევაში ეს ადამიანები „სასონარკვეთილები“ ხდებიან და რჩებიან ოჯახში, რადგან ფიქრობენ, რომ მათი შრომა ოჯახში უფრო პროდუქტიულია, ვიდრე შრომის ბაზარზე სამუშაოს ძებნა. ამ შემთხვევაში „ჩანაცვლების ეფექტი“ „შემოსავლის ეფექტის“ საწინააღმდეგოდ მუშაობს.

სქემა 2



საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ ოჯახის ნებისმიერი გადაწყვეტილება **ოჯახის ბიუჯეტის** ფორმირების საწინდარია. ის კი, თავის მხრივ, ოჯახის სამომხმარებლო საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს.

ოჯახის ბიუჯეტში **შემოსავლების** სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ოჯახში შრომისუნარიან და შრომისუუნარო წევრთა თანაფარდობაზე, შრომისუნარიანთა დასაქმებაზე, დასაქმებულთა ხელფასის სიდიდეზე, შემოსავლის სხვა წყაროების არსებობაზე, ინფლაციაზე და ა.შ. რაც შეეხება **გასავალს**, ის დამოკიდებულია თავად შემოსავალზე. ე. ენგელის კანონით, შემოსავლის გადიდებასთან ერთად, პირველადი მოთხოვნილების საგნების ყიდვაზე დახარჯული შემოსავლის წილი მცირდება, ხოლო ფუფუნების საგნების შესაძენად განეული ხარჯების წილი იზრდება. გარდა ამისა, დანახარჯების სიდიდე დამოკიდებულია მომხმარებლის ასაკზე და გემოვნებაზე. ოჯახის სამომხმარებლო ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამსახველია.

2004 წლისათვის საქართველოში შინამეურნეობათა¹ შემოსავლის სტრუქტურაში ნათლად ჩანს ამ პერიოდის ეკონომიკური სირთულეები: უმუშევრობა, დაბალი ხელფასი და ა.შ. კერძოდ, ოჯახის ბიუჯეტის თითქმის მეოთხედი არაფულადი შემოსავლების ხარჯზე ივსება, განსაკუთრებით, მრავალშვილიან ოჯახებში. მაღალია მრავალშვილიან ოჯახებში თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლის წილი (თითქმის მეოთხედი), თუმცა ის საკმაოდ ცოტაა, საშუალოდ - ერთ სულზე 10 ლარი. მცირეა დახმარებებიც, საშუალოდ - ერთ სულზე 4 ლარამდე (ცხრილი 1).

არსებობს მოსაზრება, რომ საოჯახო დახმარებები შრომით მოტივაციას ასუსტებს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ოჯახის საერთო შემოსავლების სიდიდე. როცა დახმარება მიზერულია (ჩვენს შემთხვევაში), შრომითი მოტივაცია არ სუსტდება.

შემოსავლების სიმცირე ხარჯების სტრუქტურასაც განსაზღვრავს. კერძოდ, საშუალოდ - ერთ სულზე საკმაოდ მაღალია არაფულადი შემოსავლების წილი (თითქმის მეხუთედი).

სახსრების ძირითადი ნაწილი იხარჯება კვებაზე, გათბობაზე, ელექტროენერჯიასა და ტრანსპორტზე; მცირე ნაწილი კი - სოციალურ-კულტურულ მომსახურებაზე. ძლიერ ცოტაა საოჯახო მოხმარების საქონლისა თუ სხვა ქონების შექმნაზე განეული ხარჯების წილი, განსაკუთრებით, მრავალშვილიან ოჯახებში (ცხრილი2).

ოჯახის ეკონომიკური ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული მის დემოგრაფიულ ფუნქციასთან. ეს კავშირი ჩანს „შემოსავალი – ბავშვთა რაოდენობა“ ურთიერთდამოკიდებულებაში, რაც ასახულია ზემოთ მოყვანილ ცხრილებში.

ოჯახი შრომითი აღზრდის სფეროცაა. მას ვერანაირი საზოგადოებრივი კოლექტივი ვერ ცვლის. ოჯახში იწყებს ადამიანი ქცევის კულტურის, შრომითი ჩვევების ათვისებას, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რაც შემდგომში მის შრომით ეთიკას და, ზოგადად, შრომის კულტურას განსაზღვრავს.

¹ შინამეურნეობა და ოჯახი საქართველოს მოსახლეობისა და მეურნეობის აღრიცხვისას ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ცნებები იდენტური არ არის. კერძოდ, შინამეურნეობის წევრებს აერთიანებს ერთი საცხოვრისი და საერთო ბიუჯეტი. ოჯახისაგან განსხვავებით, შინამეურნეობის წევრები შეიძლება იყვნენ მეგობრები, მოკეთენი და სხვ.

ცხრილი 1. საქართველოში შინამეურნეობის საშუალოთვიური შემოსავლების სტრუქტურა ერთ სულზე ოჯახში ბავშვთა რაოდენობის მიხედვით 2004 წელს (%)

	უბავშვო	ერთი ბავშვით	ორი ბავშვით	სამი ან მეტი ბავშვით	სულ
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები:	61,9	67,5	58,7	68,6	62,8
დაქირავებული შრომიდან	21,5	24,7	22,6	22,8	22,2
თვითდასაქმებიდან	10,8	15,6	13,6	20,3	12,1
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	11,9	10,1	9,6	9,1	11,3
ქონებიდან(გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	0,7	1,1	0,0	1,6	0,8
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	5,7	3,9	3,3	5,6	5,2
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	4,3	4,3	2,3	0,1	4,1
ახლობლებისაგან მიღებული ფული	6,9	7,6	7,3	9,1	7,1
არაფულადი შემოსავლები¹	24,5	18,8	21,7	25,2	23,1
შემოსავლები სულ	86,4	86,3	80,4	93,8	85,9
სხვა ფულადი სახსრები	13,6	13,7	19,6	6,2	14,1
ქონების გაყიდვა	2,8	3,1	5,8	0,0	3,1
ფულის სესხება ან დანაზოვის გამოყენება	10,9	10,6	13,8	6,2	11,0
ფულადი სახსრები სულ	75,5	81,2	78,3	74,8	76,9
ფულადი და არაფულადი სახსრები სულ	100	100	100	100	100

¹ არაფულადი შემოსავლები და საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული, ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისაგან უსასყიდლოდ მიღებული პროდუქციის ღირებულება.

ცხრილი 2. შინამეურნეობათა ხარჯების სტრუქტურა ბავშვთა რაოდენობის მიხედვით 2004 წელს (%)

	უბავშვო	ერთი ბავშვით	ორი ბავშვით	სამი ან მეტი ბავშვით	სულ
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები:	67,0	72,1	66,6	73,9	67,9
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	35,9	38,9	35,0	44,3	36,4
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	3,8	4,8	4,2	5,2	4,0
საოჯახო მოხმარების საქონელზე	2,4	2,8	3,1	2,9	2,5
ჯანმრთელობის დაცვაზე	4,1	4,2	5,5	4,1	4,2
სათბობსა და ელექტრო-ენერჯიაზე	6,1	6,1	5,1	5,5	6,0
ტრანსპორტზე	6,5	6,8	6,2	5,8	6,5
განათლება,, კულტურასა და დასვენებაზე	1,9	1,6	1,3	1,4	1,8
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	6,3	6,8	6,2	4,6	6,4
არაფულადი ხარჯები	20,1	16,7	18,6	20,3	19,4
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	87,1	88,7	85,2	94,3	87,3
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	12,9	11,3	14,8	5,7	12,7
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	1,9	1,7	1,5	1,6	1,8
ტრანსფერტებზე	2,7	2,6	2,2	1,4	2,6
დაზოგვაზე ან გასესებაზე	6,5	5,6	6,1	2,7	6,3
ქონების შექენაზე	1,9	1,3	5,0	0,1	2,0
ფულადი ხარჯები სულ	79,9	83,3	81,4	79,7	80,6
ხარჯები სულ	100	100	100	100	100

7.5. ოჯახისა და შინამეურნეობის ეკონომიკა

შინამეურნეობა (ოჯახი) წარმოადგენს საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ უჯრედს. ამიტომ მის ეკონომიკურ ანალიზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ უნდა განვიხილოთ ისეთი პრობლემები, როგორცაა, შინამეურნეობის შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი, დაზოგვისა და დაგროვების მოდელები, შინამეურნეობის საბოლოო მოხმარება, მოსახლეობის შემოსავლები და ცხოვრების დონე, როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი შინამეურნეობისა. ყოველგვარი ანალიზი უნდა გაკეთდეს შინამეურნეობების(ოჯახის) ტიპების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობის, როგორც ეკონომიკური ერთეულის ფუნქციონირების შესწავლის საჭიროებამ წარმოშვა ახალი მიმართულება მოსახლეობის ეკონომიკაში: „შინამეურნეობათა ახალი ეკონომიკა“.

„შინამეურნეობის ეკონომიკა“ – ესაა ეკონომიკურ მეცნიერებათა ისეთი მიმართულება, რომელიც შეისწავლის შინამეურნეობათა ფუნქციონირების აღწარმოებით და ეგზისტენციალურ ასპექტებს.

ეგზისტენციალური პროცესები ფართო გაგებით – ესაა შინამეურნეობისა და მისი წევრების მხარდაჭერა, ხოლო საოჯახო მეურნეობის, როგორც სანარმოო ერთეულის (გლახური, ფერმერული მეურნეობა) შესწავლა გამოდის უკვე მოსახლეობის ეკონომიკის ფარგლებს გარეთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობასა და ოჯახს შორის, შინამეურნეობის ეკონომიკასა და ოჯახის ეკონომიკას შორის განსხვავება არაა. ტერმინი შინამეურნეობა საბაზრო ეკონომიკის ტერმინია და დასავლური ლიტერატურიდან შემოვიდა. ამიტომაც, რომ ჩვენი ქვეყნის გასული საუკუნის სტატისტიკაში ის არ გამოიყენება, თუმცა ამან არ უნდა დაგვაბნოს.

მაინც, რა განასხვავებს ერთმანეთისაგან შინამეურნეობასა და ოჯახს?

ტერმინი „შინამეურნეობა“ იხმარება უფრო მეტად იმ ეკონომიკურ გამოკვლევებში, როცა ვაანალიზებთ შინამეურნეობის შიგნით წარმოებას ან შინამეურნეობას ვუკავშირებთ ეროვნულ ანგარიშებს.

ტერმინი „ოჯახი“ იხმარება ოჯახის შიგა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა ანალიზისას, დემოგრაფიული ანალიზისას, ოჯახის ცხოვრების დონის შესწავლისას.

შინამეურნეობას შეიძლება ერთი პირიც წარმოადგენდეს, ოჯახს - არავითარ შემთხვევაში. შინამეურნეობაში შეიძლება არანათესავი პირიც იყოს, ოჯახში - არა. მაგრამ პრაქტიკულად ყველაზე გავრცელებულია ოჯახური შინამეურნეობები, სადაც „ოჯახი“ და „შინამეურნეობა“ გაიგივებულია. ამიტომ ჩვენ საუბარი გვექნება სწორედ ასეთ შინამეურნეობებზე.

აქვე შეიძლება განვიხილოთ ცნება „ოჯახური ჯგუფები“, რომელთაც ერთიანი ბიუჯეტი აქვთ.

ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მიმართულებადაა მიჩნეული „შინამეურნეობათა ახალი ეკონომიკა“, თეორია, რომლის ავტორად მიჩნეულია ჩიკაგოს სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი გარი ბეკერი. მან მოგვცა შინამეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიკროეკონომიკური ანალიზის მექანიზმი. მან პირველმა შექმნა შინამეურნეობებში დროის განაწილების ეკონომეტრიკული ანალიზის მეთოდები, შინამეურნეობის წევრთა მიერ შრომის ბაზართან დაკავშირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, საქორწინო ბაზართან ურთიერთობის მექანიზმი და ა. შ. ეს იყო ორიგინალური მიდგომა, რაც სწრაფად გავრცელდა ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმართულების სახით.

შინამეურნეობას გ. ბეკერი განიხილავს, როგორც საწარმოო ერთეულს, რომელიც ფლობს სპეციფიკურ ოჯახურ კაპიტალს, რომელიც ქმნის სპეციფიკური თვისების საქონელს(მომსახურებას) - ოჯახის მომსახურებისა და საქონლის შიგაოჯახობრივი მოხმარებისათვის. შინამეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა საბაზისო ერთეულ-აგენტს, აქვს სარგებლიანობის ერთიანი ფუნქცია და ასრულებს წარმოებისა და კვლავწარმოების ფუნქციას.

კვლავწარმოება ხდება ბავშვების დაბადებითა და აღზრდის სახით. შინამეურნეობის რესურსები შეზღუდულია და დამოკიდებულია საზოგადოებაზე.

შინამეურნეობა განიხილება რიგი ბაზრების ქრილში: შრომის ბაზარი, საქონლის ბაზარი, ფინანსური ბაზარი (დანაზოგის, ინვესტიციების დინამიკისა და მემკვიდრეობის მექანიზმები). ოჯახის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე მოქმედებს არსებულ ეკონომიკურ გარემოში ფასთა ცვლილებები. მაგალითად, ბავშვთა ხარისხიან აღზრდაში დაბანდება დამოკიდებულია სწავლის ფასსა და დედ-მამის ხელფასზე. გ. ბეკერი მიიჩნევს, რომ შინამეურნეობაში იქმნება ისეთი სიკეთეც, როგორიცაა სიყ-

ვარული, პრესტიჟი, გარშემომყოფთა პატივისცემა, კმაყოფილება. ბავშვები შინამეურნეობათა შექმნილ სიკეთედ ითვლებიან. მაღალგანვითარებული ბავშვების აღზრდა ასევე დიდი სიკეთეა. ოჯახში მოითხოვება ორგვარი რესურსი - საბაზრო საქონელი, რომელიც ნაყიდა ოჯახის წევრთა შემოსავლით და ოჯახის წევრთა დრო, რომელიც დახარჯულია საოჯახო შრომაზე.

საოჯახო მეურნეობაში წარმოებული სიკეთე არ იყიდება, შესაბამისად, საბაზრო ფასი არა აქვს. მაგრამ აქვს დანახარჯები როგორც მატერიალური, ისე დროითი. მას აქვს ფარული ფასი, რასაც თუ გავამრავლებთ რაოდენობრივ სიკეთეზე, მივიღებთ მეუღლეთა დამატებით შემოსავალს.

გარი ბეკერმა შემოიღო შინამეურნეობაში შრომის დანაწილების ეფექტიანობის, საქორწინო ბაზრის, ბავშვზე მოთხოვნის ცნებები. მისი ინოვაციური იდეები შემდეგში მდგომარეობს:

– შინამეურნეობაში იქმნება არა მარტო მოხმარების ბაზარზე გასაყიდი საქონელი, არამედ „საოჯახო“ საქონელიც (მაგ., საკვები პროდუქტები და ა. შ.).

– მან შექმნა მოდელი შინამეურნეობის წევრთა დროის განაწილებისა როგორც შინამეურნეობაში, ისე შრომის ბაზარზე;

– განახორციელა საქორწინო ბაზრის კონცეპტუალური ანალიზი, პარტნიორის შერჩევის მექანიზმი მონოგამიისა და პოლიგამიის დროს, სქესთა რიცხოვნობის დისპროპორციის პირობებში; შეაფასა საქორწინო ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობა.

– განავითარა ადამიანური კაპიტალის კონცეფცია, რომელიც ხსნიდა ბავშვთა რაოდენობის შემცირებას სწავლაში ინვესტიციების ზრდით.

– მან გააფართოვა ცნება „შესაძლებლობათა“ უთანაბრობა თვით შინამეურნეობის შიგნით, სადაც შემოსავლების გარდა ხაზგასმულია განსხვავება მეუღლეთა სტატუსში; გ. ბეკერმა წინ წამოსწია სტატუსური უპირატესობანი, რაც ერთ-ერთი საფუძველია საოჯახო შრომის დანაწილებისა. მისი აზრით, საოჯახო საქმიანობაში მამაკაცები მით მეტად ებმებიან, რაც უფრო მეტად არიან ქალები პროფესიულ საქმიანობაში ჩაბმული.

მეტად საინტერესოა შინამეურნეობის ნეოკლასიკური კონცეფცია, როგორც შინამეურნეობის ალტერნატიული თეორია. მისი საფუძველია ინსტიტუციონალური ეკონომიკა და გენდერული ეკონომიკა.

ინსტიტუციონალური ეკონომიკის თვალთახედვით, ოჯახი არსებობს როგორც გრძელვადიანი ურთიერთობის ინსტიტუტი. ოჯახი გათანაბრებულია ფირმასთან, ქორწინება კი განიხილება, როგორც კონტრაქტის განსაკუთრებული სახე. ოჯახური ცხოვრება მიჩნეულია კოოპერატიულ თამაშად,

მეუღლენი – შეთანხმების მონაწილეებად. ოჯახური დავებისა და კონფლიქტების შემთხვევაში დიდ როლს თამაშობენ მესამე პირები და ბავშვები - განქორწინება – საშიშროების წერტილია. ოჯახის სტრატეგიაა, რაც შეიძლება მეტად შეინარჩუნოს ფორმალური შეთანხმება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, როგორცაა მოთმინება, მეუღლეთა ავტორიტეტი, პარტნიორთა არათანაბარი პოზიცია, ემოციური ვითარება.

ბოლო ხანს ეს თეორია გააკრიტიკეს ე.წ. გენდერული ეკონომიკის წარმომადგენლებმა, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ მეუღლეთა შორის ძალაუფლების განაწილებას, საოჯახო შრომის განაწილებას.

შრომის ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური ეკონომიკის სკოლისათვის შინამეურნეობა წარმოადგენს პატარა ფაბრიკას ან პატარა საწარმოს: თამაშთა თეორიისათვის, ცოლი და ქმარი ორმხრივი მონოპოლიაა, ქალაქის ეკონომიკის თეორიისათვის შინამეურნეობა პატარა ქალაქი ან კლუბია; კეთილდღეობის ეკონომიკის თეორიისათვის – შინამეურნეობა აღიქმება ინდივიდების კეთილგანწყობილ ურთიერთობად.

7.6. ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული დემოგრაფიული ცვლადები

ბავშვის გაჩენაზე გადაწყვეტილება მიიღება შინამეურნეობაში. ეკონომიკურ ანალიზში, ძირითადად, გამოიყენება შობადობის შემდეგი მაჩვენებლები – დაბადებათა რაოდენობა და შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, აგრეთვე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ასაკობრივი კოეფიციენტები, დაბადებათა რიგითობა, უშვილო ოჯახების წილი, ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი და ა. შ. განისაზღვრება დაბადებათა დაგეგმვის მაჩვენებლები (კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობა), აბორტების დინამიკა და ა. შ., რაც ზემოქმედებს შინამეურნეობაში შობადობის მოდელის ფორმირებაზე.

საქორწინო პარტნიორის შერჩევა და ქორწინება დამოკიდებულია საქორწინო ბაზრის მდგომარეობაზე, ქორწინებისა და განქორწინების დინამიკაზე, ქორწინების გავრცელებულ ფორმებზე. საქორწინო ქცევა ზემოქმედებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს შინამეურნეობის სტრუქტურის ფორმირებაში, ოჯახში ბავშვთა რაოდენობის განსაზღვრაში.

შობადობისა და ქორწინების ცვლადებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის შემადგენლობის მაჩვენებლები. შინამეურნეობაში ბავშვთა რაოდენობა და მათი ასაკი განსაზღვრავს მშობლების ქცევას შრომის ბაზარზე,

ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას ბავშვებში, დაზოგვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას, თაობათაშორისი ტრანსფერტების მოდელს. ბავშვის სქესი შეიძლება მჭიდროდ დაფუკავშიროთ შინამეურნეობის ეკონომიკურ (ოჯახის) მდგომარეობას, აღწარმოების მოდელს შინამეურნეობაში.

მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის მახასიათებლები მონაწილეობს მიგრაციის მიკრომოდელების ფორმირებაში.

ეკონომიკურ ანალიზში დემოგრაფიული ცვლადების გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია ე.წ. ეკვივალენტობის სკალის შემუშავება. ის შეიძლება აიგოს ბავშვთა რიგითობის მიხედვით, შეიძლება დაფუკავშიროთ სამომხმარებლო მოთხოვნის მოდელს, საჭმელზე, არასასურსათო საქონელზე, საცხოვრებელზე განუღ დახარჯებს და ა. შ.

ეკვივალენტობის სკალის გაანგარიშების მინიმუმ 4 მეთოდი არსებობს:

1. ნორმატიული ბიუჯეტის მეთოდი(ისტორიულად პირველი და, ამასთან, ყველაზე გავცელებული);
2. პროპორციის მეთოდი;
3. მომხმარებლის თეორიის მეთოდი(სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობის დანახარჯთა ფუნქციის ანალიზი);
4. ლეიდენის სუბიექტური სკალის მეთოდი(შინამეურნეობის ნევრთა თვითმეფასება მატერიალური სტატუსის შესახებ).

ჩვენ მხოლოდ ნორმატიული ბიუჯეტის მეთოდს შევეხებით. ნორმატიული ბიუჯეტის მეთოდით გამოითვლება შინამეურნეობის ტიპების მიხედვით საშუალო სამომხმარებლო კალათა. განისაზღვრება კვებაზე დანახარჯების წილი, ასაკობრივი მოხმარება და წარმოება, ალტერნატიული შემოსავლები და ხარჯები და ა. შ.

7.7 ბავშვებში ინვესტირების პორტფელი და დინასტიური ბიუჯეტი.

შინამეურნეობის ახალი ეკონომიკის თეორია განიხილავს რამდენიმე დებულებას:

- ბავშვებში ინვესტირების პორტფელი (შინამეურნეობის შემოსავლების გადანაწილება თაობებს შორის, მ. შ. ბავშვებზე);
- დროის განაწილება შინამეურნეობაში;

- გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის ბავშვებზე მოთხოვნა. ეს უკანასკნელი არის ძირითადი კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია თაობათაშორის ტრანსფერტებთან და დროის განაწილებასთან ოჯახში. ბავშვებზე მოთხოვნა ფორმირდება შინამეურნეობრივი ფაქტორებით, უპირველეს ყოვლისა, შინამეურნეობის შემოსავლებით.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ისეთ შინამეურნეობასთან, რომელსაც არ შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება, მას ეწოდება ტრანსფერტულად შეზღუდული შინამეურნეობა. ხოლო შინამეურნეობას, რომელიც ბავშვებში შეუზღუდავად დებს ინვესტიციებს შიგა რესურსების გამოყენებით, ეწოდება ტრანსფერტულად შეუზღუდავი შინამეურნეობა. შინამეურნეობის ტრანსფერტული შეზღუდულობა და შეუზღუდველობა შინამეურნეობის კეთილდღეობის დონის მაჩვენებელია. ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება ცნებაც „**დემოგრაფიული სიღარიბე**“, რაც ნიშნავს ბავშვებში ეფექტური საინვესტიციო პორტფელის ფორმირების უუნარობას.

შინამეურნეობის ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკითხია ოჯახში თაობებს შორის შემოსავლების გადაწილება, თაობათაშორისი ტრანსფერტები, ძირითადად, მშობელთა ტრანსფერტები შვილებისადმი.

შინამეურნეობის ბიუჯეტს, რომელითაც სარგებლობს რამდენიმე თაობა, ეწოდება „დინასტიური ბიუჯეტი“ (ოჯახის ბიუჯეტი). ის გამოიყენება მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე შვილებისა და მშობლების მოხმარებაზე. შინამეურნეობაში მოძრავი ტრანსფერტები სხვადასხვა ფორმით გვხვდება. კერძოდ, გამგზავნისა და მიმღების მიხედვით, არსებობს **თაობათაშორისი და გენდერთაშორისი ტრანსფერტები**; როგორც მე-4 თემაში აღვნიშნავდით, გამოყოფენ **ფულად, ნატურალურ და ინსტრუმენტალურ ტრანსფერტებს (დროით)**. მშობლები სახსრებს დებენ შვილის აღზრდაში, ფიზიკურად უწევენ მათ მომსახურებას და მიდიან შრომის ბაზრიდან, რათა მთელი თავისუფალი დრო დაუთმონ საკუთარ შვილებს. მშობლები ფინანსურად ეხმარებიან ზრდასრულ შვილებს, გადასცემენ მემკვიდრეობას მათ. ზრდასრული შვილები, თავის მხრივ, უვლიან მოხუც მშობლებს, ეხმარებიან მათ ფინანსურად, თავიანთ ბიუჯეტში გამოყოფენ მშობელთა პენსიის დანამატს. შესაბამისად, ტრანსფერტები შეიძლება განკუთვნილი იყოს ნებისმიერი ასაკის შვილისთვის, მოხუცი

მშობლისათვის, ოჯახის ინვალიდი წევრისათვის, აგრეთვე, ღარიბი ნათესავისთვისაც კი.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე, სულ უფრო იზრდება თაობათაშორისი ტრანსფერტები: ბებია-ბაბუებიდან შვილიშვილებისაკენ. ისინი მათ გადასცემენ მემკვიდრეობას, ხშირად უძრავი ქონების სახით. ეს ხდება იმიტომ, რომ როცა ბებია-ბაბუების თაობა ამთავრებს სასიცოცხლო ციკლს, შვილიშვილების თაობა მაშინ იწყებს აქტიურ ცხოვრებას.

7.8 თაობათაშორისი ტრანსფერტების მოტივაცია.

რატომ აფინანსებენ მშობლები თავის შვილებს? თაობათაშორისი ტრანსფერტების მოტივაციის საკითხი საფუძვლად უდევს ტრანსფერტების მოდელთა უმრავლესობას. პირობითად, ყველა არსებული კონცეფცია, რომელიც თაობათაშორის ტრანსფერტებს ეხება, ორ ბლოკად იყოფა:

1. ალტრუისტული ბუნების ტრანსფერტები;
2. ეგოისტური, ანუ გაცვლითი ბუნების ტრანსფერტები.

მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის სახეები

ალტრუისტული კონცეფცია		ეგოისტური კონცეფცია	
შუალედური კონცეფციები			
1. წმინდა ალტრუიზმის კონცეფცია	არასრული ალტრუიზმის თეორია	ოჯახური ფონდის დაზღვევის კონცეფცია	1. ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფცია
2. წამხდარი (სათანადო აღზრდას მოკლებული) ბავშვის თეორემა			2. კრედიტირების კონცეფცია
3. სამართული დილემა (უუნარობა, უარი უთხრა დახმარებაზე უბედურების დადგომის შემდეგ მათ, ვინც დროულად არ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები)			3. მშობელთა ძალაუფლების კონცეფცია
			დემონსტრირების ეფექტის კონცეფცია
			მშობელთა პატერნალიზმის კონცეფცია

წმინდა ალტრუისტული ნეოკლასიკური თეორია მიიჩნევს, რომ რადგან მშობლებს ყველაზე მეტად უყვართ შვილები, ამიტომ ზრუნავენ მათ კეთილდღეობაზე. მშობელთა სარგებლიანობის ფუნქცია დამოკიდებულია შვილების საჭირო მოხმარებაზე. ეს მოტივაცია უდევს საფუძვლად მათ მიერ გაცემულ ტრანსფერტებს. იგივე საფუძველი აქვს ტრანსფერტების გაცემას წამხდარი ბავშვის კონცეფციაშიც მანამდე, ვიდრე ბავშვები დამჯერნი არიან და არაფერს აფუჭებენ, შემდეგ კი მშობლები გაფუჭებული საგნების კომპენსაციას აკეთებენ (სათამაშო იქნება თუ ავეჯი) და აჩერებენ ტრანსფერტებს გარკვეულ დრომდე, ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს მათ ნაბიჯებს. წამხდარი ბავშვის გ. ბეკერისეული თეორემით, ყველაზე ეგოისტი ბავშვიც კი დაინტერესებულია ოჯახის, ანუ დინასტიური შემოსავლების ზრდით. მან იცის, რომ მისი არარაციონალური ნაბიჯი მისსავე შემოსავალს შეამცირებს.

სამართლულ დილემაში აღწერილია სიტუაცია, როცა ბავშვებმა იციან, რომ მშობლები მზად არიან, შვილებს კომპენსაცია მისცენ გამომუშავების დაკარგვის შემთხვევაში (მაგალითად, ახალი საქმის წამოწყებისას მიღებული ზარალის შემთხვევაში). ალტრუისტული თეორიის თანახმად, თუ შვილების ხელფასს ან შემოსავლებს მუდმივ დონედ მივიჩნევთ, ტრანსფერტების მიღების ალბათობა იზრდება მშობელთა სიმდიდრის ზრდის მიხედვით. თუ მშობლების შემოსავალს მუდმივ დონედ მივიჩნევთ, შვილებისაკენ მიმართული ტრანსფერტები გაიზრდება მათი შემოსავლების შემცირებასთან ერთად და შემცირდება შვილების შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში. თუმცა ამ ტრანსფერტების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აკონტროლებენ მშობლები ზრდასრულ შვილებს. მშობლები ცდილობენ, მათი შვილების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების რეალური მიზეზები გაარკვიონ. თუ ეს მოხდა სამუშაოს დაკარგვით, უბედური შემთხვევის თუ სხვა გარემოების გამო, მაშინ ისინი არ ყოვნიდებიან ტრანსფერტების გაცემისას.

არასრული ალტრუიზმის კონცეფციებით მტკიცდება, რომ მშობელთა სარგებლიანობის ფუნქცია დამოკიდებულია არა მარტო მათი და ზრდასრული შვილების მოხმარებაზე, არამედ შვილებზე გაცემული ტრანსფერტების სიდიდეზეც. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ალტრუისტულიდან ეგოისტურზე გარდამავალი თეორია.

ეგოისტური კონცეფციების თანახმად, ტრანსფერტებს განიხილავენ, როგორც ინვესტიციას, რომელმაც უკუგება უნდა მოგვცეს მომა-

ვალში. მაგალითად, მოხუცებულობისას მათი მოვლა, პენსიაზე დანამატის მიღება და ა. შ.

ეგოისტური თეორიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა **ტრანსფერტების გაცვლის თეორია**. ამ თეორიით, მშობლებს სურთ მიიღონ დახმარება საკუთარი შვილებისაგან ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დროს. ეს დახმარება (მორალური თუ მატერიალური) ბევრად უფრო მომგებიანი მათთვის, ვიდრე სოციალური და სამედიცინო მომსახურებით მიღებული დახმარება. მშობლებს სურთ შვილების გარემოცვაში ყოფნა, ზრუნავენ შვილიშვილებზე, აწყობენ სპეციალურ სადილებს მათ მოსაწვევად და ა. შ. ამით ყიდულობენ მათ შრომასა და დროს. ამ შემთხვევაში სარგებლიანობის ფუნქცია დამოკიდებულია არა მშობლისა და ბავშვის მოხმარებაზე, არამედ მის მომსახურებაზე. ზრდასრული შვილები კი ზრუნავენ მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამ თეორიის თანახმად, ტრანსფერტები ორად იყოფა:

- 1) ტრანსფერტები მიმართული ზრდასრული შვილებისაკენ;
- 2) მემკვიდრეობა.

მცირეშემოსავლიანი ზრდასრული შვილები დაინტერესებული იქნებიან მშობლების დახმარებით ტრანსფერტების მიღების მიზნით. მშობლები კი, თუ ისინი შეძლებენ მათ გაკონტროლებას, მიიღებენ მათგან დახმარებას და გააფორმებენ მათზე მემკვიდრეობას.

ტრანსფერტების გაცვლის თეორია პასუხობს შემდეგ კითხვებსაც:

1. რატომ შეჰყავთ მშობლებს შვილები თავიანთ ბიზნესში? იმიტომ, რომ გადასცენ ის მემკვიდრეობით მომსახურების სანაცვლოდ.

2. რატომ არის ტრანსფერტები განსხვავებული სხვადასხვა შვილზე? იმიტომ, რომ მათი მომსახურების ფასი სხვადასხვაა;

3. რატომ ანიჭებენ მშობლები უპირატესობას, მემკვიდრეობა არალიკვიდურ ფორმაში ჰქონდეთ (მაგალითად, უძრავი ქონების სახით ჰქონდეთ)? იმიტომ, რომ მემკვიდრეობის გადაცემას უფრო გარანტირებული სახე აქვს.

ტრანსფერტების გაცვლის თეორიისაგან განსხვავებით, **ტრანსფერტთა კრედიტირების თეორია** ამტკიცებს, რომ შვილები მომსახურებას უწევენ მშობლებს კრედიტის სახით, ხოლო მშობლები ამ კრედიტს იხდიან მემკვიდრეობის გადაცემით. მშობლები კრედიტს აძლევენ შვილებს გაათაღების ხარჯების გაწევით, ბიზნესის აწყობაში დახმარებით, შვილიშ-

ვილებზე ზრუნვით და ა. შ., რათა დახმარება მიიღონ შვილებისაგან სიბერეში.

ტრასფერტების მოტივაციის ასეთ ახსნას გვთავაზობს **დემონსტრაციული ეფექტის თეორია**: როცა შვილები მშობლებზე ზრუნავენ, ისინი ცდილობენ საკუთარი ქცევის დემონსტრირებას, რათა დაანახვონ თავიანთ შვილებს, როგორ უნდა იზრუნონ მშობლებზე.

მშობელთა ძალაუფლების თეორიით, მშობელთა სარგებლიანობა განისაზღვრება არა შვილების მოხმარებით, არამედ, სასურველი მემკვიდრეობით, რომელიც ნიშანია მშობელთა ძალაუფლებისა.

თემა. 8. მოსახლეობისა და ადამიანური რესურსების მიგრაცია

8.1. მიგრაციის არსი და მისი ანალიზი

მოსახლეობის მიგრაცია – ესაა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ანუ იგი მოსახლეობის სივრცობრივი მოძრაობის ისეთი ფორმაა, რომელსაც თან სდევს საცხოვრებელი პუნქტის შეცვლა.

მიგრაციის იდენტიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმებია: მანძილი (საზღვრის გადაკვეთა), დრო და მიზეზები.

მანძილთან, რომელსაც მიგრანტი გადაადგილდება, დაკავშირებულია ინდივიდის (ან მისი ოჯახის) მგზავრობის ხარჯები. მეორე მხრივ, თუ დაშორება დიდია, შეიძლება აღმოცენდეს ბუნებრივ-კლიმატური ან ეთნიკური გარემოსადმი ადაპტაციის პრობლემა.

დროის კრიტერიუმში დაკავშირებულია მიგრანტის ადგილზე ჩასვლასთან და იგი შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე საათიდან მრავალწლამდე, ან ინდივიდის მთელ დარჩენილ სიცოცხლემდე. ამიტომ დგება საკითხი, გადაადგილებული პირი მიგრანტად რომ ჩაითვალოს, რა დრო უნდა იმყოფებოდეს სხვა ადგილზე. დროის შედარებით მცირე ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ, აგრეთვე, **სეზონურ** მიგრაციას და **ქანქარისებურ** მიგრაციას.

სეზონური მიგრაცია დაკავშირებულია სამუშაო ძალის სეზონურ მოთხოვნა-მიწოდებასთან.

ქანქარისებურ მიგრაციას მიეკუთვნება მოსახლეობის პერიოდული გადაადგილება (ყოველდღიური ან ყოველკვირეული გადაადგილება) სამუშაოდ ან სასწავლებლად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში. იგი უფრო დიდი ქალაქების გარეუბნებისათვისაა დამახასიათებელი.

მიგრაციის იდენტიფიკაციის კრიტერიუმია, აგრეთვე, მისი მიზეზები. მიღებულია, რომ მიგრაციის ძირითადი მიზეზებია სამუშაოს ძებნა, სოციალური, ეკონომიკური და პროფესიული მობილობის მოთხოვნა, ოჯახის შექმნა, საბინაო პირობების შეცვლა (ბინის ყიდვა, მემკვიდრეობით მიღება ან დაბალი საარენდო გადასახადი); ცხოვრების პირობების გაუმჯობესება (კლიმატი, გარემო, ტრანსპორტი, მომსახურება და ა.შ.);

პოლიტიკური არასტაბილურობა, ეთნოკონფლიქტები, სამოქალაქო ომები, სამხედრო ოკუპაცია და ა.შ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოიყოფა საერთაშორისო იძულებითი მიგრაცია (ლტოლვილები).

მიგრაციად ყოველგვარი გადაადგილება არ ჩაითვლება. მაგალითად, სამუშაოზე სიარული, სასწავლებელში სიარული, ახლობლებთან და ნაცნობებთან სტუმრობა, საყიდლებზე და დასასვენებლად წასვლა, ასევე, მომთაბარეთა (ბოშები) გადაადგილება.

ყოველივე ზემო მსჯელობის გათვალისწინებით, მიგრაცია შეიძლება განიმარტოს ასე:

მიგრაცია არის ამა თუ იმ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ადამიანთა (მიგრანტთა) გადაადგილება, რომელსაც თან სდევს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სამუდამოდ ან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით.

მიგრაციის უფრო ფართო გაგების დროს, მიგრაციად თვლიან ქანქარისებურ ან სეზონურ გადაადგილებებსაც.

იმ დასახლებულ პუნქტს (რაიონი, ქალაქი, ოლქი), საიდანაც მიგრანტი გადადის საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში, ეწოდება მიგრანტთა **წასვლის** ადგილი (რაიონი), ხოლო სადაც გადადის საცხოვრებლად, **ჩამოსვლის** ადგილი (რაიონი).

მიგრანტთა საერთო რიცხოვნობას, რომელიც გარკვეულ დროში (თვეში, წელიწადში) გადადის საცხოვრებლად ერთიდან მეორე დასახლებულ პუნქტში, ეწოდება **მიგრაციული ნაკადი**.

მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა სხვაობას ეწოდება „**მიგრაციის სალდო**“ ან „**მიგრაციული ზრდა**“ ან „**წმინდა მიგრაცია**“; ხოლო ჯამს – „საერთო“ ან „მთლიანი“ მიგრაცია.

იმ პირს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აღწერების, ან გამოკვლევების დროს არ ემთხვევა მის დაბადების ადგილს, **სამუდამო** მიგრანტი ეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიგრანტს შეიძლება ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი შეცვლილი, რაც არ აღირიცხება და ამიტომ აღწერა მიგრაციის რეალურ მასშტაბებს ყოველთვის კარგად ვერ ახასიათებს.

განსაკუთრებული კრიტიერიუმებია გამოყენებული საერთაშორისო მიგრაციის იდენტიფიკაციისას. მათ შორის, ძირითად კრიტიერიუმს

„მოქალაქეობა“ წარმოადგენს, ასევე, დაბადების ადგილი, ცხოვრების ხანგრძლივობა და ჩამოსვლის მიზანი. ე.ი. თუ მიგრანტის გადაადგილება ხდება სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით, ეს უკვე **გარე (საერთაშორისო) მიგრაციაა**.

გადაადგილების **რიგითობის** მიხედვით, მიგრანტები შეიძლება იყვნენ **პირველადი, მეორადი ან მრავალჯერადი** მიგრანტები. თუ მიგრაცია ხდება ჩასვლის ადგილიდან თავდაპირველ დასახლებულ პუნქტში, მაშინ მას უკუმიგრაცია (უკუმიგრანტი), დაბრუნებადი მიგრაცია ეწოდება.

მიგრაცია შეიძლება იყოს **ნებაყოფლობითი და იძულებითი**. იძულება შეიძლება გამოიწვიოს ეკოლოგიურმა კატასტროფებმა, პოლიტიკურმა რეჟიმებმა, სამხედრო მოქმედებებმა, ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა.

მეტად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჩვენში მიგრაციის თაობაზე ინფორმაციის სიმწირე. გადაადგილებათა ლიბერალიზაციის გამო გაუქმდა ე.წ. საპასპორტო მაგიდების მიერ წარმოებული „ჩანერა-ამონერის“ აქტები, საიდანაც სტატისტიკურ ორგანოებში ხვდებოდა ყოველი მიგრაციული აქტის ფიქსირების ასლი. ამჟამად, დასავლეთის ქვეყნების მსგავსად, შემოღებულია მიგრანტის რეგისტრაციის ახალი წესი, რომელიც ითვალისწინებს მიგრანტის სავალდებულო გამოცხადებას სარეგისტრაციოდ. ჯერჯერობით ეს ფორმალური ვალდებულებაა და არ სრულდება. ამიტომ აღრიცხვა ჯერ კიდევ, ვერ იძლევა ოდნავადაც მიახლოებულ ინფორმაციას მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის შესახებ. ამჯერად, უფრო ხელშესახები მასალა მოგვცა ბოლო 2014 წლის აღწერამ.

მიგრაციის ანალიზი. მიგრაციული პროცესების დასახასიათებლად გამოიყენება რიგი მაჩვენებლებისა, რომელთაგან გამოიყოფა **მიგრაციის კოეფიციენტი**:

$$K_m = \frac{m}{P} \times 1000,$$

სადაც m – დროის მოცემულ ინტერვალში მიგრაციულ გადაადგილებათა რაოდენობაა მიგრაციის პუნქტში (რაიონში);

\bar{P} – მოცემული დასახლებული პუნქტის (რაიონის) მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობაა.

ანალოგიურად გაიანგარიშება **ჩამოსვლის კოეფიციენტი**:

$$k_{\text{ნ.მ.}} = \frac{m_{\text{ნ.მ.}}}{P} \times 1000$$

და წასვლის კოეფიციენტი:

$$k_{\text{წ.ს.}} = \frac{m_{\text{წ.ს.}}}{P} \times 1000$$

სადაც $m_{\text{ნ.მ.}}$ და $m_{\text{წ.ს.}}$ ჩამოსულთა და წასულთა წლიური რაოდენობაა;

\bar{P} – მოცემული დასახლებული პუნქტის (რაიონის) მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა.

მიგრაციის შესახებ მეცნიერული აზრი უძველეს დროში ჩაისახა.

ცნობილია, რომ **კონფუციმ** და მისმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს „მოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობის“ კონცეფცია. ცდილობდნენ, დაედგინათ მიწის ნაკვეთებსა და ადამიანთა რიცხოვნობას შორის ოპტიმალური რაოდენობრივი თანაფარდობა, რაზეც პასუხისმგებლობას აკისრებდნენ სახელმწიფოს. თვლიდნენ, რომ თუ აღნიშნული თანაფარდობა დაირღვეოდა, სახელმწიფოს უნდა გადაესახლებინა მოსახლეობის ნაწილი იქ, სადაც შედარებით უფრო ჭარბად იყო მიწები.

განსაკუთრებით საინტერესოა **პლატონისა და არისტოტელეს** ნაშრომები. ისინი ცდილობდნენ, განესაზღვრათ მოსახლეობის ზრდაში მიგრაციის როლი. მიჩნეული იყო, რომ მოსახლეობის ზედმეტი ზრდა, სიჭარბე ცხოვრების დონეს აქვეითებს, რასაც სდევს სხვადასხვა სახის უწესრიგობა.

პლატონი თავის „კანონებში“ ამტკიცებს, რომ იმისათვის, რომ უმაღლეს კეთილდღეობას მიაღწიოს, პოლისს 5045 მოქალაქე უნდა ჰყავდეს, ამიტომ შობადობის შეზღუდვითა და პოლისს გარეთ გასახლება-ჩამოსახლებით უნდა აცილებულ იქნეს ჭარბმოსახლეობა.

XVIII საუკუნის ბოლოს თომას მალთუსმა მიგრაციის ორი ტიპი გამოყო: შიგა და საერთაშორისო. ის მათ შრომით მიგრაციებს მიაკუთვნებდა.

იმავე დროს ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის შეუზღუდავი გადაადგილება, რათა საბაზრო ძალებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას.

XIX საუკუნის ბოლოს (1885-1889 წწ.) გამოდის ინგლისელი მკვლევარის, ე. რავენსტაინის უკვე სპეციალურად მიგრაციისადმი მიძღვნილი ნაშრომები, სადაც იგი შეეცადა, ჩამოეყალიბებინა მიგრაციის „კანონები“:

1. მიგრაცია, უმეტესად, მოკლე მანძილზე ხორციელდება;
2. მიგრაცია ხორციელდება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ;
3. დიდ მანძილზე მიგრაცია ძირითადად მსხვილ სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებში ხორციელდება;
4. ყოველ მიგრაციულ ნაკადს შეესაბამება კონტრნაკადი;
5. მიგრაციული მოძრაობის თვალსაზრისით, ქალაქის მცხოვრებნი ნაკლებად მოძრავნი არიან, ვიდრე სოფლისა;

6. შიგა მიგრაციაში უფრო აქტიურები ქალები არიან, გარე მიგრაციაში – მამაკაცები;

7. მიგრანტთა უმრავლესობა ზრდასრული (სრულწლოვანი) მოსახლეობაა. ოჯახები შედარებით იშვიათად ტოვებენ თავიანთ ქვეყანას;

8. მსხვილი ქალაქები უფრო მეტად მიგრაციის შედეგად იზრდება, ვიდრე ბუნებრივი მატებით;

9. მიგრაციის მასშტაბი მრეწველობის, ვაჭრობის და, განსაკუთრებით, ტრანსპორტის განვითარების შედეგად იზრდება;

10. მიგრანტთა უმეტესობა სოფლებიდან მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებში გადაადგილდება;

11. მიგრაციის ძირითადი მიზეზები ეკონომიკურია.

ე. რავენსტაინის თეზისი, რომ „მიგრაცია სიცოცხლესა და პროგრესს ნიშნავს, ხოლო მოსახლეობის მცირე მობილობა – სტაგნაციას“, ამჟამადაც აქტუალურია. ამ პოზიციიდან განიხილავს თანამედროვე მეცნიერება მოსახლეობის განვითარების მრავალ საჭირობო საკითხს.

მიგრაციის თეორიული ანალიზი მოცემულია ჯ. კეინსის მიერ წიგნში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის თეორია“ (1936). კეინსმა უარყო საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება და ყურადღება მიაქცია შრომის არასრულყოფილ მობილურობას, რაც უმუშევრობის ერთ-ერთ მიზეზადაც მიიჩნია. კეინსიანელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ბაზარი, ეს, პირველ რიგში, შრომის მსოფლიო ბაზარია, რომელიც ყალიბდება სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მეოხებით. იგი წარმოადგენს წინააღმდეგობრივი ეროვნული ინტერესების არენას.

ნეოკლასიკური თეორიის მიმდევრები (ჯ. ჰარისი, მ. ტოდარო, ო. სტარკი, დ. მასეი და სხვ.) საერთაშორისო შრომით მიგრაციას ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეთა სხვაობით ხსნიან. მათი მტკიცებით, სამუშაო ძალა მიემართება იქით, სადაც მაღალი ხელფასია. ეკონომიკის აღმავლობისა და ემიგრაციის გაძლიერების კვალდაკვალ შრომის ანაზღაურების დონეებს შორის განსხვავება მცირდება და საემიგრაციო სტიმულიც იკლებს: არაა გამორიცხული, რომ მუშახელის იმპორტიორი ქვეყანა ექსპორტიორადაც გადაიქცეს.

მიგრაციის მიკროეკონომიკური მოდელებიდან გამოვყოფთ ე.წ. „ადამიანური კაპიტალის თეორიაზე“ დაყრდნობილ მოდელს (ლ. ჟიასტადი, 1962 წ.). თითოეული მიგრანტი მოიაზრება, როგორც მის განათლებასა და სამედიცინო მომსახურებაში ინვესტირების შედეგი. ეკონომიკური დანაკარგების გარდა განიხილება ფსიქოლოგიური დანაკარგებიც, როგორცაა ახლობლებთან განშორება, კლიმატი, უფრო მაღალი დონის კულტურული გარემოს დაკარგვა და ა.შ.

ახალი ეკონომიკური თეორიის (ო. სტარკი, დ. მასეი, პ. არნოლდი, ე. ტეილორი) მიხედვით, მიგრაციაზე გადანყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ მათი ოჯახის მთელი შემადგენლობის მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ რისკების დაძლევა ოჯახისათვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება ხელფასებში.

„შრომის ორნაირი ბაზრის თეორია“ (მ. პიორი, ა. პორტესი, ლ. ბახი) ძირითადად ეყრდნობა ინდუსტრიულ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში განვითარების სხვაობებს. განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე ასეთი ქვეყნების შრომის ბაზარზე ჩნდება იაფ უცხოელ მუშახელზე მოთხოვნა. მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებით ადგილობრივი სამუშაო ძალის მიზიდვა ხდება, ხოლო ე.წ. მეორადი სეგმენტი არასტაბილური დასაქმების, დაბალი ხელფასის, შრომის ცუდი პირობების, პროფესიული ზრდის ნაკლები შანსის გამო ეთმობა შრომით იმიგრანტებს.

მიგრაციული პროცესის სამი სტადიის თეორიის (ლ. რიბაკოვსკი) მიხედვით, მიგრაციის ყოველი აქტი და მთლიანად პროცესი სამი სტადიისგან (ფაზისგან) შედგება:

– მოსამზადებელი სტადიისგან, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ფორმირების პროცესს;

– ძირითადი სტადიისგან, ანუ უშუალოდ მოსახლეობის გადასახლების სტადიისგან;

– დასკვნითი, ანუ დამამთავრებელი სტადიისგან, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მიგრანტთა შეგუებადობისაგან.

აღნიშნული სტადიები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მიგრანტი ესაა მომავალი ახალმოსახლე მისი ტერიტორიული გადაადგილებისას, ახალმოსახლე კი – უკვე ახალ საცხოვრებელ ადგილზე ყოფილი მიგრანტია, მისი მოწყობისა და ადაპტაციის პერიოდში.

8.2. საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები

ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები მოხდა მსოფლიოს განვითარებაში. გაიზარდა სხვაობა ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეში განვითარებული რეგიონების ქვეყნებსა და განვითარებადებს შორის. მოხდა სოციალისტური სისტემის დაშლა, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა ყოფილ სსრკ და იუგოსლავიის ტერიტორიებზე, რასაც დაერთო ღრმა ეკონომიკური კრიზისი ამ ქვეყნებში. ამ პერიოდში მოხდა სამოქალაქო ომები რუანდასა და ავღანეთში. მიგრაციის მასშტაბები გაიზარდა და გლობალური ხასიათი მიიღო.

ყოველივე აღნიშნულის ფონზე თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

1. მიგრაციული პროცესების გლობალიზაცია;
2. მიგრაციული ნაკადების ხარისხობრივი ცვლილება;
3. ეკონომიკური მიგრაციის განვითარების განმსაზღვრელი მნიშვნელობა;
4. არალეგალური მიგრაციის ზრდა;
5. იძულებითი მიგრაციის მასშტაბებისა და გეოგრაფიის ზრდა;
6. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაში საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელობის ზრდა;
7. მიგრაციული პოლიტიკის ორმაგი ხასიათი.

2017 წლისათვის 238 მლნ ადამიანია მიგრანტი, ანუ პლანეტის მოსახლეობის 3%. მიგრანტთა ნახევარზე მეტი 10 ქვეყანაში ცხოვრობს. პირველ ადგილზეა აშშ – 45,8 მლნ. კაცი, რუსეთი – 11 მლნ; გერმანია – 9,8 მლნ. კაცი. ყველაზე პოპულარული მარშრუტებია: მექსიკა და აშშ; რუსეთი და უკრაინა; უკრაინა და რუსეთი; ყაზახეთი და რუსეთი.

მეორე ტენდენცია არის მიგრანტთა შორის მაღალი დონის განათლებისა და კვალიფიკაციის პირთა წილის ზრდა, „ტვინების გადინება“; ამჟამად მიმდინარეობს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების დაუბრუნებელი მიგრაცია (მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები და ა.შ.), ამას ემატება პოტენციურ სპეციალისტთა (სტუდენტების, ასპირანტების, სტაჟიორების) მიგრაცია, რომელთა მიმართ ტარდება მათი მიზიდვის მიზანმიმართული პოლიტიკა განვითარებული ქვეყნების და, განსაკუთრებით, აშშ-ს მიერ. ბოლო 30 წელიწადში განვითარებადმა ქვეყნებმა „ტვინების გადინებით“ 60 მილიარდ დოლარზე მეტი დაკარგეს. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ დასავლეთს „ტვინებით“ აქტიურად ამარაგებს ყოფილი სოციალისტური ქვეყნები.

საერთაშორისო მიგრაციაში განმსაზღვრელია ეკონომიკური მიგრაცია. მაგალითად, 2001 წელს, შრომითი ემიგრანტები თავიანთი ოჯახის წევრებით 120 მილიონს აღემატებოდნენ, მაშინ როცა 1960 წელს სულ რაღაც 3,2 მლნ-ს შეადგენდნენ. ამ სახის მიგრაცია არის თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე. იგი არსებით გავლენას ახდენს მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკაზე. საზღვარგარეთიდან შრომითი ემიგრანტთა ფულადი გზავნილები მეტად სწრაფად იზრდება. განვითარებადმა ქვეყნებმა 1999 წელს მიიღეს 73 მლრდ გზავნილი, ხუთი წლის შემდეგ – 2004 წელს კი – 126 მლრდ. 2018 წლისათვის ეს ციფრი 529 მლრდ დოლარია.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავებული დემოგრაფიული ზრდის გამო იქმნება თავისებური დისბალანსი: განვითარებად ქვეყნებში – მუშახელის სიჭარბე და განვითარებულში – დეფიციტი. ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში 1,2 მლრდ. ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში, რაც ხელს უწყობს შრომით ემიგრაციას. ეს სამუშაო ძალა ძლიერ იაფია, განსაკუთრებით, არალეგალური მიგრანტებისა.

სწორედ არალეგალური მიგრაციის განუხრელი ზრდაა თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, აშშ-ში 15 მლნ არალეგალური მიგრანტია, დასავლეთ ევროპაში – 5 მლნ, იაპონიაში – 1 მლნ, რუსეთში – 7 მლნ, სამხუხაროდ, იმპერიალისტური პოლიტიკითაა ნაკარნახევი ამ შვიდმილიონიან მასაში მხოლოდ არალეგალი ქართველების გამორჩევა და მათი დეპორტაციის დანყება. ეს მაშინ, როცა რუს მენარმეთათვის ისინი წარმოადგენენ ყველაზე იაფ და უუფლებო სამუშაო ძალას, რაც იძლევა მათი დაქირავების უდიდეს სტიმულს.

ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენციაა იძულებითი მიგრაციის მასშტაბებისა და გეოგრაფიის გაფართოება. 1951 წელს მსოფლიოში 2,1 მლნ იძულებითი მიგრანტი ითვლებოდა, 1995 წელს – 27 მლნ (აღრიცხულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ). ამას თუ დავუმატებთ ე.წ. ეკოლოგიურ ლტოლვილებს, მაშინ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 50 მლნ-მდე გაიზრდება.

იძულებით გადაადგილებულთა პრობლემა მეტად მწვავეა საქართველოსთვისაც, სადაც მათი რიცხოვნობა 300 ათას აღწევს.

მსოფლიოს უთანაბრო **დემოგრაფიული განვითარების პირობებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა საერთაშორისო მიგრაციამ.** 1990-იან წლებში ევროპის მოსახლეობის ზრდის 88% წმინდა მიგრაციაზე მოდის. მაგალითად, ამ პერიოდში გერმანიის, იტალიის, რუსეთის მოსახლეობის ზრდა მთლიანდ მიგრაციით მოხდა, რადგან მათ მოსახლეობას ახასიათებს ბუნებრივი კლება. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის ზრდის 70% იმიგრაციულმა ზრდამ განაპირობა. ასევე, აშშ მოსახლეობის ზრდის 40% იმიგრაციის მეოხებით ხდება.

გაეროს პროგნოზით, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების დაბერების გამო 2050 წლამდე ევროკავშირს დასჭირდება ყოველწლიურად 12,7 მლნ იმიგრანტის მიღება. რუსეთში შექმნილმა უმწვავესმა დემოგრაფიულმა კრიზისმა სრულიად შეცვალა ამ ქვეყნის გეოსტრატეგიული პარადიგმა – „მინების შეკრებიდან ხალხების შეკრებისაკენ“. პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთმა მიიღო 4,2 მლნ იმიგრანტი გარემიგრაციული სალდოს (წმინდა მიგრაცია) სახით და გეგმავს უახლოეს 10-15 წელიწადში 7,1-9,1 მლნ კაცის მიღებას. ასეთ ვითარებაში გაუგებარია ის პოლიტიკა და ქსენოფობია, რომელიც ხორციელდება იქ მცხოვრები ამ ქვეყნისადმი ლოიალურად განწყობილი ქართველების მიმართ, რომლებიც სხვა ერებთან შედარებით ასიმილაციის დიდი უნარით ხასიათდებიან.

მიგრაციული პოლიტიკის ორგვარი ხასიათი თანდათან უფრო ვლინდება. ერთი მხრივ, ქვეყნები ცდილობენ, რომ საერთაშორისო მიგრაციული პროცესები ხორციელდებოდეს ლიბერალურად, მოიხსნას რიგი შეზღუდვები (გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები). მეორე მხრივ კი, სისტემატურად გამოსცემენ კანონებს მიგრაციულ ნაკადთა შეზღუდვების შესახებ.

1994 წელს **კაიროში** გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე მიიღეს ხალხთმოსახლეობისა და განვითარების დარგში მოქმედების პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია 20 წელზე. ამ პროგრამაში 10 თავი საერთაშორისო მიგრაციას ეხება. ამ დოკუმენტით განმტკიცებულია შრომით ემიგრანტთა უფლებები და მიმღები ქვეყნების მთავრობათა მოვალეობები მათ მიმართ. ამავე დროს, ყოველთვის აღინიშნება სამი ძირითადი ნაკლი: მიგრაციის შესახებ ინფორმაციის სიმწირე, ყოვლისმომცველი თეორიის უქონლობა და მდგრად განვითარებასა და მიგრაციას შორის კავშირის არასაკმარისი გაგება.

მიგრაციის პოლიტიკის საერთაშორისო დონეა ევროკავშირის ქვეყნების შეთანხმებანი, პირველ რიგში კი, ე.წ. შენგენის შეთანხმება (1985), რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა გადაადგილება სხვადასხვა მიზნით ერთი ქვეყნიდან მეორეში გამარტივებულია.

აქ მიგრაციული პოლიტიკის ორმაგი ხასიათი გამოიხატება ორ ასპექტში:

1. მთელი კავშირის ინტერესები ხშირად არ ემთხვევა ამ კავშირში შემავალი სახელმწიფოების ინტერესებს. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა არც კი მოანერა თავიდანვე ხელი შენგენის შეთანხმებას.

2. ამჟამინდელი მიგრაციული პოლიტიკა განსაკუთრებით მკაცრად ეკიდება ე.წ. „მესამე ქვეყნებიდან“ მიგრაციას.

8.3. თანამედროვე მიგრაციული ვითარება საქართველოში

მოსახლეობის მიგრაცია ამჟამინდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემაა. მისმა უკიდურესმა ცალმხრივმა მიმართულებებმა და არაბუნებრივად მაღალმა ინტენსივობამ პოსტსაბჭოთა წლებში საქართველოს ერთ მილიონზე მეტი მოქალაქე დააკარგვინა. მართალია, საქართველოდან მუდმივად გასულებში არააბორიგენი მო-

სახლეობა ჭარბობდა, მაგრამ ბოლო ხანს არაქართველთა ემიგრაციული პოტენციალი შესუსტდა, ქართველებისა კი ჯერ კიდევ მაღალია. ამას ემატება ისიც, რომ ამჟამად საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ იმყოფება 300-400 ათასი საქართველოს მოქალაქე, რომელთა ახლო მომავალში საქართველოში დაბრუნების ალბათობა მცირეა. ისინი თავისი პროფესიის, კვალიფიკაციის და, რაც მთავარია, ღირსების შეუსაბამო საქმიანობას ეწევიან დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში. მეორე მხრივ, ძლიერ მაღალია საქართველოს ახალგაზრდობის გარემიგრაციული პოტენციალი.

ემიგრაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი გამოსავალი იმ ვითარებაში, რაც სსრკ დაშლის შემდგომ ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოსახლეობამ მიიჩნია შიმშილისაგან თავის გადარჩენის გზად. ემიგრაციულმა პროცესებმა, თავის მხრივ, ტრაგიზმამდე მისული მრავალი პროცესი წარმოშვა, განვითარდა ადამიანთა ტრეფიკინგი, საზღვარგარეთ იძულებით სამუშაოზე დასაქმება, მონური შრომა.

უმწვავეს პრობლემას მიეკუთვნება გარე იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შედეგად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირის თავიანთ საცხოვრისში დაბრუნება.

ასევე, რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოდან დეპორტირებული ე.წ. თურქი-მესხების რეპატრიაციის ვალდებულება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოში განწევრიანების დროს აიღო. დეპორტირებულები დაჟინებით მოითხოვენ, სახელდობრ, სამცხეში დაბრუნებას, რომლის დემოგრაფიული ტევადობა ამონურულია. მეორე მხრივ, ეკონომიკურად დასუსტებული საქართველო დღეს უძღურია რეპატრიანტთა მიღებისათვის.

კვლავაც არის საქართველოში მთიანი რეგიონების დეპოპულაციის საფრთხე, საიდანაც ცალმხრივი მიგრაცია კვლავაც გრძელდება. უკიდურესად შესუსტებულია შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია, ხოლო გადაჭარბებულ მასშტაბებს აღწევს შიგა შრომითი მიგრაცია, განსაკუთრებით, ფუნქციონირებად კარგული სამთომომპოვებელი რეგიონებიდან.

ამჟამად საქართველოს იმიგრაციული პოტენციალი მეტად სუსტია და არ შეინიშნება დიდი იმიგრაციული ნაკადები მეზობელი სახელმწიფო-

ებიდან. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ არცთუ შორეულ მომავალში საქართველო თავისი მაღალი შრომითი პოტენციალის გამო გაასწრებს თავის მეზობლებს ერთ სულზე ერთობლივი პროდუქტის წარმოებითა და ცხოვრების დონით. ეს ამ ქვეყნებში მიგრაციული პოტენციალისა და ვექტორის შეცვლასაც გამოიწვევს. აღნიშნული ვითარების ჩამოყალიბებაში თავის როლს ამ ქვეყნების დემოგრაფიული პოტენციალის ზრდაც შეასრულებს (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები) და ეს გააძლიერებს მათ დემოგრაფიულ დანოლას საქართველოზე, რასაც შეიძლება დემოგრაფიული უსაფრთხოების შესუსტებაც მოჰყვეს. ამიტომ, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარება სრულიად განსაკუთრებული მიგრაციული პოლიტიკის გატარებას გვკარნახობს, რომელიც უნდა იცვლებოდეს ვითარების ადეკვატურად. ამ შემთხვევაში უცხოური კალკები ნაკლებად გამოსაყენებელია როგორც გარე, ისე შიგა მიგრაციული პროცესების მართვისას.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით, **საქართველოს ემიგრაციული პორტრეტი შემდეგია:**

- ✓ საქართველოდან ემიგრაცია ინტენსიურია და არ კლებულობს მისი მასშტაბები;
- ✓ 2002 წლიდან მოყოლებული არსებითად არ იცვლება ემიგრაციული ნაკადების მიმართულებები. სტაბილურია იმ ქვეყნების ათეული, სადაც ძირითად მიემართებიან საქართველოდან წასული ემიგრანტები. ეს ქვეყნებია: რუსეთი, საბერძნეთი, თურქეთი, იტალია, გერმანია, აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი.
- ✓ საქართველოდან ძირითადად გაედინებიან საქართველოს მოქალაქეები და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნებით ქართველია.
- ✓ ემიგრანტების ნახევარზე მეტი დაოჯახებულია, რაც სამშობლოში დაბრუნების განმაპირობებელი დამატებითი ფაქტორია;
- ✓ საქართველოდან წასული ემიგრანტების განათლების დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს განათლებით მიღებული პროფესიით საქმიანობას. შესაბამისად, დიდია ემიგრანტების ადამიანური კაპიტალის დევალვაციის ხარისხი.

- ✓ ქვეყნიდან ძირითადად გადის ეკონომიკურად აქტიური შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა და მათი უმრავლესობის საზღვარგარეთ გამგზავრების მიზანი დასაქმებაა. გამგზავრების სხვა მიზნებიდან აღსანიშნავია სასწავლებლად წასვლა, საკუთარ ოჯახთან დაბრუნება ან ოჯახის შექმნა, სამკურნალოდ ან ლტოლვილის სტატუსის მისაღებად წასვლა.
- ✓ საზღვარგარეთ წასული ემიგრანტების უმრავლესობა აღწევს წასვლის მიზანს და დანიშნულების ქვეყანაში ისინი იმ საქმიანობით არიან დაკავებული, რაც წასვლის მიზნად ჰქონდათ დასახული.
- ✓ საზღვარგარეთ დასაქმება ძირითადად არაღვალღურია საქართველოდან ემიგრანტების კანონიერად ორგანიზებული დასაქმების სისტემის ფაქტობრივი არარსებობის გამო, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება შრომითი მიგრანტების უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციისა და ტრეფიკინგის მაღალ რისკებს;
- ✓ ქალი-ემიგრანტები უფრო მეტად ეხმარებიან საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ვიდრე მამაკაცი-ემიგრანტები. მამაკაც ემიგრანტებს შორის, ქალებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დიდია იმათი წილი, ვინც არც ოჯახს ეხმარება და არც დახმარებას ღებულობს ოჯახიდან. ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ეს გარემოება სოციალური კავშირების შესუსტებაზე (თუ არა განყვეტაზე) მიანიშნებს, რაც არასასურველია ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივიდან გამომდინარე.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით, **საქართველოს იმიგრაციული პორტრეტი შემდეგია:**

- ✓ საქართველოში ინტენსიურია იმიგრაციული პროცესები;
- ✓ იმიგრანტებს შორის დიდია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების წილი;
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე იმიგრანტების შემოღინება შედარებით ინტენსიურია შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, ერაყი.
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე იმიგრანტები საქართველოში საცხოვრებლად ირჩევენ ქვეყნის დედაქალაქს ან იმ რეგიონებს, სადაც კონცენტრირებულია მათი ეთნოსი ან მონათესავე ეთნოკულტურის მატარებელი ეროვნების წარმომადგენლები. ეს ხელს უწყობს სხვა ერის წარმომადგენლების კომპაქტურად განსახლებას საქართველოს რეგიონებში, რაც შეიძლება მათი ინტეგრაციის ხელშემშლელ გარემოებად იქცეს.
- ✓ უცხოელი იმიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურად აქტიურია და მათი თითქმის ნახევარი საქართველოში დასაქმებულია იმის

მიუხედავად, რომ საქართველოს შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

საქართველოს შიდა მიგრაციული პორტრეტი, 2014 მოსახლეობის წლის საყოველთაო აღწერის შედეგებით, შემდეგია:

- ✓ საქართველოში შიდა მიგრაცია მაღალი ინტენსივობისაა;
- ✓ შიდა მიგრაციული ნაკადები ძირითადად სასოფლო ტიპის დასახლებებიდან ქალაქის ტიპის დასახლებებისკენ არის მიმართული;
- ✓ ინტენსიურია შიდა მიგრაცია დედაქალაქისკენ როგორც საქალაქო, ისე სასოფლო ტიპის დასახლებებიდან;
- ✓ დედაქალაქში მასობრივად გადადის მოსახლეობა როგორც სხვა დიდი, ისე საშუალო და მცირე ზომის ქალაქებიდან;
- ✓ სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად კლებულობს როგორც ბუნებრივი მატების შემცირების, ისე შიდა მიგრაციული პროცესების გამო;
- ✓ საქართველოდან საერთაშორისო შრომითი ემიგრაცია ხელს უწყობს შიდა მიგრაციულ პროცესებს რეგიონებიდან ძირითადად დიდი ქალაქების მიმართულებით.

წყარო: გ. ბუნტური. საქართველოს მიგრაციული პორტრეტი (2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით. თბ. 2017. გვ. 23, 37

თემა 9. მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია

9.1. მოსახლეობის განსახლების არსი

მოსახლეობის განლაგების პირველად ერთეულს საცხოვრებელი, შენობა, წარმოადგენს, მათი გარკვეული წესით დაკავშირებული ერთობლიობა ქმნის დასახლებულ პუნქტს, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ძირითად ერთეულადაა მიჩნეული. იგი წარმოადგენს ადამიანთა საცხოვრებლისა და ბინადრობის მატერიალური ფორმების, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის ერთობლიობას. მისი განხილვისას ძირითადი ყურადღება სივრცობრივ ასპექტს ექცევა, რისთვისაც შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება:

1. დასახლებული პუნქტის უპირატესი **ეკონომიკური ფუნქცია**. სასოფლო დასახლებებში მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა, ხოლო ქალაქისა, როგორც წესი, ეკონომიკის არასასოფლო-სამეურნეო დარგები;

2. **დასახლების სიდიდე**, მასში მცხოვრებთა რიცხვი. როგორც წესი, ქალაქი უფრო დიდია სოფელზე;

3. **ადმინისტრაციული მნიშვნელობა**. ადმინისტრაციული ცენტრი, ჩვეულებრივ, საქალაქო დასახლებას წარმოადგენს, მაგრამ იგი ზოგჯერ სოფელიც შეიძლება იყოს;

4. **მოსახლეობის სიმჭიდროვე**. საქალაქო დასახლებებში იგი მჭიდროა, ვიდრე სოფლებში;

5. **კეთილმოწყობის დონე**. ქალაქის კეთილმოწყობა უფრო უკეთესია, ვიდრე სოფლისა;

6. **იურიდიული სტატუსი**. დოკუმენტურად (ისტორიულად) იგი ითვლება ქალაქად, დაბად, თუ სოფლად.

საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების დონის მიხედვით, გამოჰყოფენ განსახლების შემდეგ ისტორიულ ტიპებს:

1. არქაული ტიპი. კაცობრიობის ჩასახვის პერიოდი. მუდმივი დასახლების არარსებობა.

2. **აგრარულამდელი ტიპი.** ადამიანები მისდევენ შემგროვებლობას, ნადირობენ, ყველა ტომს აქვს თავისი დასახლება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არაა, მაგრამ იციან მეზობელი დასახლების შესახებ.

3. **ადრეაგრარული ტიპი** (მონათმფლობელური) – ადამიანები მისდევნენ მომთაბარე მეცხოველეობასა (განსახლების დეგრადაცია) და მემცენარეობას (ყალიბდება მუდმივი დასახლებანი). ჩნდება დასახლებებს შორის მიგრაცია (სამხედრო, სავაჭრო და რელიგიური მიზნით). აქ გამოიყოფა დასავლური და აღმოსავლური ქვეტიპები:

ა) აღმოსავლური ქვეტიპი (ეგვიპტე, შუამდინარეთი, ინდოეთი, ჩინეთი). ჩნდება მსხვილი (500 ათას მცხოვრებამდე) ქალაქები (დედაქალაქები), სადაც თავს იყრიან ხელოსნები, ვაჭრები, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს პატარა სოფლებში;

ბ) დასავლური ქვეტიპი (ძველი საბერძნეთი და რომი). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი პატარა ქალაქებში ცხოვრობს, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ცალკეულ შემთხვევაში, ქალაქები აღწევენ განსაკუთრებულ სიდიდეს – ერთ მილიონამდეც კი (რომი).

4. **აგრარული ტიპი** (შუა საუკუნეები). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ფეოდალების ბატონობის ქვეშ პატარა სოფლებში და სხვაგან წასვლა არ შეუძლიათ; მსხვილი ქალაქები იშლება. ქალაქები პატარაა (10 ათასი მცხოვრებით), მაგრამ მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდება და აღწევს ფეოდალებისაგან განთავისუფლებას. ქალაქის მცხოვრებნი, ძირითადად, ხელოსნობითა და ვაჭრობით არიან დაკავებულნი, მისდევენ, აგრეთვე, სოფლის მეურნეობასაც.

5. **გვიანაგრარული ტიპი** (აღორძინება) – ქალაქური კულტურის ახალი აყვავება, მათ შორის, ხელოსნობისა და ვაჭრობის გაცხოველება. სწრაფად იზრდება ხელსაყრელი მდებარეობის ქალაქები და ისინი ხდებიან მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოების ცენტრები. სოფლის მოსახლეობაც იზრდება და თანდათანობით თავისუფლდება ფეოდალური დამოკიდებულებისაგან. იწყება სოფლელთა მიგრაცია ქალაქად.

6. **ადრეინდუსტრიული ტიპი** (კაპიტალიზმის ჩასახვიდან XX საუკუნის დასაწყისამდე). მისი ნიშნებია: მრეწველობის აღმავალი განვითარება, მისი კონცენტრაცია ქალაქებში და, შესაბამისად, აქ სამუშაო ძალის კონცენტრაცია, ცალკეული ქალაქების სწრაფი ზრდა და იქ სოფლის მოსახლეობის მასობრივი გადასახლება, მილიონიანი ქალაქების გაჩენა; სოფელსა და ქალაქს შორის ცხოვრების პირობებში განსხვავების გაღრმავება.

7. **ინდუსტრიული ტიპი** (XX საუკუნის დასაწყისი და შუა ხანები). ცალკეული ქალაქების ზრდა შეიცვალა საქალაქო აგლომერაციების ზრდით, კვლავაც იზრდება განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობებში, მაგრამ საქალაქო აგლომერაციაში მოხვედრილი სოფლები უახლოვდებიან ქალაქის ცხოვრების პირობებს.

8. **პოსტინდუსტრიული ტიპი** (XX საუკუნის ბოლოს ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება); დამახასიათებელია საქალაქო აგლომერაციების შემდგომი ზრდა, მრავალმილიონიანი აგლომერაციების წარმოქმნა; იწყება მასობრივი სუბურბანიზაცია, მეგაპოლისების ფორმირება და ქალაქური ცხოვრების პირობების გავრცელება სოფლად (რურბანიზაცია). ვითარდება მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, როგორც საქალაქო დასახლებებს შორის, ისე ქალაქიდან სოფლად.

9. **განსახლების პერსპექტიული განვითარება** – ოიკუმენოპოლისის ფორმირება. ესაა მეგალოპოლისებისა და საქალაქო აგლომერაციების უწყვეტი ქსელის ფორმირება, რაც, ფაქტობრივად, მოიცავს დედამიწის მთელ დასახლებულ ტერიტორიას. იქმნება ცალკეული სასოფლო დასახლებებიც, რომლებიც კომუნიკაციათა განვითარების გამო ქალაქებისაგან დიდად განსხვავებული არაა. დამახასიათებელი იქნება მიგრაციის ძლიერ მაღალი ინტენსიურობა. ყოველი ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის საცხოვრებელ ადგილს. დიდ მნიშვნელობას იძენს საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური სრულყოფა.

საზოგადოდ, მოსახლეობის აღრიცხვა (აღწერა) ხდება ყველაზე უმცირესი ადმინისტრაციული ერთეულის – სასოფლო დასახლებული პუნქტის დონეზე. ეს საშუალებას იძლევა, აღირიცხოს მოსახლეობის ტერიტორიულ ერთეულთა ნებისმიერი კომბინაცია და გამოიხატოს იგი ე.წ. აბსოლუტურ მაჩვენებლებში. განსახლების ანალიზში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბევრ შეფარდებით მაჩვენებელს. ასეთია, მაგალითად, მოსახლეობის სიმჭიდროვე:

$$Q = \frac{P}{V},$$

სადაც Q – მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა; P – მოსახლეობის რიცხოვნობა; V – მოცემული ტერიტორიის ფართობი.

ზემოაღნიშნული მაჩვენებელი ზოგად, საშუალო ვითარებას აღნიშნავს, რაც ხშირად რეალური სურათის აღსაწერად ნაკლებად გამოდგება.

საგან თავისუფალ ადგილზე 2 კაცი (80-ჯერ მეტი). ამიტომაცაა, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვის საანალიზოდ უფრო ხელსაყრელია **რეალური სიმჭიდროვის** მაჩვენებლებით სარგებლობა. იგი უდრის:

$$Q_{\text{რეალ.}} = \frac{P}{V_{\text{დას.}}},$$

სადაც $Q_{\text{რეალ}}$ – მოსახლეობის რეალური სიმჭიდროვეა; P – მოსახლეობის რიცხოვნობა; $V_{\text{დას.}}$ – დასახლებული ტერიტორიის ფართობი.

ამჟამად, საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე 65,1 კაცია ერთ კმ²-ზე, ხოლო რეალური სიმჭიდროვე 3-ჯერ მეტია. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობა უთანაბროდაა განაწილებული და სიმჭიდროვეც რეგიონების მიხედვით მეტისმეტად დიფერენცირებულია.

იმისათვის, რომ უფრო კარგად იქნეს გათვალისწინებული ქვეყნის შიგა ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის განსახლების უთანაბრობა, გამოიყენება ე.წ. მოსახლეობის **სოციალური სიმჭიდროვის** მაჩვენებელი:

$$Q_s = \frac{\sum_{i=1}^n P_i N_i}{N},$$

სადაც Q_s – სოციალური სიმჭიდროვეა; P_i – ტერიტორიის i -ურ ნაწილში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე; N_i – ტერიტორიის i -ურ ნაწილში მოსახლეობის რიცხოვნობა; N – მოსახლეობის რიცხოვნობა მთელ ტერიტორიაზე.

9.2. მსოფლიო მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების ზოგადი კანონზომიერებანი

ჩვენს ერამდე ხუთი ათასი წლის წინ მოსახლეობის რიცხოვნობა 30 მლნ არ აღემატებოდა და კონტინენტების მიხედვით ასე იყო განაწილებული:

აზია – 20,5 მლნ. კაცი (68%);

აფრიკა – 5 მლნ. კაცი (17%);

ევროპა – 3 მლნ. კაცი (10%);

აზია – 20,5 მლნ. კაცი (68%);
 აფრიკა – 5 მლნ. კაცი (17%);
 ევროპა – 3 მლნ. კაცი (10%);
 ამერიკა – 1 მლნ. კაცი (3%);
 ავსტრალია და ოკეანეთი – 0,5 მლნ. კაცი (2%).

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მსოფლიო მოსახლეობა 230 მლნ უდრიდა, მისი 68,5% აზიაში ცხოვრობდა, 16,4% – ევროპაში, 13% – აფრიკაში, 1,7% – ამერიკაში, 0,4% – ავსტრალიასა და ოკეანეთში.

ამჟამად, ევროპისა და აზიის წილი მსოფლიო მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაში შემცირდა, ხოლო ამერიკისა ამკარად გაიზარდა. ამჟამად მსოფლიოს დასახლებულ ტერიტორიაზე დედამიწის მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 55 კაცია (2017 წ.). მათ შორის აზიაში – 141 კაცი, ევროპაში – 32, აფრიკაში – 41, ამერიკაში – 24, ავსტრალიასა და ოკეანეთში – 5.

მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (56%) ცხოვრობს ზღვის დონიდან 200 მ-მდე დაბლობებში, 24% – 200-500 მ სიმაღლეზე, 12% – 500-1000 მეტრზე, ხოლო დანარჩენი 8% – 1000 მეტრზე მაღლა. თანდათან მოსახლეობის წილი იზრდება როგორც ბარის რეგიონებში, ისე მსოფლიო ოკეანის სანაპირო ზოლში.

საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 38%-ია ზღვის დონიდან 800 მ-მდე და აქ ცხოვრობს მოსახლეობის 86%. ქვეყნის სამ მთავარ ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონაში (ჩრდილოეთი მთიანეთი, სამხრეთი მთიანეთი, მთათაშორისი ბარი) მოსახლეობა ასეა განაწილებული:

მთათაშორის ბარში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 89%, სამხრეთ მთიანეთში – 8%, ჩრდილოეთ მთიანეთში – 3%. კვლავაც გრძელდება მოსახლეობის თავმოყრის პროცესი მთათაშორის ბარში, ზღვისპირა ზოლში. განლაგების ცვლილება მიმდინარეობს სანარმოო ძალთა განლაგების, წარმოებისა და მომსახურების ტერიტორიული კონცენტრაციის კანონზომიერებათა მიხედვით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე იგი განაპირობებს წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციის უფრო მაღალ ეფექტიანობას.

9.3. ურბანიზაცია და საქალაქო განსახლების განვითარება

ურბანიზაცია გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესი და თანამედროვე მსოფლიო განსახლების სისტემის არსებითი ნიშანია. ცნება „ურბანიზაცია“ (ლათინურიდან urbanus – ქალაქური, urbs - ქალაქი) გულისხმობს ქალაქის როლის ზრდის ისტორიულ პროცესს. იგი ქალაქური ცხოვრების გავრცელების, საქალაქო აგლომერაციების განვითარებით, არასანარმოო სფეროს დაჩქარებული ზრდის ტემპით გამოიხატება. ქვეყნის შიგნით ურბანიზაციის პროცესის განვითარებაზე მიუთითებს ქალაქების სიდიდის ზრდა და ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელება სოფლად. ეს უკანასკნელი ვლინდება ქანქარისებრი მიგრაციის განვითარებით სოფლიდან ახლომდებარე ქალაქებისკენ. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ცნებები „ურბანიზაცია“ და „ურბანიზირებულობა“.

„ურბანიზაცია“ ნიშნავს პროცესს, „ურბანიზირებულობა“ ურბანიზაციის მიღწეულ დონეს. ურბანიზაციის მაღალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულობა დაბალია და, პირიქით, დაბალია ან საერთოდ შეწყვეტილია იქ, სადაც ურბანიზებულობა მაღალია.

ურბანიზაციის პროცესს საფუძვლად ეკონომიკური და სოციალური განვითარება უდევს და, არსებითად, ამითაა განსაზღვრული მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის განვითარების მიმართულება და ფორმები. ამ პროცესის ძირითადი მაჩვენებელია ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი. იგი საერთაშორისო სტატისტიკაში **ურბანიზაციის ტემპის** სახელწოდებითაა ცნობილი. გარდა ამისა, მის დასახასიათებლად იყენებენ აგლომერაციებში მაცხოვრებელთა წილის ზრდის ტემპს, ახალი ქალაქების რაოდენობას და ა. შ.

ურბანიზებულობა ფასდება ძირითადად ორი მაჩვენებლით:

1. ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში;
2. იმ მოსახლეობის წილი, რომელიც დიდ ქალაქებში ცხოვრობს.

გარდა ამისა, ანალიზისას იყენებენ ისეთ მაჩვენებლებსაც, როგორცაა ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა, ქალაქის მოსახლეობის სიმჭიდროვე, საქალაქო ქსელის სიმჭიდროვე, სატრანსპორტო ქსელის სიმჭიდროვე და დასახლებათაშორის კავშირების ინტენსივობა, რაც ქანქარისებური მიგრაციით გამოიხატება; იმ ტერიტორიის წილი, სადაც ქალაქებია

განლაგებული. აღსანიშნავია, ისიც, რომ ურბანიზებული შიდა ქვეყნის შეფასება ხდება იმითაც, როგორია განაშენიანების ტიპი, კეთილმოწყობის დონე და დასახლებული პუნქტების საინჟინრო აღჭურვილობა.

ურბანიზებული მაჩვენებელთაგან ყველაზე ზოგადი მაჩვენებელი **ქალაქის მოსახლეობის წილი**, რაც მეტ-ნაკლებად გამოხატავს ურბანიზებული დონეს. ამით პირობითად იმიჯნება ურბანიზაციის დონეებიც.

1. თუ ეს მაჩვენებელი 10%-მდეა, მოცემული ტერიტორია პრაქტიკულად არაურბანიზებულია. თვით საქალაქო დასახლებებშიც კი სოფლური ცხოვრების სახეა უმეტესად გავრცელებული. განსხვავება სასოფლო და საქალაქო დასახლებულ პუნქტებს შორის არსებითი არაა. ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობა და წილი ნელა იზრდება.

2. თუ ქალაქის მოსახლეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აქ აშკარად ჭარბობს სოფლის მოსახლეობა. ტერიტორია სუსტად ურბანიზებულია, მაგრამ უკვე გამოკვეთილია ქალაქური ცხოვრების წესი, რომელიც მიმზიდველი ხდება სოფლად მცხოვრებთათვის. იწყება ქალაქების სწრაფი ზრდა, ჩნდება ახალი საქალაქო დასახლებანი, რომლებიც ერთიმეორისგან სიდიდით მეტად განსხვავდებიან.

3. როდესაც ქალაქის მოსახლეობის წილი 50%-ს აღწევს (საშუალოდ ურბანიზებული ტერიტორია), ამ დროს ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობისა და წილის ზრდის ტემპი მეტად მაღალია. ქალაქთა უმეტესობაც უკვე მკვეთრად განსხვავდება თავისი მახასიათებლებით სოფლებისაგან.

4. როცა ქალაქის მოსახლეობის წილი 75%-ს მიაღწევს, აქ საქალაქო განსახლება აშკარად სჭარბობს სოფლისას (მაღალურბანიზებული ტერიტორია). ქალაქური ცხოვრების წესი ვრცელდება სოფლადაც, იწყება იგი უმსხვილესი ქალაქების საგარეუბნო ზონიდან, სადაც წარმოიქმნება ახალი საქალაქო დასახლებები. ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობისა და წილის ზრდის ტემპი მკვეთრად იკლებს.

5. ქალაქის მოსახლეობის წილი 90%-ს რომ მიაღწევს, ტერიტორია, ფაქტობრივად, მთლიანად ურბანიზებულია. ქალაქური ცხოვრების სახე, როგორც წესი, გავრცელებულია სოფლის მთელ მოსახლეობაზეც. განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის თითქმის ქრება. ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა და წილი მინიმალურად იზრდება, ან, შესაძლოა, კლებაც კი დაიწყო.

ურბანიზაციის გენეზისი ათასწლეულებს მოიცავს, მაგრამ ამ პროცესის ტემპი XX საუკუნეში დაჩქარდა. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი (55% - 2018 წ.) ქალაქად ცხოვრობს. ზოგიერთი ქვეყნის ქალაქის მოსახლეობამ კი 90-95%-ს მიაღწია. მსოფლიო მოსახლეობის ურბანიზაციაში გარდატეხა მოხდა 2007 წელს, როცა ქალაქის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 50%-ზე მეტი გახდა.

ამჟამად ურბანიზაციის პროცესი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში. ეს ტემპი ყველაზე დაბალი ევროპაშია. დღესდღეობით, მსოფლიო ქალაქის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს აზიაში (54%), შემდგომ, ევროპაში (13%), ლათინურ ამერიკაში (13%), აფრიკაში (13%), ჩრდილოეთ ამერიკაში (7%). ევროპაში მეგაქალაქები გაჩნდნენ 2000 წელს. ეს იყო მოსკოვი, პარიზი და ლონდონი.

ცხრილი 1. ურბანიზაციის ძირითად მაჩვენებელთა ცვლილება (1900-2014 წწ.)

მაჩვენებლები	1900	1950	2014
მილიონიანი ქალაქების რაოდენობა	10	78	417
საქალაქო აგლომერაციების რაოდენობა 10 მლნ-ზე მეტი მცხოვრებით	0	1	43
ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა, მლნ კაცი	220	730	3900
ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში, %	14	29	54
მილიონიანი ქალაქების მცხოვრებთა წილი ქალაქის მოსახლეობაში, %	9	26	43
10-მილიონიანი აგლომერაციების წილი ქალაქის მოსახლეობაში, %	0	2	12

განვითარებად ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობის უკონტროლო ზრდას მოსდევს ე.წ. „ცრუ ურბანიზაცია“. ამ დროს იზრდება მცირე ქალაქების რაოდენობა ისე, რომ მას არ სდევს საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარება, ხდება ე.წ. ფაველიზაცია, ქალაქის გარეუბნებში ქონმასებში მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა. მათ ხშირად არ აქვთ სუფთა სასმელი წყალი, ელექტროენერგია და კანალიზაცია. მაგალითად, ქალაქის შინამეურნეობათა 47% პაკისტანსა და ბოლივიაში ასეთ ადგილებში ცხოვ-

რობს. განვითარებად ქვეყნებს ე.წ. „მეთაური ქალაქების“ პრობლემაც აქვთ. კერძოდ, ქალაქის მთელი მოსახლეობა ერთ ან 2-3 ქალაქშია თავმოყრილი. მაგალითად, პანამაში ქალაქის მოსახლეობის 73% და მთელი მოსახლეობის 42% დედაქალაქ პანამაში ცხოვრობს. შესაბამისად, ლიბანში – 66 და 59% ქალაქ ბეირუთში და ა. შ.

ცხრილი 2. უმსხვილესი საქალაქო აგლომერაციების ათეული მსოფლიოში (2014 წ.)

საქალაქო აგლომერაციები	მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ.კაცი)
ტოკიო (იაპონია)	37,8
დელი (ინდოეთი)	25,0
შანხაი (ჩინეთი)	23,0
მეხიკო (მექსიკა)	20,8
სან-პაულუ (ბრაზილია)	20,8
მუმბაი (ინდოეთი)	20,7
ოსაკა (იაპონია)	20,1
პეკინი (ჩინეთი)	19,5
ნიუ-იორკი (აშშ)	18,6
კაირო (ეგვიპტე)	18,4

ურბანიზაციის დონის ზრდა, უმთავრესად, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუმცა, ზოგჯერ კლიმატური ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, ჩრდილოეთში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო რესურსები შეზღუდულია, ხოლო მომპოვებელი მრეწველობისათვის კი – საკმაოდ დიდი, ძირითადად, საქალაქო დასახლებებია წარმოდგენილი.

ურბანიზაციის პროცესის განვითარების ზოგადი ტენდენციები დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის. ეს კანონზომიერებანი კარგად აისახა ამერიკელი ურბანისტი ჯ. ჯიპსის ურბანიზაციის სტადიების თეორიაში. მან გამოყო ურბანიზაციის ხუთი სტადია:

1. შედარებით თანაბარზომიერი განსახლება, რომელიც დიფერენცირებულია ბუნებრივი ლანდშაფტის შესაბამისად. ცალკეული ქალაქები უკვე წარმოქმნილია. იზრდება ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობაც,

მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქალაქისა. ჭარბობს სოფლის მოსახლეობა (90%).

2. ცხოვრების ქალაქური სახე უფრო მიმზიდველი ხდება. იწყება სოფლიდან ქალაქად მიგრაცია. ქალაქებისა და დაბების მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სოფლებისა. თუმცა სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობაც მატულობს.

3. ქალაქები ველარ იტევს სოფლის იმ მოსახლეობას მთლიანად, რომელიც მათკენ მიისწრაფვის, ამიტომ უმსხვილესი ქალაქების გარშემო ყალიბდება საგარეუბნო ზონები, ე.ი. წარმოიქმნება საქალაქო აგლომერაციები, მაგრამ მთავარი ქალაქის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საგარეუბნო ზონის ქალაქებისა. სოფლის მოსახლეობა ქალაქად ინტენსიური მიგრაციის გამო რიცხობრივად კლებულობს.

4. იწყება სუბურბანიზაცია – საქალაქო აგლომერაციების განვითარება. საგარეუბნო ქალაქების ცენტრალურ ქალაქებთან შედარებით უფრო სწრაფი ზრდის გამო იწყება ცენტრალური ქალაქიდან საგარეუბნო ზონაში გადასახლების პროცესი. სოფლის მოსახლეობა კვლავაც კლებულობს.

5. ძლიერდება ქალაქის მოსახლეობის დეკონცენტრაცია, ნელდება საქალაქო აგლომერაციების ზრდის ტემპები. იზრდება არააგლომერირებული ტერიტორიის მოსახლეობის წილი, რაც ზოგჯერ ურბანიზებული რაიონებისა და მეგალოპოლისების წარმოქმნით მთავრდება. სოფლის მოსახლეობა მატულობს, მაგრამ სოფლად ცხოვრება არაფრით განსხვავდება ქალაქებისაგან. ქალაქის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 75%-ზე მეტია.

ურბანიზაციის პირველი სტადია ამჟამად დამახასიათებელია მსოფლიოს ყველაზე მცირედ ურბანიზებული ქვეყნებისათვის (უგანდა, ბუთანი და ა.შ.). განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ურბანიზაციის მეორე სტადიაზე იმყოფება, თუმცა ამ ქვეყნების უმსხვილესი ქალაქების განლაგების რაიონები მესამე სტადიაში შევიდნენ. მესამე სტადიაზე იმყოფებიან აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები, სადაც მსხვილი ქალაქების მქონე რეგიონები ერთი სტადიით უსწრებენ ძირითად ტერიტორიას.

ურბანიზაციის მეოთხე სტადიაზე არის განვითარებული ქვეყნების უმეტესობა, მაგრამ მათგან აშშ, კანადა, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანია

ნეთი, საფრანგეთი – უკვე ურბანიზაციის მეხუთე სტადიაზეა, რომელიც, ჯერჯერობით, ბოლო სტადიად ითვლება.

ურბანიზაციის ანალიზისათვის საჭიროა საქალაქო დასახლებათა ტიპოლოგიის გამოყენებაც.

ქალაქად მიჩნეულია მსხვილი დასახლებული პუნქტი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებულია მრეწველობაში, ვაჭრობაში, მმართველობასა და მომსახურების სფეროში მეცნიერებასა და კულტურაში.

ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული ქალაქების სიდიდისა (მოსახლეობის რიცხოვნობის) და ფუნქციის მიხედვით გრადაცია. სიდიდის მიხედვით, ყველაზე მისაღებია შემდეგი კრიტერიუმები:

- პატარა ქალაქები: 20 ათასამდე მცხოვრები;
- საშუალო ქალაქები: 20-100 ათასი მცხოვრები;
- დიდი ქალაქები: 100-500 ათასი მცხოვრები;
- მსხვილი ქალაქები: 500 ათასიდან 1 მლნ-მდე მცხოვრები;
- უმსხვილესი ქალაქები: 1 მლნ-ზე მეტი მცხოვრები;
- ზემსხვილი ქალაქები: 10 მლნ-ზე მეტი მცხოვრები.

რაც შეეხება ფუნქციის მიხედვით ქალაქების დაყოფას, გამოყოფენ შემდეგ მახასიათებლებს:

- ეკონომიკური (მოსახლეობა დასაქმებულია არასასოფლო-სამეურნეო დარგებში);
- ეკისტიკური (მრავალრიცხოვანი მოსახლეობის კონცენტრაცია მცირე ტერიტორიაზე და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე);
- დემოგრაფიული (მოსახლეობის სტრუქტურისა და აღწერის ქალაქური ტიპი);
- არქიტექტურული (ქალაქური არქიტექტურული დაგეგმარება);
- სოციოლოგიური (ქალაქური ცხოვრების სტილი);
- სამართლებრივი (ქალაქი, როგორც წესი, ადმინისტრაციული ცენტრია).

იმისათვის, რომ დასახლებულ პუნქტს ქალაქის სტატუსი მიენიჭოს, ამჟამად მსოფლიოში ძირითადად, სამ კრიტერიუმს იყენებენ: ეკონომიკურს, ეკისტიკურს და ადმინისტრაციულს. მაგალითად, მსოფლიოს 228 ქვეყნიდან ნახევარზე მეტ ქვეყანაში ადმინისტრაციულ კრიტერიუმს იყენებენ (მაგ., დანია, ეგვიპტე და სხვ). 63 ქვეყანაში ეკისტიკური კრიტერიუმია (მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე, მაგალითად, გერმანია),

24 ქვეყანაში (ავსტრია, რუსეთი და სხვ.) ეკონომიკური (მოსახლეობა არასასოფლო სფეროშია დასაქმებული); 21 ქვეყანას არავითარი კრიტერიუმი არ აქვს შემუშავებული (ომანი, ლიხტენშტეინი). რაც შეეხება მოსახლეობის რიცხოვნობას, როგორც კრიტერიუმს, ის 100 კაციდან (პერუში) და 200 კაციდან (ისლანდია, შვეცია) 20 ათასამდე (ნიგერიაში), 50 ათასამდე (იაპონიაში) მერყეობს.

ქალაქების ფუნქციონალური ტიპოლოგიის სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (სქემა 1).

სქემა 1. ქალაქების ფუნქციონალური ტიპოლოგიის სქემა

ქალაქის ტიპი	ქვეტიპი	ქალაქი
ადმინისტრაციული ცენტრები	დედაქალაქი	კანბერა ავსტრალიაში, ასტანა ყაზახეთში
	რეგიონული ცენტრი	ბელფასტი დიდ ბრიტანეთში, ბათუმი საქართველოში
	ადგილობრივი ცენტრი	ნომი აშშ-ში (ალიასკა) ოზურგეთი საქართველოში
სამრეწველო ცენტრები	მომპოვებელი მრეწველობის	სურგუტი რუსეთში, მადნეული საქართველოში
	მანქანათმშენებლობის	ტურინი იტალიაში ქუთაისი საქართველოში
	მეტალურგიის	კატოვიცე პოლონეთში, რუსთავი და ზესტაფონი საქართველოში
სატრანსპორტო ცენტრები	საზღვაო	როტერდამი ნიდერლანდებში, ფოთი საქართველოში
	სარკინიგზო	ჟმერინკა უკრაინაში, სამტრედია საქართველოში
არასანარმოო ცენტრები	საკურორტო	ანტალია თურქეთში, წყალტუბო საქართველოში
	სამეცნიერო და საგანმანათლებლო	კემბრიჯი დიდ ბრიტანეთში
	ფინანსური	ციურიხი შვეიცარიაში

რასაკვირველია, წმინდა სახით რომელიმე ფუნქცია არც ერთ ქალაქს არ აქვს, მაგრამ ამა თუ იმ ტიპს მოცემული კონკრეტული ფუნქცია აშკარად აქვს გამოხატული. მსხვილი ქალაქები, როგორც წესი, მრავალფუნქციური ქალაქებია.

საქართველოში მეტნაკლებად არის გამოხატული ფუნქციონალური ნიშნები. განსაკუთრებით ბევრია საკურორტო დასახლებანი მცირე ქალაქებისა და დაბების სახით. სავარაუდოა, რომ მომავალში საკურორტო მეურნეობა კვლავაც იქნება მნიშვნელოვანი ქალაქნარმომქმნელი ფაქტორი.

9.4. სასოფლო განსახლება

რაც შეეხება სასოფლო განსახლებასა და სასოფლო დასახლებებს, სადაც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს, ძირითადად, ორი ფორმითაა წარმოდგენილი. ესენია:

1. **ჯგუფური განსახლება.** ასეთი სასოფლო განსახლების დროს სოფლის მცხოვრებთა სახლები ერთიმეორის სიახლოვეს არიან განლაგებული და კომპაქტურად დასახლებულ პუნქტს ქმნიან. თანამედროვე მსოფლიოში უმეტესად ასეთი განსახლებანი ქარბობს (ევროპა, აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა).

2. **გაბნევითი განსახლება,** როცა საცხოვრებელი ბინები განლაგებულია დასამუშავებელი მიწის ნაკვეთების მიხედვით, თითოეული თავის მიწის ნაკვეთზე (ფერმერული მეურნეობა). იგი გავრცელებულია უმეტესად აშშ-ში, კანადაში, ჩრდილოეთ ევროპაში (ხუტორები).

ბევრ ქვეყანაში სასოფლო განსახლების ორივე ზემოდასახელებული ფორმა გვხვდება.

რამდენადაც სასოფლო განსახლება უფრო კონსერვატიულია და ნელა იცვლება ქალაქების უნივერსალურ ფორმებთან შედარებით, იქ უფრო მეტადაა შენარჩუნებული ამ ქვეყნისა და ცალკეული ტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. პერსპექტივაში კი რურბანიზაციის განვითარებისას ცხოვრების ქალაქურ და სოფლურ სახეებს შორის განსხვავება პრაქტიკულად ისპობა.

საქართველოში XX საუკუნეში ურბანიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პირობებში. ძირითად ქალაქნარმომქმნელ ფაქტორს არასასოფლო-სამეურნეო დარგებში დასაქმებულთა უპირატესი ზრდა წარმოადგენდა. მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა წილმა 30%-ს გადააჭარბა. საქართველოში მნიშვნელოვან ქალაქნარმომქმნელ დარგს საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობაც წარმოადგენს. ამჟამინდელი კანონმდებლობით, საქართველოში ქალაქის სტატუსი ენიჭება დასახლებულ პუნქტს,

სადაც ცხოვრობს არანაკლებ 5000 კაცი, აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (2014 წლის მონაცემებით) 93¹ საქალაქო დასახლებაა. მათ შორის დედაქალაქი თბილისი მილიონიანი ქალაქია, ხოლო ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ჩვენში მიღებული გრადაციით, დიდი ქალაქების კატეგორიას განეკუთვნება. საშუალო ქალაქების სტატუსი (20-100 ათასი) 11 ქალაქს უკავია, ხოლო დანარჩენი პატარა ქალაქებსა და დაბებს წარმოადგენს.

აღნიშნული 1989 წლის აღწერისას საქართველოში 4814 სოფელი იყო. მათგან ბევრი წვრილი სოფელი აღირიცხა, სადაც მოსახლეობა არ აღემატებოდა 100 მცხოვრებს (1200 სოფელი), ხოლო 1000 მცხოვრებზე მეტს ითვლიდა მხოლოდ 661 სოფელი. **2014 წლის აღწერით, 3633 სოფელია, ამ პერიოდში აღირიცხა 223 დაცარიელებული სოფელი, 61 სოფლით მეტი, ვიდრე 2002 წელს და 2-ჯერ მეტი, ვიდრე 1979 წელს იყო. გარდა ამისა, 2014 წელს აღირიცხა 5-კაციანი 157 სოფელი, როცა 2002 წელს ასეთი იყო მხოლოდ 86 სოფელი, მხოლოდ 12 სოფელი იყო 5000-ზე მეტ კაცამდე მცხოვრებლით, მაშინ, როცა 2002 წელს ასეთი იყო - 64 სოფელი. ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლები 200-დან 500 კაცამდე მცხოვრებლით. მრავალრიცხოვანი სოფლებით გამოირჩევა გარდაბნის რაიონი (მარტყოფი, გამარჯვება, სართიჭალა, ფონიჭალა, ქესალო, ნაზარლო)²**

მიუხედავად არცთუ ისე დიდი ტერიტორიისა, საქართველოს განსახლების სისტემა უაღრესად რთული და მრავალფეროვანია, დიდადა განსაზღვრული ბუნებრივ-რელიეფური სირთულით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის კონცენტრაცია თანდათან მატულობს ბარის ზონაში. უფრო სწრაფად მცირდება წვრილი სოფლების მოსახლეობა.

ეკონომიკურმა კრიზისმა ძლიერ შეაფერხა საქართველოს განსახლების სისტემის განვითარება. ეკონომიკაში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა რეგრესულად შეიცვალა, განსახლება კი თითქმის უცვლელი დარჩა, რამაც წინააღმდეგობა წარმოშვა ეკონომიკის განვითარებასა და განსახლების სისტემას შორის, რომელიც თანდათან უნდა დაიძლიოს ეკონომიკური რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების მეოხებით.

¹ ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიის მიხედვით.

² ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიის მიხედვით.

თემა 10. მოსახლეობის და შრომითი რესურსების პროგნოზი

10.1. მოსახლეობის პროგნოზი და მისი კლასიფიკაცია

სიტყვა პროგნოზი ბერძნულია და ნიშნავს წინასწარ „განჭვრეტას“.

დემოგრაფიული პროგნოზი არის მოსახლეობის მოძრაობისა და დემოგრაფიული ვითარების მეცნიერულად დასაბუთებული წინასწარმეტყველება. ის განსაზღვრავს მომავალში მოსახლეობის მოსალოდნელ რიცხოვნობას და მისი სტრუქტურის ცვლილებას.

დემოგრაფიული პროგნოზი საფუძველია ბევრი სხვა სახის პროგნოზისა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. მის გარეშე შეუძლებელია, დავადგინოთ მომავალში შრომითი რესურსების რაოდენობა და სტრუქტურა, ამა თუ იმ სახის პროდუქტსა თუ მომსახურებაზე სამომხმარებლო მოთხოვნა, საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სოციალური მომსახურების მასშტაბები (განათლება, ჯანდაცვა, საპენსიო სისტემის ფუნქციონირება), გეოპოლიტიკური ამოცანები და ა.შ.

დემოგრაფიული პროგნოზი კეთდება სამ ვარიანტად: „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ ვარიანტი. „საშუალო“ ვარიანტი ყველაზე მეტად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სინამდვილეს. „დაბალი“ და „მაღალი“ ვარიანტები მიუთითებენ დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ქვედა და ზედა ზღვარს.

დემოგრაფიული პროგნოზის სიზუსტის პირობა არის მეცნიერულად დასაბუთებული ჰიპოთეზა რეპროდუქციული, თვითშენახვითი და მიგრაციული ქცევის ცვლილებების შესახებ გარკვეული პერიოდის მანძილზე, რის შესახებაც ინფორმაციას სპეციალურად ორგანიზებული სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევები იძლევა.

დემოგრაფიული პროგნოზის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია სიზუსტე. მას კი მნიშვნელოვნად განაპირობებს ამოსავალი დემოგრაფიული ინფორმაციის ხარისხი და მიღებული ჰიპოთეზა, რომელიც სწორედ იმ კვლევების საფუძველზე უნდა შემუშავდეს, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ.

დემოგრაფიული პროგნოზის კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება, თუ რა მიზნით და რა პერიოდისთვის გაიანგარიშება იგი.

საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით, დემოგრაფიაში განასხვავებენ **მოკლევადიან (5-10 წ), საშუალოვადიან (25-30 წ) და გრძელვადიან (30 წელზე მეტი)** პროგნოზებს. რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის ხდება საპროგნოზო გაანგარიშება, მით უფრო ნაკლებად საიმედო და ზუსტია იგი. პროგნოზი კეთდება როგორც სტატისტიკური ორგანოების მიერ, ისე იმ კვლევითი ინსტიტუტების მიერაც, რომელიც მოსახლეობის საკითხებს შეისწავლიან.

იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება პროგნოზი, გამოიყოფა დემოპროგნოზის შემდეგი სახეები: **ანალიზური, გამაფრთხილებელი, ნორმატიული და ფუნქციონალური.**

ანალიზური პროგნოზირების მიზანია აღწარმოების თანამედროვე ტენდენციების გამოკვლევა მომავალში მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაზე მათი შესაძლო ზეგავლენის შესწავლის მიზნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანალიზური პროგნოზისათვის დამახასიათებელია არა იმდენად მომავლის პროგნოზირება, რამდენადაც რეალური სიტუაციის შესწავლა ე.წ. „მტკივნეული ადგილების“ გამოსავლენად, რომელთა შემდგომი შენარჩუნება ზეგავლენას მოახდენს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე, პოლიტიკურ თუ სხვა პროცესებზე, გაამწვავებს უკვე არსებულ მდგომარეობას და წარმოშობს ახალ პრობლემებს.

ანალიზური პროგნოზირებისას გაანგარიშება ხდება დაშვებით, რომ არ შეიცვლება აღწარმოების რეჟიმი. იგი გრძელვადიანი, ნაკლებად რეალური და არაზუსტია, მაგრამ საშუალებას იძლევა, გავითვალისწინოთ ის ნეგატიური შედეგები და პრობლემები, რომელიც შეიძლება საპროგნოზო პერიოდში აღმოცენდეს.

გამაფრთხილებელი პროგნოზი. ამ პროგნოზის მიზანია შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი და საშიში შედეგების ჩვენება, რათა მიღებული იქნეს საჭირო ზომები ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ერთ-ერთი ცნობილი გამაფრთხილებელი დემოგრაფიული პროგნოზი გაკეთებულ იქნა თ. მალთუსის მიერ. ის გვაფრთხილებდა მოსალოდნელ საშინელ შედეგებზე (ომები, უბედურებები), რადგან საარსებო საშუალებები, მისი აზრით, არითმეტიკული პროგრესიით იზრდება, ხოლო მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით. დღევანდელ გამაფ-

რთხილებელ პროგნოზთაგან მალთუსიანური სულით გაჟღენთილია რომის კლუბის პროგნოზი, რომლის მიხედვით, ყოველგვარი საშინელება გამონვეულია მოსახლეობის მატებით, მინერალურ და ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდით.

ნორმატიული პროგნოზი. ამ პროგნოზის მიზანია, შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები მეტნაკლებად სასურველი დემოგრაფიული მდგომარეობის მისაღწევად. ამ დროს ფორმულირდება სასურველი დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის სასურველი რიცხვი, შობადობის დონე, მოკვდაობის დონე და ა.შ.

ამის შემდეგ იგეგმება ღონისძიებები, რომელიც შექმნის პირობებს სასურველი დემოპარამეტრების მისაღწევად.

ფუნქციონალური პროგნოზი. მისი მიზანია მოსახლეობის შესახებ საპროგნოზო ინფორმაციის მიღება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო თუ სოციალური მართვის საქმიანობისას რიგ აუცილებელ გადაწყვეტილებათა მისაღწევად ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ფუნქციონალური პროგნოზი არის პროგნოზი, რომელიც კეთდება ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოსათვის, ფირმისათვის, სასწავლო ორგანიზაციისათვის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით.

ფუნქციონალურ პროგნოზში გამოყოფენ ორი სახის პროგნოზს:

- დემოგრაფიული მიწოდების პროგნოზი;
 - მოსახლეობაზე მოთხოვნის პროგნოზი.
- პირველ შემთხვევაში საქმე ეხება მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზს, ე.ი. მოსახლეობის პროგნოზს სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კონკრეტულად, რამდენი ბავშვი, მოხუცი, ოჯახი, სასკოლო თუ შრომის ასაკის პირი იქნება ქვეყანაში.

მეორე შემთხვევაში, ხდება იმ კონტინგენტის განსაზღვრა, რომელმაც გარკვეული სოციალური როლი უნდა შეასრულოს, ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტების (საწარმოს, კორპორაციის) საქმიანობაში. ამ პროგნოზით ხდება მომავალი სამომხმარებლო მოთხოვნის დინამიკის შეფასება.

ფუნქციონალური პროგნოზის მაგალითებია:

- ელექტორატის პროგნოზი;
- საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა პროგნოზი;

- სამხედრო სამსახურში გასანვევი კონტინგენტის პროგნოზი;
- ჯანდაცვის მომსახურების პროგნოზი;
- დასაქმებულთა რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზი;
- პენსიონერთა პროგნოზი და ა.შ.

10.2. მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშების მეთოდები

დემოპროგნოზის გაანგარიშების ძირითადი მეთოდებია:

1) მეთოდი, რომელიც იყენებს ამა თუ იმ მათემატიკურ ფუნქციას (ექსტრაპოლაციისა და ანალიტიკური);

2) ასაკგადანაცვლების ანუ კომპონენტის მეთოდი.

პირველი მეთოდი, ძირითადად, იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა გვინდა მოსახლეობის პროგნოზი მცირე ტერიტორიაზე (რეგიონის მასშტაბით), განსაკუთრებით, თუ არ არსებობს საიმედო სტატისტიკური მასალა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ მეთოდის გამოყენება იშვიათია, რადგან სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინების გარეშე პროგნოზის გაანგარიშება დიდ შეცდომამდე მიგვიყვანს.

მათემატიკური მეთოდი ზოგჯერ გამოიყენება მოსახლეობის დინამიკის ანალიზისას, ის საშუალებას იძლევა, გავიანგარიშოთ მხოლოდ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა. ამ მეთოდით შეიძლება ცალ-ცალკე გამოითვალოს ქალები და მამაკაცები, მაგრამ მათი ჯამი არ მოგვცემს მთელი მოსახლეობის პროგნოზულ ციფრს, ე.ი. არ დაემთხვევა იმ გაანგარიშებას, რასაც ორივე სქესისთვის ერთად გავაკეთებთ.

მათემატიკურ მეთოდებს აქვს შემდეგი ნაკლი:

– ისინი საშუალებას იძლევიან, მხოლოდ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზი გავაკეთოთ;

– იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს მრავალი ფაქტობრივი მონაცემი, არჩეული მათემატიკური გამოსახულება ყველა მათგანს ვერ ითვალისწინებს.

– მათემატიკური მიდგომა გულისხმობს, რომ ის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდნენ წარსულში მოსახლეობის დინამიკას, რჩება უცვლელი მომავალში.

მათემატიკური მეთოდებით პროგნოზირებისას გამოიყენება სხვადასხვა სახის მათემატიკური ფუნქცია. ყველაზე ხშირად იყენებენ წრფივ, ექსპონენციალურ და ლოგისტიკურ ფუნქციებს.

პროგნოზირების მეთოდს, რომელიც ეფუძნება წრფივ და ექსპონენციალურ ფუნქციას, პირობითად, ექსტრაპოლაციის მეთოდს უწოდებენ, ხოლო პროგნოზირების მეთოდს, რომელიც ლოგისტიკურ ფუნქციას ეყრდნობა – ანალიტიკური ეწოდება.

ექსტრაპოლაციის მეთოდით გაანგარიშება ხდება მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვის ან მისი საშუალოწლიური მატების ტემპის მეშვეობით. თუ ეს მაჩვენებლები ვიცით, ნებისმიერი საპროგნოზო პერიოდისათვის გავიანგარიშებთ მოსახლეობის რიცხოვნობას, ოღონდ ვუშვებთ, რომ ეს მაჩვენებლები უცვლელია მთელ საპროგნოზო პერიოდში.

პროგნოზირების ყველაზე მარტივი ხერხი ეფუძნება დაშვებას, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის არსებული საშუალოწლიური ზრდა შენარჩუნებული იქნება მომავალშიც. ამ შემთხვევაში, პერსპექტიული გაანგარიშებისას გამოიყენება წრფივი ფუნქცია:

$$P_t = P_o + \Delta \cdot t,$$

სადაც P_t, P_o – მოსახლეობის რიცხვი შესაბამის პერიოდებში;

Δ – მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდაა;

t – დრო წლებში.

ასეთი სახის პროგნოზული გაანგარიშება მხოლოდ ხანმოკლე პერიოდისათვის (5 წლისათვის) კეთდება, რადგან იმის ვარაუდი, რომ ხანგრძლივ პერიოდში არავითარი სტრუქტურული ცვლილება არ მოხდება, დაუშვებელია. უფრო რეალისტურია იმის დაშვება, რომ უცვლელია საშუალოწლიური ზრდის ტემპი. მითუმეტეს, თუ დავუშვებთ, რომ უცვლელია შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ექსპონენციალური ფუნქცია:

$$P_t = P_o \cdot e^{rt},$$

სადაც e – ნატურალური ლოგარითმის ფუძეა;

r – საშუალოწლიური ზრდის ტემპია; t – დრო წლებში.

ანალიტიკური მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, გამოვდივართ წარსულში დემოგრაფიული პროცესების დინამიკიდან და ვირჩევთ ფუნქციას, რომელიც ყველაზე ზუსტად აღწერს ამ დინამიკას. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფუნქცია. მას აუცილებლად ექნება ემპირიული ხასიათი, რადგან არ არსებობს დემოგრაფიული დინამიკის მათემატიკური კანონი.

ლოგისტიკური ფუნქციის იდეა, პირველად ა. კეტლემ გამოთქვა 1835 წელს, 1838 წელს ის გამოიყენა პ. ფერხიულსტმა. იგი შეეცადა, მოეძებნა მრუდი, რომელიც ასახავდა რომელიმე მოსახლეობის ზღვრულ რიცხვს. ამ ზღვრულ ციფრამდე მოსახლეობის მიახლოებას ხელს უშლის რალაც დაბრკოლებები. ამ ფუნქციის მოძებნის მიზანი იყო მალთუსის ხალხთმოსახლეობის კანონის უარყოფა. კეტლეს აზრით, მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით ზრდას ხელს უშლის წინააღმდეგობის ძალა.

ლოგისტიკურ ფუნქციას არ შეუძლია, რეალური მოსახლეობის დინამიკა ხანგრძლივი პერიოდისათვის ასახოს. ის, ძირითადად, გამოიყენება ხანმოკლე პერიოდისათვის მცირე ტერიტორიის მოსახლეობის პროგნოზირებისას.

ამჟამად მიღებულია აზრი, რომლის თანახმად, მოსახლეობის ზრდის არავითარი მათემატიკური კანონი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით მაინც არის ამ კანონის ძიების მცდელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ზრდის განსაზღვრის მათემატიკური თამაში იგნორირებას უკეთებს დემოგრაფიული პროცესების სოციალურ ბუნებას. ს. კაპიცას აზრით, 2025 წლიდან მოსახლეობის ზრდა შემცირდება და სტაბილიზდება 13-14 მლრდ-მდე. ამჟამად, სხვადასხვა ანალიტიკური ფუნქციის საფუძველზე დამუშავებულია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზის გასაკეთებლად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოყენება მხოლოდ მოკლევადიანი პროგნოზირებისას არის შესაძლებელი. იმ პერიოდებში კი, როცა მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ხდება, მისი გამოყენება მიზანშეუწონელია.

მათემატიკური ფუნქციების საფუძველზე გაკეთებული პროგნოზების ნაკლია ის, რომ ამ შემთხვევაში წინა პერიოდში მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები უცვლელად გადადის მომავალში. ამ ნაკლს ავსებს ე.წ. ასაკვადანაცვლების მეთოდი.

ასაკვადანაცვლების მეთოდით მოსახლეობის პროგნოზირება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ არა მარტო მოსახლეობის რიცხოვნობა, არამედ მისი სტრუქტურაც სქესისა და ასაკის მიხედვით. იგი დაამუშავა ამერიკელმა მეცნიერმა პ. უელპტონმა. ამ მეთოდით პროგნოზირებისას თითოეული ასაკობრივი ჯგუფი მეორე წელს მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში გადადის და ადგილს იცვლის. ხოლო ჩვილ ბავშვთა კონტინგენ-

ტის განსაზღვრა ხდება მათი მოკვდაობისა და დაბადების წლიური რიცხვის პროგნოზის საფუძველზე.

რეალური პროგნოზული გაანგარიშებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ ამოსავალი ინფორმაციის სიზუსტესა და საიმედოობას. ამის შემდეგ კი, სწორი ჰიპოთეზის დაშვებას შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის პროცესებში სამომავლო ცვლილებების შესახებ. პროგნოზი კეთდება ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის. მთელი მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენებლები მიიღება მათი ჯამით. შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის მაჩვენებლები შეიძლება შეიცვალოს წლების მიხედვით.

პირველი, რასაც ვაკეთებთ პროგნოზირებისას, საბაზო პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობისა და ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის სიზუსტისა და საიმედოობის დადგენაა, რადგან თუ ამოსავალი ინფორმაცია ზუსტი არ არის, ყოველგვარი პროგნოზი აზრს კარგავს.

ამის შემდეგ ვამუშავებთ ჰიპოთეზას შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის სამომავლო ტენდენციებზე. მაგალითად, ვუშვებთ, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი იქნება 1,5 ან 1,8 და ა.შ. ან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იქნება 67, 70, და ა.შ.

ბოლოს ვინყებთ საპროგნოზო გაანგარიშებებს. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ სიცოცხლიანობის კოეფიციენტი:

$$S_x = \frac{L_{x+1}}{L_x}$$

ანუ მომდევნო ასაკში გადანაცვლების კოეფიციენტი. L_{x+1} , L_x აიღება მოკვდაობის არსებული ცხრილებიდან. გარდა ამისა, ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ვსაზღვრავთ ნეტო-მიგრაციას (M_x) და ვაკეთებთ გაანგარიშებას:

$$P_{x+1} = P_x^o \cdot S_x + M_x,$$

სადაც $P_{x+1} - x+1$ ასაკში მოსახლეობის რიცხოვნობაა;

$P_x - x$ ასაკში მოსახლეობის რიცხოვნობა;

$S_x - x$ ასაკის სიცოცხლიანობის კოეფიციენტი;

$M_x - x$ ასაკის მოსახლეობის მიგრაციის სალდო.

ასეთი გაანგარიშება კეთდება ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, გარდა 0 ასაკისა (1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის). დაბადებულთა რიცხოვნობა გაანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$P_0 = F_x \cdot \bar{W}_x$$

ეს პროცედურა მეორდება იმდენი წლისათვის, რამდენი წელიც გვაქვს საპროგნოზოდ აღებული.

დემოგრაფიული პროგნოზის სქემა ასაკგადანაცვლების მეთოდით

ასაკი	საპროგნოზო პერიოდი				
	0	1	2	T
0	P_0^0	P_0^1	P_0^2	P_{0T}
1	P_1^0	P_1^1	P_1^2	P_{1T}
2	P_2^0	P_2^1	P_2^2	P_{2T}
....
n	P_n^0	P_n^1	P_n^2	P_{nT}

პროგნოზირების ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში. საიმედოობა ბევრად არის დამოკიდებული ექსპერტთა პროფესიონალიზმსა და ერუდიციაზე. მისი საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ სამომავლოდ შრომითი რესურსების რიცხოვნობა, პენსიონერთა რაოდენობა, სასკოლო კონტინგენტი, ახალგაზრდობის წილი მოსახლეობაში და ა.შ.

შრომითი რესურსების საპროგნოზო მაჩვენებლის მისაღებად, დემოგრაფიული პროგნოზით მიღებული შრომის ასაკის მოსახლეობის კორექტირება ხდება იმ პირთა რაოდენობით, რომელიც შრომით რესურსებს არ განეკუთვნება (შელავათიანი საპენსიო ასაკის უმუშევრები, I და II ჯგუფის უმუშევარი ინვალიდები და ა.შ.) და იმ პირთა რაოდენობით, რომლებიც არ არიან შრომის ასაკში, მაგრამ მაინც მუშაობენ (მომუშავე მოზარდები და პენსიონერები).

10.3. მსოფლიოსა და საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი

დედამინაზე დღეს 7 მლრდ-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. გაეროს ექსპერტთა მონაცემებით, მოსახლეობის მატების ყველაზე დიდი ტემპი დაფიქსირდა 1965-70-იან წლებში – 2%. მათი პროგნოზით, XXI საუკუნის შუა ხანებისათვის ის 0,5%-ლა იქნება. საუკუნის ბოლოსათვის კი მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი შემცირდება 0,13%-მდე და მოსახლეობა სტაბილიზდება 11 მლრდ-ის ფარგლებში. 2050 წლისათვის მათი პროგნოზით ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობა იქნება:

- მაქსიმალური ვარიანტით – 10,7 მლრდ
- შუალედური ვარიანტით – 9,8 მლრდ
- მინიმალური ვარიანტით – 7,3 მლრდ

ამ პროგნოზით 2025 წლიდან განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა შემცირებას დაიწყებს და მისი მოსახლეობის წილი 13%-მდე დაეცემა.

ცხრილი 1. მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი (ათასი კაცი) (შუალედური ვარიანტი) (2017 წლის გადახედვით)

მსოფლიოს რეგიონები	1950	2017	2030	2050
მთელი მსოფლიო	2 522275	7 550262	8 551199	9 771823
ევროპა	549 375	742 074	739 456	715 721
ჩრდ. ამერიკა	172 603	361 208	395 453	434 655
ოკეანეთი	12 648	40691	47 683	57 121
აზია	1 404 062 4	4504 428	4 946 586	5 256 927
აფრიკა	228670	1256268	1703538	2527557
ლათინური ამერიკა	168 918	645 593	718 483	779 841

წყარო: <http://population.un.org/wpp/Publications/Files/WPP2017-KeyFindings.pdf>

განვითარებად ქვეყნებში კი იცხოვრებს პლანეტის მოსახლეობის 87%, მათგან აზიაში – 60%. აზია შეინარჩუნებს პირველობას მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივ, თუმცა მოხდება ცვლილება თვით ქვეყნებში. კერძოდ, 2050 წლისათვის პირველ ადგილზე ჩინეთს ინდოეთი შეცვლის. მეორე ადგილზე რეგიონებს შორის იქნება აფრიკა. ის დემოგრაფიულად ყველაზე მზარდი რეგიონია, 2025 წლისათვის მისი მოსახლეობა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას გადააჭარბებს.

იმ 10 ქვეყნიდან, რომლებშიც ამ საუკუნეში მოსახლეობა 100 მლნ გადააჭარბებს, 7-9 ქვეყანა აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან იქნება. ამ ქვეყნებში 2050 წლისათვის იცხოვრებს მსოფლიო მოსახლეობის 2/3, ე.ი. მოსახლეობის კონცენტრაცია გაიზრდება.

განვითარებული ქვეყნებიდან მოსახლეობის ზრდა შენარჩუნდება ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, მაგრამ ეს მოხდება მიგრაციის ხარჯზე. ევროპასა და იაპონიაში კი მოსახლეობა შემცირდება.

ზოგადი დემოგრაფიული ტენდენცია ასეთი იქნება: შობადობის შემცირება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მოსახლეობის აღწარმოების პროგნოზული შეფასება

დემოგრაფიული მაჩვენებლები	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი			სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა		
	2015	2030	2050	2015	2030	2050
რეგიონები						
მთელი მსოფლიო	2,52	2,39	2,24	70,8	73,8	76,9
ევროპა	1,6	1,69	1,78	78,1	79,8	82,8
ჩრდ. ამერიკა	1,85	1,87	1,89	79,2	81,4	84,4
ოკეანეთი	2,41	2,23	2,06	77,9	80,3	83,2
აზია	2,6	2,06	1,89	71,8	74,6	77,5
აფრიკა	4,72	3,9	3,09	60,0	65,7	70,9
ლათინური ამერიკა და კარიბი	2,14	1,89	1,77	74,6	77,7	81,3

წყარო: <https://population.un.org/wpp/Publications/Files/WPP2017-KeyFindings.pdf>

მოკვდაობის სტაბილიზაცია მოსალოდნელია, თუმცა თუ მკურნალობის მეთოდები რადიკალურად არ გაუმჯობესდა, დიდი იქნება შიდსით გამონწვეული დანაკარგები. 2000 წლისათვის ამ ვირუსის მატარებელი იყო 45 ქვეყნის მოსახლეობა, რომელთაგან 35 ქვეყანა აფრიკაში, 4 – აზიაში, 6 – ლათინურ ამერიკაში მდებარეობდა. შიდსის დემოგრაფიული ეფექტი იქნება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება. მაგალითად, აფრიკის 36 ქვეყანაში შიდსის გამო სიცოცხლის საშუალო ხან-

გრძლივობა 6,5 წლით შემცირდება. ხოლო ბოცვანში, სადაც ზრდასრულთა 36% შიდსითაა დაავადებული ან ვირუსის მატარებელია, 2025 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის 28%-ით შემცირებაა მოსალოდნელი. თუმცა, აქაც მოსახლეობის ზრდის დიდი ტემპი მაღალი შობადობის გამო მაინც შენარჩუნდება.

პლანეტის თითოეულ რეგიონს ახასიათებს დემოგრაფიული განვითარების გამოხატული თავისებურება.

ევროპა (დსთ-ის გარეშე) მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, რომელმაც დემოგრაფიული რევოლუცია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში განვლო, როცა მისი მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა. ეს ზრდა შენელდა მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციით ამერიკასა და ავსტრალიაში და პირველი და მეორე მსოფლიო ომის გამო. XX საუკუნის შუა ხანებში ამ რეგიონში მოკვდაობასა და შობადობის დონეს შორის სხვაობა სტაბილიზდა და ევროპა მარტივი აღწარმოების გზას დაადგა. 2017 წლისათვის ევროპის მოსახლეობა 745 მლნ-ია, ხოლო გაეროს ექსპერტთა ვარაუდით, 2050 წლისათვის მისი მოსახლეობა 736 მლნ იქნება.

ევროკავშირის ქვეყნებიდან მოსახლეობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი (2002 წ.) ირლანდიას ჰქონდა, ყველაზე მცირე – გერმანიას და იტალიას. 2050 წლისათვის გერმანიის მოსახლეობა შეიძლება 1963 წლის მოსახლეობის რიცხოვნობამდე შემცირდეს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში, გარდა ავსტრიისა და შვედეთისა, შემცირდა მოსახლეობის ზრდა (ამ ქვეყნებში ადრევე შემცირებული იყო).

ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო მიგრაცია. იმიგრაციის გარეშე გერმანია, საბერძნეთი და იტალია მნიშვნელოვნად დაკარგავდა მოსახლეობას, რადგან ბუნებრივი კლების გამო დემოპულაციური ქვეყნებია.

მოკვდაობის ზრდა შეინიშნება შვედეთში, დანიაში, რაც დაბერების ეფექტითაა გამოწვეული. ყველაზე დაბალი მოკვდაობა არის ისლანდიაში (7,7 ‰). აღმოსავლეთ ევროპაში იგი ყველაზე მაღალი ლიტვასა და ესტონეთშია.

ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობაში 51% ქალები არიან, ახალგაზრდა და საშუალო ასაკებში მამაკაცები ჭარბობენ, მოხუც ასაკებში – ქალები და ქორწინების საშუალო ასაკი მაღალია, როგორც ქალებში (28წ), ისე მამაკაცებში (30წ). ყველაზე მეტია ის დანიაში. ყველაზე ადრე ქორწინდებიან პორტუგალიელები (ქალები – 25 წ.; მამაკაცები – 27 წ.), ყველაზე გვიან – შვედები (ქალები – 30წ.; მამაკაცები – 32წ.). ყველაზე

მეტ ბავშვს აჩენენ ირლანდიელები და ფრანგები, ყველაზე ნაკლებს – იტალიელები და ბერძნები (1,31).

ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი სხვაობა ქალისა და მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაში ბალტიის ქვეყნებშია (თითქმის 11 წელი), ყველაზე ნაკლები – შვედეთში, დანიასა და დიდ ბრიტანეთში (დაახლოებით, 4 წელი).

ევროპა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ის „ახალი სისხლის გადასხმის“ გარეშე პრობლემებს წააწყდება. ამიტომ ევროპის ქვეყნებში გადანაცვლებს, ევროპის კონსტიტუციაში შეიტანონ მუხლი, რომლითაც განსაზღვრული იქნება იმიგრაციის ქვოტა. ამის წინააღმდეგი იყო საფრანგეთი, მაგრამ ბოლო დროს მანაც შეარბილა პოზიცია და თანახმაა, მიიღოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, სტუდენტები და მეცნიერები.

ჩრდილოეთი ამერიკა XVII-XIX საუკუნეებში ჩაყვანილი აფრიკელი მონებით, XVI-XIX საუკუნეში ევროპიდან და XX საუკუნეში განვითარებადი ქვეყნებიდან ჩასული ემიგრანტებითაა დასახლებული. მარტო 1800-1950 წლებში მისი მოსახლეობა 24-ჯერ გაიზარდა. გაეროს პროგნოზით, 2050 წ. ამ რეგიონის მოსახლეობა 434 მლნ-მდე გაიზარდება.

ამჟამად, ამ რეგიონში მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოებაა. ბუნებრივი მატება დამახასიათებელია მხოლოდ აფრიკული, აზიური და ლათინურ-ამერიკული წარმოშობის მოსახლეობისათვის. აქაც დემოგრაფიული პოტენციალი ამონურულია და მოსახლეობის ზრდა, ექსპერტების ვარაუდით, მხოლოდ მიგრაციის ხარჯზე შეიძლება მოხდეს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს, იმიგრანტთა კლასიკურ ქვეყანას, ამჟამად უკვე აწუხებს იმიგრაცია. ოფიციალურად აშშ ყოველწლიურად მილიონამდე მიგრანტს იღებს, ნახევარი მილიონი კი არაოფიციალურად შედის, რაც საფრთხეს უქმნის ამერიკული კულტურის ანგლოსაქსურ ერთიანობას. ლათინური ამერიკა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აშშ-ს ცხოვრებაში. მექსიკელები ავსებენ ტეხასის შტატს და მიიჩნევენ, რომ ის მექსიკას უნდა დაუბრუნდეს. ბოლო პერიოდში აშშ აღიქმება, როგორც დაუქორწინებელთა ქვეყანა. ეს უკანასკნელნი შეადგენენ დაქორწინებულთა 42%-ს, ბინების მფლობელთა 40% და ელექტორატის 35%. 2002 წელს აშშ-ს ისტორიაში ყველაზე დაბალი შობადობის დონე დაფიქსირდა – 13,9‰.

აზია – ყველაზე მეტად დასახლებული რეგიონია (4,5 მლრდ კაცი 2017 წელს). მის შემადგენლობაშია ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყნები:

ინდოეთი და ჩინეთი. ეს რეგიონი საკმაოდ დიდი დემოგრაფიული პოტენციალით ხასიათდება, რითაც მისმა მოსახლეობამ 2050 წელს შეიძლება 5,256 მლრდ. კაცს მიაღწიოს. ამაში ყველაზე დიდი „დამსახურება“ უპირველეს ყოვლისა, ინდოეთს ექნება.

ავსტრალია და ოკეანეთი – მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად დასახლებული რეგიონი, ინარჩუნებს მოსახლეობის ზრდის ტემპს, თუმცა მას შემცირების ტენდენცია აქვს. XXI საუკუნეში აქ მოსახლეობა 57 მლნ-მდე გაიზრდება. აქედან 30 მლნ-მდე ავსტრალიასა და ახალი ზელანდიის მცხოვრებნი იქნებიან.

ლათინური ამერიკა ინტენსიურად XVII-XIX საუკუნეებში დასახლდა. ამ რეგიონში მოსახლეობის ზრდის ტემპმა მაქსიმუმს XX საუკუნეში მიაღწია, როცა მოსახლეობა 8-ჯერ გაიზარდა. XX საუკუნის ბოლოს კი შეიმჩნევა შობადობის შემცირება და მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელების პროცესი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ტენდენცია XXI საუკუნეშიც გაგრძელდება.

აფრიკა მსოფლიოში დემოგრაფიულად ყველაზე მზარდი რეგიონია. XVII-XIX საუკუნეებში მილიონობით ადამიანის გადასახლებამ ამერიკაში ამ რეგიონის აღწარმოებითი პოტენციალი მეტად დაასუსტა. შედარებით შეიცვალა მდგომარეობა XX საუკუნის 50-60-იან წლებში. შემცირდა ბავშვთა მოკვდაობა, გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება. 2050 წლისათვის მოსალოდნელია აფრიკის მოსახლეობის 2-ჯერ გაზრდა. XXI საუკუნეში მოსახლეობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი კვლავაც ამ რეგიონში იქნება შენარჩუნებული.

აზია და აფრიკა ის რეგიონი იქნება, სადაც XXI საუკუნეში დედამიწის მოსახლეობის 80% იცხოვრებს.

დეპოპულაციური პროცესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის მნიშვნელოვან კლებას ვარაუდობენ გაეროს ექსპერტები საქართველოშიც. კერძოდ, მათი ვარაუდით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 3,4 მილიონი იქნება (საშუალო ვარიანტით). ყველაზე ცუდი ვარიანტით კი ის შეიძლება 2900 მლნ-მდე შემცირდეს. სომხეთში კი 2400 ათასი კაცი იცხოვრებს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 12 მილიონამდე გაიზრდება. ამრიგად, 2050 წელს აზერბაიჯანის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 2/3 იქნება¹.

¹ Population & Societies. Number 547 September 2017. <https://www.ined.fr/fichier/s-rubrique/211/547-en-bt.en.pdf>

თემა 11. მოსახლეობის პოლიტიკა

11.1. მოსახლეობის პოლიტიკის ისტორია

კეთილსასურველ პირობებში, როცა ეპიდემიები, ომები, სტიქიური უბედურებები მუსრს არ ავლებდა მოსახლეობას, ძველ სახელმწიფოებში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა კონტროლდებოდა მისი მთელ ტერიტორიაზე თანაბარზომიერი გადანაწილების გზით, თუნდაც ამას იძულებითი ხასიათი ჰქონოდა. ჩვ. წთ. აღ.-მდე მე-8 საუკუნეში ბერძენთა კოლონიების დაარსება ხმელთაშუა და შავ ზღვისპირეთში, მოსახლეობის რიცხოვნობის რეგულირების პირველ მიზანმიმართულ ფორმად მიიჩნევა. მოსახლეობის რიცხოვნობის რეგულირების აუცილებლობაზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, საკუთარ აზრს გამოთქვამდა ძველი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი (ჩვ. წთ. აღ.-მდე მე-5 საუკუნე), ძველი ბერძენი მოაზროვნეები: პლატონი (ჩვ.წთ. აღ.-მდე 427-347 წწ.), არისტოტელე (ჩვ.წთ. აღ.-მდე 384-322 წწ.). მაგალითად, პლატონი თვლიდა, რომ ის, ვინც გაურბის ქორწინებას არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ სასჯელსაც იმსახურებს. რომის იმპერატორმა გაი იულიუს ცეზარმა 80 ათასი მოქალაქე განასახლა ზღვისპირეთში. იმპერატორ ავგუსტუსის დროს სამშვილიანი ოჯახები ყოველგვარი ბეგარისგან თავისუფლდებოდნენ. იმპერატორმა ნერვამ (მმართველი ჩვ. წ. აღ.-მდე 96-98 წწ.) დაანესა ღარიბ, ბავშვიან ოჯახებზე სახელმწიფო დახმარების სისტემა. იმპერატორ ტრაიანემ (98-117 წწ.) განავითარა ოჯახური დახმარების სისტემა, ის კომბინირებული, ფულადი და ნატურალური, გახადა. რომში 5 ათასი ბავშვი იღებდა უფასოდ პურს (ეს დახმარება მეორე საუკუნემდე არსებობდა). ღარიბი ოჯახის ბავშვებს სახელმწიფოსაგან ფინანსური დახმარებაც ჰქონდათ.

მონათმფლობელობის ეპოქაში სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართული იყო მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეთა გამრავლებისაკენ. მონების, ე.წ.: „მოლაპარაკე იარაღის“, ინტერესები უგულვებელყოფილი იყო. ეს მაშინ, როცა ისინი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდნენ. მდიდრებს არ სურდათ ბევრი შვილის ყოლა, ღარიბებს კი მათი რჩენა არ შეეძლოთ. მონის ყიდვა უფრო იაფი იყო, ვიდრე ბავშვის შენახვა.

ფეოდალიზმის ეპოქაში გაჩნდა დიდი ოჯახის ყოლის სტიმული. ბავშვის აღზრდა იაფი იყო, მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალა კი მეტი ტერიტორიის დამუშავების საშუალებას იძლეოდა, რაც სიმდიდრის წყაროც იყო. ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ თავიანთი ვასალების მრავალრიცხოვნობით, რადგან მათ მიერ შექმნილი არმიებით მეზობელთა თავდასხმებისგანაც მეტად იყვნენ დაზღვეული. ამიტომ ასტიმულირებდნენ ნაადრევ ქორწინებასა და მრავალშვილიანობას. ამას ქრისტიანული მსოფლმხედველობაც ხელს უწყობდა. გარდა ამისა, მასობრივი ეპიდემიების გამო არსებული ზემოკვდაობაც ამაგრებდა მათ არგუმენტაციას. მაგალითად, 1347-1353 წწ-ში შავი ჭირის პანდემიამ ევროპაში 25 მლნ კაცის სიცოცხლე შეინირა, ანუ იმ დროის ევროპის მოსახლეობის 50%. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტებში კი – მოსახლეობის 80-90%-იც კი. ბუნებრივია, ამ ეპოქაში მოსახლეობის პოლიტიკა მოსახლეობის ზრდისკენ იყო ორიენტირებული. ასეთი შეხედულებები ჰქონდა ნ. მაკიაველს, თ. მორს, ტ. კამპანელას და სხვებს. მაგალითად, თეოლოგი და ფილოსოფოსი თომას აკვინელი (1225-1274) მიიჩნევდა, რომ საზოგადოების სიმდიდრე მატულობს ფიზიკური შრომით დაკავებულთა რიცხვის ზრდით. მაშასადამე, ფეოდალიზმის დროს გაბატონებული იყო მოსახლეობის პოლიტიკის ისეთი მიმართულება, როგორცაა პოპულაციონიზმი (მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელი). თუმცა მე-16 საუკუნეში, ინგლისელი მწერალი, წიგნის – „ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ქრონიკების“ ერთ-ერთ ავტორი, **რაფაელ ჰოლინშედი** საკუთარ წიგნში (1577 წ.) გამოთქვამს მოასაზრებას, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ართულებს ადამიანთა არსებობას.

პოპულაციონურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ მერკანტილისტებიც (თ. მენი, ა. სერა, ს. ფორტრეი და სხვ.). ისინი მიიჩნევდნენ, რომ რაც მეტია მოსახლეობის რიცხოვნობა, გადამხდელი და ხაზინის შემავსებელიც მეტია. ამასთან, ეს უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასო.

მაშასადამე, სანამ კაპიტალისტური წყობა ჩაისახებოდა, ევროპული სახელმწიფოები ატარებდნენ დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო მოსახლეობის ზრდის, ემიგრაციის შეზღუდვასა და იმიგრაციის შერბილებისკენ. ერთ-ერთი პირველი, ვინც პოპულაციონისტურ

პოლიტიკას ატარებდა მე-17 საუკუნეში, იყო საფრანგეთი. ის ეფუძნებოდა მერკანტილისტთა იდეოლოგიას და მაშინდელ დემოგრაფიულ სიტუაციას. კერძოდ, საფრანგეთსა და გერმანიას შორის 30-წლიანი ომი (1618-1648 წწ.), რელიგიურ საფუძველზე წარმოებული ომი ჰუგონეტებთან. საფრანგეთის პოპულაციონისტური პოლიტიკა უკავშირდება ჟან ბატისტ კოლბერის (1619-1683) სახელს. ის იყო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი 1665 წლიდან ლუდოვიკო მე-14 მმართველობის დროს. მისი პოლიტიკა ეყრდნობოდა ლუდოვიკო მე-14-ის ედიქტს, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებსა და სპეციალური დახმარებების გაცემას. კერძოდ:

- 21 წლამდე დაქორწინებულნი რამდენიმე წლით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან;

- დაწესდა საპატარძლოთა სალარო, საიდანაც გაიცემოდა მათი მზითევი;

- გამოსაღები ბეგარისგან თავისუფლდებოდა გადამხდელი პირი, რომელსაც 10 შვილი ჰყავდა, რომელთაგან არც ერთი არ იყო საეკლესიო პირი;

- სპეციალურ სოციალურ დახმარებას (1-დან 2 ათასამდე ლივრის ოდენობით) იღებდა მემამულე, რომელსაც 10 შვილი ჰყავდა, რომელთაგან არც ერთი არ იყო საეკლესიო პირი;

- ზემოაღნიშნული თანხის ნახევარს იღებდა ბურჟუა, რომელიც სულადობრივ გადასახადს იხდიდა.

მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან მანუფაქტურული წარმოების გაფართოებამ გაზარდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. შესაბამისად, პოპულაციონისტური პოლიტიკა გამართლებული და მიმზიდველი გახდა. ეს იდეები აისახა კიდევ მაშინდელ მოაზროვნეთა შრომებში: ჟ. ჟ. რუსო, შ. მონტესკიე, დ. დიდრო და სხვ. რუსო თავის ნაშრომში, „საზოგადოებრივი შეთანხმება“, მაღალ შეფასებას აძლევდა იმ ქვეყნის მთავრობებს, სადაც მოსახლეობა იზრდებოდა; ქორწინებისას ბავშვთაშობის შეზღუდვას კი ამორალურად მიიჩნევდა. მონტესკიე თვლიდა, რომ მოსახლეობის შემცირება ნეგატიური მოვლენაა და ევროპის სახელმწიფოებს იმ კანონების დანესებისკენ მოუწოდებდა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის გამრავლებას. მხოლოდ ვოლტერი (1694-1778) მიუდგა კრიტიკულად სა-

კითხს მოსახლეობის გამრავლების შესახებ. ის აღნიშნავდა, რომ ოჯახთა უმრავლესობას ემინია მრავალშვილიანობის, მაშინ, როცა სახელმწიფოს სურს მოსახლეობის ზრდა. მან ყურადღება მიაქცია წინააღმდეგობას ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ მოთხოვნას შორის გაზარდოს მოქალაქეთა, გადასახადის გადამხდელთა და მეომრების რიცხოვნობა. მე-18-19-ე საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება მალთუხის საწინააღმდეგო მოსაზრება. თუმცა მე-19 საუკუნეში ეკონომიკური გავლენის სფეროების გადანაწილებისას ეკონომიკურმა და გეოგრაფიულმა ექსპანსიამ გააძლიერა პოპულაციონისტური დამოკიდებულება. ცნობილმა ფრანგმა დემოგრაფმა ჟ. ბერტილიონმა სამარცხვინო უწოდა მალთუხის თეორიას და მოითხოვა საკანონმდებლო მეთოდებით განსაზღვრულიყო შობადობის ზრდა. 1891 წელს ის წერდა: „საფრანგეთის უბედურებისგან გადარჩენის მიზნით აუცილებელია, მივიღოთ რადიკალური კანონები, რომელიც მრავალშვილიანობას საშიშს არ გახდის, მინიმუმ სამი შვილის გაჩენა თავისებურ გადასახადად უნდა ითვლებოდეს...“ მან 1896 წელს დააფუძნა საფრანგეთის მოსახლეობის ზრდის ეროვნული ალიანსი (1935 წელს ამ ორგანიზაციას დეპოპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საზოგადოება ეწოდა). მისი უპირველესი მიზანი იყო მოსახლეობისა და ხელისუფლებისათვის დეპოპულაციის შედეგების ჩვენება. ალიანსის წევრები აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ დეპოპულაციის წინააღმდეგ ყველა დონეზე, მათ შორის, საპარლამენტო ჯგუფებშიც. თუ 1914 წელს ალიანსის წევრი იყო 1321 კაცი, 1939 წელს – 25335-ია. მათ პროპაგანდისტულ საშუალებებში შეხვდებოდით სლოგანს: „დიდი ოჯახი მშვიდობის საწინდარია, პატარა ომის“; „ჩვენ გერმანია არ შეგვებრძოლებოდა, რომ ვყოფილიყავით 10 მლნ-ით მეტინ (საუბარია პირველ მსოფლიო ომზე); ზოგჯერ აფიშაზე გამოხატული იყო პატარა ბავშვი, რომელიც გერმანულ საკვებს მიირთმევდა, ან მსუქანი გერმანელი ბავშვი. აქტიური პროპაგანდა იყო გაშლილი აბორტის წინააღმდეგ: „სამიდან ერთი ბავშვი აბორტით იღუპება, ეს ის ბავშვია, რომელიც საფრანგეთს უცხოელებისაგან დაიცავდა“. მათი ძალისხმევით 1910 წელს მთავრობა დახმარებას სთავაზობდა იმ ოჯახებს, რომელთაც 13 წლამდე ასაკის არანაკლებ ოთხი შვილი ჰყავდა. 1913 წელს საფრანგეთის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ 30 წელს გადაცილებულ დაუქორწინებლებს

20 %-ით გაუზარდა საშემოსავლო გადასახადი იმის გამო, რომ ოჯახის გარეშე ცხოვრების ეკონომიკური უპირატესობა შეემცირებინათ და სტიმული მიეცათ ქორწინებისათვის. გარდა ამისა, ოჯახში ბავშვთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად უმცირდებოდათ გადასახადები; 45 წლისა და უფროსი ასაკის პირთ, ვისაც სამ შვილზე ნაკლები შვილი ჰყავდა, დაუნესდათ სხვადასხვა გადასახადი და ა. შ. საბოლოოდ, 1938 წელს საფრანგეთში იღებენ კანონს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების შესახებ, ხოლო 1939 წელს – საოჯახო კოდექსს.

აშშ-სა და ინგლისში საგადასახადო შეღავათები მიეცათ დაქორწინებულთ, თუმცა სხვადასხვა გადასახადები დაუნესდათ დაუქორწინებულებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოპულაციონისტური დემაგოგია იყო ფაშისტთა იდეოლოგიის ერთ-ერთი რგოლი იტალიასა და გერმანიაში. 1927 წელს დეპუტატთა პალატაში გამოსვლისას იტალიელმა დუჩე მუსოლინიმ განაცხადა, რომ ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური სიმძლავრის წინაპირობაა დემოგრაფიული სიძლიერე. მის მომხრეთ ეკუთვნის ბროშურა „რიცხოვნობა, როგორც ძალა“, სადაც აღნიშნავენ, რომ მაღალი შობადობა და, აქედან გამომდინარე, მაღალი სიცოცხლისუნარიანობა იქნება ის განმასხვავებელი ნიშანი, რითაც გამოირჩევა ფაშისტური ხალხი სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან.

ფაშისტურ გერმანიაში ლოზუნგით „დავუბრუნოთ ქალები მათ ბუნებრივ პროფესიას – ბავშვთაშობას“, ტარდებოდა შემდეგი ღონისძიებები: ქალებს ათავისუფლებდნენ სამსახურიდან და მათ ადგილს აკავებინებდნენ უმუშევარ მამაკაცებს; შეზღუდული იყო ქალთა ხელმისაწვდომობა უმაღლესი და საშუალო განათლებაზე, უმუშევრებს ქალაქიდან იძულებით ასახლებდნენ სოფლებში; აკრძალული იყო აბორტი და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება, წახალისებული იყო ქორწინების გარეშე შობადობა და დამატებითი ცოლის ყოლა სრულფასოვანი მამაკაცებისთვის და ა. შ. მიუხედავად ამ ღონისძიებების გატარებისა, გერმანიამ მაინც ვერ მოახერხა ძირეული ცვლილებები მოეხდინა მოსახლეობის აღწარმოებაში, თუმცა დემოგრაფიული პოლიტიკის დისკრედიტაცია კი მოახდინა.

11.2. მოსახლეობის პოლიტიკის მიზანი და საშუალებები

მოსახლეობის პოლიტიკა ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებისაკენ.

ა. სოვი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „მოსახლეობის ზოგადი თეორია“ აღნიშნავს, რომ მოსახლეობის პოლიტიკა უფრო ფართო ამოცანების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მოსახლეობის რიცხოვნობის რეგულირებაა. მაშასადამე, მოსახლეობის პოლიტიკა მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს, რომელიც კონკრეტულად მიმართულია საზოგადოების უმთავრესი მწარმოებელი ძალის, ადამიანის, მოსახლეობის აღწარმოებისაკენ. მისი სფერო ადამიანთა შრომისა და ცხოვრების პირობებია.

მოსახლეობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

– **შრომის პირობებზე ზეგავლენა** (შრომისუნარიანობის ასაკის განსაზღვრა, მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის დასაქმების მასშტაბების განსაზღვრა, სამუშაო დღის, სამუშაო კვირის ხანგრძლივობის განსაზღვრა, შრომის დაცვა, საკვალიფიკაციო მომზადება, პროფორიენტაცია და ა.შ.);

– **მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება** (რეალური ხელფასისა თუ შემოსავლების ზრდა, თავისუფალი დროის ზრდა და ა.შ.);

– **მოსახლეობის აღწარმოებაზე ზემოქმედება** (ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის რეგულირება და სოციალური მობილობის ამაღლება).

მაშასადამე, მოსახლეობის პოლიტიკა მოიცავს დემოგრაფიულ, მიგრაციულ და შრომით პოლიტიკასაც. ჩვენ, ამჯერად მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკით შემოვიფარგლებით, რამდენადაც მიგრაციული პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლა გათვალისწინებულია საგანში „შრომითი მიგრაცია“, ხოლო შრომითი პოლიტიკისა – „შრომის ეკონომიკასა“ და „სოციალურ პოლიტიკაში“.

დემოგრაფიული პოლიტიკა იმ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც სრულყოფს საზოგადოებისათვის სასურველი დემოგრაფიული

ქცევის ფორმირებას, ე.ი. ეს არის სახელმწიფო სტრუქტურების და სხვა სოციალური ინსტიტუტების მიზანმიმართული საქმიანობა მოსახლეობის აღწარმოების პროცესთა სარეგულირებლად.

დემოგრაფიული განვითარება რეგულირების ერთ-ერთი ურთულესი ობიექტია, რამდენადაც იგი დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარესთან. მასზე მოქმედებს გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ფაქტორები, არსებული ტრადიციები, ისტორიული მემკვიდრეობა და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას, არამედ წარსულში მომხდარ ცვლილებებსაც. გაეროს მიერ ორგანიზებულ კაიროს (1994 წ.) ხალხთმოსახლეობის კონფერენციაზე, მიღებული იქნა ის **პრინციპები**, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს დემოგრაფიულ პოლიტიკას:

– ოჯახის, ქორწინების, დედობის, მამობის, ბავშვთა სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფა;

– ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველზე სიღარიბის აღმოფხვრა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება;

– ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობა და თანასწორობა;

– სამედიცინო მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა;

– თითოეული მოქალაქისათვის განათლების უფლების არსებობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანური რესურსების სრული განვითარება;

– მიგრანტთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

გარდა ამისა, საქართველოში დემოპოლიტიკის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპიც – **დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა**.

დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიზანი მოსახლეობის სასურველი აღწარმოების რეჟიმის უზრუნველყოფაა, მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობის რეგულირებაა. საბოლოო მიზნის მიღწევის მაჩვენებლად განვითარებად ქვეყნებში მოცემულ პერიოდში მოსახლეობის ზრდის ტემპისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის შემცირების მაჩვენებელს იყენებენ. განვითარებულ ქვეყნებში - იმიგრაციულ ქვოტებს. დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი შეიძლება იყოს მთელი ქვეყ-

ნის მოსახლეობა ან მისი ცალკეული რეგიონები, ან ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები (კოჰორტები), ცალკეული ტიპის ოჯახები.

დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია ხდება შემდეგ ღონისძიებათა გატარების გზით:

1. **ეკონომიკური.** კერძოდ, დეკრეტული შვებულება, სახელმწიფო დახმარება ბავშვის დაბადებისას, დახმარება ბავშვებზე მათი ასაკისა და ოჯახის ტიპის გათვალისწინებით, შეღავათიანი სესხები, კრედიტები, საგადასახადო შეღავათები, მათ შორის, საცხოვრისზე და ა. შ.

2. **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.** მაგალითად, საკანონმდებლო აქტები, ქორწინებისა და განქორწინების რეგლამენტაცია, ბავშვთა მდგომარეობა ოჯახში, აღიშენების დანესება, დედათა და ბავშვთა დაცვა, შრომისუნაროთა უზრუნველყოფა, დასაქმების პირობები, მცირეწლოვანი ბავშვიანი დედების შრომისა და დასვენების რეჟიმი, შიგა და გარე მიგრაციის რეგულირება და სხვ.

3. **აღმზრდელიობითი და პროპაგანდისტული ზომები.** საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, დემოგრაფიული ქცევის ნორმებისა და სტანდარტების პროპაგანდა, საზოგადოებაში განსაზღვრული დემოგრაფიული კლიმატის შექმნა.

დემოგრაფიულ პოლიტიკაში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება:

- 1) მოსახლეობის ზრდის შემაკავებელი;
- 2) მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელი (ე.წ. ნატალისტური).

დემოგრაფიული პოლიტიკა ეკონომიკური, იურიდიული და სოციალური ხასიათის ღონისძიებათა სისტემაა და მიმართულია, ძირითადად, ბავშვთა დაბადებისა და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებული პარამეტრების შესაცვლელად.

პირდაპირი ზემოქმედება ამ პარამეტრებზე ხდება იურიდიული აკრძალვების, შეზღუდვების, ჯარიმების, სანქციების დანესებით, ოჯახურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებით და ა. შ.

ირიბი ზემოქმედება (კონტრაცეპტივების გამოყენების პროპაგანდა) შედარებით რბილ ხასიათს ატარებს, რადგან ექვემდებარება დემოგრაფიულ პოლიტიკას.

მოსახლეობის ზრდის შემაკავებელი ძირითადი ღონისძიებებია:

– **სახელმწიფოს მიერ ოჯახში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.** ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში დადგენილია ჯარიმები და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები. მაგალითად, ჩინეთში დადგენილია: 1 ოჯახი – 1 ბავშვი; ინდოეთში – 1 ოჯახი – 2 ბავშვი. ამ ნორმების დარღვევის შემთხვევაში ოჯახს საკმაოდ მსხვილი ჯარიმის გადახდა უნევს, ხდება მათი საქციელის კოლექტიური განსჯა, ერთმევათ შეღავათები, რომლებიც დაკავშირებულია საცხოვრებელ ბინასთან და ბავშვთა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში შენახვასთან;

– **საქორწინო ასაკის გაზრდა კანონმდებლობით.** ეს ღონისძიება განსაკუთრებით ზემოქმედებს იმ ქვეყნებში, რომელთა ეთნოსებისათვის დამახასიათებელია ქორწინების განსაკუთრებით მცირე ასაკი (ეკვადორი, ჰონდურასი და სხვ.).

– **განქორწინების წესის გამარტივება;**

– **ადმინისტრაციული წესით დადგენილია ბავშვთაშობის ინტერვალ.** ეს შეიძლება იყოს რამდენიმე წელი. ოჯახი ამის საფუძველზე უთანხმებს ხელისუფლებას „დაბადების კალენდარს“. ასეთი წესი მიღებულია ჩინეთში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში;

– **კონტრაცეპტივების გამოყენების პროპაგანდა.** ასეთი ღონისძიებები განსაკუთრებით აქტუალურია მუსულმანურ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამ უკანასკნელში მიდის ე.წ. სექსუალური რევოლუცია, რაც გამოიხატა ქორწინების გარეშე შობადობითა და მიტოვებულ ბავშვთა წილის ზრდით;

– **იმ ოჯახთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომლებიც ასრულებენ დაწესებულ ნორმებს.** ისინი სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით.

ღონისძიებათა ეს სისტემა საკმაოდ მკაცრი და, როგორც ზოგჯერ მიუთითებენ, არაჰუმანურია, რადგან ატარებს იძულებით ხასიათს. 1980-90-იან წლებში მისი რეალიზაცია მოხდა ჩინეთში, რითიც ქვეყანამ შეძლო, მოსახლეობის ზრდის ტემპი შეემცირებინა. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩინეთი ახლა 1,3 მლრდ-ის ნაცვლად 1,6 მლრდ იქნებოდა. მსგავსი რამ ვერ შეძლო ინდოეთმა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მკაცრი პოლიტიკის გატარებას ცდილობს.

აზიის სხვა ქვეყნებსა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში სულ უფრო მეტად ვრცელდება მოდერნისტული დემოგრაფიული იდეოლოგია. მაგალითად, შობადობის შემცირების პოლიტიკა მიმდინარეობს თურქეთში, ეგვიპტეში და ამჟამად ირანშიც (1989 წლიდან). ირანში აბორტები იშვიათია, მაგრამ არის კონტრაცეფცია. ჰომეინიმ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ (1980) განაცხადა: „კონტრაცეფცია არ ეწინააღმდეგება ისლამს“. დემოპოლიტიკის შედეგად, ირანში, სადაც იმ წლებში ერთ ქალზე 5-6 ბავშვი მოდიოდა, ახლა 2 ბავშვი მოდის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ბოლო ხანს, მკაცრი დემოგრაფიული პოლიტიკის გამო, ჩინეთში შეიმჩნევა სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია, ყოველ 100 გოგონაზე 116 ვაჟი მოდის. ზოგიერთ ჩინურ პროვინციაში გოგონას დაბადებაზე 2 ათას იუნ დახმარებას იძლევიან, ხოლო ვაჟის დაბადებისას კი 9 წელი მოსავლის გადასახადისაგან ათავისუფლებენ, რათა დაზოგილი თანხით მათ განათლება მისცენ ვაჟიშვილებს. გარდა ამისა, ჩინეთში მეტად მომრავლდა მარტოხელა მოხუცები, რომლებსაც ერთადერთი შვილი დაეღუპათ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს გაეზარდათ მათი შენახვისათვის საჭირო საპენსიო სახსრები. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შეარბილოს შობადობის კონტროლი. კერძოდ, შანხაიში, 2004 წლიდან 9 სახის ოჯახს უფლება მიეცა, იყოლიოს მეორე შვილი. ამ კატეგორიებს მიეკუთვნება ოჯახები, რომელთაც ჰყავთ ინვალიდი შვილი, ან არის მეორე ქორწინებაში და ერთ-ერთს ჰყავს უკვე ერთი შვილი; წყვილებს, რომელთა მშობლებს ორივე მხრიდან თითო ბავშვი ჰყავდა. მაგრამ, ამავე დროს, დაუდგინდათ, რომ მეორე შვილის ყოლა შეიძლება პირველი შვილის გაჩენიდან არაუადრეს 4 წლისა. ამასთან, დედის ასაკი არ უნდა იყოს 28 წელზე ნაკლები. შობადობის მკაცრი შეზღუდვის პოლიტიკის შედეგად, 2013 წელს ჩინეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება დაფიქსირდა. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, რომ 2013 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხსნას შეზღუდვა ბავშვის გაჩენაზე იმ მშობლებზე, რომლებიც დედისერთები არიან. „არაუმეტეს ორი ბავშვისა“ – ასეთია ამჟამად მათი დევიზი.

მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელი პოლიტიკა მიმართულია ბავშვთა რიცხვის გაზრდის, ოჯახის შექმნის პროცედურის გამარტივებისა და მათი მატერიალური მხარდაჭერისაკენ. იგი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

– **ბავშვის დაბადებისას ოჯახის მატერიალური დახმარება და ამ დახმარების ზრდა ყოველ შემდგომ ბავშვზე.** ასეთი დახმარება შეიძლება გაიცეს ერთდროული სახით და ყოველთვიურად სრულასაკონობამდე ან განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე. ეს ღონისძიება მეტად პოპულარულია და, უმთავრესად, მდიდარ ქვეყნებშია გავრცელებული. უნდა ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, დასავლეთში ეტალონად საფრანგეთია მიჩნეული. აქ 4-5-ბავშვიანმა ოჯახმა მხოლოდ ასეთი დახმარებების წყალობით შეიძლება იცხოვროს საშუალო დონეზე.

– **ორსულობისა და ბავშვის გაჩენისათვის ქალთა ხანგრძლივი შვებულება (დეკრეტი) სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.** ასეთი ღონისძიება გავრცელებული იყო და არის იქ, სადაც იაფი სამუშაო ძალა და საშუალო შემოსავლება. კერძოდ, ყოფილ სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

– **ბავშვთა აღზრდისა და გაჯანსაღების დაწესებულებათა განვითარებული ქსელის შექმნა შეღავათიანი მომსახურებით,** განსაკუთრებით, მრავალშვილიანთათვის, რაც საშუალებას მისცემს დედას, იმუშაოს. ასეთ ღონისძიებებს სახელმწიფო მაშინ ატარებს, როცა მოსახლეობის ზრდითაცაა დაინტერესებული და დასაქმების მაღალი დონითაც;

– **მარტოხელა დედების მხარდაჭერის ღონისძიებები.** კერძოდ, ალიმენტის დაკისრება მიტოვებული ბავშვებისათვის;

– **კონტრაცეპტივებისა და აბორტების აკრძალვა.** მაგალითად, აბორტები აკრძალული იყო 1936-1956 წწ. ყოფილ სსრკ-ში. აბორტები შეზღუდული იყო ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი და პორტუგალია.


– **ჯანდაცვის განვითარება, ბრძოლა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.**

11.3. მოსახლეობის პოლიტიკის რესურსები

ნებისმიერი პოლიტიკა და დემოგრაფიული პოლიტიკაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანახარჯების გარეშე მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა და არაა შედეგზე ორიენტირებული. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გერმანელი ფიზიოლოგი და ჰიგიენისტი მაქს რუბენერი წერდა, რომ **ბავშვთაშობის შეზღუდვის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ეროვნული**

შემოსავლის განაწილების სისტემის ცვლილების გარეშე. მცირეოდენი სახსრებით შეუძლებელია ამ უზარმაზარი პრობლემის გადაჭრაო. იგი განსაკუთრებული ყურადღების საგნად მიიჩნევა თითოეული ოჯახის კეთილმოწყობილი საცხოვრისით უზრუნველყოფას.

მაქს რუბნერი (1854-1932). გერმანელი ფიზიოლოგი და პიგიენისტი მაქს რუბნერი 1891 წლიდან ხელმძღვანელობდა ბერლინის პიგიენის ინსტიტუტს. იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი პიგიენის დარგში. მუშაობდა ორგანიზმის თერმორეგულაციის საკითხებზე. კვლევის ფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით მეცნიერულად დაასაბუთა ტანსაცმლის პიგიენური მნიშვნელობა.



მაქს რუბნერი
(1854-1932)

მოსახლეობის პოლიტიკაზე გამოყოფილი რესურსები ერთ-ერთი რგოლია სისტემისა:

მიზანი – ვადები – რესურსები – შემსრულებლები.

თანამედროვე პრაქტიკაში ასეთი სისტემის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები**. ისინი უზრუნველყოფენ მიზნის მიღწევას კომპლექსური ღონისძიებებით კონკრეტული რესურსების გამოყენების პირობებში.

მოსახლეობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების შემდეგ სახეებს გამოყოფენ:

– **ფულადი**. კერძოდ, გამოყოფენ დემოგრაფიული პოლიტიკის დაფინანსების ორ გზას:


ა) პირდაპირი, როცა ფინანსდება ისეთი ეკონომიკური ღონისძიებები, როგორცაა დეკრეტული შვებულება, ბავშვის მოვლის ხარჯები, ერთდროული ან რეგულარული დახმარება ბავშვებზე და ა. შ.

ბ) ირიბი, როცა ფინანსდება სოციალური ინფრასტრუქტურის შენახვა და განვითარება. მაგალითად, ბაგა-ბალების, ბავშვთა დასასვენებელი სახლების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ, დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა და ა. შ.

- **მატერიალური**, რომლის ერთ-ერთი სახეა ნატურალური ფორმით დახმარება. მაგალითად, ბავშვთა კვების უზრუნველყოფა 2 წლამდე ასაკში, წამლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასკოლო წიგნებითა და სხვა სახის ინვენტარით უზრუნველყოფა, სკოლებში ბავშვებისათვის სკოლებში საუზმითა და ზოგჯერ სადილითაც გამასპინძლება და ა. შ. გარდა ამისა, მატერიალური რესურსების გამოყენების ერთ-ერთი საშუალებაა მიწის გადაცემა სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიზნით. ჯერ კიდევ ჩვ.წთ. აღ.-მდე I საუკუნის შუახანებში რომის იმპერატორმა იულიუს ცეზარმა 20 ათასამდე მოქალაქეს, რომელსაც სამი და მეტი შვილი ჰყავდა, მფლობელობაში გადასცა საზოგადოებრივ საკუთრებაში მქონე მიწები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. სსრკ-ში არსებობდა პრაქტიკა, როცა მრავალშვილიან ოჯახებს შეღავათიან ფასებში ეძლეოდათ საბაღე-საბოსტნე ადგილები. მატერიალური რესურსების ერთ-ერთი სახეა საცხოვრისიც, რომელიც გადაეცემა ღარიბ მრავალშვილიან ოჯახებს, ახალგაზრდა ოჯახებს შეღავათიანი კრედიტი და ა. შ.

- **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი**. ანტიკურ ხანაში არჩევით სახელმწიფო პოსტებზე შეიძლება ყოფილიყო პირი, ვისაც რამდენიმე შვილი ჰყავდა. ეს ზოგჯერ ფიქტიურ ქორწინებას ან შვილად აყვანის პროცესის პროვოცირებასაც იწვევდა. მრავალშვილიანობა შუა საუკუნეებში გარკვეულ პრივილეგიებს იძლეოდა. XX საუკუნის დასაწყისში ფრანგი ეკონომისტი **პიერ პოლ ლარუა-ბოლიე** სახელმწიფოს სთავაზობდა მაღალანაზღაურებად პოსტებზე მხოლოდ ის პირები დაენიშნათ, ვისაც სამი და მეტი შვილი ჰყავდა. პრონატალისტური პოლიტიკის მომხრენი თვლიდნენ, რომ არჩევნებისას უპირატესობა უნდა მინიჭებოდათ მას, ვისაც მეტი შვილი ჰყავდა.

პიერ პოლ ლარუა-ბოლიე – ფრანგი ეკონომისტი, ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევარი. მისი იდეები ყველაზე მეტად გადმოცემულია ნაშრომში „ესე სიმლიდრის გადანაწილების შესახებ“. ნაშრომში, „თანამედროვე სახელმწიფო და მისი საზღვრები“, სახელმწიფოს ძირითად ფუნქციად მიიჩნევს შიგა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სამართლებრივი წესრიგის დამყარებას და ერის არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნას. 1895 წელს გამოდის მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა“.



პიერ პოლ
ლარუა-ბოლიე
1846-1916

- ორგანიზაციული, ინფორმაციული, სამეცნიერო და პროპაგანდისტული რესურსები.

ეკონომიკურ და მატერიალურ რესურსებს ეფექტის მოხდენა შეუძლიათ მხოლოდ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებში. მოსახლეობის პოლიტიკა ინსტიტუციონალურად უნდა იყოს ორგანიზებული. კერძოდ, ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული, რა გვინდა, ვინ არის ამ პოლიტიკის განმახორციელებელი სუბიექტები, რა უფლებები აქვთ მათ და რა პასუხისმგებლობა აკისრიათ. ბუნებრივია, მოსახლეობის პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია შეუძლებელია აუცილებელი ინფორმაციული და სამეცნიერო რესურსების გარეშე (მოსახლეობის აღწერის, მიმდინარე აღრიცხვის მასალები, შერჩევითი სპეციალური გამოკვლევის შედეგები და ა. შ.). ასეთი ინფორმაცია მხოლოდ სტატისტიკური სამსახურებიდან არ მიიღება. საჭიროა სამეცნიერო კვლევებიც, ჰიპოთეზის შემუშავება, ინფორმაციის მოპოვების მეთოდოლოგიის განსაზღვრა, შემსრულებლების მოძიება და ა. შ. ეს გულისხმობს კადრების მომზადებასაც დემოგრაფიისა და მოსახლეობის ეკონომიკის დარგში. გარდა ამისა, საჭიროა მოსახ-

ლეობის ინფორმირება დემოგრაფიისა და მოსახლეობის პოლიტიკის საკითხებზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ქორწინებაზე, ოჯახზე, რეპროდუქციულ და თვითმოვლით ქცევაზე, ბავშვის აღზრდაზე, რამიც განუზომელია მასმედიის წვლილი. ამ ღონისძიებათა გარეშე მოსახლეობის პოლიტიკა ნაკლებეფექტური იქნება.

მოსახლეობის პოლიტიკა ფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე არასაბიუჯეტო სახსრებით. მისი მოცულობა დამოკიდებულია ქვეყნის დემოეკონომიკურ განვითარებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, მოსახლეობის პოლიტიკის რეალიზაციაზე განუული ხარჯები არ უნდა იყოს მშპ-ს 2,5-3,5%-ზე ნაკლები (იმის გათვალისწინებით, როგორია ბავშვთა წილი მოსახლეობაში და ბავშვთა სიღარიბის დონე).

და მაინც, შეიძლება თუ არა ეკონომიკურმა ღონისძიებებმა გავლენა იქონიოს დემოგრაფიულ ქცევაზე? ამ კითხვაზე მეცნიერები უძველესი დროიდან ეძებდნენ პასუხს. მე-17-18-ე სს-ში ე. ჰალეი. პ. ვარგენტინი და სხვები თვლიდნენ, რომ მოსახლეობის ზრდის შემცირება ხდება იმის გამო, რომ ადამიანები ქორწინებისგან თავს იკავებენ, ეშინიათ, რომ ოჯახს ვერ შეინახავენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანელი ეკონომისტი ვ. ბორტკევიჩი მიიჩნევდა, რომ საგადასახადო შეღავათები ბევრად ნაკლებია ბავშვის აღზრდის ხარჯებზე. მარიო პულზე თვლიდა, რომ ადამიანის დემოგრაფიული ქცევა რომ შეიცვალოს, დაუქორწინებლის გადასახადები იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ დაქორწინება და შვილების ყოლა ერიოს. ეს საკითხი აქტიური განსჯის საგანი იყო და არის დღესაც. რიგმა ქვეყნებმა უარი თქვეს საგადასახადო შეღავათებზე, რადგან თვლიან, რომ მასზე უფრო მომგებიანია ბავშვებზე დახმარების განევა, რადგან არსებული შეღავათები პირდაპირ ბავშვების ყოლაზე არ აისახება. ევროპაში ჩატარებული ზოგიერთი კვლევა უჩვენებს, რომ თუ საგადასახადო შეღავათები მნიშვნელოვანია, იზრდება ოჯახის შემოსავლები, რაც აისახება შრომის მიწოდებაზე. საბოლოოდ, კი შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკური ღონისძიებები დემოგრაფიული ქცევის მასტიმულირებელი ან შემზღუდველია. სტიმული და შეზღუდვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებს. დროთა განმავლობაში მათი ადაპტირება ხდება არსებულ პირობებთან. ამიტომ მოსახლეობის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიეკუთვნება ისინი, რომელიც სტიმულებსა და შეზღუდვებს შორის ექცევა. ესაა **სოციალური გარანტიები**, რაც უზ-

რუნველყოფს სტაბილურობას, წინასწარ განსაზღვრულ პირობებს, რაშიც ადამიანები თავიანთი დემოგრაფიული მოთხოვნილებების რეალიზაციას ახდენენ.

11.4. მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობა

მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. მაგალითად, XX საუკუნის მოაზროვნეები - ვ. ბორტკევიჩი, მ. პულეზე, დ. გლასსი, ჰ. კეიფიცი, ჰ. ელდრიჯი სკეპტიკურად აფასებდნენ მოსახლეობის პოლიტიკის გავლენას დემოგრაფიულ სიტუაციაზე. შესაძლებელია ამის საფუძველი ამ მიმართულებით განეული მცირე ხარჯებიცაა. თუმცა არსებობს დადებითი შეფასებებიც. მაგალითად, ჩეხეთში 1970-იან წლებში, სსრკ-ში 1980-იან წლებში, საფრანგეთში, ჩინეთში და ა. შ.

მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ კრიტერიუმების დადგენა, რომლის საფუძველზეც მოხდება შეფასება. მაგალითად, რუსი მეცნიერი ა. კვაშა თვლის, რომ მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისას უნდა შევადაროთ სახელმწიფოს დანახარჯები მოცემული მიმართულებით (მაგალითად, შობადობის ზრდისკენ მიმართული ხარჯები) და შემოსავლები, რომელიც შეიძლება მიიღოს საზოგადოებამ დამატებით დაბადებული ბავშვებისგან პერსპექტივაში, როცა ისინი სამუშაო ძალა გახდებიან. ასეთი გაანგარიშებების გაკეთება უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული. ის ეყრდნობოდა თეზისს: „თითოეული ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ბევრად მეტს ქმნის, ვიდრე მოიხმარს“. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის შესაფასებლად უნდა გამოვიყენოთ არა ერთი მაჩვენებელი (მაგალითად, აღწარმოების ნეტოკოეფიციენტი), არამედ მაჩვენებელთა სისტემა.

განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს რუსი მეცნიერი ა. ვიშნევსკი: მოსახლეობის აღწარმოების ეფექტიანობა უნდა განისაზღვროს ბრუტო და ნეტოკოეფიციენტების თანაფარდობით. ბრუტო კოეფიციენტი და დანახარჯები, ნეტოკოეფიციენტი და შედეგები. მათი თანაფარდობა კი მარტივი აღწარმოების ფასია. მაღალი ფასი კი მიუთითებს აღწარმოების დაბალ ეკონომიურობაზე (ეფექტიანობაზე). მისი აზრით, არ შეიძლება

დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტიანობაზე საუბარი, თუ ის დემოგრაფიულ ღირებულებებს არ ცვლის. დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ოპტიმალური დემოგრაფიული ნონასწორობის შექმნა, დემოგრაფიული ოპტიმუმის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დემოგრაფიული ცვლილებების ეფექტიანი მართვა. ეფექტიანობის კრიტერიუმად კი შეიძლება გამოვიყენოთ მოცემულ დროში დემოგრაფიული ცვლადების დიფერენციაციის შემცირება (მაგალითად, ნახტომისებური ცვლილებების შემცირება დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკაში. დემოგრაფიული მაჩვენებლების ტერიტორიული დიფერენციაციის შემცირება და ა. შ.).

ზოგადად, „დემოგრაფიული ოპტიმუმის“ საკითხი ურთულეს საკითხად ითვლება როგორც მოსახლეობის ეკონომიკაში, ისე დემოგრაფიაში. სხვადასხვა ქვეყნისა თუ რეგიონისთვის დემოგრაფიული ოპტიმუმი სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად, ალფრედ სოვი საფრანგეთისათვის ოპტიმალურად 50-75 მლნ კაცს თვლიდა, პრეზიდენტი შარლ დე გოლი – 100 მლნ. კაცს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგ დემოგრაფებში გავრცელდა მოსაზრება, რომ დემოგრაფიული ოპტიმუმის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ მოსახლეობის ზრდის ტემპი და არა რიცხოვნობა. მაგალითად, ჟან ლუი ერნესტ ბურჟუა პიშა თვლიდა, რომ ოპტიმალური მოსახლეობის მახასიათებელი უნდა იყოს აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი.

უნგრელმა სოციოლოგმა რუდოლფ ანდორკამ 1959-1960 წწ.-ის მონაცემთა საფუძველზე გამოითვალა აღწარმოების ნეტოკოეფიციენტის ოპტიმუმი დაშვებით: შრომისუნარიანი მოსახლეობის დატვირთვა მინიმალური უნდა ყოფილიყო. ასეთი გათვლა მომდინარეობდა თეზისიდან: ბავშვთა შენახვის ხარჯები პირდაპირპროპორციულია, ხოლო ხანდაზმულთა – უკუპროპორციული მოსახლეობის აღწარმოების ნეტოკოეფიციენტისა. დანახარჯთა მინიმუმის აღება ოპტიმიზაციის მახასიათებლად მისაღებად მიაჩნდა უნგრელ მეცნიერს ე. ვალკოვიჩსაც.

მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის კრიტერიუმის საკითხი დღემდე განსჯის საგანია მეცნიერთა შორის. ამასთან ერთად განიხილება მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიაც. მისი საშუალებით უნდა დავინახოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამა თუ

იმ ღონისძიებაზე განუხლ დანახარჯებსა და მიღებულ შედეგებს (დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა) შორის. არგუმენტირებულად უნდა დასაბუთდეს თითოეული ღონისძიების ეფექტი, თუმცა როცა კომპლექსურ ღონისძიებებს ვატარებთ, ეფექტიანობის შეფასება მეტად რთულდება. ამ დროს რაიმე მეთოდოლოგიის გამოყენება ტექნიკურადაც შეუძლებელია. ზოგადად კი ამ მეთოდოლოგიამ საშუალება უნდა მოგვცეს, დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება შეფასდეს როგორც აპრიორი, ისე აპოსტერიორი. აპრიორული შეფასება გულისხმობს დაგეგმილი და მოსალოდნელი შედეგების შეფასებას (ღონისძიებათა დაგეგმვის სტადიაზე შესაძლო ეფექტის განსაზღვრას). აპოსტერიორული შეფასებისას კი განისაზღვრება როგორც პირდაპირი და მოსალოდნელი შედეგი, ისე ირიბი შედეგებიც, აგრეთვე, გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი შედეგებიც. რამდენადაც განხორციელებულმა ღონისძიებებმა გავლენა უნდა მოახდინოს მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე, ეფექტიანობის შეფასებისას უნდა განვსაზღვროთ რამდენად, რა ზომით მოახდინეს მათ გავლენა მოსახლეობის დემოგრაფიულ მოთხოვნილებებზე, დემოგრაფიულ განწყობასა და ნორმებზე, ანუ უნდა შევისწავლოთ, როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ეფექტი.

საბოლოოდ კი აღვნიშნავთ, რომ მოსახლეობის პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგიას საფუძვლად ედება სხვადასხვა ინტერესი და მოთხოვნილებები. მაგალითად,

- *შედეგების გამოვლენის სფეროში* - დემოგრაფიული, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვ.

- *მიზნის მიღწევისა და ღონისძიებათა ვატარების ვადები* - უახლოესი, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი;

- *ინტერესთა სახის მიხედვით* - სახელმწიფო, საზოგადოებრივი, ჯგუფური, ოჯახური, პირადი;

- *პროგრამების განხორციელების ტერიტორიული მასშტაბის მიხედვით* - ადგილობრივი, რეგიონული, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რა პირობებში ტარდება ეს პოლიტიკა, როგორია ქვეყნის ისტორიული გამოცდილება. კერძოდ, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნისთვის პირობები განსხვავებულია. ამასთან, ის, რაც ერთ ქვეყანაში ეფექტიანია, მეორე ქვეყნისთვის

ნაკლებეფექტიანი შეიძლება იყოს. ამიტომ, გასათვალისწინებელია ქვეყნის ეთნიკური, სამართლებრივი და ეთნოკულტურული გარემო. მაგალითად აბორტის აკრძალვამ პირველი ორი წლის განმავლობაში შეიძლება დაბადებათა რიცხვის ზრდა გამოიწვიოს, მაგრამ შემდგომ ამას შეიძლება მოჰყვეს არალეგალური აბორტები, დედათა მოკვდაობის ზრდა და ა.შ. ამიტომ ეფექტიანობის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი არ არსებობს. არსებობს **კრიტერიუმთა სისტემა**. კერძოდ, მოსახლეობის პოლიტიკის

– **დემოგრაფიული ეფექტიანობის** შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები: შობადობის ზრდა, მოკვდაობის შემცირება, ასაკობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა, განქორწინების შემცირება, მოსახლეობის კლების შემცირება, შიგა და გარე მიგრაციის რაციონალიზაცია და ა.შ.

– **ეკონომიკური ეფექტიანობის** გამოსავლენად შეიძლება გამოვიყენოთ შრომითი რესურსების რიცხოვნობა და ტერიტორიული განაწილების ცვლილება, ეკონომიკური დატვირთვის მაჩვენებლის შემცირება, უმუშევრობის კლება, ადრეული მოკვდაობითა და ავადობებით მიღებული ეკონომიკური დანაკარგების სიდიდე და ა. შ.

– **სოციალური ეფექტიანობის** შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა ოჯახის შექმნისა და მრავალშვილიან დედად ყოფნის პრესტიჟულობა. მცირეწლოვანი ბავშვიანი ოჯახების შემოსავლების გამოთანაბრება და სხვ.

– **გენდერული ეფექტიანობის** გამოსავლენად: განხორციელებულ ღონისძიებებში გენდერული სიმეტრიულობის დაცვა, ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი უფლებების დაცვა და სხვ.

ზოგადად კი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პრიორიტეტების დაცვას, როგორცაა:

- ეროვნული უსაფრთხოება;
- სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობის დაცვა;
- მდგრადი განვითარება;
- ადამიანის უფლებების დაცვა, ოჯახის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

11.5. მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში

საფრანგეთი. მსოფლიოში საფრანგეთის დემოგრაფიული პოლიტიკა ითვლება ეტალონად. ის ნატალისტურია და მიმართულია მინიმუმ სამშვილიანი ოჯახების ფორმირებაზე, რაც ხორციელდება არა მარტო უშუალოდ ბავშვთაშობის სტიმულირების ღონისძიებებით, არამედ ეფექტიანი დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებით. ფრანგი მკვლევარების მონაცემებით, საფრანგეთში ოჯახში 100%-ით ხდება ოჯახის რეპროდუქციული მოთხოვნის რეალიზება. 1990-იან წლებში ოჯახში სასურველ ბავშვთა რიცხვი იყო საშუალოდ 2,2-2,3 ბავშვი. ამავე დროს ერთ საქორწინო წყვილზე მოდიოდა – 2,2 ბავშვი.

საფრანგეთში მოსახლეობის პოლიტიკის გატარებისას ბავშვიანი ქალის დასაქმება დეკლარირებული არ არის, მაგრამ განხორციელებული ღონისძიებები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამაზე. მაგალითად, ბავშვებზე განეული დახმარებები მიეცემა ყველა ქალს, მიუხედავად იმისა, დასაქმებულია თუ არა. ეს დახმარებები სიმბოლური ხასიათის არ არის. ის მნიშვნელოვნად ზრდის ოჯახის საშუალო შემოსავალს. ამიტომ ქალი წარმოებაში ებმება მხოლოდ მაშინ, თუ ოჯახის შემოსავალი სიღარიბის ზღვართან ახლოა. ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის სისტემა, დახმარება ძიძის დაქირავებისათვის ქალებს საშუალებას აძლევს, გააგრძელონ პროფესიონალური მოღვაწეობა. ეს ამცირებს ოჯახის მიერ ქალთა პროფესიონალურ აქტივობაში გადახდილ ფასს. მარტოხელა მშობლებზე, ბავშვის მოვლაზე განეული დახმარება ამცირებს ინტერესს ქალთა დასაქმებაზე. მითუმეტეს, თუ ქალს მცირედ ანაზღაურებადი სამუშაო აქვს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახის შემოსავლებში დახმარება საცხოვრისზე. ღარიბი ოჯახების ბიუჯეტში საოჯახო დახმარებები 2/3-ს შეადგენს.

წლების განმავლობაში რა გავლენას ახდენდა საფრანგეთის დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციაზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა საფრანგეთის დემოგრაფიის ეროვნული ინსტიტუტის ანალიტიკური მოხსენება, რომელიც მთავრობას წარედგინა 1976 წელს. ამაზე პასუხს სცემს სხვა პუბლიკაციებიც. კერძოდ:

- 1920 წელს მიღებულმა კანონმა აბორტების აკრძალვაზე, კონტრაცეპტივების გამოყენების წინააღმდეგ გამართულმა პროპაგანდამ მცირე გავლენა მოახდინა ბავშვთაშობაზე;

- 1932 წელს შემოღებულმა სავალდებულო დახმარებამ ბავშვებზე, რომელიც 1945 წელს კიდევ უფრო გამყარდა სოციალური დაცვის დეკრეტით, საგადასახადო შეღავათებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბავშვთა შობაზე. 1930-1935 წლებში დაბადებულ კოჰორტაში ბავშვთა საშუალო რიცხოვნობა ერთ ქალზე იყო 2,65, მაშინ, როცა ინგლისში – 2,4, ბელგიაში – 2,3, გერმანიაში – 2,2 ბავშვი.

- დახმარების სისტემის დადებითი გავლენა იქნა შენიშნული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კერძოდ, 1952-1953 წლებში ჩატარებულმა ანალიზმა იმ ოჯახებზე, რომელთაც თანაცხოვრების 10 წლისა და მეტი სტაჟი ჰქონდა, უჩვენა, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში შობადობის რეალიზაციის მაჩვენებელი არაერთგვაროვანი იყო. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულნი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იღებდნენ ბავშვთა დახმარებას, მაშინ, როცა ეს ღონისძიება კერძო სამრეწველო სექტორში 1939 წლიდან განხორციელდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულებს იგივე თანხა მხოლოდ 1952-1953 წლიდან მიეცემოდათ. შესაბამისად, იმ სოციალურ ჯგუფებში, ვისაც ადრევე მიეცემოდა დახმარება, უფრო მაღალი იყო ბავშვთაშობის მაჩვენებელი, ვიდრე დანარჩენებში.

- 1988 წელს საოჯახო დახმარება, 1977 წელთან შედარებით, 15%-ით გაიზარდა. ამასთან, დახმარება ბავშვთა დაბადების რიგითობის მიხედვით დიფერენცირებული გახდა. კერძოდ, მე-3 ბავშვი იღებდა 2-ჯერ მეტ დახმარებას, ვიდრე მეორე ბავშვი და 5-ჯერ მეტს, ვიდრე პირველი ბავშვი. ანალიზით აღმოჩნდა, რომ პირველი ბავშვის დაბადება არაა დაკავშირებული ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ის გავლენას ახდენს მეორე შვილის დაბადებაზე. ეს არის რეაქცია პროფესიული აქტივობისას ქალთა შრომით შემოსავალზე. აღმოჩნდა, რომ მესამე და შემდეგი შვილის დაბადებაზე დიდ გავლენას ახდენს დახმარება. ის ოჯახის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუნდაც იმ შემთხვევაშიც, თუ ქალი სამსახურს თავს დაანებებს.

კვლევებმა უჩვენა, რომ:

– საფრანგეთში ქალთა 13% მესამე შვილს არ გააჩენდა, რომ არ ჰქონოდა დახმარება ბავშვებზე;

– ომისშემდგომი ე.წ. „ბები-ბუმი“ საფრანგეთში უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებში. შობადობის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში;

– 1949 წელს ჩატარებულმა სპეციალურმა შერჩევითმა კვლევით გამოკითხულთა 97% თვლიდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის ზრდა პირდაპირ იყო განპირობებული საოჯახო დახმარების არსებული სისტემით.

2013 წლიდან საფრანგეთში, ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთში, დაიწყო სოციალური რეფორმების გატარება ეს რეფორმა შეეხო ბავშვთა და საოჯახო დახმარების სისტემასაც. თუ 2012 წელს დახმარების ზედა ზღვარი 2330 ევრო იყო, 2014 წელს ის 1500 ევრომდე შემცირდა. 2015-2016 წწ-ში შეინიშნება შობადობის შემცირება, მაგალითად, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 16 000 ბავშვით ნაკლები დაიბადა, 2016 წელს კი - 2015 წელთან შედარებით - 14000 ბავშვით ნაკლები. თუ 2007-2013 წწ. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საშუალოდ 2,12-ს შეადგენდა, 2016 წლისათვის ის 1,89-ია. საუბარია იმაზე, რომ შეცვლილმა დახმარების სისტემამ ნეგატიური გავლენა მოახდინა შობადობაზე.

ჩეხეთი. 1970-იან წლებში ჩატარებული კვლევებით, აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გამო, მოცემულ პერიოდში შობადობა 10%-ით მეტი იყო იმ პერიოდთან შედარებით, როცა ეს პოლიტიკა არ ტარდებოდა.

ბულგარეთი. 1973 წლიდან ამ ქვეყანაში გააქტიურდა დემოგრაფიული პოლიტიკა. 1975 წელს ჩატარდა რეპრეზენტატიული კვლევა. გამოიკითხა 35 წლამდე ასაკის ქალები. ყოველმა მესამე ქალმა აღნიშნა, რომ ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობის ზრდამ. ქალთა 5-6%-მა აღნიშნა, რომ შვილი გააჩინეს იმიტომ, რომ ვერ გაიკეთეს აბორტი მისი შეზღუდვის გამო.

1960-70-იან წლებში უნგრეთსა და რუმინეთში გააქტიურებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ პოზიტიური გავლენა იქონია ბავშვთაშობაზე. მეტად კრიტიკული დემოგრაფიული მდგომარეობა შეექმნა **რუსეთს** 1990-იან წლებში. მოსახლეობამ აბსოლუტური კლება დაიწყო. 2006 წელს ხელი-

სუფლების მიერ დემოგრაფიული კლება უმწვავეს პრობლემად იქნა აღიარებული. გააქტიურდა დემოგრაფიული პოლიტიკაც. კერძოდ, გაიზარდა დახმარებები ბავშვებზე, ორსულ და მეძუძურ დედებზე, გარდა ამისა, შემოიღეს ე.წ. „დედის საბაზო კაპიტალი“ (მისი ანალოგი ამ ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა). ეს კაპიტალი 250000 რუსული მანეთია ინდექსაციის გათვალისწინებით. მისი მიღების უფლება ეძლევა დედებს მეორე შვილის გაჩენის მომენტიდან, ხოლო გამოყენება შეუძლიათ მაშინ, როცა ბავშვი 3 წლის გახდება. ამ ღონისძიებით რუსეთმა შეძლო 2006-2015 წწ. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1,3-დან 1,9-მდე გაეზარდა.

საქართველო. ესა თუ ის ქვეყანა ირჩევს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მისი განვითარების სპეციფიკურობას ითვალისწინებს. საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა, სადაც 1990-იან წლებში დეპოპულაციური პროცესები განვითარდა. ბუნებრივია, აქ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა შეიქმნა. კერძოდ, საჭირო გახდა პროგრამის დამუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სამშვილიან ოჯახზე. პროგრამა უნდა რეალიზდეს უახლოეს 5-10 წელიწადში, რათა მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებას კიდევ არ ჰქონდეს ადგილი და აღდგეს ის დემოგრაფიული ბალანსი მთელ ქვეყანა-სა და რეგიონებში, რომელიც დემოგრაფიულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ამ მიზნით შემუშავდა დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის განსახორციელებელ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული როგორც სახელმწიფო, ისე ეკლესია და არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“. ეს უკანასკნელი ეკლესიასთან ერთად აქტიურ პროპაგანდას ეწევა შობადობის ზრდისთვის. საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული (საქართველოს მოქალაქე) ბავშვი, (რეგიონები შერჩეულია სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ და დღეის მდგომარეობით მოიცავს გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო/ზემო სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთს). პროგრამა ეხება რეგიონებს, სადაც ბავშვის/ბავშვების დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდება, ან 200-ზე ნაკლებია. ფულადი დახმარება ინიშნება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის და შეადგენს: მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებ-

თათვის 200 ლარს, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებ-თათვის – 150 ლარს (მეორე და მესამე ტყუპების შექმნის შემთხვევაში სარგებლობს დახმარებით მხოლოდ ერთ-ერთი ტყუპის ცალი). გარდა ამისა, მაღალმთიან რაიონებში 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებულ ბავშვებს ეძლევათ ფინანსური დახმარება: ა) 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის პირველი ან მეორე შვილია.

ბ) 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის მე-3 ან მომდევნო შვილია.

გ) მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპის ცალს 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს – 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის დადგენილება №221-ის მეშვეობით, რომელიც 2018 წლის მაისში იქნა მიღებული, „მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო“ შეიქმნა. საბჭო დემოგრაფიის ეროვნულ სტრატეგიაზე იმუშავებს. „მოსახლეობის განვითარების საბჭოს“ შექმნის ვალდებულება სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2016 წელს აიღო, როდესაც პარლამენტმა „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“ დაამტკიცა. მაშინ პარლამენტმა ეს დოკუმენტი „დემოგრაფიული კატასტროფის“ ასაცილებლად მიიღო. ახალი საბჭოს უფლებამოსილება იქნება: გამოითხოვოს საკუთარი საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია, შეიმუშავოს რეკომენდაციები კანონმდებლობის რეფორმის, დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის სტრატეგიის განახლებისა და სრულყოფის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავებისათვის შექმნას საკონსულტაციო ჯგუფი (ჯგუფები) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და შესაბამისი სფეროს ექსპერტების მონაწილეობით.

გარდა ამისა, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №514 „მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“, რომლის თანახმადაც მრავალშვილიან მშობლებს ეძლევათ გარკვეული შეღავათები ელექტროენერჯის გადახდისას.¹

¹ მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები და მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი. <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/28.-06.2019-2.pdf>

თემა 12. მოსახლეობა და ეკონომიკა

დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მოვლენათა ურთიერთკავშირი დიდი ხანია, მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია (ნობელის პრემიის ლაურეატები: გ. ბეკერი, პ. სამუელსონი, ს. კუზნეცი, რ. ფოგელი და ა.შ.). ამერიკელი ეკონომისტი პ. ა. სამუელსონის განსაზღვრებით, მოსახლეობა ნებისმიერი მეურნეობის ძირითადი ფაქტორია. 1993 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა რ. ფოგელმა კი თავის ნაწარმოებში ხაზგასმით უჩვენა, რომ მსოფლიო მოსახლეობის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემათა ანალიზში, გული დემოგრაფიული ანალიზია.

დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობის ზრდა განიხილებოდა ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად და კანონზომიერ შედეგად (ა. სმიტი, დ. რიკარდო).

თ. მალთუსმა, უარყო რა მათი მოსაზრება, ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა მიზანშეწონილი არ არის, რადგან მოსახლეობის ზრდა გეომეტრიული პროგრესიით ხდება, საარსებო საშუალებებისა – არითმეტიკული პროგრესიით. ეს შეუსაბამობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და საარსებო საშუალებებს შორის კი იწვევს ომებს, ეპიდემიებს და შიმშილს. მან მოგვცა ერთგვარი დემოეკონომიკური მოდელი, საზი გაუსვა მოსახლეობის რიცხოვნობის ეკონომიკური შეფასების მნიშვნელობას და საზოგადოებას მიუთითა, ეძებნა გზა განონასწორებული ეკონომიკური მდგომარეობისაკენ. ამ კუთხით გამოსავალს ა. მარშალი და ა. პიგუ მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის შემოსავლების გადანაწილებაში ხედავდნენ და მიაჩნდათ, რომ ამით ღარიბები მეტად შესძლებდნენ თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ეკონომიკურ ზრდაზე. გერმანელი სოციალ-დემოკრატი კარლ კაუტსკი მიიჩნევდა, რომ ყოველ საზოგადოებრივ კლასს კონკრეტულ ეპოქაში ხალხთმოსახლეობის თავისი კანონი აქვს, რომელიც განისაზღვრება სოციალური პირობებით. გერმანელი ეკონომისტი ფ. ოპენჰეიმერი კი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა ქმნის შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ზრდის პირობას და, შესაბამისად, ხალხის კეთილდღეობას. ამ საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება 1920-იან წლებში კეინსიანური სკოლის მიმდევარმა ა. ჰანსენმა გამოხატა. ის აღნიშნავს, რომ

მოსახლეობის ზრდის შემცირებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. იგი XIX საუკუნეში აშშ-ში ინვენსტირების საუკეთესო პირობების შექმნას ტექნიკის განვითარებასა და მოსახლეობის ზრდას უკავშირებდა.

მოსახლეობის ზრდის შენელებული ტემპის შესაძლო უარყოფით ეკონომიკურ შედეგებზე მსჯელობს XX საუკუნის 50-60-იან წლებში ამერიკელი მეცნიერი ს. კუზნეცი. მისი აზრით, იმ პერიოდისათვის ეკონომიკური ზრდის მთავარი წყარო სასარგებლო ცოდნის მარაგის ზრდაა, რომელიც, თავის მხრივ, დემოგრაფიულ ზრდასთან იყო დაკავშირებული. „ადამიანები არა მარტო ეკონომიკური ზრდის ფაქტორები არიან, არამედ მისი შედეგების მომხმარებელიც: ახალი ფუნდამენტური თუ გამოყენებითი ცოდნის შემქმნელები, ნოვატორები, სხვადასხვა გამოცდილების მქონენი“ – აღნიშნავს ს. კუზნეცი და მიუთითებს, რომ 1750 წლიდან 1920-30-იან წლებამდე მოსახლეობის ზრდის დიდი ტემპი დამახასიათებელი იყო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც XX საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. მისი აზრით,

– მოსახლეობის მატება იწვევს ქვეყნის შიგა ბაზრის გაფართოებას და ადამიანური რესურსების ზრდას, რაც საშუალებას იძლევა, გაიზარდოს წარმოების მასშტაბის ზრდით გამონვეული ეკონომია;

– მოსახლეობის ზრდა იწვევს ნოვატორ მენარმეთა ზრდას და კაპიტალის ექსპანსიას;

– შობადობის მატება ზრდის მოსახლეობის შიგა მობილობას და ხელს უწყობს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ეკონომიკურ ათვისებას, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;

– ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებით გარკვეული პერიოდის შემდეგ მიღებული ახალგაზრდა სამუშაო ძალის ზრდა მოსახლეობის იმ კონტინგენტის მატებასაც გულისხმობს, რომელიც იღებს განათლებას და მაღალ კვალიფიკაციას, ე.ი. იზრდება ახალი ცოდნის, ახალი ფასეულობებისა და ზნე-ჩვეულებების მატარებელთა რიცხვი;

– სამუშაო ასაკამდე მოსახლეობის სულ უფრო მეტი წილის მიღწევა გულისხმობს იმ დანაკარგების შემცირებასაც, რომელიც ამ ასაკს მიუღწევად ბავშვებზე იხარჯებოდა.

საბოლოოდ, მოსახლეობის მატებით გამონვეული ნოვატორული იდეებისა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ზრდა გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდასაც.

ს. კუზნეცის მოსაზრებათა პარალელურად, არსებობდა ნეომალთუ-სიანური მოსაზრებებიც, რომელთა ძირითადი თეზისია: შობადობის შემცირება ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

1970-1980-იან წლებში „მოსახლეობა – ეკონომიკა“ ურთიერთდამოკიდებულებაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა მოსახლეობის ხარისხზე (ჯ. სპენგლერი, ჰ. საიმონი). კერძოდ, არა მოსახლეობის ზრდაა ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი, არამედ მოსახლეობის ხარისხის ზრდა, რომელსაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ნულოვანი ზრდა განაპირობებს.

1984 წელს მსოფლიო ბანკის მოხსენებაში კი მითითებულია, რომ წელიწადში მოსახლეობის 2%-ზე მეტი მატების ტემპი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელია, ამავე დროს, მოხსენების ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ, შესაძლოა, ეკონომიკამ მოსახლეობის ზრდასთან ადაპტირება კი მოახდინოს, მაგრამ ერთ სულზე შემოსავალი მოსალოდნელზე ნაკლები შეიძლება იყოს. ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ მოსახლეობის ზრდის შემცირებას მხოლოდ მაშინ აქვს ეფექტი ეკონომიკური ზრდისათვის, თუ მას ახლავს სწორი მაკროეკონომიკური და სტრუქტურული პოლიტიკა.

პლანეტის გლობალურმა პრობლემამ – სიღარიბის ზრდამ 1990-იან წლებში კიდევ ერთხელ ამოატივტივა მოსახლეობის რიცხოვნობის მატებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირის საკითხი. გაეროს მოსახლეობის ბიუროს 2002 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი დღეში 2 დოლარზე ნაკლებია, 3 მლრდ აღწევს, რაც აფერხებს პროგრესს და განვითარებას. მაშინ მსოფლიო საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ 2015 წლისათვის ღარიბთა რიცხვი გაენახევრებინა, რაც უნდა მომხდარიყო ნახევრად ეკონომიკური ზრდის, ნახევრად – მოთხოვნის შემცირების გზით. ეს უკანასკნელი კი მოსახლეობის მატების შენელებით უნდა მომხდარიყო, რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

ცნობილია ისიც, რომ შობადობის მაღალი დონე დამახასიათებელია ღარიბი ქვეყნებისათვის, სადაც 2050 წლისათვის მოსახლეობის 3-ჯერ ზრდაა მოსალოდნელი (600 მლნ-დან 1,8 მლრდ-მდე). ამასთან, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა ერთ სულზე ღარიბ ქვეყნებში 90-იან წლებში უფრო ნელი იყო, ვიდრე 80-იან წლებში. ამიტომ გაეროს ექსპერტთა დასკვნით, მოსახლეობის მატების შენელება განვითარებად ქვეყნებში ხელს შეუწყობდა მათ ეკონომიკურ განვითარებას. ამის მაგალითად მოჰ-

ყავდათ ის ქვეყნები, სადაც 1970-იან წლებში მოხერხდა მოსახლეობის მატების შენელება და აღინიშნა ეკონომიკური ზრდა. ამასთან, გამოვლინდა ისიც, რომ სოციალურ სფეროში, კერძოდ, განათლებასა და ჯანმრთელობაში ინვესტიციები, ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდის შენელებას, ასევე, ქალთა შრომითი პოტენციალის ფართოდ გამოყენება ინვესს ოჯახში შვილთა რაოდენობის მკვეთრ შეზღუდვას.

საბოლოოდ, 1990-იან წლებში მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ: **ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ მოსახლეობის მატება ან შემცირება ზრდის ან ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, არ შეიძლება.** მაგალითად, გარკვეულ პერიოდში მოკვდაობის შემცირება, შემდეგ კი შობადობის კლება ქვეყნებს უღებს ე. წ. „დემოგრაფიულ ფანჯარას“ (ან აძლევს ე.წ. „დემოგრაფიულ ბონუსს“), პერიოდს, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობა გაცილებით მეტია შრომისუუნაროთა რიცხვზე. უნიკალური უპირატესობის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდისათვის, თუ კი ინვესტიციები მიმართული იქნება ჯანდაცვაში, განათლებასა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის დასაქმებაში. ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო 1980-1990-იან წლებში ე.წ. „აზიურ ვეფხვებად“ წოდებული ქვეყნებისათვის (ტაილანდი, სამხრეთი კორეა და სხვ.), რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. ასეთი შანსი ქვეყანას შეიძლება ერთხელ მიეცეს და ისიც განსაზღვრული დროით. „დემოგრაფიული ფანჯარა“ იხურება, როცა შედარებით მრავალრიცხოვანი შრომის ასაკის მოსახლეობა საპენსიო ასაკში გადადის. თუ ზემოაღნიშნული პერიოდი ქვეყანამ შესაბამისად ვერ გამოიყენა, ის კარგავს ეკონომიკური ზრდის ისტორიულ შანსს.

საქართველოში მეორე მსოფლიო ომისშემდგომი საკომპენსაციო პერიოდის გავლენით შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გამრავლებამ, შესაბამისად, XXს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში დემოგრაფიული დაბერების სტაბილურმა ტემპმა, 1990-იან წლებში შექმნა „დემოგრაფიული ფანჯარის“ გამოღების შესაძლებლობა; მაგრამ იმის მაგივრად, რომ მთელი ძალისხმევა ეკონომიკური ზრდის პროგრამას მოხმარებოდა, არსებითად, იგი პოლიტიკურმა გადატრიალებებმა, ეთნოკონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა შთანთქა.

1995 წლიდან არის ხელოვნური მცდელობა იმისა, რომ ეს დემოგრაფიული „შანსი“ საბოლოოდ არ დაიკარგოს. საქმე ეხება შრომის ასაკის 5 წლით გადანევას. მართლაც, შედეგად მივიღეთ ის, რომ ბოლო 100 წლის

მანძილზე შრომის ასაკის მოსახლეობის წილი არასოდეს ასეთი მაღალი არ ყოფილა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. შრომის ასაკის მოსახლეობის წილის ცვლილება საქართველოში 1926-2014 წწ. (%)

	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002	2014
შრომის ასაკის მოსახლეობა	49,2	50,3	56,1	52,6	56,8	56,3	64,0	64,0
დანარჩენი მოსახლეობა	50,8	49,6	43,9	47,1	43,1	43,7	36,0	36,0

წყარო: შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერის მასალები. Ggestat.ge

შესაბამისად, თუ მათი ჯანმრთელობისა და განათლების დონე მაღალი იქნებოდა, უმუშევრობის მკვეთრი შემცირების პირობებში, არსებული ე.წ. „დემოგრაფიული ბონუსი“, მოსახლეობის კეთილდღეობის საწინდარი შეიძლება გამხდარიყო, სანამ მრავალრიცხოვანი შრომისუნარიანი მოსახლეობა საპენსიო ასაკს არ მიაღწევდა. სამწუხაროდ, ეს დემოგრაფიული შანსი გაშვებული იქნა ხელიდან, შემდგომ მის დადგომას, საუკეთესო შემთხვევაში, ერთი თაობის სიცოცხლე მაინც დასჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული დემოგრაფიული პროცესი სხვადასხვაგვარად მოქმედებს მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელსაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ან შრომითი რესურსი (ადამიანური რესურსი) ჰქვია. მაგალითად, შობადობის დონის ზრდა ან შემცირება შრომით რესურსებზე გარკვეული დროის შემდეგ აისახება (16 წლის შემდეგ). შობადობის მაღალი დონე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ზრდის შრომის ასაკში მყოფ მოსახლეობას. ამავე დროს, ის ზრდის პენსიონერთა რიცხვსაც შრომის ასაკის დამთავრების შემდეგ.

რაც შეეხება მოკვდაობას, ის ამცირებს შრომითი რესურსების რიცხოვნობას მაშინ, თუკი იგი მაღალია შრომის ასაკში. როცა დიდია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა, მაშინ ეს დემოგრაფიული ტენდენცია 16 წლის მერე აისახება შრომით რესურსებზე, ხოლო პენსიონერებში მოკვდაობის ცვლილება გავლენას ვეღარ ახდენს შრომითი რესურსების რიცხოვნობაზე.

შრომითი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიული სტრუქტურაც, მაგალითად, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. აქვე აღსანიშნავია, რომ იგი დიდად განაპირობებს წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურასაც.

მართალია, ასაკის მიხედვით მოხმარების გამოთვლა მეტად რთულია, მაგრამ მეცნიერთა კვლევებით მიახლოებით დადგენილია, რომ 1 წლამდე ასაკის ბავშვის მოხმარება 7-ჯერ ნაკლებია ზრდასრული ადამიანის მოხმარებაზე, 7-10 წლის ბავშვის მოხმარება კი – 2-ჯერ ნაკლები. მოხმარება მაქსიმუმს აღწევს 25-30 წლის ასაკში. 45-64 წწ. კი მოხმარების დონე თითქმის არ იცვლება. ბავშვთა (0-14) დიდი წილი მოსახლეობაში, ზრდის მოთხოვნას საბავშვო ბაღების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაფართოებაზე, პედაგოგთა კადრების მომზადებაზე. პენსიონერთა წილის მატება კი ზრდის მოთხოვნას სოციალური მომსახურების ქსელის გაფართოებაზე.

მოხმარების მოცულობაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ოჯახური შემადგენლობა. დაქორწინების შემდეგ მატულობს მოთხოვნილება საცხოვრებელ ფართზე, ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე (მაცივარი, სარეცხი მანქანა და ა.შ.) სხვადასხვა ტიპის ოჯახის მოხმარება სხვადასხვაგვარია. მაგალითად, თუ მოსახლეობაში ჭარბობს მრავალშვილიანი ოჯახები, საჭიროა, ბინების მშენებლობა, საბავშვო ტანსაცმლის წარმოების გაზრდა და ა.შ.

შრომის ასაკში ადამიანი აწარმოებს უფრო მეტს, ვიდრე მოიხმარს. წარმოებასა და მოხმარებას შორის განსხვავება მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია განათლების დონე.

20-24 წლამდე ადამიანი, ძირითადად, უფროსი თაობის ხარჯზე ცხოვრობს. რაც უფრო დიდია სწავლის ხანგრძლივობა, მით უფრო დიდხანსაა ის „სარჩენთა“ კატეგორიაში. პენსიონერობის პერიოდში ადამიანი ფორმალურად გადადის საზოგადოების კმაყოფაზე. იგი ცხოვრობს საკუთარი „შრომითი დაგროვების ხარჯზე“.

უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის პირობებშიც კი თანაფარდობა წარმოებასა და მოხმარებას შორის ქალებსა და მამაკაცებში განსხვავებულია. გასათვალისწინებელია, რომ შრომის ასაკში, გარკვეული დროით, მამაკაცები სამხედრო სამსახურის, ხოლო ქალები ბავშვთა აღზრდის გამო, მონყვეტილნი არიან წარმოებას. 25 წლიდან მამაკაცთა დიდი უმრავლესობა ეკონომიკურად აქტიურია. ქალების ეკონომიკური აქტივობა კი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. კერძოდ, გათხოვილ ქალთა ეკონომიკური აქტივობა მცირეა 20-30 წწ. და იზრდება 30-50 წ. პერიოდში.

ეკონომიკაზე ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის განსაზღვრის ერთ-ერთი ხერხია ეკონომიკურ-ასაკობრივი ცხრილები, რომლის საფუძველზე იგება ეკონომიკურ-ასაკობრივი პირამიდები. ეს მეთოდი პირველად გამოიყენა უნგრელმა მეცნიერმა ე. ვალკოვიჩმა. მან მოგვცა წარმოებისა და მოხმარების ინტენსივობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უნგრეთის მოსახლეობის მაგალითზე (ცხრილი 2).

ცხრილი 2. უნგრეთის მოსახლეობის ეკონომიკურ-ასაკობრივი ცხრილი 1959-1960 წწ.

ასაკი	მოსახლეობის რიცხოვნობა		წლიური პროდუქცია (მლნ.ფორინტი)	წლიური მოხმარება (მლნ.ფორინტი)	ასაკობრივი კოეფიციენტები	
	სულ	ეკონომიკურად აქტიური			წარმოება	მოხმარება
0-4	827848	0	0,0	413,2	0,000	0,480
5-9	915036	0	0,0	6130,7	0,000	0,643
10-14	786569	36425	448,0	6677,4	0,451	0,815
15-19	753591	495595	9614,5	7761,0	0,711	0,989
20-24	678963	507389	12683,1	8419,1	0,916	1,191
25-29	722946	530112	15214,2	10403,9	1,051	1,383
30-34	753716	553715	16611,5	10099,8	1,099	1,287
35-39	753751	554339	16796,5	10100,3	1,110	1,287
40-44	451622	333191	10162,3	5509,8	1,117	1,171
45-49	715041	518215	15442,8	8151,5	1,092	1,095
50-54	649238	456195	13320,9	7401,3	1,070	1,095
55-59	580612	350925	10141,7	6385,0	1,059	1,056
60-64	482400	220578	5426,7	4920,5	0,901	0,979
65-69	348926	145230	3456,5	3210,1	0,872	0,883
70-74	563557	108081	2356,2	2161,1	0,799	0,787
75-79	168684	66243	1444,1	1383,2	0,799	0,787
80+	109094	0	0,0	894,6	0,000	0,787
სულ	9961044	4876233	133118,5	1032748,5		

იმავე მეთოდით ლატვიელმა მეცნიერებმა პ. ზვიდრინშმა და მ. ზვიდრინიამ გაიანგარიშეს ცალკეული ასაკის მოსახლეობის წარმოებისა და მოხმარების ინტენსივობა 1975-1976 წწ. შედეგები თითქმის დაემთხვა ვალკოვიჩის გაანგარიშებას. ორივე შემთხვევაში **წარმოება მაქსიმუმს აღწევს 35-44 წლის ასაკში**. მსგავსი შედეგი მიიღეს, აგრეთვე, 1990-

იან წლების მეორე ნახევარში რუსეთშიც. ამ ცხრილებსა თუ პირამიდებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური მომსახურების შეფასებისათვის. მაგალითად, ფრანგმა მეცნიერმა გ. როშმა ამ მეთოდით გვიჩვენა 1960-იან წლებში სამედიცინო დახმარების გამოყენების ინტენსივობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში ჯანდაცვის პოლიტიკის განსაზღვრისათვის (ცხრილი 3).

ცხრილი 3. სამედიცინო დახმარების გამოყენების ასაკობრივი სკალა

ასაკი	მამაკაცები	ქალები
0-1	10,0	5,0
2-4	7,0	3,5
5-9	3,7	3,0
10-14	3,0	2,5
15-19	2,2	3,0
20-24	2,0	3,5
25-29	2,0	4,0
30-34	2,0	4,0
35-39	2,5	4,5
40-44	3,5	5,0
45-49	4,5	5,5
50-54	5,0	6,5
55-59	6,5	7,0
60-64	7,5	8,5
65-69	8,0	9,5
70-74	10,0	10,5
75-79	10,5	11,0
80-84	12,0	12,0
85+	13,0	13,0

ამასთან, ცნობილია ისიც, რომ მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯების ცვლილებას აქვს – U – ფორმა. იგი მინიმუმს აღწევს მაშინ, როცა მოსახლეობის საშუალო ასაკი 33 წელია, რადგან ძალზე ახალგაზრდა და ძალზე მოხუცი მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯები მაღალია. ამიტომ იმ ქვეყნებს, რომლებსაც მოსახლეობის საშუალო ასაკი 33 წლის ფარგლებშია, მეტი შესაძლებლობა აქვთ კაპიტალის დაგროვებისთვის.

წარმოებისა და მოხმარების ასაკობრივი კოეფიციენტებით აიგება რიგი ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოდელები (ე. მეისონის, ბ. ანდერსონის, ჯ. ბერმანის, მ. ჰინგინსის), რომელთა დანიშნულებაა, შეაფასოს ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებებით (მაგალითად, მოსახლეობის დაბერებით) გამოწვეული ეკონომიკური შედეგები, რადგან ცნობილია, რომ სხვადასხვა ასაკში შრომისადმი დამოკიდებულება და, შესაბამისად, შრომის ეფექტიანობაც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ახალგაზრდობა სამუშაო დროის გამოყენების შედარებით ცუდი მაჩვენებლებით ხასიათდება. ასაკის ზრდასთან ერთად, როგორც წესი, ხდება სამუშაო დროის უფრო რაციონალური გამოყენება.

30-34 წწ. შემოქმედებითი აქტიურობის ასაკად ითვლება. ამ დროს, პასუხისმგებლობის გრძნობასთან ერთად, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობაც ფართოვდება. ამ ასაკში სამუშაო ძალის მობილურობა მაღალია, რის საფუძველზეც მიმდინარეობს ადამიანის პროფესიული ზრდისა და კომპეტენციის საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესი.

35-40 წწ. კი თვითდაკვირვების ასაკადაა მიჩნეული. ამ დროს ხდება მიღებული გამოცდილების პირველი შეჯამება. ეს არის ილუზიებიდან გამოსვლის პერიოდი, როცა ადამიანი ეკონომიკური დაპირისპირებების კრიტიკული ანალიზის შედეგად ცხოვრებას უფრო რეალური თვალთუყურებს. უკვე გაზრდილი პასუხისმგებლობის გამო ის უფრო თხილდება თავის კარიერას, ცდილობს, არ მოხდეს მისი კონკურენტუნარიანობის დაქვეითება შრომის ბაზარზე.

40-49 წწ. ასაკი ყველა სახის პროფესიულ ცხოვრებაში შემობრუნების პერიოდია. ამ დროს უკვე ათვისებული გამოცდილების ხელახალი გადახედვა, გადასინჯვა ხდება და პროფესიული მომწიფება მაქსიმუმს აღწევს.

წინასაპენსიო ასაკი (ძირითადად, 50-59 წწ.) ახალგაზრდობისათვის გამოცდილების გადაცემის ასაკადაა მიჩნეული, როცა პასუხისმგებლობის გრძნობა ძლიერ მაღალია. ამ პერიოდში ადამიანი თავს ახალგაზრდად ველარ აღიქვამს, მაგრამ ვერც ხანდაზმულად წარმოუდგენია თავი. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა, გადასცეს გამოცდილება ახალგაზრდებს, მაგრამ პროფესიული კონკურენციის გამო ხშირად ეს არ ხდება. ამ ასაკის ადამიანი თავისი ახალი სოციალური როლის ძიებაშია, რაც საკმაოდ რთული პროცესია. მითუმეტეს, თუ მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბე-

რებულია და ეს ასაკობრივი ჯგუფი ზედა ასაკობრივ ჯგუფთან ერთად საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

60 წლის შემდგომ მომუშავეთა შრომითი აქტიურობა თანდათან კლებულობს, შრომის ბაზარზე რჩება განსაკუთრებული გამოცდილების მქონე კონტინგენტი.

ტრადიციული შეხედულებით, 40-50 წელს გადაცილებულ პირთა მობილურობა შემცირებულია, ცოდნა კი – მოძველებული. ამიტომ მიიჩნევენ, რომ მათი შრომის მწარმოებლურობა დაბალია. ზოგი კი თვლის, რომ ასაკი, რომლის ფუნქციაა შრომის მწარმოებლურობა, არ არის გაყინული ცნება. ის იცვლება დროთა განმავლობაში. 2006 წელს 60 წლის ადამიანი არ ჰგავს 1906 წელს მცხოვრებ 60 წლისას, უდავოდ, არ ემგვანება 2106 წელს 60 წლის ასაკში მყოფ კაცს. ეს უკანასკნელი შეფარდებით უფრო ნაკლებდაბერებული იქნება.

1980-იან წლებში ჩატარებული ემპირიული გამოკვლევები მიუთითებენ იმაზეც, რომ ადამიანის პროფესიული შრომისუნარიანობა არ ემთხვევა ბიოლოგიურ სიბერეს. ის ნელა ქვეითდება. პროფესიული შრომისუნარიანობის დაქვეითების საშუალო წლიური ტემპი ბევრად დაბალია ზოგად შრომისუნარიანობის დაქვეითების ტემპზე. პროფესიული შრომისუნარიანობა მაქსიმუმს აღწევს 40-50 წლის ასაკში, ეს მაშინ, როცა მამაკაცთა ყველაზე მაღალი ზოგადი შრომისუნარიანობა 22 წლის ასაკშია (ქალებისა უფრო ადრე).

წარმოების მოცულობა სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია სამუშაო დროზეც. სამუშაო დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შრომის კანონმდებლობაზე და მოკვდაობის დონეზე.

კანონმდებლობით, საქართველოში შრომითი პერიოდის ხანგრძლივობა მამაკაცებისათვის 48 წელია, ქალებისათვის 44 წელი, მაგრამ სრულად ამ პერიოდის გამოყენებას აფერხებს განათლების დონის ზრდა, მოკვდაობა და ინვალიდობა.

მოკვდაობის გავლენა შრომითი პერიოდის ხანგრძლივობაზე იზომება მოკვდაობის ცხრილების მეშვეობით. კერძოდ, გაიანგარიშება ა) შრომითი პერიოდის ხანგრძლივობა ახალშობილთათვის და ბ) 16 წელს მიღწეული პირებისათვის როგორც მთლიანად, ისე ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის.

ახალშობილთათვის შრომითი პერიოდის ხანგრძლივობა გაიანგარიშება ფორმულით:

$$U_{\text{მაშკ}} = \frac{T_{16} - T_{65}}{L_0} \quad U_{\text{ქალი}} = \frac{T_{16} - T_{60}}{L_0}$$

სადაც U – შრომითი პერიოდის საშუალო ხანგრძლივობაა; T, L შესაბამისად, მოკვდაობის ცხრილებიდან აიღება.

16 წელს მიღწეული პირებისათვის ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$U_{\text{მაშკ}} = \frac{T_{16} - T_{65}}{L_{16}} \quad U_{\text{ქალი}} = \frac{T_{16} - T_{60}}{L_{16}}$$

2015 წელს ახალშობილი ვაჟებისათვის შრომითი პერიოდის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში 45,3 წელია, ქალებისათვის – 43,7 წელი. 16 წელს მიღწეულ პირებში – შესაბამისად, – 41,2 და 42,3 წელი.

დემოგრაფიული პროცესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის სამომხმარებლო სტრუქტურას. დემოგრაფიული პროგნოზით, შეგვიძლია, გავიანგარიშოთ მოსახლეობის სამომხმარებლო სტრუქტურა მომავალში. დემოგრაფიული ინფორმაცია აუცილებელია სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაციისასაც.

ბაზრის სეგმენტაცია ასაკის მიხედვით, ძირითადად, ორგვარად ხდება: თაობების ან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, ამერიკელმა მეცნიერებმა – უ. სტრაუსმა და ჰ. ჰოუვიმ სამომხმარებლო ბაზრის წარმომადგენლები XX საუკუნის ბოლოს, ძირითადად, ოთხი ტიპის თაობად დაყვეს:

1. 1930-იან წლებამდე დაბადებული თაობა, რომელთა ფორმირება, ძირითადად, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა (ე.წ. „ჯარისკაცული“ თაობა);

2. 1930-იან და 1940-იანი წლების პირველ ნახევარში დაბადებული;

3. „ბები-ბუმელთა“ თაობა, 1946-64 წწ. დაბადებულნი;

4. 1964 წლის შემდგომ დაბადებული თაობა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოიყო შემდეგი სამომხმარებლო ჯგუფები:

- 50 და უფროსი ასაკის მომხმარებელნი, რომელთაგან 50-64 წლისებს „ჯერ კიდევ ახალგაზრდანი“ ეწოდათ, 65 წელს გადაცილებულთ – „ჭალარათა ბაზრის“ წარმომადგენლები, რომლებიც, ძირითადად, მოითხოვენ სამედიცინო საქონელსა და მომსახურებას, სათვალეებს, ოჯახში მომსახურებას, დასვენებისა და მოგზაურობის მომსახურებას, ტანსაცმელსა და სათამაშოებს შვილიშვილებისათვის;

• „ბები-ბუმელები“ – ძირითადად, 30-50 წლის ასაკისანი, მოიცავენ 5 ასაკობრივ ჯგუფს. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდებს ე.წ. „ჰეპერებს“ (1963-1969 წწ. დაბადებულნი), რომლებიც დღეს ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ სამომხმარებლო ბაზარზე, განსაკუთრებით, საბანკო ბაზარსა და საინვესტიციო მომსახურებაზე, აგრეთვე, 1990-იან წლებში დაბადებულ ბავშვთათვის საქონლის მოთხოვნაზე;

• „X თაობა“ – 20-30 წლის ასაკობრივი ჯგუფი, ძირითადად, მუსიკალური და კინოპროდუქციის მომხმარებელი. ამ ასაკობრივ ჯგუფში დიდია სპორტული ფეხსაცმლის, ჯინსის, კოსმეტიკის, პერსონალური კომპიუტერის, ლუდისა და ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარება;

• „თინეიჯერები“ – 13-19 წლის ასაკობრივი ჯგუფი, ყველაზე მეტი მომხმარებელია კოსმეტიკისა და მოდური ტანსაცმლისა, უალკოჰოლო სასმელისა (კოკა-კოლა, პეპსი და სხვ.), სპორტული ტანსაცმლისა და ჯინსისა.

ჩვენში კი, შექმნილი ვითარების მიხედვით, ცალკე შეიძლება გამოიყოს ე.წ. „პერესტროიკის“ თაობა და პოსტკომუნისტური თაობა.

სამომხმარებლო ბაზარზე გავლენას ახდენს ოჯახის სტრუქტურაც. მაგალითად, იქ, სადაც მარტოხელა ქალთა და მამაკაცების წილი დიდია, მოსახლეობა, ძირითადად, საკონდიტრო ნაწარმის, კონტრაცეპტივების, საცხოვრებელი ფართის და გასართობი დაწესებულებების მომხმარებელია. ქალთა დასაქმების ზრდამ კი გამოიწვია ქალთა სამომხმარებლო თვისებების შეცვლაც. კერძოდ, მეტი მოთხოვნა ჩნდება საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, როგორცაა დიდი მაცივრები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები და სხვა.

ოჯახის ზომის შემცირების გამო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში გაზრდილია მოთხოვნა საგანმანათლებლო მომსახურებაზე, საუკეთესო ავეჯზე, ავტომობილებზე, რესტორანში კვებაზე და ა.შ. ბავშვები მცირერიცხოვან ოჯახებში (სადაც ისინი ერთი ან ორნი არიან) ფლობენ საუკეთესო ხარისხის სათამაშოებს, მუსიკალურ და სპორტულ ინვენტარს. ჩინეთში ასეთი ტერმინიც კი შემოვიდა: „პატარა იმპერატორი“.

სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლით ბაზრის სეგმენტაცია საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ ამა თუ იმ საქონლის პოტენციური მომხმარებელთა რიცხვი. გარდა ამისა, ფუნქციონალური დემოგრაფიული პროგნოზით შესაძლებელი ხდება, განისაზღვროს ახალი პროდუქციის მიწოდების საშუალებები, რეკლამირების ოპტიმალური მეთოდები, პროდუქციის რეალიზაციის ადგილები და ხერხები.



ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

პრაქტიკული სავარჯიშოები

და

საქმიანი თამაშები

აპოცა ნა №1

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ააგეთ სექსობრივ-საკობრივი პირამიდები: საქართველო (ათასი კაცი)

	1970 წელი				1989 წელი				2002 წელი				2014 წელი			
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	
-1	71,9	36,2	35,7	89,2	45,9	43,3	45,2	23,7	21,5	59,8	30,9	28,9	59,8	30,9	28,9	
1-4	360,7	183,7	177,0	376,5	192,1	184,4	198,4	104,1	94,3	197,0	102,0	95,0	197,0	102,0	95,0	
5-9	513,1	261,6	251,5	440,6	224,2	216,4	302,3	155,3	147,0	202,6	108,4	94,2	202,6	108,4	94,2	
10-14	485,1	247,4	237,7	432,1	220,0	212,1	370,1	187,7	182,4	189,7	100,1	89,6	189,7	100,1	89,6	
15-19	400,8	203,5	197,3	419,2	217,7	201,5	357,2	179,8	177,4	226,1	117,7	108,4	226,1	117,7	108,4	
20-24	299,2	145,4	153,8	413,8	203,4	210,4	327,5	162,6	164,9	290,1	147,1	143,0	290,1	147,1	143,0	
25-29	277,4	127,0	150,4	467,6	226,1	241,5	311,1	151,7	159,4	298,1	150,3	147,8	298,1	150,3	147,8	
30-34	402,4	191,0	211,4	416,8	201,3	215,5	300,6	144,7	155,9	277,2	138,4	138,8	277,2	138,4	138,8	
35-39	341,9	167,7	174,2	362,4	174,6	187,8	323,5	152,0	171,5	261,3	128,2	133,1	261,3	128,2	133,1	
40-44	364,5	177,3	187,2	261,1	124,7	136,4	335,4	157,7	177,7	251,1	121,2	129,9	251,1	121,2	129,9	
45-49	225,4	95,9	129,5	296,5	139,0	157,5	287,6	134,1	153,5	247,5	116,0	131,5	247,5	116,0	131,5	
50-54	165,6	64,4	101,2	345,7	163,9	181,8	247,4	114,6	132,8	274,9	126,5	148,4	274,9	126,5	148,4	
55-59	212,5	78,2	134,3	303,9	140,8	163,1	148,9	67,0	81,9	236,2	107,4	128,8	236,2	107,4	128,8	
60-64	177,4	69,5	107,9	297,4	130,2	167,2	257,9	111,2	146,7	198,8	87,8	111,0	198,8	87,8	111,0	
65-69	140,9	54,7	86,2	160,5	57,5	103,0	202,4	87,4	115,0	129,9	55,7	74,2	129,9	55,7	74,2	
70-74	91,4	36,0	55,4	123,4	39,5	83,9	175,9	72,5	103,4	126,7	48,2	78,5	126,7	48,2	78,5	
75-79	65,2	27,4	37,8	100,8	33,0	67,8	104,7	36,2	68,5	127,1	48,2	78,9	127,1	48,2	78,9	
80-84	43,6	16,6	27,0	55,9	17,6	38,3	43,8	11,6	32,2	72,3	25,9	46,4	72,3	25,9	46,4	
85+	35,3	13,1	22,2	37,4	10,5	26,9	31,6	7,8	23,8	63,1	18,5	44,6	63,1	18,5	44,6	
უცნობია	11,8	5,7	6,1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
სულ	4686,1	2202,3	2483,8	5400,8	2562,0	2838,8	4371,5	2061,7	2309,8	3729,5	1778,5	1951,0	3729,5	1778,5	1951,0	

- გაიანგარიშეთ სექსტაპორის თანაფარდობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
- გაიანგარიშეთ მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები;
- გაიანგარიშეთ სიბერისა და დღევანდელი კოეფიციენტები.
- გააანალიზეთ მიღებული შედეგები.

ამოცანა №2

მოცემულია 5-14 და 65+ ასაკობრივი ჯგუფების დინამიკა ცალკეული ქვეყნების მიხედვით:

(5-14 წლის. მლნ. კაცი)

წლები	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანია	იტალია	აშშ	ინდოეთი
1951	5540	6759	11564	8090	24319	85695
1961	8152	7858	10318	8208	35465	113937
1971	8414	9123	12507	8800	40746	151147
1981	8250	8000	10800	8300	34000	171500

(65+ წლის. მლნ. კაცი)

წლები	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანია	იტალია	აშშ	ინდოეთი
1951	4796	5333	6792	3895	12270	12799
1961	5347	6045	8687	4827	16560	13598
1971	6591	7345	10651	6102	20065	18346
1975	7115	7845	11572	6755	22422	17942
1985	6728	8308	11086	7834	27247	24048
2000	8053	8444	12170	10007	31766	38357

– სასკოლო და ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის დინამიკა გამოსახეთ გრაფიკულად;

– შეადარეთ გრაფიკულად გამოსახული აშშ-ს, ევროპის ქვეყნებისა და ინდოეთის ახალგაზრდა და „ხანდაზმული“ მოსახლეობის დინამიკა.

ა მ ო ც ა ნ ა №3

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ და გააანალიზეთ საქართველოში დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მაჩვენებლები (1989 –2002 წწ.):

საქართველო (ათ. კაცი)

წელი	0-15	16-64	16-54 დასაქ. (ქალი)	16-59 დასაქ. (ქალი)	16-59 დასაქ. (კაცი)	16-64 დასაქ. (კაცი)	60+	65+	დასაქ. შრომის ასაკში
1989	1338,4	3584,4	1042,6	1179,8	1300,4	1437,5	638,5	478,0	2341,4
2002	915,9	2899,4	582,0	634,6	731,6	788,3	814,8	556,2	1461,2

ამოცანა №4

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ საქართველო-სა და მისი რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

მოსახლეობის საშ. რიცხვი მოსახლეობის საშ. რიცხვ რიცხვი	ბუნებრივი მოძრაობა											
	ათასი კაცი					ყოველ 1000 კაცზე						
	დაიბადა	გარდაიცვალა	მ.შ. -1 წლამდე	ბუნებრივი ზრდა	ქორწინება	განქორწინ.	შობადობა	მოკვდაობა	მ.შ. 1 წლამდე	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწინება
საქართველო			1144				10,7			0,1	2,9	0,4
თბილისი				3,9		1094		11,8	37,7		4,0	
გურია	1165		30			23		13,5			2,6	
აჭარა		2405	137		1275					4,5		0,3
იმერეთი	6348		154			159		9,2			2,4	
კახეთი	2787 2787	4652	30		947	100						
მცხეთა-მთიანეთი			4				7,3			-4,6	2,2	0,3
რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი			2	-596		2	4,0				2	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3652			727		7,9	10,4					0,2
სამცხე-ჯავახეთი		2143	42			25	10,4	10,4			3,5	
შიდა ქართლი			43			62		11,9		2,5	0,2	
ქვ. ქართლი	3568				1069				2,2			0,3

ამოცანა №5

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ააგეთ მოკვდაობის ცხრილი:

ასაკი	$l_{(x)}$	$d_{(x)}$	$q_{(x)}$	$p_{(x)}$	$L_{(x)}$	$T_{(x)}$	$e_{(x)}$
0	100000						
1	97929						
2	97716						
3	97556						
4	97431						
5 - 9	97329						
10 - 14	96984						
15-19	96754						
20-24	96288						
25-29	95572						
30-34	94790						
35-39	93839						
40-44	92598						
45-49	90890						
50-54	88310						
55-59	84416						
60-64	78327						
65-69	69080						
70-74	56239						
75-79	39860						
80-84	22610						
85+	9127						

ამოცანა № 6

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების საფუძველზე გაიანგარიშეთ შესაბამისი წლების შობადობის სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები. გამოსახეთ ისინი გრაფიკულად და შეაფასეთ:

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (%)

წლები	ასაკი						
	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+
1989	61,4	179,7	115,2	59,8	23,7	5,9	0,5
1990	62,2	182,5	115,1	65,8	25,5	6,2	0,3
1991	62,5	179,8	105,6	62,9	24,7	6,2	0,2
1992	55,0	156,7	81,4	51,0	18,5	4,6	0,2
1993	62,2	132,5	72,5	44,9	15,9	4,2	0,3
1994	74,4	123,2	71,0	43,5	15,1	4,2	0,5
1995	72,4	123,4	74,8	46,0	17,3	4,6	0,7
1996	68,1	122,9	79,5	49,0	18,9	4,4	0,8
1997	63,5	120,9	84,0	50,2	20,2	5,8	3,3
1998	60,1	119,3	84,0	48,1	20,0	5,2	3,4
1999	54,6	114,8	81,0	48,7	20,7	5,7	1,0
2000	47,4	123,2	84,5	49,0	22,1	6,0	1,0
2001	39,6	129,2	81,4	52,2	25,5	6,7	1,0
2002	40,5	125,5	72,2	58,3	25,6	8,2	1,7
2003	42,0	116,0	90,2	55,3	22,6	6,8	0,4
2004	44,6	126,8	94,7	55,7	24,8	7,1	1,3
2010	48,5	122,4	101,1	60,9	26,3	6,3	0,5
2015	49,2	148,1	127,6	87,0	41,5	10,6	1,5

ამოცანა №7

I_x -ის მეშვეობით გამოსახეთ შემდეგი ალბათობები:

- 1) 18 წლის ადამიანთა 65 წლამდე მიღწევის ალბათობა;
- 2) 30 წლის ადამიანთა გარდაცვალების ალბათობა 40-დან 45 წლამდე;
- 3) ალბათობა იმისა, რომ 30 წლის ადამიანები 40-დან 45 წლამდე არ გადაიცვლებიან;
- 4) 40 წლის ადამიანთა 60 წლამდე გარდაცვალების ალბათობა.

ამოცანა №8

ჩვენს პერსონალში ორი პირია, რომელთაგან ერთი 40 წლისაა, მეორე 50 წლის. რისი ტოლი იქნება ალბათობა იმისა, რომ

- 1) ორივე იცოცხლებს არანაკლებ 10 წელი;
- 2) პირველი მიაღწევს 50 წლის ასაკს, მეორე კი გარდაიცვლება 55 წლის ასაკში.

ამოცანა №9

ვთქვათ, ადამიანთა 500-კაციან ჯგუფში 200 კაცი 20 წლისაა, დანარჩენი 300 – 40 წლის. როგორი იქნება ამ ჯგუფის მოსალოდნელი რაოდენობა 5 წლის შემდეგ?

ამოცანა №10

ვთქვათ, კომპანია ყოველწლიურად 20 წლის ასაკის 500-მდე კაცს იღებს სამუშაოზე. საპენსიო ასაკი 60 წელია. კომპანიის პერსონალის რიცხოვნობა არ იცვლება. იპოვეთ:

- 1) კომპანიის პერსონალის რაოდენობა;
- 2) ყოველწლიურად პენსიაზე გასულთა რიცხვი;
- 3) სულ პენსიონერთა რიცხვი.

ამოცანა №11

ვთქვათ, კომპანიაში პერსონალის რიცხვი სტაციონარულია. ყოველწლიურად სამუშაოზე მიიღება 500 ახალი თანამშრომელი ზუსტად 20 წლის ასაკში. მათ შორის 20% კომპანიას 10 წლის განმავლობაში ტოვებს. დარჩენილთა 10% – 20 წლის შემდეგ. დანარჩენი გადის პენსიაზე 65 წლის ასაკში. გამოსახეთ I_x -ით შემდეგი სიდიდეები:

- 1) იმ თანამშრომელთა რიცხვი, რომლებიც ტოვებენ კომპანიას და არიან 40 წლის ასაკში;
- 2) კომპანიის პერსონალის რიცხვი;
- 3) პენსიონერთა რიცხვი;
- 4) ყოველწლიურად გარდაცვლილ თანამშრომელთა რიცხვი.

ამოცანა №12

ფირმაში პერსონალის რიცხოვნობა 1000 კაცია და ეს ერთობლიობა სტაციონარულია.

ყოველწლიურად ფირმა ქირაობს 20 წლის ასაკის პირთ.

ცნობილია, რომ ფირმა ყოველწლიურად სამსახურიდან ათავისუფლებს

იმ პირთა 15%-ს, რომლებმაც მიაღწიეს 21 წელს;

იმ პირთა 10%-ს, რომლებმაც მიაღწიეს 22 წელს;

იმ პირთა 5%-ს, რომლებმაც მიაღწიეს 23 წელს.

23 წლის შემდეგ არავინ არ თავისუფლდება. გარდა ამისა, პენსიაზე გადის:

55 წლის ასაკის პირთა – 10%;

60 წლის პირთა – 40%;

65 წელს მიღწეულთა 100 %.

განსაზღვრეთ:

1) გათავისუფლებულთა ყოველწლიური რიცხვი;

2) პენსიონერთა რიცხვი.

x	I_x	d_x	q_x	p_x	L_x	T_x	e_x
20	96215	166	0,00173	0,99827	96132	4849531	50,4
21	96049	163	0,0017	0,9983	95968	4753399	49,49
22	95886	158	0,00165	0,99835	95807	4657431	48,57
23	95728	151	0,00158	0,99842	95563	4561624	47,65
55	84142	1127	0,01339	0,98661	83579	1613885	19,18
60	77456	1685	0,02176	0,97824	76614	1208805	15,61
65	67699	2338	0,03454	0,96546	66530	844586	12,48

ამოცანა №13

ცნობილია მოსახლეობის ქვემოთ მოტანილი პარამეტრები (ქალი $(s(x)f)$ და მამაკაცი $(s(x)m)$). როგორი იქნება ქალის, მამაკაცისა და მთელი მოსახლეობის რიცხოვნობა 1 წლის შემდეგ?

ასაკი	$s(x)m$	$s(x)f$	lf	L_x	P_x	$F(x)$
0-4	4333440	4164394	98617			
5 - 9	4121175	3986863	98067			
10-14	3854763	3744868	97855			
15-19	3899128	3841519	97679			49,4
20-24	3714505	3367007	97290			119,1
25-29	4708526	4714521	96794			66,4
30-34	4843601	4968516	96192			29,3
35-39	4476080	4672552	95354			10,5
40-44	2997382	3158452	94086			2,2
45-49	2807264	3151883	92164			0,1
50-54	3198988	3770964	89272			
55-59	2511512	3248337	85454			
60-64	2267661	3535625	80404			
65-69	955617	2176423	74071			
70-74	712078	1769970	64544			
75-79	561055	1635967	51363			
80-84	243896	9102310	35377			
85-89	910231	467821	19355			
		65477992				

ამოცანა №14

გაიანგარიშეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=11$ წლის ასაკისათვის, თუ

$$T_{10}=621637; L_{10}=9433; l_{10}=9437.$$

ამოცანა № 15

გაიანგარიშეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=40$ წლის ასაკისათვის, თუ

$$l_{40}=9055; q_{40}=0,0025; T_{41}=334058.$$

ამოცანა № 16

გაიანგარიშეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=43$ წლის ასაკისათვის, თუ

$$l_{43}=8981; P_{43}=0,9970; T_{44}=307076.$$

ამოცანა № 17

მოკვდაობის ცხრილიდან ცნობილია შემდეგი მონაცემები:

$$e_0=47,1; T_0=4709985; q_0=0,01462; L_0=90177.$$

რომელია შეცდომით?

ამოცანა № 18

მოკვდაობის ცხრილებით: $q_0=0,13236; e_0=48,5$. გარდა ამისა, ცნობილია შემდეგი მონაცემები:

$$T_5=4467946; e_5=57,55; l_5=97634; q_0=0,01108.$$

რომელია შეცდომით?

ამოცანა №19

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის პროგნოზი ერთი წლის შემდეგ ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის:

ასაკი	ქალები					მამაკაცები			
	$s_{(x)}$	l	$F_{(x)}$	L_x	P_x	$s_{(x)}$	l	L_x	P_x
1 წლამდე	802682	100000				837572	100000		
1	845380	98458				883051	97916		
2	855703	98293				888103	97723		
3	822628	98201				854280	97612		
4	838001	98131				870434	97518		
5	797373	98067				800400	97434		
6	797373	97855				800400	97100		
7	797373	97679				800400	96788		
8	797373	97290				800400	95739		
9	797373	96794				800400	93831		
10	748974	96192				786970	91306		
11	748974	95354	49,4			786970	87912		
12	748974	94086	119,1			786970	83333		
13	748974	92164	66,4			786970	77275		
14	748974	89272	29,3			786970	69413		
15	708950	85454	10,5			754444	60176		
16	708950	80404	2,2			754444	50142		
17	708950	74071	0,1			754444	39426		
18	708950	64544				754444	28542		
19	708950	51363				754444	18377		
20	673401	35377				698999	10028		
21	673401	19355				698999	4330		

ამოცანა №20

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ პენსიაზე გამსვლელ მამაკაცთა რიცხოვნობა 2017-2022 წწ.

ასაკი	მამაკაცთა რიცხოვნობა 2016წ.	qx	ასაკი	qx
61	2620	0,0155	66	0,0230
62	2400	0,0177	67	0,0250
63	2290	0,0179	68	0,0260
64	2160	0,0189	69	0,0284
65	1804	0,0209	70	0,0304

ამოცანა №21

ქვემოთ მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მიგრაციის მაჩვენებლები და გააანალიზეთ:

საქართველო 1979-1989 წწ.

	მოსახლეობის რიცხვი, ათ. კაცი			ჩამოსულთა რიცხვი, ათ. კაცი			წასულთა რიცხვი, ათ. კაცი		
	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქიდან	სოფლიდან	სულ	ქალაქიდან	სოფლიდან
1979	4993,0	2549,0	2444,5	50883	30551	20332	45636	36885	8751
1989	5400,0	2991,0	2409,5	56032	35081	20950	51012	41292	9720

ამოცანა №22

ქვემოთ მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მიგრაციის მაჩვენებლები ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და გააანალიზეთ:

საქართველო 1989

	მოსახლეობის რიცხვი, ათ. კაცი	ჩამოსულნი, ათ. კაცი	წასულნი, ათ. კაცი	მიგრაციული ზრდა
სულ	5400,8	48995	46025	2970
მ.შ 0-15	1338474	7275	6506	769
16-19	419267	4636	6901	-2265
20-24	413724	12508	9076	3432
25-29	467645	9734	7521	2213
30-34	416847	5476	4679	797
35-39	362386	3140	2981	159
40-44	261028	1658	1795	-137
45-49	296574	949	1152	-203
50-54	345628	1033	1319	-286
55-59	303864	657	971	-314
60+	775404	1929	3124	-1195

სავარჯიშო 1

1. მოცემული ტერიტორიის შესახებ მოცემულია შემდეგი ინფორმაცია 2018 წლისათვის:

- მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრისათვის – 38500
- მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრისათვის – 40000
- დაბადებულთა რიცხოვნობა – 610
- გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 700

გაიანგარიშეთ მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა, შობადობის, მოკვდაობის, სიცოცხლიანობის, ბუნებრივი მატების მაჩვენებლები და მიგრაციის სალდო.

2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ შობადობის კერძო, სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი. შეაფასეთ შობადობის დონე.

ქალების რიცხვი და გაჩენილი ბავშვების რაოდენობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	15-19	26-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
ქალთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	173.3	214.6	192.0	191.7	133.6	114.9	113.9
დაბადებულთა რიცხვი, კაცი	3663	31575	31543	23702	8565	2585	922

3. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ და გააანალიზეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები:

საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები (‰)

	15-19	26-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	8.7	66.3	51.6	26.5	13.4	8.4	4.7	4.6	3.8	7.3
ქალი	52.0	71.4	27.6	12.9	7.4	5.0	3.0	3.1	2.8	3.7

4. მოტანილ მონაცემთა საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=6$ წლის ასაკისათვის, თუ $T_5=668923$; $L_5=9476$; $l_5=9482$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

ეგვიპტის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები

2017 წ.

	მოსახლეობა P, ათ. კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩვილთა მოკვ- დაობა, ‰	K _{შობად.} ჯამობრივი	მოსახლე- ობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
ეგვიპტე	93,4	30	7	23	16	3.3	31	45	71	73

სავარჯიშო 2

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 1235,2

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 1238,0

დაბადებულთა რიცხოვნობა – 11802 (x წელს)

დაბადებულთა რიცხვი (x-1 წელს) – 11966

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 10079; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 338.

2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ შობადობის კერძო, სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი. შეაფასეთ შობადობის დონე.

ქალების რიცხვი და გაჩენილი ბავშვების რაოდენობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	15-19.	26-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
ქალთა რიცხოვნობა, ათ. კაცი	197.3	153.8	150.4	211.4	174.2	187.2	129.5
დაბადებული-ლთა რიცხვი, ათ. კაცი	7027	30420	21622	20500	7869	2407	362

3. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ და გააანალიზეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები:

საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები 1991 წელს (%)

	15-19	26-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	17.5	68.3	50.5	26.9	12.8	8.0	4.0	4.2	3.4	6.2
ქალი	66.5	68.6	25.7	12.9	6.6	4.7	2.1	2.7	2.3	2.9

4. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=40$ წლის ასაკისათვის, თუ $l_{41}=9032$; $L_{41}=9020$; $T_{41}=334058$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ მოცემული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**ტუნისის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2019 წელს**

	მოსახლეობა P, ათ.კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩვილთა მოკვ- დაობა, ‰	K _{მობ.ჯამ.}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
ტუნისი	11,7	20	6	14	10,6	2,24	24	8	75	78

სავარჯიშო 3

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 396,4;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 398,6;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 5039 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წელს – 5368;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 2564; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 127.

2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ შობადობის კერძო, სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი. შეაფასეთ შობადობის დონე.

**ქალების რიცხვი და გაჩენილი ბავშვების რაოდენობა ცალკეული
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
ქალთა რიცხოვნობა, ათ. კაცი	2366	215.0	187.7	140.3	164.8	194.6	165.7
დაბადებულთა რიცხვი, კაცი	10623	40469	23869	9957	2830	1452	258

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გაანალიზეთ:

**საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები
1992 წელს (%)**

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-ზე >
მამაკაცი	12.3	51.6	36.4	19.3	8.6	5.1	2.6	2.7	2.3	3.9
ქალი	48.3	50.6	17.6	9.2	4.3	2.8	1.6	1.7	1.7	1.6

4. მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=11$ წლის ასაკისათვის, თუ $l_{10}=9437$; $T_{10}=621637$; $L_{10}=9433$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2019 წელს**

	მოსახლეობა P, ათ. კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩველთა მოკვდაობა, ‰	K _{უმობად} ჯამობრივი	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
სამხ. აფრიკა	58.5	21	9	12	23,6	2.52	28	5,5	61	68

სავარჯიშო 4

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 160.6;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 160.8;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 1819 (x ნელს)

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 1725;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 1604; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 13.

2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ შობადობის კერძო, სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი. შეაფასეთ შობადობის დონე.

ქალების რიცხვი და გაჩენილი ბავშვების რაოდენობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49
ქალთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	201.5	210.4	241.5	215.5	187.8	136.4	157..5
დაბადებულთა რიცხვი, კაცი	11760	35297	26504	12404	4295	812	66

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

**საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები
2015 წელს (%)**

	15-19 წწ.	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	6,1	49,8	51,6	33,5	22,3	13,6	7,8	3,5	1,8	2,4
ქალი	33,1	67,3	42,9	26,5	15,9	8,1	3,9	1,9	1,1	0,9

4. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=61$ წლის ასაკისათვის, თუ $L_{60}=8183$; $T_{60}=168861$; $L_{60}=8141$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**ბრაზილიის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2019 წელს**

	მოსახლეობა P., ათ. კაცი	ჩვილთა მოკვდაობა, ‰	K _{შობად. ჯამობრივი}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
				-15	65+	კაცი	ქალი
ბრაზილია	211,0	11	1,76	20	13,8	73	80

სავარჯიშო 5

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 55.0;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 55.0;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 497 (x ნელს.);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 494;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 667; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 7.

2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ შობადობის კერძო, სპეციალური და ჯამობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტი. შეაფასეთ შობადობის დონე.

ქალის რიცხვი და გაჩენილი ბავშვების რაოდენობა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	სულ
ქალთა რიცხვი, ათასი კაცი	177.4	164.9	159.4	155.9	171.5	177.7	153.5	x
დაბადებულთა რიცხვი, კაცი	5833	17945	10077	7834	3541	1150	225	46605

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

**საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები
1994 წელს (%)**

	15-19 წწ.	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	12.2	45.4	33.3	21.7	8.7	4.5	2.8	2.0	2.1	3.3
ქალი	44.5	44.9	17.8	9.5	4.5	2.6	1.6	1.1	1.2	1.1

4. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=30$ წლის ასაკისათვის, თუ $\xi_{31}=9219$; $T_{31}=425390$; $L_{31}=9213$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**სომხეთის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2017 წელს**

	მოსახლეობა P., ათ.კაცი	შობადობა, ‰	მკვდარობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩველთა მოკვ დაობა, ‰	K _{შობად.ჯამ}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
სომხეთი	2,97	12,3	9,1	3,2	8,2	1,6	20	11	72	78

სავარჯიშო 6

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 796.6;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 797.6;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 9025 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 9803;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 7409; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 108.

2. ცნობილია, რომ მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები 1958-1959 წწ. საქართველოში არის: $R_{გრ.}=1,237$; $R_{ნეტ.}=1,146$.

შეაფასეთ შობადობის დონე და მოსახლეობის აღწარმოების პროცესი.

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები 2010 წელს (%)

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	8,5	62,1	67,3	48,6	31,3	18,3	8,3	3,4	2,0	2,7
ქალი	42,9	89,5	55,0	30,9	14,8	6,8	3,0	1,6	1,0	1,0

4. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=50$ წლის ასაკისათვის, თუ $f_{51}=9219$; $T_{51}=425390$; $L_{51}=9213$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ მოცემული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**აზერბაიჯანის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2019 წელს**

	მოსახლეობა P., ათ.კაცი	ჩვილთა მოკვდაობა, ‰	K _{ჯამობრივი}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
				-15	65+	კაცი	ქალი
აზერბაიჯანი	9,9	19	2.0	23	7	71	76

სავარჯიშო 7

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 447;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 448.6;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 4464 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 4096;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 3790; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 39.

2. ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები 1961-1962 წწ. საქართველოში: $R_{აღ.}=1,287$; $R_{ნეტ.}=1,194$.

განსაზღვრეთ მოსახლეობის აღწარმოების პოტენციური დონე და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც მარტივი აღწარმოებისათვის იქნება საჭირო.

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გაანალიზეთ:

**საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები
1996 წელს (%)**

	15-19	26-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	10.6	42.8	32.7	21.0	9.3	4.6	3.0	1.7	1.6	2.8
ქალი	39.5	42.2	18.8	9.4	4.5	2.4	1.5	0.7	0.8	1.0

4. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=25$ წლის ასაკისათვის, თუ $\chi^2_5=9301$; $T_{25}=471664$; $q_{25}=0.0013$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**ისრაელის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2017 წელს**

	მოსახლეობა P, ათ. კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩვილთა მოკვდაობა, ‰	K _{მობა} , ჯამობრივი	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
ისრაელი	8,7	21	5	16	2,3	3,04	28	12,4	82	85

სავარჯიშო 8

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 138.8;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 139.4;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 1588 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 1562;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 973; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 7.

2. ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები 1963-1964 წლისათვის საქართველოში: $R_{ბრ}=1,267$; $R_{გტ}=1,176$.

განსაზღვრეთ მოსახლეობის აღწარმოების პოტენციური დონე და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც მარტივი აღწარმოებისათვის იქნება საჭირო.

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

საქართველოს მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები (%)

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	9.0	38.4	30.0	20.0	9.2	4.7	2.9	1.4	1.5	2.1
ქალი	33.5	38.9	18.0	9.1	4.4	2.3	1.4	0.8	0.4	1.4

4. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა $x=40$ წ. ასაკისათვის, თუ $l_{40}=9055$; $T_{41}=334058$; $q_{40}=0.0025$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ აღნიშნული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**თურქეთის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2017 წელს**

	მოსახლეობა P., ათ. კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩვილთა მოკვ- დაობა, ‰	K _{ჯამობრივი}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. წელი	
							-15	65+	კაცი	ქალი
თურქეთი	80,9	17	5	12	7,3	2.1	24	9	75	81

სავარჯიშო 9

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 432.6;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 433.5;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 5094 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 5341;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 3981; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 54.

2. ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები 1973-1974 წლისათვის საქართველოში: $R_{ბრ.}=1,269$; $R_{ნეტ}=1,206$.

განსაზღვრეთ მოსახლეობის აღწარმოების პოტენციური დონე და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც მარტივი აღწარმოებისათვის იქნება საჭირო.

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები (%)

	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	7.6	34.0	29.0	17.5	8.9	4.3	2.4	1.7	1.1	3.2
ქალი	28.7	36.0	17.4	7.7	4.0	1.8	1.4	0.7	8.5	1.8

4. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=43$ წლის ასაკისათვის, თუ $\mu_{43}=8981$; $T_{44}=307076$; $P_{43}=0.9970$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ მოცემული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**ბელორუსიის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2017 წელს**

	მოსახლეობა P., ათ. კაცი	შობადობა, ‰	მოკვდაობა, ‰	ბუნებრივი მატება, ‰	ჩვილთა მოკვდაობა, ‰	K _{უმობდ. ვამობრივი}	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
							-15	65+	კაცი	ქალი
ბელორუსია	9.5	12	13	-1	3	1.7	17	15	70	79,9

სავარჯიშო 10

1. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 1 იანვრის მდგომარეობით – 363.1;

მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) 31 დეკემბრის მდგომარეობით – 364.5;

დაბადებულთა რიცხოვნობა – 4027 (x წელს);

დაბადებულთა რიცხვი წინა წლისათვის – 4224;

გარდაცვლილთა რიცხოვნობა – 2438; მ.შ. 1 წლამდე ასაკში – 62.

2. ცნობილია მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები 1979-1980 წლისათვის საქართველოში: $R_{აღ.}=1,102$; $R_{გეტ}=1,052$.

განსაზღვრეთ მოსახლეობის აღწარმოების პოტენციური დონე და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც მარტივი აღწარმოებისათვის იქნება საჭირო.

3. განსაზღვრეთ ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე და გააანალიზეთ:

მოსახლეობის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები (%)

	15-19.	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60+
მამაკაცი	6.3	29.0	26.9	17.3	8.5	4.2	2.4	1.9	1.1	3.1
ქალი	23.1	33.0	16.9	7.9	3.7	2.4	1.3	0.9	0.4	1.5

4. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა $x=35$ წ. ასაკისათვის, თუ $l_{35}=9155$; $T_{34}=397801$; $P_{35}=0.9980$.

5. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათეთ და შეაფასეთ მოცემული ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

**ირანის მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები
2019 წელს**

	მოსახლეობა P., ათ. კაცი	ჩვილთა მოკვდაობა, ‰	K _{შობად.} ჯამობრივი	მოსახლეობა %		სიცოცხლის საშ. ხანგრძლ. e ₀	
				-15	65+	კაცი	ქალი
ირანი	81,6	10,5	1,96	25	7	76	78

საქმიანი თამაში 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზი

თამაშის მიზანი. ამ თემაზე საქმიანი თამაშის მიზანია, სტუდენტს ასწავლოს მოსახლეობის რიცხოვნობის პერსპექტიული გაანგარიშებისათვის საჭირო, ამოსავალი ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და ანალიზი. გარდა ამისა, პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებითა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების რეალური ტენდენციების გათვალისწინებით პროგნოზული გაანგარიშების გაკეთება.

სტუდენტების წინაშე დგას ამოცანა, შეადგინონ მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზი 2025 წლისათვის. ყველა სამუშაო, რაც ამას უკავშირდება (ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, ანალიზი, ჰიპოთეზის დაშვება და პროგნოზული გაანგარიშების შესრულება), ხდება სტუდენტთა მიერ. მასწავლებლიდან კონსულტაციებით მიღებული შედეგები განიხილება სემინარზე, რომელიც წარმართება როგორც მოსახლეობისა და შრომითი რესურსების პრობლემათა კომისიის სხდომა.

მოსამზადებელი სამუშაო. სტუდენტებს გაეცნობა რა საქმიანი თამაშის მიზანი, ისინი იყოფიან ჯგუფებად: ა) მუშა ჯგუფი; ბ) შობადობის პრობლემათა კვლევის ჯგუფი; გ) მოკვდაობის პრობლემათა კვლევის ჯგუფი; დ) დემოგრაფიული სიტუაციის შემსწავლელი ჯგუფი; ე) საექსპერტო საბჭო.

ყოველ ჯგუფს ენიშნება ხელმძღვანელი. საექსპერტო საბჭოს – თავმჯდომარე. მათ უნდა გაუკეთონ სამუშაო ჯგუფებს კოორდინაცია და მოამზადონ მოხსენება საბჭოს სხდომისათვის.

ლექტორი, კონსულტაციის განწევის მიზნით, თითოეული ჯგუფისათვის ნიშნავს საკონსულტაციო დროს. კონსულტაციისას ზუსტდება თამაშის ამოცანა, ხელმძღვანლის როლი, სამუშაოს შინაარსი და ა.შ.

ცალკეული ჯგუფის სამუშაოს შინაარსი

მუშა ჯგუფის ამოცანა:

– შეკრიბოს ამოსავალი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობასა და ქვესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე 2014 წლის აღწერის მიხედვით;

– შეკრიბოს ინფორმაცია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების შესახებ 2014-2015 წლების მიხედვით;

– დაამუშაოს შეკრებილი სტატისტიკური ინფორმაცია;

– გააკეთოს პირველი პერსპექტიული გაანგარიშება ასაკგადანაცვლების მეთოდით 2025 წლისათვის (ცალკე ქალებისათვის, ცალკე მამაკაცებისათვის ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სიცოცხლიანობის კოეფიციენტის (P_x) გამოყენებით), რომელიც მოცემული იქნება მოკვდაობის პრობლემათა კვლევის ჯგუფის მიერ 2014 წლის მოკვდაობის ალბათური ცხრილების დამუშავების შედეგად;

– საბოლოო გაანგარიშება გაკეთდება ამ ჯგუფის მიერ მაშინ, როცა შობადობის პრობლემათა კვლევის ჯგუფის მიერ მონოღებული იქნება შესაძლო დაბადებათა რიცხვი სამ ვარიანტად;

– კომისიის სხდომისათვის მოხსენების მომზადება (სლაიდებით, გრაფიკებით, ცხრილებით).

შობადობის პრობლემათა კვლევის ჯგუფის ამოცანა:

– შობადობის სხვადასხვა მაჩვენებელთა დინამიკის შესახებ ამოსავალი ინფორმაციის შეკრება 2002-2015 წწ. ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიექცეს შობადობას ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკას იგივე პერიოდში;

– ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი;

– მოსალოდნელი შობადობის შესახებ ჰიპოთეზის დამუშავება სამ ვარიანტად;

– დაბადებათა მოსალოდნელი რიცხვის გაანგარიშება 2025, 2030, 2040 და 2050 წლისათვის. ეს სამუშაო ხორციელდება მუშა ჯგუფთან ერთად.

კერძოდ, 2015 წლის 1 იანვრისათვის მოსალოდნელ დაბადებათა რიცხვის მუშა ჯგუფზე გადაცემით, მუშა ჯგუფი იძლევა 15-49 წლის ქალთა რიცხოვნობას 2015 წლისათვის. ამის საფუძველზე შობადობის პრობლემათა კვლევის ჯგუფი განსაზღვრავს მოსალოდნელ დაბადებათა რიცხვს 2025 წლისათვის და ასეთი თანმიმდევრობით მიმდინარეობს მათ შორის - ინფორმაციის გაცვლა და დამუშავება.

მოკვდაობის პრობლემათა კვლევის ჯგუფის ამოცანა:

– მოკვდაობის სხვადასხვა მაჩვენებელთა დინამიკის შესახებ ინფორმაციის შეკრება;

– მოკვდაობის ალბათური ცხრილების შედგენა 2014 წლისათვის, P_X მაჩვენებლის გადაცემა მუშა ჯგუფზე;

– მოკვდაობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და ჰიპოთეზის დამუშავება მოკვდაობის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ;

– ჰიპოთეზის მიღება სამ ვარიანტად 2025 წლისათვის. ამისათვის აუცილებელია დამუშავდეს ლიტერატურა მოცემულ თემაზე (იხ. გამოყენებული ლიტერატურა);

– მიღებული ჰიპოთეზების მიხედვით PX მაჩვენებლის გაანგარიშება 2025-2050 წლისათვის;

– მოხსენების მომზადება კომისიის სხდომისათვის. მოხსენებაში დასაბუთებული უნდა იყოს მიღებული ჰიპოთეზა.

დემოგრაფიული სიტუაციის შემსწავლელი ჯგუფის ამოცანაა:

– ინფორმაციის შეკრება სხვადასხვა დემოგრაფიულ მაჩვენებელთა შესახებ. კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა, შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, ასაკობრივი სტრუქტურა 2004-2014 წლებისთვის. ეს ინფორმაცია ამონერლი უნდა იყოს სხვადასხვა სტატისტიკური კრებულებიდან თუ ვებ-გვერდებიდან;

– შედარებული უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა სხვა ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობასთან. ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიექცეს ქვეყნის შიგნით დემოგრაფიული განვითარების რეგიონულ თავისებურებებს, რომლებიც გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე;

– მოხსენების მომზადება კომისიის სხდომისათვის.

ექსპერტთა საბჭოს ამოცანაა:

– ყურადღებით გაეცნოს სამუშაო ჯგუფების კვლევის შედეგებს;

– გაეცნოს ლიტერატურას მოსახლეობის პროგნოზის შესახებ;

– მოამზადოს მოხსენება კომისიის სხდომისათვის, სადაც შეფასებული იქნება ჯგუფების მუშაობა, ჯგუფების კვლევის შედეგები, გაკეთებული იქნება დასკვნა მოსახლეობის პროგნოზის პრაქტიკული და სამეცნიერო ღირებულების შესახებ.

საქმიანი თამაში 2

მსოფლიო დემოგრაფიული განვითარების სტრატეგია

თამაშის მიზანი. თამაშის მიზანია, სტუდენტებს გამოუმუშავდეთ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზის უნარი. ცალკეული ქვეყნების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, მათ უნდა შეძლონ, გამოავლინონ ის მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დემოგრაფიული პროცესების განვითარებაზე. მათ უნდა შეძლონ იმ ურთიერთკავშირის გამოვლენა, რაც არის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და დემოგრაფიულ განვითარებას შორის, რათა შეიმუშაონ ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა.

სტუდენტების წინაშე დგას რთული ამოცანა: იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მათ აქვთ სხვადასხვა ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების შესახებ, უნდა გამოავლინონ ამ ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე; გააკეთონ იმ პრობლემათა ფორმულირება, რაც აქვთ ამ ქვეყნებს დემოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ, შეისწავლონ ამ ქვეყნებში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა და მისცენ თავიანთი შეფასება მის ეფექტურობას, შეიმუშაონ იმ დოკუმენტის პროექტი, რომელშიც მოცემული იქნება იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რაც, მათი აზრით, უნდა გატარდეს ხალხთმოსახლეობის პოლიტიკის სახით ამ ქვეყნებში.

მთელი ეს სამუშაო მათ უნდა წარმართონ დამოუკიდებლად, ლექტორთან აქტიური კონსულტაციების სახით. შრომის საბოლოო შედეგები, დოკუმენტის პროექტი განიხილება სემინარზე, რომელიც წარმართება როგორც გაეროს ხალხთმოსახლეობის განყოფილების ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის სესია.

მოსამზადებელი სამუშაო. უპირველეს ყოვლისა, სტუდენტები გაცნობიან თამაშის მიზანს. ამის შემდეგ ისინი იყოფიან ჯგუფებად: ა) რეფერენტთა ჯგუფი ქვეყნების მიხედვით (შეიძლება ცალკე გამოვყოთ ეკონომიკურად განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები; შეიძლება ჯგუფები შედგენილი იყოს ცალკეული კონტინენტებისათვის, კონტინენტზე ცალკეული რეგიონებისათვის და ა.შ.); ბ) სარედაქციო ჯგუფი.

ყოველ ჯგუფს ენიშნება ხელმძღვანელი, რომელიც ანაწილებს ფუნქციებს თავის ჯგუფში, კოორდინაციას უწევს ჯგუფის წევრთა მუშაობას და ამზადებს მოხსენებას სესიისათვის.

ლექტორი კონსულტაციას უწევს მათ მუშაობის პროცესში.

ჯგუფების მუშაობის შინაარსი

რეფერენტების ჯგუფების ამოცანაა:

– სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობაზე, სტრუქტურაზე, ბუნებრივ და მიგრაციულ მოძრაობაზე;

– იმ ლიტერატურული წყაროების შესწავლა, რომელიც ეხება ცალკეული ქვეყნების დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

– დამუშავებული სტატისტიკური მასალის ანალიზი, რომლის საფუძველზე უნდა გამოვლინდეს ქვეყნების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი;

– მოხსენების მომზადება სესიისათვის.

სარედაქციო ჯგუფის ამოცანაა:

– რეფერენტთა ჯგუფის მუშაობის შედეგების გაცნობა;

– წერილობითი ფორმით დოკუმენტის პროექტის მომზადება ხალხთმოსახლეობის ეფექტური პოლიტიკის გასატარებლად. დოკუმენტში ნათლად უნდა იყოს ასახული ის ამოცანები, რომლებიც დგას ქვეყნების წინაშე ხალხთმოსახლეობის პრობლემათა დაკავშირებით. ამასთან, მასში მოცემული უნდა იყოს ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატაროს ამა თუ იმ ქვეყანამ, რათა დაიცვას თითოეული ოჯახის ინტერესები და უზრუნველყოს დემოგრაფიული პროცესების ეფექტური რეგულირება;

– მოკლე მოხსენების გაკეთება სესიაზე.

სესიის ჩატარების ორგანიზება

სესია ტარდება აუდიტორიაში, სადაც მაგიდები მართკუთხედის ფორმითაა განლაგებული. მაგიდაზე ცალკეული ქვეყნების დროშებია

(იმის მიხედვით, რომელი ქვეყნებია შერჩეული). ინფორმაცია ცალკეულ ქვეყნებზე შეიძლება გაცნობილ იქნეს კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ეკრანზე. ხელმძღვანელი ხსნის სესიას. მოკლედ საუბრობს გაეროს როლზე ხალხთმოსახლეობის პრობლემების შესწავლის საქმეში. ცალკეული ქვეყნების დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ. ყურადღება უნდა მიექციოს იმ გამოცდილებას, რომელიც არსებობს ცალკეულ ქვეყნებში ამ კუთხით, ამავე დროს, გამოხატოს კრიტიკული მიდგომა დემოგრაფიული ფაქტორის როლის შესახებ ცალკეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადანყვეტაში, რასაც ეძღვნება, ფაქტობრივად, ეს თამაში. აქვე უნდა იქნეს დადგენილი რეგლამენტი. მაქსიმუმ 10 წუთი თითოეულ მომხსენებელს. სესია მიმდინარეობს შეუსვენებლად.

მოხსენებები იმ თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი, როგორც ამას სესიის წამყვანი განსაზღვრავს. ყოველი მოხსენების შემდეგ სესიის მონაწილენი სვამენ კითხვებს. დასკვნითი სიტყვა მიეცემა სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის ძირითად დებულებებს. ამის შემდეგ ის განსახილველ დოკუმენტს აცხადებს მიღებულად ან გადასაცემს ჯგუფებს გადასამუშავებლად. სესია იხურება.

ტ ე ს ტ ე ბ ი

თემა 1. მოსახლეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები

1. მოსახლეობა არის:

- ა) გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა;
- ბ) გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებული პოპულაცია;
- გ) გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა, რომელსაც აქვს თვითგამრავლების უნარი;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

2. ეკონომიკური დემოგრაფია შეისწავლის:

- ა) დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირს, მოსახლეობის აღწარმოების გავლენას ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენაზე;
- ბ) მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობას;
- გ) წარმოების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;
- დ) მოსახლეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებებს, ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე.

3. მოსახლეობის, როგორც დემოგრაფიული კატეგორიის მთავარი მახასიათებელია:

- ა) სოციალური სტატუსის ცვლილების უნარი;
- ბ) ტერიტორიული მოძრაობის უნარი;
- გ) ეკონომიკური სტატუსის ცვლილების უნარი;
- დ) თვითაღწარმოების უნარი.

4. მოსახლეობის ეკონომიკა შეისწავლის

- ა) მოსახლეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებებს, ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე;

- ბ) მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობას;
- გ) წარმოების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;
- დ) დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირს, მოსახლეობის აღწარმოების გავლენას ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენაზე.

5. რომელი თეზისია სწორი: მაღალი შემოსავლის მიღწევისას მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნები ძირითადად განისაზღვრება:

- ა) სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორების გავლენით;
- ბ) მხოლოდ ოჯახის ზომითა და სტრუქტურით;
- გ) მხოლოდ დემოგრაფიული ფაქტორებით;
- დ) მხოლოდ სოციალური ფაქტორებით.

6. ვინ შემოიტანა ტერმინი „მოსახლეობა“ მეცნიერებაში?

- ა) ე. ენგელმა;
- ბ) თ. მალთუსმა;
- გ) ჯ. გრაუნტმა;
- დ) ჟ. ბერტიონმა;
- ე) ფ. ბეკონმა.

7. რომელმა მეცნიერმა უწოდა მოსახლეობის აღწარმოების შესახებ მეცნიერებას პირველად „დემოგრაფია“?

- ა) ქრისტოფერ ბერნულიმ;
- ბ) ჯონ გრაუნტმა;
- გ) აშილ გიიარმა;
- დ) ჟაკ ბერტიონმა.

8. დემოგრაფიქსი არის მეცნიერების მიმართულება, რომელიც შეისწავლის:

- ა) მენარმეთა მიერ დემოგრაფიული ცოდნის გამოყენების გზებსა და შესაძლებლობებს;
- ბ) მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობას;

გ) წარმოების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;

დ) მოსახლეობის აღწარმოების გავლენას ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენაზე.

9. ხალხთმოსახლეობის ცოდნათა სისტემაში არ შედის:

- ა) სოციალური პოლიტიკა;
- ბ) ეკონომიკური დემოგრაფია;
- გ) მიგრაციოლოგია;
- დ) სამედიცინო დემოგრაფია.

10. ვის სახელს უკავშირდება დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების წარმოშობა?

- ა) ჟ. ბერტიონს;
- ბ) ე. ენგელსს;
- გ) ა. გიიარს;
- დ) ჯ. გრაუნტს.

11. დემოგრაფიული სტრუქტურაა..

- ა) მოსახლეობა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით;
- ბ) მოსახლეობა ეკონომიკური სტატუსის მიხედვით;
- გ) მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით;
- დ) მოსახლეობა სოციალური სტატუსის მიხედვით.

12. სწორია თუ არა თეზისი:

საკმაოდ მაღალი შემოსავლის მიღწევის შემდეგ მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნები განისაზღვრება მხოლოდ მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურისა და განათლების დონის მიხედვით.

- ა) არა;
- ბ) დიახ;
- გ) ნაწილობრივ;
- დ) შეუძლებელია ამის განსაზღვრა.

13. პირველი დემოგრაფიული აფეთქება მოხდა

- ა) ჩვ. წთ. აღ.-მდე მე-5 საუკუნეში;
- ბ) 1500 წელს;
- გ) 1750 წელს;
- დ) ნეოლითის ხანაში.

14. მოსახლეობის ზრდა ყველაზე დაბალი იყო

- ა) მონათმფლობელობის ხანაში;
- ბ) ფეოდალიზმის ხანაში;
- გ) კაპიტალისტურ ხანაში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

15. მოსახლეობის ყველაზე სწრაფი ზრდა მოხდა:

- ა) მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში;
- ბ) მე-15 საუკუნეში;
- გ) მე-17 საუკუნეში;
- დ) მე-18 საუკუნეში;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

16. ევროპული დემოგრაფიული აფეთქება მოხდა:

- ა) მე-17 საუკუნეში;
- ბ) მე-19 საუკუნეში;
- გ) ბრინჯაოს ხანაში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

17. რომელი თეზისია სწორი?

1) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუარესება;

2) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის შემცირება.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

18. რომელი თეზისია სწორი?

1) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის შემცირება და ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუარესება;

2) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა როგორც ეკონომიკური ზრდა, ისე მოსახლეობის ზრდა.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

19. რომელი თეზისია სწორი?

ა) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდა და ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუარესება;

ბ) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა როგორც ეკონომიკური ზრდა, ისე მოსახლეობის ზრდა.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) არც ერთი თეზისი სწორი არაა;

დ) ორივე თეზისი სწორია.

20. რომელი თეზისია სწორი?

ა) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის შემცირება და ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუარესება;

ბ) 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის შემცირება.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) არც ერთი თეზისი სწორი არაა;

დ) ორივე თეზისი სწორია.

21. რომელი თეზისია სწორი:

ა) ცნება „ხალხი“ უფრო ვრცელი შინაარსისაა, ვიდრე „მოსახლეობა“;

ბ) ცნება „ხალხი“ უფრო ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე „მოსახლეობა“;

გ) „ხალხი“ და „მოსახლეობა“ იდენტური ცნებებია;

დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

22. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობა მოიცავს იმ ფენებსა და ჯგუფებს, რომლისგანაც შედგება საზოგადოება, მაგრამ მოსახლეობის, როგორც სისტემის, ფუნქციონირებაში არ შედის ყველა საზოგადოებრივი პროცესი.

2) მოსახლეობა მოიცავს იმ ფენებსა და ჯგუფებს, რომლისგანაც არ შედგება საზოგადოება, მაგრამ მოსახლეობის, როგორც სისტემის, ფუნქციონირებაში შედის ყველა საზოგადოებრივი პროცესი.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) არც ერთი თეზისი სწორი არაა;

დ) ორივე თეზისი სწორია.

23. დემოგრაფიული სტრუქტურაა

ა) მოსახლეობა სქესის მიხედვით;

ბ) მოსახლეობა ეკონომიკური სტატუსის მიხედვით;

გ) მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით;

დ) მოსახლეობა სოციალური სტატუსის მიხედვით.

24. დემოგრაფიული სტრუქტურაა

ა) მოსახლეობა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით;

ბ) მოსახლეობა ეკონომიკური სტატუსის მიხედვით;

გ) მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით;

დ) მოსახლეობა სოციალური სტატუსის მიხედვით.

25. დემოგრაფიული სტრუქტურაა

ა) მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

ბ) მოსახლეობა ეკონომიკური სტატუსის მიხედვით;

გ) მოსახლეობა შემოსავლების მიხედვით;

დ) მოსახლეობა სოციალური სტატუსის მიხედვით.

26. დემოგრაფიული მოვლენაა

ა) ბავშვის დაბადება;

ბ) მოკვდაობა;

- გ) დემოგრაფიული დაბერება;
- დ) ქორწინება.

27. დემოგრაფიული მოვლენაა

- ა) დემოგრაფიული აფეთქება;
- ბ) ბავშვის დაბადება;
- გ) მოკვდაობა;
- დ) ქორწინება.

28. დემოგრაფიული პროცესია

- ა) მოკვდაობა;
- ბ) დემოგრაფიული დაბერება;
- გ) დემოგრაფიული აფეთქება;
- დ) ბავშვის დაბადება

29. დემოგრაფიული პროცესია

- ა) დემოგრაფიული დაბერება;
- ბ) დემოგრაფიული აფეთქება;
- გ) ბავშვის დაბადება;
- დ) ქორწინება.

30. დემოგრაფიული პროცესია

- ა) დემოგრაფიული დაბერება;
- ბ) განქორწინება;
- გ) დემოგრაფიული აფეთქება;
- დ) ბავშვის დაბადება.

31. დემოგრაფიული პროცესია

- ა) შობადობა;
- ბ) დემოგრაფიული დაბერება;
- გ) დემოგრაფიული აფეთქება;
- დ) ბავშვის დაბადება.

32. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდია

- ა) ანალიზისა და სინთეზის;
- ბ) კარტოგრაფიული;
- გ) მათემატიკური;
- დ) სტატისტიკური;
- ე) სოციოლოგიური;
- ვ) დემოგრაფიული.

33. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდია

- ა) ინდუქციისა და დედუქციის;
- ბ) მათემატიკური;
- გ) სტატისტიკური;
- დ) სოციოლოგიური;
- ე) დემოგრაფიული.

34. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდია

- ა) მათემატიკური;
- ბ) სტატისტიკური;
- გ) სოციოლოგიური;
- დ) დემოგრაფიული;
- ე) ისტორიზმის.

35. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდია

- ა) მათემატიკური;
- ბ) სტატისტიკური;
- გ) ჰიპოთეზის;
- დ) სოციოლოგიური;
- ე) დემოგრაფიული.

36. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის ზოგადმეცნიერული მეთოდი

- ა) სტატისტიკური;
- ბ) მეცნიერული აბსტრაქციის;
- გ) მათემატიკური;
- დ) სოციოლოგიური

37. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდი

- ა) მათემატიკური;
- ბ) მეცნიერული აბსტრაქციის;
- გ) ინდუქციისა და დედუქციის;
- დ) ისტორიზმის;
- ე) ჰიპოთეზის.

38. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდი

- ა) მეცნიერული აბსტრაქციის;
- ბ) ინდუქციისა და დედუქციის;
- გ) ისტორიზმის;
- დ) ჰიპოთეზის;
- ე) სოციოლოგიური.

39. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდი

- ა) სტატისტიკური;
- ბ) მეცნიერული აბსტრაქციის;
- გ) ინდუქციისა და დედუქციის;
- დ) ისტორიზმის;
- ე) ჰიპოთეზის.

40. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდი

- ა) მეცნიერული აბსტრაქციის;
- ბ) კარტოგრაფიული;
- გ) ინდუქციისა და დედუქციის;
- დ) ისტორიზმის;
- ე) ჰიპოთეზის.

41. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდია

- ა) გრაფონალიზის;
- ბ) მეცნიერული აბსტრაქციის;
- გ) ინდუქციისა და დედუქციის;
- დ) ისტორიზმის;
- ე) ჰიპოთეზის.

42. მოსახლეობის ეკონომიკის კვლევის სპეციალური მეთოდია

- ა) დემოგრაფიული;
- ბ) მეცნიერული აბსტრაქციის;
- გ) ინდუქციისა და დედუქციის;
- დ) ისტორიზმის;
- ე) ჰიპოთეზის.

43. მოსახლეობის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკის ცალკე დარგი ფორმირდა

- ა) მე-20 საუკუნის დასაწყისში;
- ბ) მე-20 საუკუნის 60-იან წლებში;
- გ) მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში;
- დ) მე-20 საუკუნის 90-იან წლებში.

44. რომელი თეზისია სწორი: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატების მიუხედავად...

- ა) პლანეტის მოსახლეობის ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვევითაა;
- ბ) პლანეტის მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვევითაა;
- გ) პლანეტის მოსახლეობის ორი მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვევითაა;
- დ) პლანეტის მოსახლეობის ორი მეხუთედი სიღარიბის ზღვარს ქვევითაა.

45. ემპირიული კვლევებით დადგინდა რომ მშპ-ს 1%-ით ზრდა,

- ა) ზრდის ყოველი მეხუთე ღარიბის შემოსავალს;
- ბ) ზრდის ყოველი მეორე ღარიბის შემოსავალს;
- გ) ზრდის ყოველი მეათე ღარიბის შემოსავალს;

- დ) არანაირად არ მოქმედებს ღარიბთა შემოსავლის ზრდაზე;
 ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

46. ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ მშპ-ს 1%-ით ზრდა,

- ა) ზრდის ყოველი მეორე ღარიბის შემოსავალს;
 ბ) ზრდის ყოველი მეათე ღარიბის შემოსავალს;
 გ) არანაირად არ მოქმედებს ღარიბთა შემოსავლის ზრდაზე;
 დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

47. რომელი თეზისია სწორი:

1) ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, თუმცა საკმარისი არაა სიღარიბის მასშტაბის შესამცირებლად;

2) ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, თუმცა საკმარისი არაა შემოსავლის არათანაბარი გადანაწილების აღმოსაფხვრელად.

- ა) (1) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 გ) ორივე თეზისი სწორია;
 დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

48. რომელი თეზისია სწორი:

1) ეკონომიკური ზრდა საკმარისია სიღარიბის მასშტაბის შესამცირებლად;

2) ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, თუმცა საკმარისი არაა შემოსავლის არათანაბარი გადანაწილების აღმოსაფხვრელად;

- ა) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 ბ) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 გ) ორივე თეზისი სწორია;
 დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

49. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია მოსახლეობა?

- ა) ქალაქად მცხოვრებნი;
 ბ) მოსწავლენი;
 გ) სტუდენტები;
 დ) ვატიკანში მცხოვრებნი.

50. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია მოსახლეობა?

- ა) სოფლად მცხოვრებნი;
- ბ) მოსწავლენი;
- გ) სტუდენტები;
- დ) პენსიონერები.

51. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოება არის თაობათა უწყვეტი განახლების პროცესი;

2) მოსახლეობის აღწარმოება არის ძველი თაობის ახლით ჩანაცვლების პროცესი.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

52. წიგნის ავტორი, რომლის გამოჩენამ დემოგრაფიას, როგორც მეცნიერებას, დაუდო საფუძველი

- ა) ჟ. ბერტიონი;
- ბ) ა. კეტლე;
- გ) ა. გიიარი;
- დ) ჯ. გრაუნტი.

თემა 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ

1. მიკროალწერისას შეირჩევა მოსახლეობის

- ა) 1-დან 10%-მდე;
- ბ) 11-დან 15%-მდე;
- გ) 20%;
- დ) 50%.

2. ძველ დროში მოსახლეობის აღწერა ტარდებოდა

- ა) ფისკალური და სამხედრო-პოლიტიკური მიზნით;
- ბ) საგანმანათლებლო და სამხედრო მიზნით;
- გ) ისტორიულ-აღწერითი მიზნით;
- დ) არც ერთი ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორი არაა.

3. რომელი თეზისია სწორი: ქვეყნებში ან რეგიონებში (ქალაქებში), სადაც მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა დაბალია

- ა) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობა თითქმის თანაბარია;
- ბ) მუდმივი მოსახლეობა აღემატება სახეზე მყოფ მოსახლეობას;
- გ) სახეზე მყოფი მოსახლეობა მეტია მუდმივ მოსახლეობაზე;
- დ) სახეზე მყოფი მოსახლეობა ნაკლებია მუდმივ მოსახლეობაზე.

4. საქართველოს კანონმდებლობით მოსახლეობის აღწერა ტარდება

- ა) 10 წელიწადში ერთხელ;
- ბ) 5 წელიწადში ერთხელ;
- გ) 7 წელიწადში ერთხელ;
- დ) 3 წელიწადში ერთხელ.

5. 2014 წლის აღწერით საქართველოში:

- ა) ქალთა წილი მეტია მამაკაცისაზე;
- ბ) მამაკაცთა წილი მეტია ქალისაზე;
- გ) ქალთა და მამაკაცთა წილი მთელ მოსახლეობაში თანაბარია;
- დ) ქალთა წილი ორჯერ მეტია მამაკაცისაზე.

6. მსოფლიოში პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა

- ა) XVIII ს.-ში;
- ბ) XIX საუკუნის დასაწყისში;
- გ) XIX საუკუნის ბოლოს;
- დ) XX საუკუნეში.

7. რომელი თეზისია სწორი: ქვეყნებში ან რეგიონებში (ქალაქებში), სადაც მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა მაღალია,

- ა) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობის თანაფარდობა სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია შიგა და გარე მიგრაციის სალდოზე;
- ბ) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად განსხვავდება;
- გ) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა არ განსხვავდება;
- დ) მუდმივი მოსახლეობა მეტია სახეზე მყოფ მოსახლეობაზე;
- ე) მუდმივი მოსახლეობა ნაკლებია სახეზე მყოფ მოსახლეობაზე.

8. მუდმივი მოსახლეობა, რომელმაც აღწერის კრიტიკული მომენტი გაატარა სხვა დასახლებულ პუნქტში, აღინერება

- ა) დროებით არმყოფ მოსახლეობად;
- ბ) დროებით მცხოვრებ მოსახლეობად;
- გ) მიწერილ მოსახლეობად;
- დ) იურიდიულ მოსახლეობად.

9. მოსახლეობის აღწერები საქართველოში ტარდებოდა შემდეგი მეთოდით

- ა) გამოკითხვის მეთოდით;
- ბ) თვითრეგისტრაციის მეთოდით;
- გ) გამოცხადების მეთოდით;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

10. მიმდინარე აღრიცხვისას მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია დგინდება:

- ა) ცალკეულ პირზე გაცემული დოკუმენტაციით;

- ბ)სამუშაო ადგილიდან გაცემული ინფორმაციის საშუალებით;
- გ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით;
- დ)გამოკითხულთა პასუხით.

11. მუდმივ მოსახლეობაში არ შედის

- ა) დროებით მცხოვრებნი;
- ბ) სახეზე მყოფი მოსახლეობა;
- გ) დროებით არმყოფნი;
- დ)არც ერთი პასუხი სწორი არაა.

12. რომელი თეზისია სწორი:

არასაკურორტო ზონებში

- ა) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობა თითქმის თანაბარია;
- ბ) მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება სახეზე მყოფ მოსახლეობას;
- გ) სახეზე მყოფი მოსახლეობა მეტია მუდმივ მოსახლეობაზე;
- დ)სახეზე მყოფი მოსახლეობა ნაკლებია მუდმივ მოსახლეობაზე.

13. პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში ჩატარდა:

- ა) 1897 წ;
- ბ) 1801 წ;
- გ) 1886 წ;
- დ)1898 წ;
- ე) 1906 წ;
- ვ) 1926 წ.

14. რომელი მოსახლეობა არ აღირიცხებოდა მე-20 საუკუნეში საქართველოში?

- ა) იურიდიული მოსახლეობა;
- ბ) მუდმივი მოსახლეობა;
- გ) სახეზე მყოფი მოსახლეობა;
- დ)მიგრირებადი მოსახლეობა.

15. სახეზე მყოფ მოსახლეობაში არ შედის

- ა) დროებით არმყოფნი;
- ბ) მუდმივი მოსახლეობა;

- გ) დროებით მცხოვრებნი;
- დ) სამივე პასუხი სწორია.

16. რომელი თეზისია სწორი:

საკურორტო ზონებში

- ა) სახეზე მყოფი მოსახლეობა მეტია მუდმივ მოსახლეობაზე;
- ბ) მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება სახეზე მყოფ მოსახლეობას;
- გ) მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობა თანაბარია;
- დ) სახეზე მყოფი მოსახლეობა ნაკლებია მუდმივ მოსახლეობაზე.

17. ქვეყანა, სადაც პირველად დაიწყო მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა, იყო

- ა) საფრანგეთი;
- ბ) ბელგია;
- გ) აშშ;
- დ) დიდი ბრიტანეთი;
- ე) გერმანია.

18. საქართველოში მიმდინარე აღრიცხვის პირველი წყაროები არსებობდა შემდეგი სახით

- ა) მეტრიკული წიგნები;
- ბ) საკომლო წიგნები;
- გ) მემამულეთა ჩანაწერები;
- დ) საეკლესიო წიგნები.

19. გაეროს რეკომენდაციით, აღწერა უნდა ჩატარდეს

- ა) 5 ან 10 წელიწადში ერთხელ 5-ით ან 0-ით დამთავრებულ ან მასთან ახლოს მდგომ წლებში;
- ბ) 3 ან 9 წელიწადში ერთხელ 5-ით ან 0-ით დამთავრებულ ან მასთან ახლოს მდგომ წლებში;
- გ) 5 ან 10 წელიწადში ერთხელ 4-ით ან 0-ით დამთავრებულ ან მასთან ახლოს მდგომ წლებში;

დ) 5 ან 9 წელიწადში ერთხელ 5-ით ან 8-ით დამთავრებულ ან მასთან ახლოს მდგომ წლებში.

20. რომელი თეზისია სწორი:

1) მუდმივი მოსახლეობა, რომელმაც აღწერის კრიტიკული მომენტი გაატარა სხვა დასახლებულ პუნქტში, აღიწერება დროებით არმყოფ მოსახლეობად;

2) არ მყოფად არ ჩაითვლება პირი, თუ მუშაობდა ღამის ცვლაში, მორიგეობდა ან აღწერის მომენტში რაიმე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

21. საქართველოში ერთადერთი აღწერა, სადაც მოსახლეობა სამ კატეგორიად აღიწერა, იყო

ა) 1897 წლის აღწერა;

ბ) 1926 წლის აღწერა;

გ) 1939 წლის აღწერა;

დ) 1959 წლის აღწერა.

22. მოსახლეობის აღწერის მეცნიერული პროგრამა შექმნა

ა) ა. კეტლემ;

ბ) ჯ. გრაუნტმა;

გ) ჟ. ბერტიონმა;

დ) ა. გიიარმა.

23. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ტარდებოდა

ა) მოსახლეობის კამერალური აღწერა;

ბ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;

გ) მიკროაღწერები;

დ) მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა.

24. კამერალური აღწერები საქართველოში წარმოებდა

- ა) ფისკალური მიზნით;
- ბ) პოლიტიკური მიზნით;
- გ) სამხედრო მიზნით;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

25. პირველად რომელი აღწერისას აღირიცხა ოჯახი დაწვრილებით?

- ა) 1926 წელს;
- ბ) 1939 წელს;
- გ) 1959 წელს;
- დ) 1989 წელს.

26. პირველად რომელი წლის აღწერაში გამოიყენეს შერჩევითი მეთოდი?

- ა) 1970 წლის;
- ბ) 1926 წლის;
- გ) 1979 წლის;
- დ) 1959 წლის;
- ე) 1989 წლის.

27. პირველად რომელი წლის აღწერისას შეისწავლეს ქანქარისებრი მიგრაცია?

- ა) 1970 წლის;
- ბ) 1926 წლის;
- გ) 1979 წლის;
- დ) 1959 წლის;
- ე) 1989 წლის.

28. რომელი თეზისია სწორი:

საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გამოირჩეოდა იმით, რომ

- 1) აღწერა მხოლოდ მუდმივი მოსახლეობა;

2) აღიწერა მოსახლეობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

29. რომელი თეზისია სწორი:

საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გამოირჩეოდა იმით, რომ

1) აღიწერა სახეზე და მუდმივი მოსახლეობა;
2) აღიწერა მოსახლეობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

30. საქართველოში მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვას აწარმოებს

- ა) იუსტიციის სამინისტრო;
- ბ) შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- გ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დ) ფინანსთა სამინისტრო.

31. მოსახლეობის აღწერა მოსახლეობასთან კონტაქტის გარეშე, ელექტრონული რეგისტრების ბაზაზე პირველად 1990 წელს ჩატარდა

- ა) ფინეთში;
- ბ) ნორვეგიაში;
- გ) შვეციაში;
- დ) დანიაში;
- ე) ბელგიაში.

32. რომელი თეზისია სწორი:

1) ანამნესტიკური მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მოსახლეობის აღწარმოებაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გამოვიკვლიოთ;

2) ანამნესტიკური მეთოდის ნაკლია ის, რომ დემოგრაფიული შემთხვევები აღირიცხება ადამიანთა მესხიერების საფუძველზე, რომელიც ყოველთვის სრულ და ზუსტ პასუხს ვერ იძლევა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

33. რომელი თეზისია სწორი:

ა) ანამნესტიკური მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მოსახლეობის აღწარმოებაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გამოვიკვლიოთ;

ბ) ანამნესტიკური მეთოდის უპირატესობაა ის, რომ დემოგრაფიული შემთხვევები აღირიცხება ადამიანთა მესხიერების საფუძველზე, რომელიც ყოველთვის სრულ და ზუსტ პასუხს იძლევა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

34. ელექტრონული რეგისტრებით მოსახლეობის აღრიცხვა ტარდება

- ა) სკანდინავიის ქვეყნებში;
- ბ) საქართველოში;
- გ) მთელ ევროპაში;
- დ) აშშ-ში.

თემა 3. მოსახლეობის სტრუქტურა და გენდერული განსხვავება ეკონომიკურ ცხოვრებაში

1. სქესთა მეორეული თანაფარდობისას დაბადებულთა შორის

- ა) 512 გოგონა და 488 ვაჟია;
- ბ) 550 ვაჟი და 460 გოგონაა;
- გ) 550 გოგონა 460 ვაჟია;
- დ) 512 ვაჟი და 488 გოგონა.

2. ქვეყანას, რომლის მოსახლეობა სტაციონარულია, არ აქვს მოსახლეობის ზრდის პრობლემა. მაგრამ პერსპექტივაში მისი რიცხოვნობის შემცირების პირობებში მის წინაშე დადგება პრობლემა

- ა) ეკონომიკური ბუმი;
- ბ) ახალგაზრდა სამუშაო ძალის დეფიციტი;
- გ) სასკოლო ასაკის ბავშვთა მომრავლება, რომელიც ითხოვს განათლების მიღებას;
- დ) უმუშევრობის ზრდა.

3. დემოგრაფიული ორმოები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე მიუთითებს

- ა) შობადობის მატებაზე;
- ბ) იმიგრაციის ინტენსივობაზე;
- გ) მოკვდაობის ზრდაზე;
- დ) ქორწინების ზრდაზე.

4. სქესთა თანაფარდობა მოსახლეობაში არ განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით

- ა) ქალთა წილით მოსახლეობაში;
- ბ) ქალთა შვილიანობით;
- გ) მამაკაცთა წილით მოსახლეობაში;
- დ) ქალთა და მამაკაცთა აბსოლუტური რიცხვით;
- ე) ქალთა თანაფარდობით ყოველ 1000 მამაკაცზე.

5. პროგრესული ასაკობრივი სტრუქტურის მქონე ქვეყანაში

- ა) მოსახლეობა მცირდება;
- ბ) მოსახლეობა იზრდება;
- გ) მოსახლეობა არ იზრდება;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

6. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა არის შემდეგი ტიპის

- ა) ახალგაზრდა;
- ბ) დაბერებული;
- გ) დაბერებადი;
- დ) პროგრესული ტიპის.

7. სტაციონარული ასაკობრივი სტრუქტურის მქონე ქვეყანაში:

- ა) მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება;
- ბ) მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება;
- გ) მოსახლეობის რიცხოვნობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება;
- დ) მოსახლეობის რიცხოვნობა უცვლელია.

8. ასაკობრივი აკუმულაცია გულისხმობს

- ა) ასაკის დამახინჯებას, როცა ადამიანები ასაკს 0-ით ან 6 ციფრით ამთავრებდნენ;
- ბ) ასაკის დამახინჯებას, როცა ადამიანები ასაკს 1-ით ან 9 ციფრით ამთავრებდნენ;
- გ) ასაკის დამახინჯებას, როცა ადამიანები ასაკს 5-ით ან 9 ციფრით ამთავრებდნენ;
- დ) ასაკის დამახინჯებას, როცა ადამიანები ასაკს 0-ით ან 5 ციფრით ამთავრებდნენ.

9. ახალგაზრდობის ასაკია:

- ა) 16-29;
- ბ) 16-35;
- გ) 15-29;

- დ) 15-35;
- ე) 17-39;
- ვ) 15-39.

10. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ფუძის შემცირება მიუთითებს

- ა) მოკვდაობის ზრდაზე;
- ბ) ინტენსიურ ემიგრაციაზე;
- გ) შობადობის შემცირებაზე;
- დ) მოკვდაობის შემცირებაზე.

11. რომელი თეზისია სწორი: სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

- ა) ყველაზე მეტად დეფორმირებულია;
- ბ) ყველაზე მეტად პროგრესულია;
- გ) ყველაზე უფრო სტაბილურია;
- დ) არაფრით არ განსხვავდება მათგან;
- ე) ყველაზე მეტად დეფორმირებულია.

12. რომელი თეზისია სწორი: დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

- ა) ზრდის შობადობის დონეს;
- ბ) ამცირებს შობადობის დონეს;
- გ) ზრდის ქორწინების დონეს;
- დ) ზრდის მიგრაციის სალდოს.

13. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა არის

- ა) პროგრესული ტიპის;
- ბ) სტაციონარული ტიპის;
- გ) რეგრესული ტიპის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

14. იმ შემთხვევაში, როცა მოსახლეობაში მშობელთა თაობა 50%-ი-
ა, ბავშვთა თაობა 30%, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა იქნება

- ა) რეგრესული ტიპის;
- ბ) პროგრესული ტიპის;
- გ) რეგრესული ტიპის;
- დ) სტაციონარული ტიპის;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

15. ეკონომიკური ნიშნით მოსახლეობა შეისწავლება

- ა) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- ბ) მშობლიური ენის მიხედვით;
- გ) დასაქმების სტატუსის მიხედვით;
- დ) ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით.

16. ეკონომიკური ნიშნით მოსახლეობა შეისწავლება

- ა) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- ბ) მშობლიური ენის მიხედვით;
- გ) შემოსავლის წყაროების მიხედვით;
- დ) ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით.

17. ეკონომიკური ნიშნით მოსახლეობა შეისწავლება

- ა) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- ბ) პროფესიის მიხედვით;
- გ) მშობლიური ენის მიხედვით;
- დ) ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით.

18. რომელია სწორი თეზისი:

- 1) სქესთა თანაფარდობა ყველა ქვეყანაში ერთნაირია;
- 2) სქესთა თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.
- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

19. რომელია სწორი თეზისი:

1) ახალშობილებში დედის ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ვაჟთა წილი;

2) ახალშობილებში დედის ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ვაჟთა წილი.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისია არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

20. რომელია სწორი თეზისი:

1) ახალშობილებში მცირდება ვაჟთა წილი დაბადების რიგითობის ზრდასთან ერთად;

2) ახალშობილებში იზრდება ვაჟთა წილი დაბადების რიგითობის ზრდასთან ერთად.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

21. რომელია სწორი თეზისი:

1) ომის წლებში თანაფარდობა ახალშობილ ვაჟებსა და გოგონებს შორის მცირდება, მაგრამ ომის შემდგომ წლებში იზრდება;

2) ომის წლებში თანაფარდობა ახალშობილ ვაჟებსა და გოგონებს შორის იზრდება, მაგრამ ომის შემდგომ წლებში მცირდება.

- ა) (1) თეზისი სწორია, (ბ) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

22. ასაკობრივი აკუმულაცია იზომება

- ა) სოვის ინდექსით;
- ბ) სიბერის ინდექსით;
- გ) უიპლის ინდექსით;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

თემა 4. მოსახლეობის დაბერება და თაობათაშორისი ტრანსფერები

1. მოსახლეობის დაბერება არის

- ა) მოკვდაობის ზრდის შედეგი;
- ბ) მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ცვლილების შედეგი;
- გ) ასაკობრივი სტრუქტურის ევოლუციის შედეგი;
- დ) შობადობის ზრდის შედეგი.

2. დემოგრაფიული სიბერის კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობას;
- ბ) დემოგრაფიული სიბერის დონეს;
- გ) დღეგრძელობის დონეს;
- დ) ეკონომიკური დატვირთვის დონეს.

3. მოსახლეობის მედიანური ასაკი გვიჩვენებს

- ა) დღეგრძელობის დონეს;
- ბ) ეკონომიკური დატვირთვის დონეს;
- გ) დემოგრაფიული დაბერების ინტენსივობას;
- დ) დემოგრაფიული სიბერის დონეს.

4. დაბერება „ზემოდან“ მიმდინარეობს

- ა) შობადობის შემცირებით;
- ბ) სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით;
- გ) შობადობის შემცირებით;
- დ) ემიგრაციის ზრდით.

5. დაბერება „ქვემოდან“ მიმდინარეობს

- ა) მოკვდაობის შემცირებით;
- ბ) სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით;
- გ) შობადობის ზრდით;
- დ) შობადობის შემცირებით.

6. მოსახლეობის დაბერების განმსაზღვრელი ფაქტორია

- ა) მოკვდაობის ზრდა;
- ბ) მიგრაცია;
- გ) ეკონომიკური კრიზისი;
- დ) შობადობის შემცირება.

7. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დაბერების ძირითადი მიზეზია

- ა) მოკვდაობის ზრდა;
- ბ) შობადობის ზრდა;
- გ) ეკონომიკური კრიზისი;
- დ) ემიგრაცია.

8. ქრონოლოგიური დაბერება განისაზღვრება

- ა) ასაკით;
- ბ) ჯანმრთელობის დონით;
- გ) ადამიანთა საკუთარი შეგრძნებებით;
- დ) ქვეყანაში არსებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით.

9. ფიზიოლოგიური დაბერება განისაზღვრება

- ა) ასაკით;
- ბ) ჯანმრთელობის დონით;
- გ) ადამიანთა საკუთარი შეგრძნებებით;
- დ) ქვეყანაში არსებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით.

10. ფსიქოლოგიური დაბერება განისაზღვრება

- ა) ადამიანთა საკუთარი შეგრძნებებით;
- ბ) ჯანმრთელობის დონით;
- გ) ასაკით;
- დ) ქვეყანაში არსებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით.

11. სოციალური სიბერე განისაზღვრება

- ა) ნაცხოვრებ წელთა რაოდენობით, ასაკით;
- ბ) ჯანმრთელობის დონის მიხედვით;

- გ) ადამიანთა საკუთარი შეგრძნებებით;
- დ) ქვეყანაში არსებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით.

12. დემოგრაფიული დაბერების სოციალური შედეგია

- ა) მოკვდაობის ზრდა;
- ბ) შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება;
- გ) საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა;
- დ) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა.

13. დემოგრაფიული დაბერების სოციალური შედეგია

- ა) სქესთაშორის დისბალანსის არსებობა;
- ბ) საპენსიო სახსრების ზრდა;
- გ) მოკვდაობის ზრდა;
- დ) მარტოხელა მოხუცების მომრავლება.

14. დემოგრაფიული დაბერების სოციალური შედეგია

- ა) თაობათაშორისი ურთიერთობის ცვლილება;
- ბ) რეპროდუქციული ასაკის ქალთა შემცირება;
- გ) შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება;
- დ) საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა.

15. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული შედეგია:

- ა) თაობათაშორისი ურთიერთობის ცვლილება;
- ბ) შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება;
- გ) საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა;
- დ) რეპროდუქციული ასაკის ქალთა შემცირება.

16. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული შედეგია

- ა) სქესთა შორის დისბალანსის შექმნა;
- ბ) მარტოხელა მოხუცების მომრავლება;
- გ) ეკონომიკური დატვირთვის ზრდა;
- დ) ელექტორატში მოხუცთა წილის ზრდა.

17. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული შედეგია

- ა) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- ბ) მოკვდაობის ზრდა;
- გ) საპენსიო სახსრების ზრდა;
- დ) ეკონომიკური დატვირთვის ზრდა.

18. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული შედეგია

- ა) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- ბ) საპენსიო სახსრების ზრდა;
- გ) ეკონომიკური დატვირთვის ზრდა;
- დ) დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა.

19. დემოგრაფიული დაბერების ეკონომიკური შედეგია

- ა) ეკონომიკური დატვირთვის ზრდა;
- ბ) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- გ) სქესთა შორის დისბალანსის შექმნა;
- დ) მარტოხელა მოხუცების მომრავლება.

20. დემოგრაფიული დაბერების ეკონომიკური შედეგია

- ა) შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება;
- ბ) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- გ) სქესთა შორის დისბალანსის შექმნა;
- დ) მარტოხელა მოხუცების მომრავლება;
- ე) შრომის ასაკის მოსახლეობის დაბერება.

21. დემოგრაფიული დაბერების ეკონომიკური შედეგია

- ა) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- ბ) მოკვდაობის ზრდა;
- გ) თაობათა შორის ურთიერთობის ცვლილება;
- დ) საპენსიო სახსრების ზრდა.

22. საქართველოში სახელმწიფო საპენსიო სისტემამ ფუნქციონირება დაიწყო

- ა) 1927 წელს;
- ბ) 1911 წელს;

- გ) 1932 წელს;
- დ) 1937 წელს;
- ე) 1949 წელს;
- ვ) 1950 წელს.

23. მოსახლეობის ეკონომიკური დატვირთვა გვიჩვენებს

- ა) ყოველ 100 შრომისუნარიანზე რამდენი არაშრომისუნარიანი მოდის;
- ბ) ყოველ 100 კაცზე რამდენი ბავშვი და მოხუცი მოდის;
- გ) ყოველ 100 არაშრომისუნარიანზე რამდენი შრომისუნარიანი მოდის;
- დ) ყოველ 100 დასაქმებულზე რამდენი არაშრომისუნარიანი მოდის.

24. გაეროს სკალით, მოსახლეობა ახალგაზრდაა, თუ

- ა) 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 8% და მეტია;
- ბ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი არაუმეტეს 4%-ია;
- გ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 11%-ია;
- დ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 8%-ია.

25. გაეროს სკალით, სიბერის საწყის ასაკად მიჩნეულია

- ა) 65 წელი;
- ბ) 50 წელი;
- გ) 55 წელი;
- დ) 60 წელი.

26. ბოჟე-გარნიე-როსეტის სკალით, სიბერის საწყის ასაკად მიჩნეულია

- ა) 60 წელი;
- ბ) 65 წელი;
- გ) 55 წელი;
- დ) 50 წელი.

27. დღეგრძელობის საწყის ასაკად მიჩნეულია

- 80 წელი
- 60 წელი

65 წელი

70 წელი

28. დღეგრძელობის საწყის ასაკად მიჩნეულია

ა) 90 წელი;

ბ) 60 წელი;

გ) 65 წელი;

დ) 75 წელი.

29. დაბერების ინდექსი გვიჩვენებს

ა) 0-19 წლის ადამიანთა თანაფარდობას 65 წელს გადაცილებულ ყოველ 100 ადამიანზე;

ბ) 0-14 წლის ადამიანთა თანაფარდობას 65 წელს გადაცილებულ ყოველ 100 ადამიანზე;

გ) 0-14 წლის ადამიანთა თანაფარდობას 60 წელს გადაცილებულ ყოველ 100 ადამიანზე;

დ) 0-19 წლის ადამიანთა თანაფარდობას 60 წელს გადაცილებულ ყოველ 100 ადამიანზე.

[

30. დემოგრაფიული სტრუქტურის გავლენით, შობადობის ზრდა შესაძლებელია

ა) თუ მოკვდაობა დაბალია უფროს ასაკობრივ ჯგუფებში;

ბ) თუ ასაკობრივი სტრუქტურა დეფორმირებული არ არის;

გ) თუ 35-45 წლის ქალთა წილი მაღალია;

დ) თუ ქორწინების სიხშირე დაბალია.

31. ბოჟე-გარნიე-როსეტის სკალით, მოსახლეობა დაბერებულად ითვლება თუ

ა) 60 წლისა და უფროსი ასაკის წილი მოსახლეობაში 8%-ია;

ბ) 60 წლისა და უფროსი ასაკის წილი მოსახლეობაში 12%;

გ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ია;

დ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 12%-ია.

32. დაგროვებითი პრინციპით მომუშავე საპენსიო სისტემის ნაკლია

ა) ზრდის პენსიონერთა შორის ეკონომიკურ უთანასწორობას;

ბ) მეტისმეტადაა დამოკიდებული დემოგრაფიულ ფაქტორზე;

- გ) ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას;
- დ) ზრდის უმუშევრობის დონეს.

33. ბოყე-გარნიე-როსეტის სკალით, მოსახლეობა ახალგაზრდაა თუ

- ა) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ია;
- ბ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 12%-ია;
- გ) 60 წლისა და უფროსი ასაკის წილი მოსახლეობაში 12%;
- დ) 60 წლისა და უფროსი ასაკის წილი მოსახლეობაში 8%-ია.

34. გაეროს სკალით, მოსახლეობა დაბერებულია, თუ

- ა) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ი და მეტია;
- ბ) 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 8% და მეტია;
- გ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 4%-ია;
- დ) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 8%-ია.

35. საქართველოს მოსახლეობაში

- ა) ყოველი მეხუთე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა;
- ბ) ყოველი მესამე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა;
- გ) ყოველი მეათე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა;
- დ) ყოველი მეოცე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა.
- ე) ყოველი მეხუთე 60 წლისა და უფროსი ასაკისაა

36. რომელია სწორი თეზისი: თაობათაშორისი გრანსფერტების ეკონომიკური ფუნქციაა

- 1) მოსახლეობის აღწარმოება;
- 2) შინამეურნეობის რესურსების აღწარმოება.
- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) არც ერთი თეზისი სწორი არაა
- დ) ორივე თეზისი სწორია

37. რომელია სწორი თეზისი: თაობათაშორისი გრანსფერტების ეკონომიკური ფუნქციაა

- 1) ადამიანური კაპიტალის აღწარმოება;
- 2) შინამეურნეობის რესურსების აღწარმოება.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

38. რომელია სწორი თეზისი:

1) სოციალური თაობათაშორისი ტრანსფერტები გაიცემა ერთი თაობიდან მეორეზე სახელმწიფო არხებით;

2) კერძო ტრანსფერტები ხორციელდება ნათესაური არხებით.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

39. რომელია სწორი თეზისი:

1) სოციალური თაობათაშორისი ტრანსფერტები გაიცემა ნათესავებს შორის;

2) კერძო ტრანსფერტები ხორციელდება სახელმწიფო არხებით.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

თემა 5. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. შობადობა და მისი ეკონომიკური ფაქტორები

1. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მაღალია, როცა ის

ა) $K_{შ.ჯ.} > 1$;

ბ) $K_{შ.ჯ.} > 2,15$;

გ) $K_{შ.ჯ.} > 2,65$;

დ) $K_{შ.ჯ.} > 3,65$;

ე) $K_{შ.ჯ.} > 4$.

2. რომელია სწორი თეზისი:

1) მაღალგანვითარებულ ბავშვთა რიცხოვნობის მატება ზრდის მოთხოვნას ბავშვთა რიცხოვნობის ზრდაზე;

2) ბავშვთა რაოდენობის მატება ზრდის ბავშვთა ხარისხის ფასს.

ა) (1) თეზისი არასწორია; (2) თეზისი სწორია,

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) ორივე თეზისი არასწორია.

3. რომელია სწორი თეზისი:

1) მდიდარ ქვეყნებში ქალისა და მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტად განსხვავდება, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში;

2) ღარიბ ქვეყნებში ქალისა და მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტად განსხვავდება, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია,

ბ) (1) თეზისი არასწორია, (2) თეზისი სწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) ორივე თეზისი არასწორია.

4. $R_{ნეტ.} / R_{არ.უტ.}$ თანაფარდობა უჩვენებს

ა) მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ფასს;

- ბ) მოსახლეობის აღწარმოების პოტენციურ დონეს;
- გ) მოსახლეობის ზრდის ინტენსიურობას;
- დ) მოსახლეობის კლების ინტენსიურობას.

5. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპისათვის არ არის დამახასიათებელი

- ა) შობადობის მაღალი დონე;
- ბ) მოკვდაობის მაღალი დონე;
- გ) ბუნებრივი მატების მაღალი დონე;
- დ) მოსალოდნელი სიცოცხლის მეტი საშუალო ხანგრძლივობა.

6. რომელი თეზისია სწორი:

- ა) მამაკაცთა განათლების ზრდა დადებითად აისახება შობადობის დინამიკაზე, ქალებისა კი - უარყოფითად;
- ბ) ქალთა განათლების დონის ზრდა დადებითად აისახება შობადობის დინამიკაზე, მამაკაცებისა - უარყოფითად;
- გ) შობადობის დინამიკაზე, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა განათლების დონის ამაღლება დადებითად აისახება;
- დ) შობადობის დინამიკაზე, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა განათლების დონის ამაღლება უარყოფითად აისახება.

7. რამდენი უნდა იყოს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მარტივი აღწარმოება?

- ა) 1,7;
- ბ) 1,21;
- გ) 2,15;
- დ) 2, 65;
- ე) 3,5.

8. რამდენი ბავშვი უნდა მოდიოდეს ყოველ 100 საქორწინო წყვილზე, რომ მარტივ აღწარმოებას ჰქონდეს ადგილი?

- ა) 75 ბავშვი;
- ბ) 215 ბავშვი;
- გ) 265 ბავშვი;
- დ) 300 ბავშვი;
- ე) 350 ბავშვი.

9. რეპროდუქციული ქცევის გავლენა შობადობის დონეზე ნორმატიული მეთოდით შეისწავლება

- ა) ბუნებრივ შობადობაზე მოქმედი ფაქტორებით;
- ბ) ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორებით;
- გ) სოვის ინდექსის მეშვეობით;
- დ) კოულის ინდექსის მეშვეობით.

10. როცა ნეტოკოეფიციენტი ($R_{ნეტ.}$) <1-ზე,

- ა) ადგილი აქვს შეკვეცილ აღწარმოებას;
- ბ) ადგილი აქვს გაფართოებულ აღწარმოებას;
- გ) ადგილი აქვს მარტივ აღწარმოებას;
- დ) მსგავსი შემთხვევა არ შეიძლება დაფიქსირდეს.

11. ა. სმიტი უკუკავშირს ბავშვთაშობასა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის ხსნიდა

- ა) ბავშვთა ყოლის სხვადასხვა სურვილით;
- ბ) ქალთა განსხვავებული ნაყოფიერებით;
- გ) რელიგიის გავლენით;
- დ) განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობით.

12. შობადობის დონეზე რეპროდუქციული ქცევის გავლენის ემპირიული მეთოდით ანალიზი გულისხმობს

- ა) შობადობის ფაქტორულ ანალიზს;
- ბ) შობადობის შესწავლას ბორისოვის ინდექსით;
- გ) შობადობის ანალიზს ჰუტერიტების შობადობის მიხედვით;
- დ) შობადობის შესწავლას სოვის ინდექსით.

13. $R_{არუტ.}$ / $R_{ნეტ.}$ თანაფარდობა გვიჩვენებს:

- ა) მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ფასს;
- ბ) მოსახლეობის აღწარმოების პოტენციურ დონეს;
- გ) მოსახლეობის აღწარმოების ინტენსივობას;
- დ) მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას.

13. როცა ნეტოკოეფიციენტი ($R_{ნეტ.}$)=1

- ა) ადგილი აქვს გაფართოებულ აღწარმოებას;

- ბ) ადგილი აქვს შეკვეცილ აღწარმოებას;
- გ) ადგილი აქვს მარტივ აღწარმოებას;
- დ) მსგავსი სიტუაცია არ შეიძლება დაფიქსირდეს.

14. როცა ნეტოკოეფიციენტი ($R_{\text{ნეტო}}$) < 1

- ა) ადგილი აქვს მარტივ აღწარმოებას;
- ბ) ადგილი აქვს გაფართოებულ აღწარმოებას;
- გ) ადგილი აქვს შეკვეცილი აღწარმოებას;
- დ) მსგავსი სიტუაცია არ შეიძლება დაფიქსირდეს.

15. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის არ არის დამახასიათებელი

- ა) სიცოცხლის მცირე საშუალო ხანგრძლივობა;
- ბ) შობადობის დაბალი დონე;
- გ) მოკვდაობის დაბალი დონე;
- დ) მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

16. საქართველოში 2017 წლისათვის მოსახლეობის აღწარმოების ნეტოკოეფიციენტია 1-ია, რაც ნიშნავს, რომ

- ა) საქართველოში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებაა;
- ბ) საქართველოში მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოებაა;
- გ) საქართველოში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაა;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

19. დემოგრაფიული პროცესები იზომება

- ა) პრომილეში;
- ბ) პროდეციმილეში;
- გ) პროცენტიმილეში;
- დ) ყველა პასუხი სწორია;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

20. ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი

- ა) შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთა ჯამია;
- ბ) შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთა თანაფარდობაა;

- გ) შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთა ნამრავლია;
- დ) შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთა სხვაობაა.

21. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელთა ნაკლია

- ა) მარტივია მისი გაანგარიშება;
- ბ) არ არსებობს მისი გაანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაცია;
- გ) არ იძლევა სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შედარების საშუალებას;
- დ) ის არ ითვალისწინებს დემოგრაფიული სტრუქტურის თავისებურებებს.

22. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) ფერტილური ასაკის ყოველ ათას ქალზე რამდენი ცოცხლად დაბადებული ბავშვი მოდის;
- ბ) ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას;
- გ) ყოველ ათას კაცზე რამდენი ბავშვი მოდის;
- დ) ყოველ ათას ქალზე რამდენი ბავშვი მოდის.

23. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს:

- ა) ფერტილური ასაკის ყოველ ათას ქალზე რამდენი ცოცხლად დაბადებული ბავშვი მოდის;
- ბ) ყოველ ათას კაცზე რამდენი ბავშვი მოდის;
- გ) ყოველ ათას ქალზე რამდენი ბავშვი მოდის;
- დ) ერთი ქალის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას.

24. შობადობის კერძო კოეფიციენტებია

- ა) შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი;
- ბ) ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი;
- გ) ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

25. რომელი თეზისია სწორი:

- 1) ქალთა ნაყოფიერება ბოლომდე არ რეალიზდება ბუნებრივ შობადობაში;

2) ქალთა ნაყოფიერება ბოლომდე რეალიზდება ბუნებრივ შობადობაში.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

26. რომელი თეზისია სწორი:

1) როცა მოკვდაობა მაღალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა მცირეა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

2) როცა მოკვდაობა დაბალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა იზრდება, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

27. რომელი თეზისია სწორი:

1) როცა მოკვდაობა მაღალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა მცირეა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

2) როცა მოკვდაობა დაბალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა იზრდება, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, დადებით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

28. ჯ. ბონჰარტისის შობადობის მოდელით რეპროდუქციული ასაკის ყოველ ქალზე მაქსიმალური საშუალო ნაყოფიერებაა

- ა) 21,5 ბავშვი;
- ბ) 13,0 ბავშვი;

გ) 25,0 ბავშვი;

დ) 15,3 ბავშვი;

29. ქალთა ნაყოფიერების ზრდა დაკავშირებულია:

ა) მედიცინის განვითარებასთან;

ბ) ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებასთან;

გ) ცხოვრების ხარისხის ამაღლებასთან;

დ) ყველა ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორია.

30. რომელი თეზისია სწორი: ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ

1) შობადობა მაღალია იმ ქალებში, რომელთა სამუშაო პირობები საშუალებას იძლევა, სამუშაო და ოჯახი შეხამდეს;

2) შობადობა მაღალია რელიგიური განათლების მქონე ქალებში.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

31. რომელი თეზისია სწორი: ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ

1) შობადობა მაღალია იმ ქალებში, რომელთა სამუშაო პირობები საშუალებას არ იძლევა, სამუშაო და ოჯახი შეხამდეს;

2) შობადობა მაღალია რელიგიური განათლების მქონე ქალებში.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

32. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ ტიპში მაღალი მოკვდაობა განაპირობებდა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სიმცირეს, რის გამოც თაობათა განახლება შედარებით სწრაფად ხდებოდა;

2) მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ ტიპში მაღალი მოკვდაობა განაპირობებდა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხან-

გრძლივობის სიდიდეს, რის გამოც თაობათა განახლება შედარებით სწრაფად ხდებოდა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

33. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ ტიპში თაობათა განახლება სწრაფად ხდებოდა;

2) მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპში თაობათა განახლების პროცესი შენეულა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

34. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციულ ტიპში თაობათა განახლება ნელა ხდებოდა;

2) მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპში თაობათა განახლება სწრაფად ხდებოდა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

35. დემოგრაფიულ აფეთქებას ადგილი აქვს

- ა) დემოგრაფიული გადასვლის პირველ ფაზაში;
- ბ) დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში;
- გ) დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზაში;
- დ) დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაში;
- ე) დემოგრაფიული გადასვლის მეხუთე ფაზაში.

36. დეპოპულაციას ადგილი აქვს

- ა) დემოგრაფიული გადასვლის პირველ ფაზაში;
- ბ) დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზაში;
- გ) დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზაში;
- დ) დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაში;
- ე) დემოგრაფიული გადასვლის მეხუთე ფაზაში.

37. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი რეპროდუქციულ ასაკში;

2) მოსახლეობის აღწარმოების ნეტოკოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად ენაცვლება გოგონათა თაობა დედათა თაობას.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

38. რომელი თეზისია სწორი:

1) მოსახლეობის აღწარმოების ნეტოკოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი რეპროდუქციულ ასაკში;

2) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად ენაცვლება გოგონათა თაობა დედათა თაობას.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

39. რომელი თეზისია სწორი: გარი ბეკერის შობადობის მოდელი ეყრდნობოდა შემდეგ ჰიპოთეზებს -

1) როცა ადამიანური კაპიტალი მცირეა, შობადობა დიდია;

2) როცა ადამიანური კაპიტალი დიდია, მცირეა შობადობა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

40. რომელი თეზისია სწორი: გარი ბეკერის შობადობის მოდელი ეყრდნობოდა შემდეგ ჰიპოთეზებს -

- 1) როცა ადამიანური კაპიტალი დიდია, შობადობაც დიდია;
 - 2) როცა ადამიანური კაპიტალი მცირეა, მცირეა შობადობაც.
- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 - ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 - გ) ორივე თეზისი სწორია;
 - დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა

41. რომელი თეზისია სწორი: გ. ბეკერის შობადობის მოდელით

- 1) მაშინ, როცა შინამეურნეობის განუვლ ხარჯებში ბავშვთა აღზრდის ხარჯები ჭარბობს, დომინირებს შემოსავლის ეფექტი;
 - 2) მაშინ, როცა ბავშვთა განათლების ხარჯები და მათ აღზრდაზე დახარჯული დროც მცირეა, დომინირებს ჩანაცვლების ეფექტი.
- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 - ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 - გ) არც ერთი თეზისი სწორი არაა;
 - დ) ორივე თეზისი სწორია.

42. რომელი თეზისია სწორი: შულცის შობადობის მოდელით

- 1) ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ქალთა ხელფასის ზრდა ამცირებს შობადობას;
 - 2) ხელფასის ზრდა 18-34 ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებში ზრდის შობადობის დონეს, ხოლო 35-64 წლის ასაკში - ნეგატიურად აისახება შობადობის მაჩვენებელზე.
- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 - ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 - გ) ორივე თეზისი სწორია;
 - დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

43. შულცის შობადობის მოდელით, შობადობა იზრდება, თუ ხელფასი ეზრდება მამაკაცებს

- ა) 18-34 წლის ასაკში;

- ბ) 35-49 წლის ასაკში;
- გ) 50-64 წლის ასაკში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

44. რომელი თეზისია სწორი: შულცის შობადობის მოდელით

1) ხელფასის ზრდა 18-34 ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებში ზრდის შობადობის დონეს;

2) ხელფასის ზრდა 35-64 ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებში ნეგატიურად აისახება შობადობის დონეზე.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

45. ვის ეკუთვნის თეზისი: „შობადობის ცვლილებას აქვს ციკლური ხასიათი“.

- ა) რ. ისტერლინს;
- ბ) დ. მაკუნოვიჩს;
- გ) გ. ბეკერს;
- დ) დ. პოსტონს.

46. დ. მაკუნოვიჩის ასაკობრივი შობადობის მოდელით დადგინდა, რომ

- ა) ქალთა უმუშევრობა ნეგატიურად აისახება შობადობაზე;
- ბ) ქალთა დასაქმება დადებითად აისახება შობადობაზე;
- გ) ქალთა ხელფასის ზრდა პოზიტიურად აისახება შობადობაზე;
- დ) მამაკაცთა ხელფასის ზრდა ნეგატიურად აისახება შობადობაზე.

47. დ. მაკუნოვიჩის ასაკობრივი შობადობის მოდელით დადგინდა, რომ

- ა) ქალთა უმუშევრობა დადებითად აისახება შობადობაზე;
- ბ) ქალთა დასაქმება ნეგატიურად აისახება შობადობაზე;
- გ) ქალთა ხელფასის ზრდა პოზიტიურად აისახება შობადობაზე;
- დ) მამაკაცთა ხელფასის ზრდა ნეგატიურად აისახება შობადობაზე.

48. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აგებული მოდელით, რომელიც “Bachue PhullppInes” სახელითაა ცნობილი, დადგინდა, რომ

- ა) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ზრდასრული მოსახლეობის გაუნათლებლობის დონისა;
- ბ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი უკუპროპორციულია ქალთა გაუნათლებლობის დონისა;
- გ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა დასაქმების დონისა
- დ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა განათლების დონისა.

49. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აგებული მოდელით, რომელიც “Bachue PhullppInes” სახელითაა ცნობილი, დადგინდა, რომ

- ა) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი უკუპროპორციულია ქალთა გაუნათლებლობის დონისა;
- ბ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა დასაქმების დონისა;
- გ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა განათლების დონისა;
- დ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რიცხვისა.

50. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აგებული მოდელით, რომელიც “Bachue PhullppInes” სახელითაა ცნობილი, დადგინდა, რომ

- ა) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი უკუპროპორციულია სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდისა;
- ბ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი უკუპროპორციულია ქალთა გაუნათლებლობის დონისა;
- გ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა დასაქმების დონისა;

დ) მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი პირდაპირპროპორციულია ქალთა განათლების დონისა.

51. დ. პოსტონის მოდელით, შობადობის დონეზე არ მოქმედებს

- ა) გაუნათლებელთა წილის ზრდა;
- ბ) ქალთა დასაქმების ზრდა;
- გ) ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირება;
- დ) წარმოების დონე.

52. დ. პოსტონის მოდელით, შობადობის დონეზე მოქმედებს

- ა) მრენველობაში დასაქმებულთა წილის ზრდა;
- ბ) გაუნათლებელთა წილის ზრდა;
- გ) ქალთა დასაქმების ზრდა;
- დ) ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირება;
- ე) ყველა პასუხი სწორია.

53. დ. პოსტონის მოდელით შობადობის დონეზე მოქმედებს

- ა) მრენველობაში დასაქმებულთა წილის ზრდა;
- ბ) წარმოების დონე;
- გ) ერთ სულზე წარმოებული აგრარული პროდუქცია;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

54. ბლიუმ-კანინგი-მელონის მოდელით, 10%-ით შემოსავლის ზრდის პირობებში

- ა) შობადობა იზრდება 3,7-4,9%-ით;
- ბ) შობადობა მცირდება 3,7-4,9%-ით;
- გ) შობადობა მცირდება 10%-ით;
- დ) შობადობა იზრდება 10 %-ით.

თემა 6. მოსახლეობის ჯანმრთელობა და მოკვდაობა

1. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) ყოველ 1000 კაცზე საშუალოდ რამდენი გარდაცვლილი მოდის;
- ბ) ყოველ 1000 დაბადებულიდან რამდენი ადამიანი კვდება;
- გ) ყოველ 1000 ქალზე საშუალოდ რამდენი გარდაცვალება მოდის;
- დ) ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 1000 კაცზე რამდენი გარდაცვალება მოდის.

2. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) მოკვდაობის დონეს ხანდაზმულ ადამიანთა შორის;
- ბ) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას;
- გ) მოკვდაობას ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
- დ) არც ერთი ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორი არაა.

3. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი გვიჩვენებს

- ა) ყოველ 1000 კაცზე საშუალოდ რამდენი გარდაცვლილი მოდის;
- ბ) ყოველ 1000 დაბადებულიდან რამდენი ბავშვი კვდება;
- გ) ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 1000 კაცზე რამდენი გარდაცვალება მოდის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

4. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი მაღალია

- ა) ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში;
- გ) ეკონომიკური განვითარების დონეს მნიშვნელობა არა აქვს;
- დ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

5. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი დაბალია

- ა) ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

6. მოკვდაობა მიზეზების მიხედვით გაიანგარიშება

- ა) პროცენტებში, ყოველ 100 კაცზე;
- ბ) პროსანტიმილებში, ანუ ყოველ 100 000 კაცზე;
- გ) პრომილეში, ანუ ყოველ 1000 კაცზე;
- დ) პროდეციმილეში, ანუ ყოველ 10 000 კაცზე.

7. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა იზომება შემდეგ ერთეულებში

- ა) პრომილეში;
- ბ) პროდეციმილეში;
- გ) პროცენტებში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

8. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა მიზეზების მიხედვით იზომება:

- ა) პროდეციმილეში;
- ბ) პროცენტებში;
- გ) პროსანტიმილებში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

9. პირველი დასკვნები მოკვდაობაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესახებ ეკუთვნის

- ა) ჯონ გრაუნტს;
- ბ) ანტუან დეპარსიეს;
- გ) ა. ომრანს;
- დ) დ. მესანსს.

10. რომელია სწორი თეზისი:

1) ენდოგენური მოკვდაობა ხდება ადამიანის შიგა ფაქტორების ზემოქმედებით;

2) ეკზოგენური მოკვდაობა ხდება გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

11. რომელია სწორი თეზისი:

1) ენდოგენური მოკვდაობა ხდება ადამიანის გარე ფაქტორების ზემოქმედებით;

2) ეკზოგენური მოკვდაობა ხდება შიგა ფაქტორების ზემოქმედებით.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) ორივე თეზისი არასწორია;

12. ეპიდემიოლოგიური გადასვლის პროცესი, ძირითადად, განვითარდა

ა) მე-19 საუკუნის შუა ხანებში;

ბ) მე-19 საუკუნის დასაწყისში;

გ) მე-20 საუკუნის დასაწყისში;

დ) მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.

12. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გვიჩვენებს

ა) რამდენ წელს იცოცხლებს თითოეული ადამიანი, თუ მოკვდაობა იგივე იქნება, რაც მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრის მომენტშია;

ბ) რამდენ წელს იცოცხლებს საშუალოდ მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, თუ მოკვდაობის იგივე დონე იქნება, როგორც ის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრის მომენტში;

გ) როგორია გარდაცვლილთა მედიანური ასაკი;

დ) რამდენ წელს იცოცხლებს საშუალოდ ახალდაბადებული თაობა, თუ მოკვდაობის იგივე დონე იქნება, როგორც ის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის განსაზღვრის მომენტშია.

13. ემპირიული კვლევებით დადგენილია, რომ მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45-55%-ით დამოკიდებულია

ა) ადამიანთა ცხოვრების წესზე (კვება, შრომის პირობები, მატერიალურ-საცხოვრებელი პირობები);

- ბ) ეკოლოგიურ გარემოზე;
- გ) გენეტიკურ კოდზე;
- დ) საცხოვრებელ ადგილზე.

15. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტია

- ა) მდიდარ ქვეყნებში, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში;
- ბ) ქალებში, ვიდრე მამაკაცებში აფრიკის ქვეყნებში;
- გ) ყველა ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორია;
- დ) არც ერთი პასუხი სწორია არაა.

16. მიზეზების მიხედვით, მოკვდაობის სტრუქტურული ცვლილების ტენდენციას აღწერს

- დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია;
- დემოგრაფიული ოპტიმუმის კონცეფცია;
- ეპიდემიოლოგიური გადასვლის კონცეფცია;
- შობადობის ზრდის კონცეფცია.

17. რომელი თეზისია სწორი: საქართველოში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის

- ა) ყველაზე დაბალია შობადობის დონე;
- ბ) ყველაზე მაღალია შობადობის დონე;
- გ) ყველაზე მაღალია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა;
- დ) ყველაზე დაბალია მოკვდაობის დონე;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

18. მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზთაგან წამყვანია

- ა) კიბო;
- ბ) ტრავმები და მონამვლები;
- გ) სასუნთქი გზების დაავადებები;
- დ) გულსისხლძარღვთა დაავადებები.

19. „ეპიდემიოლოგიური გადასვლის“ თეორიის ერთ-ერთი ავტორია

- ა) ა. ომრანი;
- ბ) ჯონ გრაუნტი;

- გ) ჟაკ ბერტიონი;
- დ) ა. სუნდბერგი.

20. რომელი თეზისია სწორი: ეპიდემიოლოგიური გადასვლის პირველ სამ სტადიაზე

- ა) ძირითადად, უმჯობესდება ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობა, მეოთხეზე – ხანდაზმულთა და მოხუცთაა ჯანმრთელობა, განსაკუთრებით მამაკაცებში;
- ბ) ძირითადად, უმჯობესდება ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობა, მეოთხეზე – ხანდაზმულთა და მოხუცთაა ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ქალებში;
- გ) ძირითადად უმჯობესდება ხანდაზმულთა ჯანმრთელობა, მეოთხეზე – ბავშვთა და ახალგაზრდა ქალთა ჯანმრთელობა;
- დ) არც ერთი ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორი არაა.

21. ეპიდემიოლოგიური გადასვლის კლასიკური მოდელი დამახასიათებელია

- ა) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის;
- გ) პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის;
- დ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

22. თვითმოვლითი ქცევა მიმართულია

- ა) შობადობის ზრდისკენ;
- ბ) ჯანმრთელობის დაცვის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისკენ;
- გ) ქორწინების ზრდისკენ;
- დ) იმიგრაციის ზრდისკენ.

23. ეპიდემიოლოგიური გადასვლის თანამედროვე მოდელი დამახასიათებელია

- ა) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისთვის;
- გ) პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის;

დ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

24. რომელია სწორი თეზისი:

1) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა მე-20 საუკუნეში თავდაპირველად განსაზღვრა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ, ბოლო პერიოდში კი – ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის კლებამ;

2) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება მე-20 საუკუნეში თავდაპირველად განსაზღვრა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ, ბოლო პერიოდში კი – ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის კლებამ.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

25. რომელია სწორი თეზისი:

1) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება მე-20 საუკუნეში თავდაპირველად განსაზღვრა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ, ბოლო პერიოდში კი – ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის კლებამ;

2) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა მე-20 საუკუნეში თავდაპირველად განსაზღვრა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ, ბოლო პერიოდში კი – ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის კლებამ.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

26. მოკვდაობის ცხრილების ასაგებად საჭირო ამოსავალი ინფორმაციაა

ა) მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები;

ბ) მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები;

გ) მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი;

დ) შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები

ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

27. სიცოცხლის მოდალური ხანგრძლივობა არის

- ა) ასაკი ხანდაზმულობის პერიოდში, რომელშიც გარდაცვალების სიხშირე ყველაზე მაღალია;
- ბ) ასაკი, რომელსაც აღწევს ახალშობილთა ნახევარი;
- გ) ცოცხალთა საშუალო ასაკი;
- დ) გარდაცვლილთა საშუალო ასაკი;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

28. სიცოცხლის მედიანური ასაკი არის

- ა) ასაკი, რომელსაც აღწევს ახალშობილთა ნახევარი;
- ბ) ასაკი ხანდაზმულობის პერიოდში, რომელშიც გარდაცვალების სიხშირე ყველაზე მაღალია;
- გ) სიცოცხლის ზღვრული ასაკი;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

29. სიცოცხლის ნორმალური ხანგრძლივობა იგივეა, რაც

- ა) სიცოცხლის მედიანური ხანგრძლივობა;
- ბ) სიცოცხლის მოდალური ხანგრძლივობა;
- გ) სიცოცხლის ზღვრული ხანგრძლივობა;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

30. ეპიდემიოლოგიური გადასვლის ტემპი დამოკიდებულია

- ა) ეკობიოლოგიურ გარემოზე;
- ბ) მედიცინის განვითარებაზე;
- გ) სოციოკულტურულ გარემოზე;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

31. ეპიდემიოლოგიური გადასვლის ტემპი არაა დამოკიდებულია

- ა) მხოლოდ სამედიცინო მომსახურების განვითარებაზე;
- ბ) ეკობიოლოგიურ გარემოზე;
- გ) მედიცინის განვითარებაზე;
- დ) სოციოკულტურულ გარემოზე.

32. ეპიდემიოლოგიური გადასვლის პროცესში უკუგადასვლის მაგალითია

- ა) შიდსის ეპიდემია აფრიკაში;
- ბ) დემოგრაფიული აფეთქება;
- გ) დემოგრაფიული დაბერება განვითარებულ ქვეყნებში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

33. ეპიდემიოლოგიური გადასვლის პროცესში უკუგადასვლის მაგალითია:

- ა) მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ზრდასრულ მამაკაცთა მოკვდაობის ზრდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;
- ბ) დემოგრაფიული აფეთქება;
- გ) დემოგრაფიული დაბერება განვითარებულ ქვეყნებში;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

34. რომელი თეზისია სწორი:

1) პირველი ეპიდემიოლოგიური რევოლუცია დაიწყო 1960-იან წლებში და ეწოდა „სანიტარული“;

2) მეორე ეპიდემიოლოგიური რევოლუცია მოხდა 1970-90-იან წლებში და ეწოდა „პროფილაქტიკური“.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

35. რომელი თეზისია სწორი:

1) პირველი ეპიდემიოლოგიური რევოლუცია დაიწყო 1960-იან წლებში და ეწოდა „პროფილაქტიკური“;

2) მესამე ეპიდემიოლოგიური რევოლუცია დაიწყო 1990-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში და მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებისაკენ.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

36. რომელი თეზისია სწორი:

1) პირველი ეპიდემიოლოგიური რევოლუცია დამთავრდა 1960-იან წლებში და ეწოდა „სანიტარული“;

2) მესამე ეპიდემიოლოგიური რევოლუცია დაიწყო 1990-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში და მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებისაკენ.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

37. ბუნებრივი შერჩევის ეფექტით

ა) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან

ბ) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;

გ) კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალებათა შემთხვევების შემცირება;

დ) მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შემცირება უფრო მეტად ზრდის იმ მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელსაც ქრონიკული დაავადებები აქვს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

38. კოჰორტის ეფექტით

ა) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;

ბ) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან;

გ) კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალებათა შემთხვევების შემცირება;

დ) მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შემცირება უფრო მეტად ზრდის იმ მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელსაც ქრონიკული დაავადებები აქვს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

39. უკუკოჰორტული ეფექტის ჰიპოთეზით

- ა) კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალებათა შემთხვევების შემცირება;
- ბ) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;
- გ) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან;
- დ) მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შემცირება უფრო მეტად ზრდის იმ მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელსაც ქრონიკული დაავადებები აქვს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

40. გადადებული სიკვდილის ჰიპოთეზით

- ა) კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალებათა შემთხვევების შემცირება;
- ბ) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;
- გ) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან;
- დ) მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების შემცირება უფრო მეტად ზრდის იმ მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომელსაც ქრონიკული დაავადებები აქვს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

41. ავადობის შემცირების ეფექტით

- ა) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;

- ბ) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან;
- გ) კვების გაუმჯობესებას მივყავართ იმუნური სისტემის გაუმჯობესებისკენ, რის შედეგადაც ხდება მწვავე ინფექციური დაავადებებით გარდაცვალებათა შემთხვევების შემცირება;
- დ) სიცოცხლის ბოლო წლებში ქრონიკული დაავადებების დაჩქარებულ კონცენტრაციას მივყავართ მოკვდაობის მაჩვენებელთან შედარებით ავადობის მაჩვენებლის მეტად შემცირებამდე.

42. სამედიცინო მომსახურების ეფექტით

- ა) სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება განაპირობებს არა მარტო მოკვდაობის შემცირებას, არამედ საკუთარი ჯანმრთელობისადმი ყურადღების გაძლიერებას;
- ბ) სიცოცხლის ბოლო წლებში ქრონიკული დაავადებების დაჩქარებულ კონცენტრაციას მივყავართ, მოკვდაობის მაჩვენებელთან შედარებით, ავადობის მაჩვენებლის მეტად შემცირებამდე;
- გ) სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით იზრდება ავადობის სიხშირე და მოკვდაობის ალბათობა;
- დ) მოკვდაობის ალბათობის შემცირებას მივყავართ ავადობის უფრო სწრაფ გავრცელებასთან.

43. ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ეკონომიკური მოდელი ეყრდნობა

- ა) ეპიდემიოლოგიური გადასვლის თეორიას;
- ბ) დემოგრაფიული გადასვლის თეორიას;
- გ) მიგრაციული გადასვლის თეორიას;
- დ) ადამიანური კაპიტალის თეორიას.

44. გროსმანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ეკონომიკური მოდელით

- ა) ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ჯანმრთელობის მარაგი და ჯანდაცვის ხარჯები;
- ბ) ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ჯანმრთელობის მარაგისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- გ) განათლების დონე და ხელფასის განაკვეთი პოზიტიურ გავლენას ახდენს ჯანმრთელობის მოთხოვნაზე;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

45. გროსმანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ეკონომიკური მოდელით

- ა) ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ჯანმრთელობის მარაგის შემცირება და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- ბ) განათლების დონე და ხელფასის განაკვეთი ნეგატიურ გავლენას ახდენს ჯანმრთელობის მოთხოვნაზე;
- გ) ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ჯანმრთელობის მარაგი და ჯანდაცვის ხარჯები;
- დ) ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ჯანმრთელობის მარაგისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა.

46. გროსმანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ეკონომიკური მოდელით

- ა) განათლების დონე და ხელფასის განაკვეთი ნეგატიურ გავლენას ახდენს ჯანმრთელობის მოთხოვნაზე;
- ბ) ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება ჯანმრთელობის მარაგი და ჯანდაცვის ხარჯები;
- გ) ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ჯანმრთელობის მარაგისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდა;
- დ) ჯანდაცვის ხარჯების ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ჯანმრთელობის კაპიტალის გაუფასურების ზრდის ტემპთან.

47. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის Bachue-International-ის ემპირიული მოდელით

- ა) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია საშუალო სულადობრივი შემოსავლისა;
- ბ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია საშუალო სულადობრივი შემოსავლისა;
- გ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია შემოსავლების უთანაბრო განაწილებისა;
- დ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია მოსახლეობის განათლების დონისა.

48. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის Bachue-International-ის ემპირიული მოდელით

- ა) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფისა;
- ბ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია საშუალო სულადობრივი შემოსავლისა;
- გ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია შემოსავლების უთანაბრო განაწილებისა;
- დ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია მოსახლეობის განათლების დონისა.

49. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის Bachue-International-ის ემპირიული მოდელით

- ა) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია მოსახლეობის განათლების დონისა;
- ბ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია საშუალო სულადობრივი შემოსავლისა;
- გ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) პირდაპირპროპორციულია შემოსავლების უთანაბრო განაწილებისა;
- დ) მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (e_x) უკუპროპორციულია მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფისა.

50. გაეროს მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მოდელით, ერთ სულზე მშპ-ს 1%-ით ზრდა

- ა) 1,8% ზრდის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას;
- ბ) 2% ზრდის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას;
- გ) 3,5% ზრდის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას;
- დ) 1%-ით ზრდის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას.

51. რომელი თეზისია სწორი:

1) სულადობრივი შემოსავლის ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს გრძელვადიან პერიოდში, რადგან მასზე, შემოსავლების გარდა, უამრავი სოციალური თუ სხვა სახის ფაქტორი ახდენს გავლენას;

2) სულადობრივი შემოსავლის ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს მოკლევადიან პერიოდში, რადგან მასზე, შემოსავლების გარდა, უამრავი სოციალური თუ სხვა სახის ფაქტორი ახდენს გავლენას.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

52. რომელი თეზისია სწორი:

1) სულადობრივი შემოსავლის ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს მოკლევადიან პერიოდში, რადგან მასზე, შემოსავლების გარდა, უამრავი სოციალური თუ სხვა სახის ფაქტორი ახდენს გავლენას;

2) სულადობრივი შემოსავლის ზრდა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს გრძელვადიან პერიოდში, რადგან მასზე, შემოსავლების გარდა, უამრავი სოციალური თუ სხვა სახის ფაქტორი ახდენს გავლენას.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

53. სიცოცხლის ზღვრული მოსალოდნელი ხანგრძლივობა არის

- ა) მაქსიმალური ასაკი, რომლის მიღწევა შეუძლია ადამიანს ცხოვრების ოპტიმალურ პირობებში;
- ბ) გარდაცვლილთა საშუალო ასაკი;
- გ) მოსახლეობის საშუალო ასაკი;
- დ) გარდაცვალების მოდალური ასაკი.

თემა 7. ოჯახის დემოეკონომიკა

1. ქორწინებადობა ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლით

- ა) დაქორწინების საშუალო ასაკით;
- ბ) პოტენციური ქორწინების მაჩვენებლებით;
- გ) ქორწინებადობის ალბათური ცხრილებით;
- დ) ყველა ჩამოთვლილი მაჩვენებლით.

2. ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) ქორწინების ინტენსივობას ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში;
- ბ) ქორწინების ინტენსივობას 16 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში;
- გ) ქორწინების ინტენსივობას მთელ მოსახლეობაში;
- დ) ქორწინების ინტენსივობას ცალკეული სქესის მიხედვით.

3. ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს

- ა) ქორწინებათა საერთო რაოდენობას;
- ბ) მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ერთხელ მაინც იყო დაქორწინებული;
- გ) ქორწინებათა რაოდენობას მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით;
- დ) ქორწინების დონეს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

4. ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი გაიანგარიშება

- ა) მხოლოდ მთელი მოსახლეობისათვის;
- ბ) მხოლოდ ქალებისათვის;
- გ) მხოლოდ მამაკაცებისათვის;
- დ) ყველა ჩამოთვლილი ჯგუფისათვის.

5. განქორწინებადობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები

- ა) განქორწინების აბსოლუტური რიცხვი;
- ბ) განქორწინების კოეფიციენტები;

- გ) განქორწინებადობის ცხრილები;
- დ) ყველა აღნიშნული მაჩვენებელი;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

6. ოჯახი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს

- ა) სისხლისმიერი ნათესაობა;
- ბ) ერთი საცხოვრებელი;
- გ) საერთო ბიუჯეტი;
- დ) ყველა აღნიშნული ნიშანი.

8. საქართველოში ძირითადად გავრცელებულია

- ა) ოთხსულიანი ოჯახები;
- ბ) სამსულიანი ოჯახები;
- გ) ორსულიანი ოჯახები;
- დ) ხუთსულიანი ოჯახები;
- ე) ექვსსულიანი ოჯახები.

9. რომელი თეზისია სწორი

1) შრომის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით ოჯახში მამაკაცთა გადანყვეტილებას განსაზღვრავს ე.წ. „შემოსავლის ეფექტი“, ქალების გადანყვეტილებას - „ჩანაცვლების ეფექტი“;

2) შრომის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით ოჯახში მამაკაცთა გადანყვეტილებას განსაზღვრავს ე.წ. „ჩანაცვლების ეფექტი“, ქალების გადანყვეტილებას - „შემოსავლის ეფექტი“.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) (1) და (2) თეზისი სწორია;
- დ) (1) და (2) თეზისი არასწორია.

10. რომელი განმარტებაა სწორი:

1) დინასტიური ბიუჯეტი ენოდება შინამეურნეობის ბიუჯეტს, რომლითაც სარგებლობს რამდენიმე თაობა;

2) დინასტიური ბიუჯეტი ენოდება შინამეურნეობის ბიუჯეტს, რომელიც გამოიყენება მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე შვილებისა და მშობლების მოხმარებაზე.

- ა) (1) განმარტება სწორია, (2) განმარტება არასწორია;

- ბ) (2) განმარტება სწორია, (1) განმარტება არასწორია;
- გ) არც ერთი განმარტება არაა სწორი;
- დ) ორივე განმარტება სწორია.

11. რა არის „დემოგრაფიული სიღარიბე“?

ა) ბავშვებისათვის ეფექტური საინვესტიციო პორტფელის შექმნის უუნარობა;

- ბ) ოჯახში შემოსავლების შემცირება;
- გ) ოჯახში შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება;
- დ) არც ერთი განმარტება სწორი არაა.

12. ოჯახის დემოგრაფიული ფუნქციაა

- ა) თაობათა უწყვეტი ცვლა;
- ბ) ოჯახური ცხოვრების ტრადიციების გადაცემა;
- გ) ბინით უზრუნველყოფა;
- დ) ოჯახის შემოსავლებით უზრუნველყოფა.

13. სერიული მონოგამია არის

- ა) ხელმეორე ქორწინება;
- ბ) ერთწყვილიანი ქორწინება;
- გ) მრავალწყვილიანი ქორწინება;
- დ) მრავალჯერადი განქორწინება.

14. თაობათაშორისი ტრანსფერტები გვხვდება

- ა) მხოლოდ ფულადი ფორმით;
- ბ) მხოლოდ ნატურალური ფორმით;
- გ) ფულადი და ნატურალური ფორმით;
- დ) დროითი ფორმით;
- ე) ყველანაირი ფორმით (ფულადი, ნატურალური, დროითი).

15. რომელი თეზისია სწორი:

1) ხელფასის ზრდაზე უფრო მეტად რეაგირებენ ქალები, ვიდრე მამაკაცები;

2) ხელფასის ზრდაზე უფრო მეტად რეაგირებენ მამაკაცები, ვიდრე ქალები.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ა) და ბ) თეზისი სწორია;
- დ) ა) და ბ) თეზისი არასწორია.

16. ოჯახის ბიუჯეტში შემოსავლის სიდიდე დამოკიდებულია

- ა) ოჯახის წევრთა დასაქმებაზე;
- ბ) ოჯახის წევრთა ხელფასის სიდიდეზე;
- გ) ინფლაციაზე;
- დ) ყველა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორზე.

17. ოჯახი ნუკლეარულია თუ

- ა) ის შედგება ერთი საქორწინო წყვილისაგან ბავშვებით ან უბავშვე-ბოდ;
- ბ) ის შედგება რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან;
- გ) მის შემადგენლობაში ბავშვებთან ერთად ოჯახის სხვა ნათესავე-ბიც შეიძლება შედიოდნენ;
- დ) ყველა ზემოთ მოცემული განმარტება მცდარია.

18. რომელი თეზისია სწორი:

1) განქორწინება უფრო ხშირია არარეგისტრირებული ქორწინე-ბისას, ვიდრე რეგისტრირებული ქორწინებისას;

2) განქორწინება უფრო ხშირია ხელმეორე ქორწინებისას, ვიდრე პირველი ქორწინებისას.

- ა) (1) და (2) თეზისი სწორია;
- ბ) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- გ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- დ) ა) და ბ) თეზისი არასწორია.

19. რომელი თეზისია სწორი

1) რაც მეტია ქორწინება მით მეტია ოჯახის ზომა;

2) რაც უფრო ნაკლებია მოკვდაობა, მით მეტია ოჯახის ზომა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) (1) და (2) თეზისი სწორია;
- დ) (1) და (2) თეზისი არასწორია.

20. რომელი კონცეფციის ამოსავალი თეზისია: „მშობელთა სარგებლიანობის ფუნქცია დამოკიდებულია შვილების საჭირო მოხმარებაზე, რაც საფუძვლად უდევს მათ მიერ გაცემულ ტრანსფერტებს“.

- ა) წმინდა ალტრუისტული ნეოკლასიკური კონცეფცია;
- ბ) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფცია;
- გ) კრედიტირების კონცეფცია;
- დ) მშობელთა პატერნალიზმის კონცეფცია;
- ე) დემონსტრირების ეფექტის კონცეფცია.

21. ოჯახის სოციალური ფუნქცია არაა

- ა) ოჯახური ცხოვრების ტრადიციების გადაცემა;
- ბ) ბინით უზრუნველყოფა;
- გ) თაობათა უწყვეტი ცვლა;
- დ) ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

22. ოჯახის ეკონომიკური ფუნქციაა

- ა) ოჯახის შემოსავლებით უზრუნველყოფა;
- ბ) ოჯახური ცხოვრების ტრადიციების გადაცემა;
- გ) ბინით უზრუნველყოფა;
- დ) თაობათა უწყვეტი ცვლა.

23. რომელი კონცეფციის ამოსავალი თეზისია: „თაობათაშორისი ტრანსფერტები ესაა ინვესტიცია, რომელმაც უკუგება უნდა მოგვცეს მომავალში“.

- ა) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფცია;
- ბ) წმინდა ალტრუისტული კონცეფცია;
- გ) ე.წ. „სამარიტული დილემის“ კონცეფცია;
- დ) მშობელთა პატერნალიზმის კონცეფცია;
- ე) დემონსტრირების ეფექტის კონცეფცია.

24. საქართველოში პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 1990-იანი წლებიდან დღემდე

- ა) იზრდება;
- ბ) მცირდება;
- გ) არ იცვლება;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

25. ამჟამად, საქართველოში ქორწინების გარეშე შობადობის..

- ა) ზრდის ტენდენციაა;
- ბ) შემცირების ტენდენციაა;
- გ) ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა;
- დ) შეუძლებელია ამ პროცესის შეფასება.

26. განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი გვიჩვენებს:

- ა) განქორწინებათა თანაფარდობას იგივე პერიოდში საქორწინო წყვილთა საშუალო რაოდენობასთან;
- ბ) დაქორწინებათა თანაფარდობას იგივე პერიოდში საქორწინო წყვილთა საშუალო რაოდენობასთან;
- გ) განქორწინებათა თანაფარდობას იგივე პერიოდში განქორწინებულ წყვილთა საშუალო რაოდენობასთან;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

27. რომელი თეზისია სწორი

1) *ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია 25-29 წლის მაკაცებისათვის და 20-24 წლის ქალებისათვის;*

2) *ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია 20-24 წლის მაკაცებისათვის და 25-29 წლის ქალებისათვის.*

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისია არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

28. რომელი თეზისია სწორი:

1) მცირე საცხოვრებელი ფართი ზღუდავს ბავშვთაშობას და აფერხებს განქორწინებას;

2) მცირე საცხოვრებელი ფართი ზღუდავს ბავშვთა შობას და ზრდის განქორწინებას.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისია არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

29. რომელი თეზისია სწორი: „შემოსავლის ეფექტი“ არსებით გავლენას ახდენს

1) იმ გათხოვილი ქალების შრომის მიწოდებაზე, რომლებშიც განქორწინების ალბათობა მეტია;

2) იმ განქორწინებული ქალების შრომის მიწოდებაზე, რომლებშიც დაქორწინების ალბათობა მეტია.

ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;

ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;

გ) ორივე თეზისი სწორია;

დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

30. ტრანსფერტულად შეზღუდულია შინამეურნეობა, თუ

ა) თუ მას ნაწილობრივ მაინც შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;

ბ) თუ მას შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;

გ) მას არ შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;

დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

31. ტრანსფერტულად შეუზღუდავია შინამეურნეობა, თუ

ა) თუ მას შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;

ბ) მას არ შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;

- გ) თუ მას ნაწილობრივ შეუძლია ბავშვებში ინვესტირების პორტფელის ეფექტიანი ფორმირება;
 დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

32. რომელი თეზისია სწორი:

- 1) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო იზრდება თაობათაშორისი ტრანსფერტები;*
 2) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მცირდება თაობათაშორისი ტრანსფერტები.*
 ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისია არასწორია;
 გ) ორივე თეზისი სწორია;
 დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

33. რომელი თეზისია სწორი:

- 1) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო იზრდება თაობათაშორისი ტრანსფერტები;*
 2) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მიუხედავად, თაობათაშორისი ტრანსფერტები არ იცვლება.*
 ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 ბ) (1) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 გ) ორივე თეზისი სწორია;
 დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

34. რომელი თეზისია სწორი:

- 1) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მიუხედავად, თაობათაშორისი ტრანსფერტები არ იცვლება;*
 2) *სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მცირდება თაობათაშორისი ტრანსფერტები.*
 ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
 ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
 გ) ორივე თეზისი სწორია;
 დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

35. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის ალტრუისტული კონცეფცია მოიცავს

- ა) ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კონცეფციას;
 - ბ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;
 - გ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
 - დ) ე.წ. სამარიტული დილების კონცეფციას.
- ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კონცეფციას

36. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის ალტრუისტული კონცეფცია არ მოიცავს

- ა) მშობელთა ძალაუფლების კონცეფციას;
- ბ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;
- გ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
- დ) ე.წ. სამარიტული დილების კონცეფციას.

37. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის ეგოისტური კონცეფცია მოიცავს

- ა) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას;
- ბ) კრედიტირების კონცეფციას;
- გ) მშობელთა ძალაუფლების კონცეფციას;
- დ) ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კონცეფციას.

38. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის ეგოისტური კონცეფცია არ მოიცავს

- ა) ე.წ. სამარიტული დილების კონცეფციას;
- ბ) კრედიტირების კონცეფციას;
- გ) მშობელთა ძალაუფლების კონცეფციას;
- დ) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას.

39. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის შუალედური კონცეფცია მოიცავს

- ა) არასრული ალტრუიზმის კონცეფციას;
- ბ) ე.წ. სამარიტული დილების კონცეფციას;
- გ) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას;

დ) კრედიტირების კონცეფციას.

40. მშობელთა ტრანსფერტების მოტივაციის შუალედური კონცეფცია მოიცავს

- ა) ოჯახური ფონდის დაზღვევის კონცეფციას;
- ბ) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას;
- გ) კრედიტირების კონცეფციას;
- დ) მშობელთა ძალაუფლების კონცეფციას.

41. რომელ კონცეფციას ეკუთვნის თეზისი: „მშობლები შვილების სიყვარულის გამო ზრუნავენ მათ კეთილდღეობაზე“.

- ა) წმინდა ალტრუისტული ნეოკლასიკური თეორია;
- ბ) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას;
- გ) კრედიტირების კონცეფციას;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

42. რომელი თეზისია სწორი:

1) თუ შვილების შემოსავლებს მუდმივ დონედ მივიჩნევთ, ტრანსფერტების მიღების ალბათობა იზრდება მშობელთა სიმდიდრის ზრდის მიხედვით;

2) თუ მშობლების შემოსავალს მუდმივ დონედ მივიჩნევთ, შვილებისაკენ მიმართული ტრანსფერტები გაიზრდება მათი შემოსავლების შემცირებასთან ერთად და შემცირდება შვილების შემოსავლის გაზრდის შემთხვევაში.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

43. რომელ კონცეფციას ეკუთვნის თეზისი: „მშობლების მიერ შვილებისკენ მიმართული ტრანსფერტები არის ინვესტიცია, რომელმაც უკუგება უნდა მოგვცეს მომავალში“.

- ა) ტრანსფერტთა გაცვლის კონცეფციას;
- ბ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;

- გ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
- დ) ე.წ. სამარიტული დილემის კონცეფციას.

44. რომელ კონცეფციას ეკუთვნის თეზისი: „შვილები მომსახურებას უნევენ მშობლებს კრედიტის სახით, ხოლო მშობლები ამ კრედიტს იხდიან მემკვიდრეობის გადაცემით“.

- ა) ტრანსფერტა კრედიტირების კონცეფცია;
- ბ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;
- გ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
- დ) ე.წ. სამარიტული დილემის კონცეფციას.

45. რომელ კონცეფციას ეკუთვნის თეზისი: „როცა შვილები მშობლებზე ზრუნავენ, ამით ისინი დემონსტრირებას უკეთებენ საკუთარ ქცევას და უჩვენებენ შვილებს, როგორ უნდა იზრუნონ მშობლებზე“.

- ა) დემონსტრაციული ეფექტის კონცეფცია;
- ბ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;
- გ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
- დ) ე.წ. სამარიტული დილემის კონცეფციას.

46. რომელ კონცეფციას ეკუთვნის თეზისი: მშობელთა სარგებლიანობა განისაზღვრება არა შვილების მოხმარებით, არამედ სასურველი მემკვიდრეობით, რომელიც ნიშანია მშობელთა ძალაუფლებისა.

- ა) მშობელთა ძალაუფლების კონცეფცია;
- ბ) სათანადო აღზრდას მოკლებული ბავშვის თეორემას;
- გ) ე.წ. სამარიტული დილემის კონცეფციას;
- დ) წმინდა ალტრუიზმის კონცეფციას;
- ე) კრედიტირების კონცეფციას.

თემა 8. მოსახლეობისა და ადამიანური რესურსების მიგრაცია

1. რომელი თეზისია სწორი:

1) იმ პირს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აღწერების, ან გამოკვლევების დროს არ ემთხვევა მის დაბადების ადგილს, სამუდამო მიგრანტი ეწოდება;

2) იმ პირს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აღწერების, ან გამოკვლევების დროს ემთხვევა მის დაბადების ადგილს, სამუდამო მიგრანტი ეწოდება.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

2. მიგრაციის სალდო იგივეა, რაც

- ა) მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა ჯამი;
- ბ) მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა თანაფარდობა;
- გ) მიგრაციული ზრდა;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

3. მიგრაციის სალდო იგივეა, რაც

- ა) წმინდა მიგრაცია;
- ბ) საერთო მიგრაცია;
- გ) მთლიანი მიგრაცია;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

4. მთლიანი მიგრაცია ესაა

- ა) მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა ჯამი;
- ბ) მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა სხვაობა;

- გ) მოცემული დასახლებული პუნქტიდან (ქვეყნიდან) წასულთა და ჩამოსულ ნაკადთა თანაფარდობა;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

5. მიგრაციის სალდო ესაა

- ა) მოცემული დასახლებული პუნქტიდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა სხვაობა;
- ბ) მოცემულ დასახლებული პუნქტიდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა ნამრავლი;
- გ) მოცემული დასახლებული პუნქტიდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა ჯამი;
- დ) მოცემული დასახლებული პუნქტიდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა თანაფარდობა.

6. მიგრაციის კოეფიციენტი განისაზღვრება

- ა) წასულთა და ჩამოსულთა თანაფარდობით;
- ბ) წასულთა და ჩამოსულთა ჯამით;
- გ) მიგრაციულ გადაადგილებათა რაოდენობის თანაფარდობით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვთან დროის მოცემულ მომენტში;
- დ) წასულთა და ჩამოსულთა სხვაობით.

7. ე. წ. ჩამოსულთა კოეფიციენტი განისაზღვრება

- ა) დროის მოცემულ ინტერვალში მიგრაციის პუნქტში ჩასულთა რიცხვის თანაფარდობით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვთან;
- ბ) დროის მოცემულ ინტერვალში მიგრაციის პუნქტიდან წასულთა თანაფარდობით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვთან;
- გ) წასულთა და ჩამოსულთა თანაფარდობით;
- დ) წასულთა და ჩამოსულთა ჯამით.

8. ე.წ. წასულთა კოეფიციენტი განისაზღვრება

- ა) წასულთა და ჩამოსულთა თანაფარდობით;
- ბ) წასულთა და ჩამოსულთა ჯამით;
- გ) წასულთა და ჩამოსულთა სხვაობით;

დ) დროის მოცემულ ინტერვალში მიგრაციის პუნქტიდან წასულთა რიცხვის თანაფარდობით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვთან.

9. მიგრაციის იდენტიფიკაციის კრიტერიუმი არაა

- ა) მომთაბარეთა (ბოშები) გადაადგილება;
- ბ) პოლიტიკური არასტაბილურობა;
- გ) საბინაო პირობების შეცვლა;
- დ) სამუშაოს ძებნა.

10. ჩამოთვლილთაგან, რომელია ე. რავენშტაინის მთავარი თეზისი

- ა) მიგრაცია სიცოცხლესა და პროგრესს ნიშნავს, მცირე მობილობა--სტაგნაციას;
- ბ) საზოგადოებას სწრაფად ავითარებს მოსახლეობის მცირე ტერიტორიული მობილურობა;
- გ) მოსახლეობის მიგრაცია რეგრესია, იგი აფერხებს განვითარებას, რაც უძრავია მოსახლეობა, მით სწრაფად ვითარდება;
- დ) შობადობის შეზღუდვითა და პოლისს გარეთ გასახლება-ჩამოსახლებით უნდა აცილებული იქნეს ჭარბმოსახლეობა.

11. „შრომის ბაზრის“ თეორიის მიხედვით, რომელი თეზისია მცდარი

- ა) შრომითი იმიგრანტები იკავებენ უმეტესად დაბალი ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილებს;
- ბ) შრომითი იმიგრანტები მიიზიდებიან უმეტესად მაღალკვალიფიციურ, დიდი ანაზღაურების სამუშაოზე;
- გ) შრომითი იმიგრანტები იკავებენ უმეტესად არასტაბილურ სამუშაო ადგილებს;
- დ) შრომითი იმიგრანტები იკავებენ უმეტესად ცუდი შრომითი პირობების მქონე ადგილებს.

12. ბოლო მონაცემებით რომელ ქვეყანაში იმყოფება ყველაზე მეტი იმიგრანტი

- ა) გერმანიაში;
- ბ) აშშ-ში;
- გ) რუსეთში;

- დ) საფრანგეთში;
- ე) კანადაში;
- ვ) ავსტრალიაში.

13. რომელი თეზისია შეცდომა

- ა) „ტვინების“ გადინება ხდება განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადში;
- ბ) „ტვინების“ გადინება ხდება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულში;
- გ) „ტვინების“ გადინება ხდება პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში;
- დ) „ტვინების“ გადინება ხდება მაღრიბის ქვეყნებიდან ევროპაში.

14. შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია ყველაზე მეტად დამახასიათებელია:

- ა) სასოფლო რაიონებისათვის;
- ბ) საკურორტო ქალაქებისათვის;
- გ) საშუალო და პატარა ქალაქებისათვის;
- დ) დიდი ქალაქის გარეუბნებისათვის.

15. რა ინვესს სეზონურ მიგრაციას?

- ა) რომელიმე რეგიონის სამუშაო ძალაზე რყევადი მოთხოვნა;
- ბ) დიდი ქალაქების ზრდა;
- გ) ზაფხულის სეზონში ადამიანთა გადაადგილება კურორტზე დასასვენებლად;
- დ) საქალაქო აგლომერაციებისა და მეგაპოლისების წარმოშობა.

16. ძველ ბერძენ მოაზროვნეთაგან ვინ განიხილავდა პოლისების ჭარბდასახლების პრობლემის მოგვარებას მიგრაციის მეშვეობით

- ა) თალესი;
- ბ) პითაგორა;
- გ) სოკრატე;
- დ) პლატონი.

17. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის იძულებითი მიგრაციის მიზეზი

- ა) ეკოლოგიური კატასტროფები;
- ბ) სამხედრო მოქმედებები;
- გ) ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები;
- დ) უკეთესი სამუშაოს ძებნა.

18. საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციებიდან რომელია არასწორი

- ა) არალეგალური მიგრაციის მასშტაბები კლებულობს;
- ბ) მიმდინარეობს მიგრაციული პროცესების გლობალიზაცია;
- გ) იძულებითი მიგრაციის მასშტაბები იზრდება;
- დ) მიგრაციული ნაკადები ხარისხობრივად იცვლება.

19. როგორ ხასიათს ატარებს საქართველოდან სხვა ქვეყნებში შრომითი ემიგრაცია

- ა) შრომითი ემიგრაცია უმთავრესად არალეგალურია;
- ბ) შრომითი ემიგრაცია უმთავრესად ლეგალურია;
- გ) შრომითი ემიგრაცია ხორციელდება სამუშაო ძალის გადაადგილებაზე უმეტესად სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

20. შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია არის

- ა) საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა;
- ბ) სამუშაოდ და სასწავლებლად სიარული ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში;
- გ) მთიანი რეგიონებიდან ბარად გადასახლება;
- დ) სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ორგანიზებული ჩასახლება.

21. ე. რავენშტაინის ჩამოთვლილი „კანონებიდან“, რომელია მცდარი

- ა) მიგრაცია უმეტესად გრძელ მანძილზე ხორციელდება;
- ბ) მიგრაცია ხორციელდება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ;
- გ) ყოველ მიგრაციულ ნაკადს შეესაბამება კონტრნაკადი;

დ) მიგრაციული მოძრაობის თვალსაზრისით, ქალაქის მცხოვრებნი ნაკლებად მოძრავნი არიან, ვიდრე სოფლებსა.

22. რომელი თეორია განიხილავს მთავარ დებულებად შემდეგს: „მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის დაზღვევისა და რისკების მინიმიზაცია“.

- ა) ახალი ეკონომიკური თეორია;
- ბ) ნეოკლასიკური თეორია;
- გ) შრომის მეორეული ბაზრის თეორია;
- დ) მიგრაციის სამი სტადიის თეორია.

23. ე. რავენშტაინის ჩამოთვლილი „კანონებიდან“, რომელია მცდარი

- ა) მიგრაციული მოძრაობის თვალსაზრისით ქალაქის მცხოვრებნი მეტად მოძრავნი არიან, ვიდრე სოფლებსა;
- ბ) მიგრაცია უმეტესად მოკლე მანძილზე ხორციელდება;
- გ) მიგრაცია ხორციელდება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ;
- დ) ყოველ მიგრაციულ ნაკადს შეესაბამება კონტრნაკადი.

24. რომელი ტენდენცია არაა დამახასიათებელი თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციისთვის?

- ა) მიგრაციული პროცესების გლობალიზაცია;
- ბ) მიგრაციული ნაკადების ხარისხობრივი ცვლილება;
- გ) მიგრაციული პოლიტიკის ორმაგი ხასიათი;
- დ) ლეგალური მიგრაციის ზრდა.

25. რომელი ტენდენცია არაა დამახასიათებელი თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციისთვის?

- ა) იძულებითი მიგრაციის გეოგრაფიის შევიწროება;
- ბ) მიგრაციული პროცესების გლობალიზაცია;
- გ) მიგრაციული ნაკადების ხარისხობრივი ცვლილება;
- დ) არალეგალური მიგრაციის ზრდა;
- ე) მიგრაციული პოლიტიკის ორმაგი ხასიათი.

26. ე. რავენშტაინის ჩამოთვლილი „კანონებიდან“, რომელია არასწორი:

- ა) შიგა მიგრაციაში უფრო აქტიურები მამაკაცები არიან, გარე მიგრაციაში – ქალები;
- ბ) მიგრაცია უმეტესად მოკლე მანძილზე ხორციელდება;
- გ) მიგრაცია ხორციელდება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ;
- დ) ყოველ მიგრაციულ ნაკადს შეესაბამება კონტრნაკადი.

27. რომელი თეზისია სწორი:

1) ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის შეუზღუდავი გადაადგილება, რათა საბაზრო ძალებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას;

2) ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის შეზღუდული გადაადგილება, რათა საბაზრო ძალებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

28. რომელ თეორიას ეკუთვნის თეზისი: მსოფლიო ბაზარი, პირველ რიგში, შრომის მსოფლიო ბაზარია, რომელიც ყალიბდება სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მეოხებით.

- ა) კეინსიანურ თეორიას;
- ბ) ნეოკლასიკურ თეორიას;
- გ) ადამიანური კაპიტალის თეორიას;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

29. რომელ თეორიას ეკუთვნის თეზისი: სამუშაო ძალა მიემართება იქით, სადაც მაღალი ხელფასია. ეკონომიკის აღმავლობისა და ემიგრაციის გაძლიერების კვალდაკვალ შრომის ანაზღაურების დონეებს შორის განსხვავება მცირდება და საემიგრაციო სტიმულიც იკ-

ლექსი: არაა გამორიცხული, რომ მუშახელის იმპორტიორი ქვეყანა ექსპორტიორადაც გადაიქცეს.

- ა) ნეოკლასიკურ თეორიას;
- ბ) ადამიანური კაპიტალის თეორიას;
- გ) კეინსიანურ თეორიას;
- დ) შრომის მეორადი ბაზრის თეორიას.

30. რომელ თეორიას ეკუთვნის თეზისი: მიგრაციის მიზანია არამარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ რისკების დაძლევა ოჯახისათვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება ხელფასებში.

- ა) ახალ ეკონომიკურ თეორიას;
- ბ) ადამიანური კაპიტალის თეორიას;
- გ) კეინსიანურ თეორიას;
- დ) შრომის მეორადი ბაზრის თეორიას.

31. რომელ თეორიას ეკუთვნის თეზისი: მიგრანტი ესაა მომავალი ახალმოსახლე მისი ტერიტორიული გადაადგილებისას, ახალმოსახლე კი – უკვე ახალ საცხოვრებელ ადგილზე ყოფილი მიგრანტია, მისი მონყობისა და ადაპტაციის პერიოდში.

- ა) მიგრაციის სამი სტადიის თეორია;
- ბ) შრომის მეორადი ბაზრის თეორიას;
- გ) ადამიანური კაპიტალის თეორიას;
- დ) ნეოკლასიკურ თეორიას.

32. საერთაშორისო მიგრაციაში განმსაზღვრელია

- ა) იძულებითი მიგრაცია;
- ბ) ქანქარისებრი მიგრაცია;
- გ) სეზონური მიგრაცია;
- დ) ეკონომიკური მიგრაცია.

33. რომელი თეზისია სწორი:

1) განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავებული დემოგრაფიული ზრდის გამო იქმნება თავისებური დისბალანსი.

სი: განვითარებად ქვეყნებში – მუშახელის სიჭარბე და განვითარებულიში – დეფიციტი;

2) განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავებული დემოგრაფიული ზრდის გამო იქმნება თავისებური დისბალანსი: განვითარებულ ქვეყნებში – მუშახელის სიჭარბე და განვითარებადში – სიმცირე.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

34. მიგრაცია საქართველოსათვის ქმნის შემდეგ საფრთხეებს

- ა) მთიანი რეგიონების დეპოპულაციის;
- ბ) შიგა შრომითი მიგრაციის გადაჭარბებული მასშტაბის;
- გ) ქანქარისებრი მიგრაციის შესუსტების;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

35. მიგრაცია საქართველოსათვის არ ქმნის შემდეგ საფრთხეებს

- ა) წარმოების ტექნიკური გადაიარაღების საშიშროებას;
- ბ) მთიანი რეგიონების დეპოპულაციის;
- გ) შრომითი მიგრაციის გადაჭარბებული მასშტაბის;
- დ) ქანქარისებრი მიგრაციის შესუსტების.

თემა 9. მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია

1. საქართველოს რომელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონაში შეიმჩნევა მოსახლეობის წილის ზრდა:

- ა) ჩრდილოეთ მთიანეთში;
- ბ) სამხრეთ მთიანეთში;
- გ) ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთში ერთობლივად;
- დ) მთათაშორის ბარში.

2. მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, რომელია სწორი თანმიმდევრობა

- ა) აზია, ევროპა, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი;
- ბ) ევროპა, აზია, ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი;
- გ) აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი;
- დ) აფრიკა, აზია, ევროპა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი.

3. რომელ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში დასახლებული პუნქტი, რომ მას ქალაქის სტატუსი მიეკუთვნოს?

- ა) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 12 ათას კაცს, არასასოფლო დარგში დასაქმებული უნდა იყოს 50%;
- ბ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს, არასასოფლო-სამეურნეო დარგში დასაქმებული უნდა იყოს 75%;
- გ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 15 ათას კაცს, არასასოფლო-სამეურნეო დარგში დასაქმებული უნდა იყოს 75%;
- დ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს, ჰქონდეს საქალაქო მეურნეობა და წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს.

4. რომელ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში დასახლებული პუნქტი, რომ მას დაბის სტატუსი მიეკუთვნოს?

- ა) მოსახლეობა უნდა იყოს არანაკლებ 3 ათასი კაცი, უნდა ჰქონდეს ეკონომიკური და კულტურული ფუნქცია და არ უნდა გააჩნდეს

საკმარისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულები;

- ბ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს, ჰქონდეს საქალაქო მეურნეობა და წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ და კულტურული ცენტრს;
- გ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 12 ათას კაცს, არასასოფლო დარგში დასაქმებულნი – 50%;
- დ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს, არასასოფლო-სამეურნეო დარგში დასაქმებულნი – 75%.

5. რომელ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში დასახლებული პუნქტი, რომ მას სოფლის სტატუსი მიეკუთვნოს?

- ა) მოსახლეობა უნდა იყოს არანაკლებ 3 ათასი კაცი, უნდა ჰქონდეს ეკონომიკური და კულტურული ფუნქცია და არ უნდა გააჩნდეს საკმარისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულები;
- ბ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 5 ათას კაცს, ჰქონდეს საქალაქო მეურნეობა და უნდა იყოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი;
- გ) მოსახლეობა უნდა აღემატებოდეს 12 ათას კაცს, არასასოფლო დარგში დასაქმებულნი – 50%;
- დ) დასახლების საქმიანობის სფერო სოფლის მეურნეობაა.

6. მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად დასახლებული რეგიონია

- ა) ჩრდილოეთი ამერიკა;
- ბ) აზია;
- გ) აფრიკა;
- დ) ავსტრალია და ოკეანეთი.

7. საქართველოში ქალაქი მიეკუთვნება პატარა ქალაქთა ტიპს, თუ მოსახლეობის რიცხოვნობა

- ა) 10 ათას კაცამდე;
- ბ) 20 ათას კაცამდე;
- გ) 20-დან 50 ათას კაცამდე;
- დ) 50-დან 100 კაცამდე.

8. საქართველოში ქალაქი მიეკუთვნება დიდ ქალაქთა ტიპს, თუ მოსახლეობის რიცხოვნობა

- ა) 20 ათას კაცამდეა;
- ბ) 20-დან 50 ათას კაცამდეა;
- გ) 50 დან 100ათას კაცამდეა;
- დ) 100-დან 500 ათას კაცამდეა;
- ე) 500-დან 1 მლნ კაცამდეა.

9. ქვეყანა ურბანიზებულიობის მეოთხე სტადიაზეა, თუ

- ა) საგარეუბნო ქალაქები უფრო სწრაფად იზრდება ცენტრალურ ქალაქებთან შედარებით და იწყება ცენტრალური ქალაქიდან საგარეუბნო ზონაში გადასახლების პროცესი;
- ბ) ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება სოფლის მოსახლეობაც;
- გ) წარმოიშობა საქალაქო აგლომერაციები;
- დ) ძლიერდება ქალაქის მოსახლეობის დეკონცენტრაცია.

10. რომელი ნიშანი (ტენდენცია) არ არის დამახასიათებელი განსახლების პოსტინდუსტრიული ტიპის განვითარებისათვის

- ა) უმსხვილესი საქალაქო აგლომერაციების ზრდა;
- ბ) მასობრივი სუბურბანიზაცია;
- გ) ქალაქებს შორის მასობრივი მიგრაცია;
- დ) სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია.

11. რა განსხვავებაა მოსახლეობის საშუალო და რეალურ სიმჭიდროვეს შორის

- ა) რეალური სიმჭიდროვის გამოთვლა არ ითვალისწინებს ქვეყნის იმ ტერიტორიას, სადაც მოსახლეობა საერთოდ არ არის დასახლებული ან დასახლებისათვის მიუღებელია;
- ბ) რეალური და საშუალო სიმჭიდროვე ერთი და იგივეა;
- გ) რეალური სიმჭიდროვე არის ქვეყნის რეალურად არსებული საშუალო სიმჭიდროვე;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

12. რომელ ქვეყანაში ჭარბობს გაბნეული სასოფლო განსახლების ფორმა

- ა) საქართველოში;
- ბ) აშშ-ში;
- გ) იტალიაში;
- დ) რუსეთში.

13. ქვეყანა ურბანიზაციის მეოთხე სტადიაზეა, თუ

- ა) საგარეუბნო ქალაქები უფრო სწრაფად იზრდება ცენტრალურ ქალაქებთან შედარებით და იწყება ცენტრალური ქალაქიდან საგარეუბნო ზონაში გადასახლების პროცესი;
- ბ) ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება სოფლის მოსახლეობაც;
- გ) წარმოიშობა საქალაქო აგლომერაციები;
- დ) ძლიერდება ქალაქის მოსახლეობის დეკონცენტრაცია.

14. რომელი თეზისია სწორი?

- 1) მოსახლეობით ქალაქი უფრო დიდია, ვიდრე სოფელი;**
- 2) მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფელში უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში.**

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) (1) და (2) თეზისი სწორია;
- დ) (1) და (2) თეზისი არასწორია.

15. განსახლების პოსტინდუსტრიული ტიპისათვის არაა დამახასიათებელი

- ა) ურბანიზაცია;
- ბ) სოფლის მოსახლეობის ზრდა;
- გ) საქალაქო აგლომერაციების წარმოქმნა;
- დ) მასობრივი სუბურბანიზაცია.

16. რომელი თეზისია სწორი?

- 1) მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფელში უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში;**

2) ადმინისტრაციული ცენტრი, ჩვეულებრივ, საქალაქო დასახლებას წარმოადგენს, მაგრამ იგი ზოგჯერ სოფელიც შეიძლება იყოს.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია
- გ) (1) და (2) თეზისი სწორია;
- დ) (1) და (2) თეზისი არასწორია.

17. რომელი თეზისია სწორი?

1) მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფელში უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში;

2) მოსახლეობით ქალაქი უფრო დიდია, ვიდრე სოფელი.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) (1) და (2) თეზისი სწორია;
- დ) (1) და (2) თეზისი არასწორია.

18. რომელ ქვეყანაში ქარბობს ჯგუფური სასოფლო განსახლების ფორმა?

- ა) საფრანგეთში;
- ბ) აშშ-ში;
- გ) კანადა;
- დ) ავსტრალია.

19. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში?

- ა) ნახევარზე მეტი;
- ბ) 25%;
- გ) 41%;
- დ) ნახევარზე მეტი;
- ე) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

20. რომელი თეზისია სწორი:

1) ცნება „ურბანიზაცია“ გულისხმობს ქალაქის როლის ზრდის ისტორიულ პროცესს;

2) „ურბანიზაცია“ გულისხმობს ქალაქის როლის შემცირების ისტორიულ პროცესს.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

21. რომელი თეზისია სწორი:

1) „ურბანიზაცია“ ნიშნავს მიღწეულ დონეს, „ურბანიზირებულობა“ - პროცესს;

2) „ურბანიზაცია“ ნიშნავს პროცესს, „ურბანიზირებულობა“ ურბანიზაციის მიღწეულ დონეს.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

22. ურბანიზაციის მაღალი ტემპი დამახასიათებელია

- ა) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

23. ურბანიზაციის დაბალი ტემპი დამახასიათებელია:

- ა) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

24. რომელი თეზისია სწორი:

1) ურბანიზაციის მაღალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულობა დაბალია;

2) ურბანიზაციის დაბალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულობა მაღალია.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

25. რომელი თეზისია სწორი:

1) ურბანიზაციის მაღალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულიობა დაბალია;

2) ურბანიზაციის დაბალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულიობაც დაბალია.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

26. რომელი თეზისია სწორი:

1) ურბანიზაციის მაღალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულიობაც მაღალია;

2) ურბანიზაციის დაბალი ტემპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლის ურბანიზებულიობაც დაბალია.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

27. ურბანიზაციის ტემპი იგივეა, რაც

- ა) ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი;
- ბ) იმ მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი, რომელიც დიდ ქალაქებში ცხოვრობს;
- გ) იმ მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი, რომელიც საშუალო ქალაქებში ცხოვრობს;
- დ) იმ მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი, რომელიც პატარა ქალაქებში ცხოვრობს.

28. რომელი მაჩვენებელი არ გვიჩვენებს ურბანიზებულობას

- ა) ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდის ტემპი;
- ბ) ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში;
- გ) ქალაქის მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- დ) ქანქარისებრი მიგრაციის ინტენსივობა.

29. ქვეყანა სუსტად ურბანიზებულია, თუ ქალაქის მოსახლეობის წილი მოსახლეობაში

- ა) 25%-ზე ნაკლებია;
- ბ) 10%;
- გ) 50%;
- დ) 75%;

30. ქვეყანა არაურბანიზებულია, თუ ქალაქის მოსახლეობის წილი მოსახლეობაში

- ა) 10%-მდეა;
- ბ) 25%-ია;
- გ) 50%;
- დ) 75%.

31. ქვეყანა საშუალოდ ურბანიზებულია, თუ ქალაქის მოსახლეობის წილი მოსახლეობაში

- ა) 50%-ია;
- ბ) 10%-მდეა;
- გ) 25%-ზე ნაკლებია;
- დ) 75%.

32. ქვეყანა მაღალურბანიზებულია თუ ქალაქის მოსახლეობის წილი მოსახლეობაში

- ა) 75% და მეტია;
- ბ) 10%-მდეა;
- გ) 25%-ზე ნაკლებია;
- დ) 50%-ია.

33. ქვეყანა მთლიანად ურბანიზებულია, თუ ქალაქის მოსახლეობის წილი მოსახლეობაში

- ა) 10%-მდეა;
- ბ) 25%-ზე ნაკლებია;
- გ) 75%;
- დ) 90% და მეტია.

34. ე.წ. „ცრუ ურბანიზაცია“ დამახასიათებელია:

- ა) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

35. ე.წ. „მეთაური ქალაქების“ პრობლემა დამახასიათებელია

- ა) ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვის;
- ბ) ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

36. იმისათვის, რომ დასახლებულ პუნქტს ქალაქის სტატუსი მიენიჭოს, ამჟამად მსოფლიოში, ძირითადად, იყენებენ შემდეგ კრიტერიუმებს

- ა) ეკონომიკურს, ეკისტიკურს და ადმინისტრაციულს;
- ბ) ეკონომიკურს, დემოგრაფიულს და ადმინისტრაციულს;
- გ) სოციოლოგიურს, ეკისტიკურს და ადმინისტრაციულს;
- დ) ეკონომიკურს, დემოგრაფიულსა და სოციოლოგიურს.

37. რომელი თეზისია სწორი:

1) ამჟამად საქართველოში მოსახლეობის კონცენტრაცია თანდათან მატულობს ბარის ზონაში. უფრო სწრაფად მცირდება წვრილი სოფლების მოსახლეობა;

2) ამჟამად საქართველოში მოსახლეობის კონცენტრაცია თანდათან მატულობს ბარის ზონაში. უფრო სწრაფად მცირდება დიდი სოფლების მოსახლეობა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი არაა სწორი.

თემა 10. მოსახლეობის და შრომითი რესურსების პროგნოზი

1. დემოგრაფიული პროგნოზის „საშუალო“ ვარიანტი

- ა) ყველაზე მეტად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სინამდვილეს;
- ბ) მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ქვედა ზღვარს;
- გ) მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ზედა ზღვარს;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

2. დემოგრაფიული პროგნოზის „დაბალი“ ვარიანტი

- ა) მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ქვედა ზღვარს;
- ბ) მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ზედა ზღვარს;
- გ) ყველაზე მეტად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სინამდვილეს;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

3. დემოგრაფიული პროგნოზის „მაღალი“ ვარიანტი

მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ზედა ზღვარს ყველაზე მეტად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სინამდვილეს მიუთითებს დემოგრაფიულ მაჩვენებელთა დინამიკის ქვედა ზღვარს არც ერთი პასუხი სწორი არაა

4. გრძელვადიანი ენოდება დემოგრაფიულ პროგნოზს, თუ საპროგნოზო პერიოდი

- ა) 5 წლამდეა .
- ბ) 5-10 წელია ;
- გ) 25-30 წელია;
- დ) 30 წელი და მეტია.

5. მოკლევადიანი ენოდება დემოგრაფიულ პროგნოზს, თუ საპროგნოზო პერიოდი

- ა) 5-10 წელია;
- ბ) 5 წლამდეა;
- გ) 25-30 წელია;
- დ) 30 წელი და მეტია.

6. საშუალოვადიანი ენოდება დემოგრაფიულ პროგნოზს, თუ საპროგნოზო პერიოდი

- ა) 5-10 წელია;
- ბ) 25-30 წელია;
- გ) 30 წელი და მეტია;
- დ) არც ერთი ზემოთ აღნიშნული პასუხი სწორი არაა.

7. მოსახლეობის პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდი გამოიყენება

1) მოსახლეობის პროგნოზირებისას არასაიმედო სტატისტიკური მასალის არსებობის პირობებში

2) მოსახლეობის პროგნოზირებისას მცირე ტერიტორიაზე.

- ა) (1) და (2) პირობის არსებობისას;
- ბ) მხოლოდ (1) პირობის არსებობისას;
- გ) მხოლოდ (2) პირობის არსებობისას;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

8. პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდი იყენებს

- ა) წრფივ და ექსპონენციალურ ფუნქციას;
- ბ) წრფივ ფუნქციას;
- გ) ექსპონენციალურ ფუნქციას;
- დ) ლოგისტიკურ ფუნქციას.

9. ანალიზური პროგნოზის მიზანია

- ა) ე.წ. „მტკივნეული ადგილების“ გამოვლენა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პროცესში;
- ბ) შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი და საშიში შედეგების ჩვენება;

- გ) კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მეტნაკლებად სასურველი დემოგრაფიული მდგომარეობის მისაღწევად;
- დ) ამა თუ იმ ფირმისათვის, სასწავლო დაწესებულებისათვის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა.

10. ანალიზური პროგნოზი

- ა) მოკლევადიანი, ნაკლებად რეალური და არაზუსტია;
- ბ) გრძელვადიანი, რეალური და ზუსტია;
- გ) გრძელვადიანი, ნაკლებად რეალური და არაზუსტია;
- დ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

11. ნორმატიული პროგნოზის მიზანია

- ა) კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მეტნაკლებად სასურველი დემოგრაფიული მდგომარეობის მისაღწევად;
- ბ) ე.წ. „მტკივნეული ადგილების“ გამოვლენა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პროცესში;
- გ) შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი და საშიში შედეგების ჩვენება;
- დ) ამა თუ იმ ფირმისათვის, სასწავლო დაწესებულებისათვის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა.

12. გამაფრთხილებელი პროგნოზის მიზანია:

- ა) შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი და საშიში შედეგების ჩვენება;
- ბ) ე.წ. „მტკივნეული ადგილების“ გამოვლენა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პროცესში;
- გ) კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მეტნაკლებად სასურველი დემოგრაფიული მდგომარეობის მისაღწევად;
- დ) ამა თუ იმ ფირმისათვის, სასწავლო დაწესებულებისათვის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა.

13. ფუნქციონალური პროგნოზის მიზანია

- ა) ამა თუ იმ ფირმისათვის, სასწავლო დაწესებულებისათვის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა;
- ბ) შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის არასასურველი და საშიში შედეგების ჩვენება;

- გ) ე.წ. „მტკივნეული ადგილების“ გამოვლენა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პროცესში;
- დ) კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მეტნაკლებად სასურველი დემოგრაფიული მდგომარეობის მისაღწევად.

14. დემოგრაფიული მიწოდების პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

15. ელექტორატის პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

16. სამხედრო სამსახურში გასაწვევი კონტინგენტის პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

17. ე.წ. „რომის კლუბის“ მიერ გაკეთებული მოსახლეობის პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

18. ჯანდაცვის მომსახურების პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

19. დასაქმებულთა რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

20. პენსიონერთა პროგნოზი მიეკუთვნება

- ა) ფუნქციონალურ პროგნოზს;
- ბ) ანალიტიკურ პროგნოზს;
- გ) ნორმატულ პროგნოზს;
- დ) გამაფრთხილებელ პროგნოზს.

21. პროგნოზირების მეთოდკომპონენტის მეთოდით ხდება

- ა) მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი;
- ბ) მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი ცალკეული ასაკის მიხედვით;
- გ) მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი სქესის მიხედვით;
- დ) მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი სქესისა და ასაკის მიხედვით.

22. გაეროს პროგნოზით, 2050 წლიდან მოსახლეობის რიცხოვნობით პირველ ადგილზე იქნება

- ა) აფრიკა ;
- ბ) აზია ;
- გ) ლათინური ამერიკა;
- დ) ოკეანეთი.

23. ვის ეკუთვნის თეზისი: „მოსახლეობის გეომეტრიულ ზრდას ხელს უშლის წინააღმდეგობის ძალა“.

- ა) ა. კეტლეს;
- ბ) რ. მალთუსს;
- გ) ჯ. გრაუნტს;
- დ) ა. სუნდბერგს.

თემა 11. მოსახლეობის პოლიტიკა

1. დემოგრაფიული პოლიტიკა ნატალისტურია, თუ ტარდება შემდეგი ღონისძიებები

- ა) ჯანდაცვის განვითარება, ბრძოლა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის წინააღმდეგ;
- ბ) კონტრაცეპტივების გამოყენების პროპაგანდა;
- გ) ადმინისტრაციული წესით დადგენილია ბავშვთაშობის ინტერვალის;
- დ) გამარტივებულია განქორწინების წესი.

2. დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანია

- ა) მოსახლეობის აღწარმოებაზე ზემოქმედება;
- ბ) შრომის პირობებზე ზეგავლენა;
- გ) მოსახლეობის შემოსავლებზე ზრუნვა;
- დ) მოსახლეობის სოციალური დაცვა.

3. დემოგრაფიული პოლიტიკის საგანია:

- ა) მოსახლეობის აღწარმოების პროცესთა რეგულირება;
- ბ) დასაქმების რეგულირება;
- გ) მიგრაციული პროცესების რეგულირება;
- დ) მოსახლეობის შემოსავლების რეგულირება.

4. რომელი ცნობილი ბერძენი მოაზროვნე თვლიდა, რომ ვინც გაურბის ქორწინებას, არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ სასჯელსაც იმსახურებს.

- ა) პლატონი;
- ბ) არისტოტელე;
- გ) დიოსთენე;
- დ) სოკრატე.

5. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში სად და ვისი მმართველობის დროს დაწესდა ღარიბ ბავშვიან ოჯახებზე სახელმწიფო დახმარების სისტემა?

- ა) ძველ რომში იმპერატორ ნერვას მიერ ჩვ. წთ. აღ.-მდე 96-98 წწ;
- ბ) ძველ რომში იმპერატორ ტრაიანეს მიერ ჩვ. წთ.აღ.-მდე 98-117 წწ;
- გ) ძველ საბერძნეთში ქ. მიკენეში პერსევსის მიერ ძვ. წთ. აღ. მე2 ს.-ში;
- დ) ძველ საბერძნეთში, ათენში სოლონის მიერ ძვ. წთ. 638-558 წწ.

6. რომელია სწორი თეზისი:

1) ფეოდალიზმის დროს გაბატონებული იყო მოსახლეობის ზრდის მასტიმულირებელი პოლიტიკა

2) ფეოდალიზმის დროს გაბატონებული იყო მოსახლეობის ზრდის შემზღუდველი პოლიტიკა.

- ა) (1) თეზისი სწორია, (2) თეზისი არასწორია;
- ბ) (2) თეზისი სწორია, (1) თეზისი არასწორია;
- გ) ორივე თეზისი სწორია;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

7. მოსახლეობის პოლიტიკა იგივეა, რაც

- ა) დემოგრაფიული, მიგრაციული და შრომითი პოლიტიკა;
- ბ) დემოგრაფიული პოლიტიკა;
- გ) მიგრაციული პოლიტიკა;
- დ) შრომითი პოლიტიკა.

8. დემოგრაფიული პოლიტიკა ხორციელდება შემდეგი ღონისძიებების გატარებით

- ა) ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, აღმზრდელობით-პროპაგანდისტული გზით;
- ბ) ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო გზით;
- გ) ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო გზით;
- დ) პოლიტიკური, აღმზრდელობით-პროპაგანდისტული და სამხედრო გზით.

9. დემოგრაფიული პოლიტიკა არ არის ნატალისტური, თუ ტარდება შემდეგი ღონისძიებები

- ა) ბავშვთა მაქსიმალური რიცხოვნობა ოჯახში განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ;
- ბ) სახელმწიფო ატარებს მარტოხელა დედების მხარდაჭერის პოლიტიკას;
- გ) ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;
- დ) კონტრაცეპტივებისა და აბორტების აკრძალვა.

10. ვის ეკუთვნის თეზისი: „ბავშვთაშობის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ეროვნული შემოსავლის განაწილების სისტემის ცვლილების გარეშე, მცირეოდენი სახსრებით შეუძლებელია ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა“.

- ა) მაქს რუბნერს;
- ბ) პიერ პოლ ლარუა ბოლიეს;
- გ) მარიო პულზეს;
- დ) ვ. ბორტკევიჩს.

11. დემოგრაფიული პოლიტიკის დაფინანსების პირდაპირი გზაა

- ა) ერთდროული ან რეგულარული დახმარება ბავშვებზე;
- ბ) ბავშვთა დაავადების პროფილაქტიკა და მკურნალობა ;
- გ) სახელმწიფოს მიერ საბავშვო ბაღებისა და ბაგების დაფინანსება;
- დ) სახელმწიფოს მიერ ბავშვთა დასასვენებელი სახლების დაფინანსება.

12. დემოგრაფიული პოლიტიკის დაფინანსების ირიბი გზაა

- ა) ბავშვთა დაავადების პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- ბ) ერთდროული ან რეგულარული დახმარება ბავშვებზე;
- გ) დეკრეტული შვებულებების დაფინანსება;
- დ) ბავშვთა მოვლის ხარჯების უზრუნველყოფა.

13. ანტიკურ ხანაში არჩევით პოსტებზე უნდა ყოფილიყვნენ პირები

- ა) რომელთაც რამდენიმე შვილი ჰყავდათ;
- ბ) რომელთაც არც ერთი შვილი არ ჰყავდათ;

- გ) რომელთაც ერთი შვილი მაინც ჰყავდათ;
- დ) რომლებიც დაუქორწინებელნი იყვნენ.

14. მე-20 საუკუნის დასაწყისში ფრანგი ეკონომისტი პიერ პოლ ლარუა ბოლიე სახელმწიფოს სთავაზობდა მაღალანაზღაურებად პოსტებზე დაენიშნათ პირები, რომლებსაც

- ა) არც ერთი შვილი არ ჰყავდა;
- ბ) სამი და მეტი შვილი ჰყავდა;
- გ) ხუთი და მეტი შვილი ჰყავდა;
- დ) ორი შვილი მაინც ჰყავდა.

15. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, ბავშვთა სიღარიბის გათვალისწინებით, მოსახლეობის პოლიტიკაზე განეული ხარჯები არ უნდა იყოს მშპ-ს

- ა) 2,5-3,5%-ზე ნაკლები;
- ბ) 4,5-5,2%-ზე ნაკლები;
- გ) 5,2-6,0%-ზე ნაკლები;
- დ) 7-10%-ზე ნაკლები.

თემა 12. მოსახლეობა და ეკონომიკა

1. მიახლოებითი გათვლებით, მოხმარება მაქსიმუმს აღწევს შემდეგ ასაკში

- ა) 25-30 წ.;
- ბ) 30- 40 წ.;
- გ) 41-50 წ.;
- დ) 51-60 წ.

2. ეკონომიკურ პროცესებზე ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა შეისწავლება

- ა) ასაკობრივი ეკონომიკური ცხრილების მეთოდით;
- ბ) სექსობრივ-ასაკობრივი პირამიდის მეთოდით;
- გ) მოკვდაობის ალბათური ცხრილების მეთოდით;
- დ) ქორწინებადობისა და განქორწინებადობის ცხრილების მეთოდით.

3. რომელი თეზისია სწორი:

- ა) ზრდასრულ ასაკში ადამიანი მეტს აწარმოებს, ვიდრე მოიხმარს;
- ბ) ზრდასრულ ასაკში ადამიანი მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს;
- გ) ზრდასრულ ასაკში ადამიანი იმდენს აწარმოებს, რამდენსაც მოიხმარს;
- დ) არც ერთი თეზისი სწორი არაა.

4. დაქორწინებულ ქალთა ეკონომიკური აქტივობა ყველაზე დაბალია:

- ა) 20-30 წლის ასაკობრივ ჯგუფში ;
- ბ) 31-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში;
- გ) 41-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში;
- დ) 51-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

5. ემპირიული კვლევებით, მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯები მინიმუმს აღწევს, როცა

- ა) მოსახლეობის საშუალო ასაკი 33 წელია;

- ბ) მოსახლეობის საშუალო ასაკი 53 წელია;
- გ) მოსახლეობის საშუალო ასაკი 43 წელია;
- დ) მოსახლეობის საშუალო ასაკი 29 წელია.

6. ყველაზე მწარმოებლური ასაკია

- ა) 20-29;
- ბ) 31-39;
- გ) 35-44;
- დ) 41-49.

7. ვის ეკუთვნის თეზისი: „მოსახლეობის ზრდა იწვევს ნოვატორ მენარმეთა ზრდასა და კაპიტალის ექსპანსიას“.

- ა) ს. კუზნეცს;
- ბ) თ. მალთუსს;
- გ) ა. მარშალს;
- დ) რ. ფოგელს.

8. ვის ეკუთვნის თეზისი: არა მოსახლეობის ზრდაა ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი, არამედ მოსახლეობის ხარისხის ზრდა, რომელსაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ნულოვანი ზრდა განაპირობებს.

- ა) ჯ. სპენგლერი და ჰ. საიმონი;
- ბ) ა. სმიტი და დ. რიკარდო;
- გ) თ. მალთუსი;
- დ) ს. კუზნეცი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე კ., საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., გამომც. „განათლება“, 1973.
2. არჩვაძე ი., არჩვაძე ნ., მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012.
3. ბარტ დე ბრუნი, სიჭინავა მ., მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში, თბ., 2017.
4. ბუნტური გ. საქართველოს მიგრაციული პორტრეტი საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით. თბ., 2017
5. გაეროს მოსახლეობის ფონდი. <https://www.unfpa.org>
6. გილმოტო ქრისტოფ ზ., ტაფური ს., დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2017.
7. გუგუშვილი პ., მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, თბ., 1985.
8. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. 5, თბ., 1962.
9. დემოგრაფია, სახელმძღვანელო, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2009.
10. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები (შრომების კრებული), თბ., 2014-2017 წწ.
11. დემოგრაფიული წელიწდეული – 2015 (გ. წულაძე), სტატისტიკური კრებული, თბ., 2016.
12. „დემოსკოპვირკლი“.ყოველკვირეული ელექტრონული ჟურნალი. <http://www.demoscope.ru>
13. ზუბიაშვილი თ., მოსახლეობა და განვითარება, თბ., 2017.
14. თოთაძე ა., საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2009.
15. თოთაძე ა., რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა, გამომც. „უნივერსალი“, 2014.
16. ილენსი ფ., ახალგაზრდები საქართველოში, თბ., 2017.
17. მალთუხი თ., გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ, I, II, თსუ, თბ., 2005.
18. მელაძე გ., საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები, გამომც. „უნივერსალი“, 2013.
19. მენაბდიშვილი ლ., ოჯახის მენეჯმენტი, თბ., 2018.
20. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. <https://www.iom.int>

21. მოსახლეობის ეკონომიკა. სამეცნიერო ჟურნალი. <http://pop.merit.-unu.edu/jpop>
22. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში, თბ., 2018.
23. კარლსონი ა., ამერიკული ოჯახი - გუშინ, დღეს ხვალ, თბ., 2017.
24. ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში, თბ., 2010.
25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge>
26. სულაბერიძე ა., საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1986.
27. სულაბერიძე ა., საქართველოს დემოგრაფიული მოდერნიზაცია, ნან. 1, მე-20 საუკუნე, თბ., 2018.
28. სახვაძე ა., დემოგრაფიული ეტიუდები, I, II, თბ., თსუ. 2002-2003.
29. ტუხაშვილი მ., საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბ., თსუ, 1996.
30. ტუხაშვილი მ., მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2009
31. ფირცხალავა გ., საქართველოს მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია; თბ., სამშობლო, 1999.
32. შელია მ., ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013.
33. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში, თბ., 2012.
34. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. <https://www.ilo.org>
35. ჩიქავა ლ., დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2008.
36. ნულაძე გ., დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2000.
37. ნულაძე გ., სულაბერიძე ა., საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები, თბ., 2016.
38. ჭელიძე ნ., შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან, თბ., 2006.
39. ხმალაძე მ., დემოგრაფია, სახელმძღვანელო, თბ., 2009
40. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX სს., თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1984.
41. ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I, 1934.
42. ჯაში ჩ., გენდერული ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2005.
43. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. www.who.int

44. ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, თბ., 2017.
45. Akrigg, B. (2019). *Population and economy in Classical Athens*. Cambridge : Cambridge University Press
46. *Analyses in the Economics of Aging*. (2007) (edited by David A. Wise. University of Chicago Press
47. *Analytical family demography*.(2019) Robert Schoen, editor. Cham, Suisse: Springer.
48. Casselli G., Vallin J., and Wunsch G. (2006): “Demography: Analysis and Synthesis. A Treatise in Population Studies.” Burlington, MA and San Diego, CA: Academic Press
49. *Family demography in Asia: a comparative analysis of fertility preferences* (2018). Cheltenham, UK : Edward Elgar Publishing, copyright .
50. *Migration Theory*. (2000). Edited by C.B. Brettell and J.F. Hollibield. New York and London 2000
51. Rosental, Paul-André. (2018). *Population, the state, and national grandeur: demography as political science in modern France*. Bern ; New York : Peter Lang, copyright .
52. Spiegelman M. (1970). *Intoduction to demography*.Harvard press.
53. Thomas, Richard K. (2018).*Concepts, Methods and Practical Applications in Applied Demography*. 1st ed.Springer
54. *World population ageing 2017 highlights*. United Nations: Department of Economic and Social Affairs: Population Division
55. Worldometers. <https://www.worldometers.info>
56. Yakita, A. (2017). *Population Aging, Fertility and Social Security*. Springer, Cham DO: [https : // doi.org/ 10. 10 07/978-3-319-47644-5](https://doi.org/10.1007/978-3-319-47644-5)
57. Chesnais Y.C.(1990), *La Demographie*. Paris..
58. Blanchet D.(1991). *Modelisation démo-économique: concequences économiques des évolution démographique*. INED.
59. Challier M.Ch., Muchel F.(1996). *Analise dynamique des populations: les approches demographiques et économiques*. Economiqu..
60. Dumont G.F. (1992). *Démographie. Analyse des populations et démographie économique*. <https://halshs.archives-ouvertes.fr/halshs-01979381/document>
61. *Histoire des populations de l'Europ*.(1997). Fayard. V. 2, 3. Paris.
62. Paillat P. (1996).*Vieillssement et vieillesse*. PUF.
63. *Population & Societies*. Number 547 September 2017.<https://www.ined.fr/fichier/s-rubrique/211/547-en-bt.en.pdf>
64. Tapino G.(1996) *La demographie (population, economie et societes)*. Paris, 1996.
65. Vallin J.*La Démographie*. Paris, 1992.

66. Vidal A. (1994). La pensée démographique: doctrines, théories et politique de population. PUG..
67. Беккер Г.(1993). Экономический анализ и человеческое поведение. THESIS. Вып. I.
68. Беккер Г.(1994). Выбор партнера на брачных рынках. THESIS. 1994. Вып. 6
69. Беккер Г. М.А. (1994). Экономика семьи и макроповедение. США: ЭПИ. №2-3
70. Валкович Э. (1974). Экономические возрастные пирамиды. // Марксистско-ленинская теория народонаселения. М.
71. Вишневский А.Г.(2005). Избранные демографические труды. Т.1; Т.2. М., Наука.
72. Денисенко М.Б., Ионцев В.А., Хорев Б.С. (1989).Миграциология. МГУ.
73. Жеребин В.М., Романов А.Н. (1998). Экономика домашних хозяйств. М.
74. Звидриньш П.П. Звидринья М.А. (1987). Население и экономика. М.
75. Истерлин Р.А.(1983). Население: Экономические аспекты проблемы в долгосрочной перспективе. Современная экономическая мысль. М.
76. Калабихина И.Е.(2016). Социальное бюджетирование. Учебное пособие. М: Экономический факультет МГУ. .
77. Клупт М.А. (1990).Экономическое измерение демографической динамики. Ленинград.
78. Кваша А.Я.(1974). Проблемы демографического оптимума. МГУ.
79. Ли Р. и Мэйсон Э. (2006).Что такое демографический дивиденд? –Финанси. развитие. сентябрь.
80. Медков В.М. (2019). Демография. Уч., М., Инфра-М. <http://znanium.com/-catalog/product/430218>
81. Население и кризисы. М., 1995- Вып. 1. М.; 1996- Вып. 2.
82. Народонаселение: Энциклопедический словарь.(1994). М.,
83. Пирожков С.И. (1992).Трудовой потенциал в демографическом измерении. Киев.
84. Саградов А. А. (2005)Экономическая демография. Уч.пос. МГУ. М., Инфра-М.
85. Сови А.(1977). Общая теория населения. М., Т. 1-2
86. Урланис Б.Ц.(1978) Эволюция продолжительности жизни. М.
87. Хорев Б.С. и др.(1992). Мировой урбанизм на переломе. М.,
88. Шульц Т.(1994). Ценность детей. THESIS. Вып. 6
89. Щербаков А., Мдинарадзе М, Назаров А., Назарова Е.(2017). Демография. Учебное пособие. Инфра-М
90. Экономика народонаселения: Учебник (2009). Под ред. В.А. Ионцева. М.: ИНФРА-М

ს ა რ ჩ ე ვ ი

თემა 1. მოსახლეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები	3
1.1 ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების ისტორიული თავისებურებები	3
1.2. რა არის მოსახლეობა?	5
1.3. დემოგრაფია და მოსახლეობის ეკონომიკა რას სწავლობს დემოგრაფია?	7
1.4. დემოგრაფიული ცოდნის წარმოშობა და განვითარება	10
1.5. დემოგრაფია საქართველოში	16
1.6 გლობალიზაციის თანამედროვე პროცესი და ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირი	17
თემა. 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ	19
2.1. მოსახლეობის აღწერა	19
2.2. მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვა	25
2.3. მოსახლეობის აღრიცხვა რეგისტრებით (კარტოთეკებით, სიებით)	26
2.4. მოსახლეობის სპეციალური შერჩევითი გამოკვლევები.	27
თავი 3. მოსახლეობის სტრუქტურა და გენდერული განსხვავება ეკონომიკურ ცხოვრებაში	29
3.1. მოსახლეობის რიცხოვნობა	29
3.2. მოსახლეობის სტრუქტურა	30
3.3. ასაკი და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა	33
3.4. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა	38
3.5. ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და სქესის ფაქტორი	41
თავი 4. მოსახლეობის დაბერება და თაობათაშორისი ტრანსფერტები	43
4.1. მოსახლეობის დაბერების არსი და ანალიზი	43
4.2. დემოგრაფიულ დაბერებაზე მოქმედი ფაქტორები	47
4.3. დემოგრაფიული დაბერების დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები	49
4.4. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	54
4.5 თაობათაშორისი ტრანსფერტები	60

თემა 5. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. შობადობა და მისი ეკონომიკური ფაქტორები.....	63
5.1. შობადობა	64
5.2. შობადობის თანამედროვე ტენდენციები	70
5.3. რელიგიის გავლენა შობადობაზე.....	73
5.4. მოსახლეობის აღწარმოება და მისი მოდელირება.....	76
5.5. მოსახლეობის აღწარმოების ანალიზი	81
5.6. შობადობის დინამიკის ეკონომიკური ფაქტორები	83
თემა 6. მოსახლეობის ჯანმრთელობა და მოკვდაობა	88
6.1. მოკვდაობა.....	88
6.2. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	91
6.3. მოკვდაობის ანალიზი გარდაცვალების მიზეზების მიხედვით	97
6.4. მოკვდაობის დინამიკის ეკონომიკური ფაქტორები	99
6.5. ავადობისა და მოკვდაობის ცვლილების ურთიერთკავშირი.....	104
6.6. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია.....	108
თემა 7. ოჯახის დემოეკონომიკა	111
7.1. ქორწინება	111
7.2. განქორწინება.....	115
7.3. განქორწინების ფაქტორები.....	117
7.4. ოჯახი	118
7.5. ოჯახისა და შინამეურნეობის ეკონომიკა.....	127
7.6. ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული დემოგრაფიული ცვლადები .	130
7.7 ბავშვებში ინვესტირების პორტფელი და დინასტიური ბიუჯეტი.	131
7.8 თაობათაშორისი ტრანსფერტების მოტივაცია.....	133
თემა. 8. მოსახლეობისა და ადამიანური რესურსების მიგრაცია	137
8.1. მიგრაციის არსი და მისი ანალიზი	137
8.2. საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები	143
8.3. თანამედროვე მიგრაციული ვითარება საქართველოში.....	146
თემა 9. მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია.....	151
9.1. მოსახლეობის განსახლების არსი	151
9.2. მსოფლიო მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების ზოგადი კანონზომიერებანი.....	154
9.3. ურბანიზაცია და საქალაქო განსახლების განვითარება.....	156
9.4. სასოფლო განსახლება	163
თემა 10. მოსახლეობის და შრომითი რესურსების პროგნოზი.....	165
10.1. მოსახლეობის პროგნოზი და მისი კლასიფიკაცია.....	165

10.2. მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშების მეთოდები.....	168
10.3. მსოფლიოსა და საქართველოს მოსახლეობის პროგნოზი	173
თემა 11. მოსახლეობის პოლიტიკა.....	178
11.1. მოსახლეობის პოლიტიკის ისტორია.....	178
11.2. მოსახლეობის პოლიტიკის მიზანი და საშუალებები	183
11.3. მოსახლეობის პოლიტიკის რესურსები.....	188
11.4. მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობა.....	193
11.5. მოსახლეობის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში	197
თემა 12. მოსახლეობა და ეკონომიკა.....	202
ამოცანები.....	215
პრაქტიკული სავარჯიშოები და საქმიანი თამაშები	215
საქმიანი თამაში 1	
საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის პროგნოზი	247
საქმიანი თამაში 2	
მსოფლიო დემოგრაფიული განვითარების სტრატეგია.....	250
ბესტები.....	253
თემა 1. მოსახლეობის შესწავლის თეორიული საფუძვლები.....	253
თემა 2. ინფორმაციის წყაროები მოსახლეობის შესახებ.....	265
თემა 3. მოსახლეობის სტრუქტურა და გენდერული განსხვავება ეკონომიკურ ცხოვრებაში.....	273
თემა 4. მოსახლეობის დაბერება და თაობათაშორისი ტრანსფერტები.....	278
თემა 5. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. შობადობა და მისი ეკონომიკური ფაქტორები.....	286
თემა 6. მოსახლეობის ჯანმრთელობა და მოკვდაობა	299
თემა 7. ოჯახის დემოეკონომიკა.	313
თემა 8. მოსახლეობისა და ადამიანური რესურსების მიგრაცია.....	324
თემა 9. მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია.	333
თემა 10. მოსახლეობის და შრომითი რესურსების პროგნოზი.....	343
თემა 11. მოსახლეობის პოლიტიკა	348
თემა 12. მოსახლეობა და ეკონომიკა	348
გამოყენებული ლიტერატურა.....	354

წიგნი გამოსაცემად მუშაობდნენ:

დალი გერმანიშვილი
რუსუდან მიქენაია
ნათია დვალი
თინათინ ჩირინაშვილი
ლელა ნიკლაური
ეკატერინე თეთრაშვილი

წიგნი ელექტრონულად მომზადდა თსუ გამომცემლობაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 04 84, 6278
www.press.tsu.edu.ge

